მსოფლიო დეტექტივების სეიფი

საქმე №24



ჯეფრი ჰაღსონი

საგანგებო შემთხვევა

ჯეფრი ჰაღსონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბანბეგო შემთხვევა

20-242
F 2

თბილისი
2010

udc (უაკ) 821.111 — 312.4
მ - 908

„მსოფლიო დეტექტივების სეიფი"

საქმე №24

მთარგმნელი: ნოდარ ძოწენიძე

რედაქტორი: მანანა ღოლობერიძე

**სტილისტ-
კორექტორები:** ლიკა თავართქილაძე
ნატალია ჩიმაკაძე

გარეკანის დიზაინი: ეთო გზირიშვილი

**კომპიუტერული
უზრუნველყოფა:** თემურ სიხარულიძე

K43,903

©გამომცემლობა პალიტრა L, 2010
მის.: იოსებიძის ქ. №49

ISSN 1987-9490
ISBN 978-9941-422-38-6

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათი

10 ოქტომბერი

1

ყველა კარდიოქირურგი ძაღლის შვილია და არც კონვეია გამონაკლისი. პათოლაბორატორიაში ბრაზისაგან აცახცახებული შემოვარდა, მწვანე ქირურგიული ხალათი და ქუდი არც კი მოეხადა. გაცოფებული, კბილებშუა მონოტონურად ცრიდა სიტყვებს. სახეზე ალმური ედებოდა და საფეთქელზე მუქი წითელი ლაქები აჩნდა.

— კრეინბი, — სისინებდა კონვეი, — წყეული კრეტინები! — და ისე დასცხო კედელს მუშტი, რომ კარადებში ჭურჭელი აჟღრიალდა.

ყველას გვესმოდა, რაში იყო საქმე. კონვეი დღეში გულის ორ ოპერაციას აკეთებს, თანაც პირველი დილის შვიდის ნახევარზე იწყება. თუ ორ საათში ის პათოლაბორატორიაში გამოჩნდა, მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს.

— უხელო იდიოტი, სულელი! — კონვეიმ ნაგვის პატარა კალათს ფეხი გაჰკრა და ისიც ხმაურით გაგორდა იატაკზე.

ზოგჯერ მისი რისხვის ობიექტი გულმკერდის გამხსნელი ასისტენტი ხდებოდა, ზოგჯერ მედდები, ზოგჯერ კი ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის ტექნიკოსები. საკვირველია, მაგრამ მისი რისხვა არასდროს დასტყდომია თავს თვით ექიმ კონვეის.

— ასი წელიც რომ ვიცოცხლო, რიგიან ანესთეზიოლოგს მაინც ვერ ვეღირსები, — კბილებშუა ცრიდა კონვეი.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ. ამჯერად ჰერბიზე იყო ლაპარაკი. წლის განმავლობაში ოთხჯერ მაინც აღმოჩნდებოდა ხოლმე დამნაშავე, სხვა დროს კი კეთილი მეგობრები იყვნენ. კონვეის

ქებით ცაში აჰყავდა და ქვეყნის საუკეთესო ნარკოტიზატორს უწოდებდა.

მაგრამ წელიწადში ოთხჯერ ჰერბერტ ლენდსმენს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა „მს“-ისთვის, რაც სამედიცინო ჟარგონზე „მაგიდაზე სიკვდილს“ ნიშნავს. გულზე ოპერაციების დროს ეს არცთუ ისე იშვიათად ხდება: ქირურგების უმრავლესობას ასიდან თხუთმეტი, ხოლო კონვეისთანა გამოჩენილ ექიმებს, ასიდან რვა სიკვდილის შემთხვევა აქვთ.

რასაკვირველია, ბოსტონში ჭორი დადიოდა იმის თაობაზე, თუ როგორ ახერხებდა ასეთ დაბალ დონეზე ამ პროცენტის (რომელსაც ქირურგები „სიკვდილიანობის პროცენტს“ უწოდებენ) შენარჩუნებას. ამბობდნენ, კონვეი გაურბის ისეთ შემთხვევებს, რომლებსაც შეიძლება გართულებები მოჰყვეს და მოხუცებთან საქმეს არ იჭერსო. იმასაც ამბობდნენ, რომ ის წინააღმდეგი იყო ყოველგვარი სიახლის, ყოველგვარი სარისკო პროცედურებისა. ეს არ არის სწორი. კონვეი იმიტომ ინარჩუნებდა „სიკვდილიანობის პროცენტს“ ასე დაბალ დონეზე, რომ შესანიშნავი ქირურგი იყო. მხოლოდ ამიტომ!

— წყეული არამზადა, იდიოტი! — ამბობდა კონვეი და ღვარძლიანად აქეთ-იქით იხედებოდა. — ვინ მორიგეობს დღეს?

— მე, — ვუპასუხე. იმ დღეს ლაბორატორიაში უფროსი პათოლოგანატომი მე ვიყავი. უჩემოდ არაფერი მოხდებოდა. — მაგიდა დაგჭირდებათ?

— დიახ! — მითხრა და შეიგინა.

— როდის?

— დღეს საღამოს.

ასეთი ჩვეულება ჰქონდა კონვეის. გაკვეთას მუდამ საღამოობით აწარმოებდა და ხშირად გვიან ღამეთ ამთავრებდა.

— მეთოდკაბინეტში შევატყობინებ, — ვუთხარი მე, — თქვენთვის ცალკე ბოქსს შემოინახავენ.

— კეთილი! — ისევ შეიგინა და მაგიდაზე მუშტი დაარტყა. — მერე და ვინ, — ოთხი შვილის დედა!

— განკარგულებას გავცემ, ყველაფერი მოამზადონ.

— სანამ პარკუჯამდე მივიდოდით, მანამ განუტევა სული! ველარ მოვაბრუნეთ! ოცდაათი წუთი ვუკეთებდით გულს მასაჟს და ვერ ვუშველეთ.

ხელები ასწია, ქირურგის ჟესტით ხელისგულებით თავისკენ შემოაბრუნა და თითქოს ღალატში ბრალს სდებსო, საყვედურით დახედა. „სინამდვილეში ხომ მართლაც მათ უღალატეს“ — გავიფიქრე.

— ღმერთო ჩემო! — თქვა კონვეიმ. — რატომ დერმატოლოგი არ ვარ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, დერმატოლოგს ვინმე კუბოში ჩაეწვინოს.

შემდეგ კარს წიხლი ჰკრა და ლაბორატორიიდან გავიდა.

ერთ-ერთი სტაჟიორი საგრძნობლად გაფითრდა და მისი წასვლის შემდეგ შემეკითხა:

— ყოველთვის ასეთია?

— კი, — ვუპასუხე. — ყოველთვის. — და ფანჯრისკენ მივბრუნდი, რომლის მიღმაც ოქტომბრის წვრილი წვიმის ფარდაში ნელა მიედინებოდა „პიკის“ საათებისთვის დამახასიათებელი მანქანების ნაკადი.

სიკვდილით დამთავრებული ყველა ოპერაციის შემდეგ ასეთი საუბრები კონვეის ჩვევად ექცა და მხოლოდ საკუთარი თავისთვის იყო გამიზნული, სტრესის შესამსუბუქებლად. ეს რომ არ მცოდნოდა, შეიძლება უფრო მეტად თანამეგრძნო მისთვის.

ლაბორატორიაში არეულობის შემოტანის გარდა კონვეი მუშაობაშიც გვიშლიდა ხელს. განსაკუთრებით დილაობით, რადგან ამ დროს ბიოფსიის გამოკვლევებით ვიყავით დაკავებული და ისედაც ხშირად ვვარდებოდით გრაფიკიდან.

მე ფანჯარას ზურგი შევაქციე და ახალი ბიოფსია ავიღე.

ჩვენს ლაბორატორიაში გამოკვლევებს ძალზე სწრაფად ვაწარმოებდით.

აწკრიალდა ტელეფონი. ცხადია, რომ ეს საოპერაციოდანაა — სკენლონი ნერვიულობს, რადგან ოცდაათ წამში ვერ ვაცნობეთ შედეგი, სკენლონი არაფრით განსხვავდება სხვა ქირურგებისგან — სრული ბედნიერებისთვის მუდამ უნდა კვეთოს ვინმე. ვერ იტანს უქმად დგომას და პათოლაბორატორიიდან დასკვნის მიღებამდე მის მიერ ვიღაცის მკერდში გაკეთებულ უზარმაზარ ხვრელს ჩაჰყურებს.

არაფრად მიაჩნია ის, რომ მას შემდეგ, რაც ბიოფსიას აიღებს და ლითონის ლანგარზე დადებს, სანიტარმა მთელი გზა უნდა გაიაროს ერთ ფრთაზე მდებარე საოპერაციოდან ლაბორატორიამდე. სკენლონი არც იმას უფიქრდება, რომ კლინიკაში კიდევ თერთმეტი სხვა საოპერაციოა და შვიდიდან დილის თერთმეტ საათამდე იქაც გამალებული მუშაობაა. ამ საათებში ლაბორატორიაში ოთხი პათოლოგანატომი მუშაობს, მაგრამ დასკვნები მაინც გვიანდება. აქ უკვე ვერაფერს გააწყობ — ქირურგები ცოტას ითვხედებენ და ამით სულს მოითქვამენ ხოლმე.

ტელეფონისკენ მიმავალმა, მარცხენა ხელიდან რეზინის ხელთათმანი წავიძვრე. ოფლიანი ხელი შარვლის უკანა მხარეზე შევიწმინდე და ყურმილი ავიღე. საერთოდ აკურატულები ვართ ტელეფონთან, მაგრამ მეტი სიფრთხილისთვის ყოველი დღის ბოლოს ყურმილსა და აპარატს სპირტითა და ფორმალინით ვწმენდთ ხოლმე.

— ბერი გისმენთ.

— როგორაა საქმე, ბერი?

შელრენა მინდოდა, მაგრამ თავი შევიკავე.

— თქვენი ავთვისებიანია, — ესლა ვუპასუხე.

— ასეც ვიცოდი, — წარმოთქვა სკენლონმა, თითქოსდა მთელი ლაბორატორიის მუშაობა დროის უმიზნო ხარჯვა ყოფილიყოს.

საშინლად მინდოდა მოწევა. საუზმის შემდეგ ერთი სიგარეტი მოვწიე, ჩვეულებრივ კი ორს ვეწევი ხოლმე. სამუშაო ადგილთან მიბრუნებულს სამი ახალი ბიოფსია დამხვდა: თირკმლიდან, ნაღვლის ბუშტიდან და აპენდიქსიდან. ის იყო, ხელთათმანის ჩაცმა დავიწყე, რომ შიდა ტელეფონის წკარუნი შემომესმა.

— ექიმო ბერი, თქვენს მეუღლეს სურს თქვენთან ლაპარაკი.

მაშინვე არ ვუპასუხე. მე და ჯუდიტი შევთანხმდით — არავითარი დარეკვა დილაობით. შვიდიდან თერთმეტ საათამდე კვირაში ექვსჯერ — ხოლო თუ რომელიმე თანამშრომელი ავად გახდება, შვიდჯერაც კი — ძალზე დაკავებული ვარ. ისიც ჩვეულებრივ პირნათლად იცავს ჩვენს პირობას. მაშინაც კი არ დამირეკა, როდესაც ჯონი თავისი სამთვლიანი ველოსიპედით უკნიდან „პიკაპს“ შეასკდა და შუბლზე თხუთმეტი ნაკერის დადება გახდა საჭირო.

— ახლავე, — ვუპასუხე და ტელეფონთან მივბრუნდი. — ალო!

— ჯონი! — ხმა აუკანკალდა, რაც უკვე კარგა ხანია აღარ მსმენია მისგან. ყოველ შემთხვევაში მამამისის სიკვდილის შემდეგ. — ჯონი, ეს-ესაა არტურ ლიმ დარეკა. — არტურ ლი ჩვენი მეგობარია, ექიმი-გინეკოლოგი, ჩვენს ქორწილში მეჯვარე იყო. — შენ სჭირდებოდი. უსიამოვნება შეემთხვა...

— რა უსიამოვნება? — თან სტაჟიორს ხელით ვანიშნე, ჩემი ადგილი დაეკავებინა მაგიდასთან.

— არ ვიცი, — მიპასუხა ჯუდიტმა, — ის დაპატიმრებულია, ჯონ, იქნებ, ეს დაკავშირებულია...

— არ ვიცი, — შევაწყვეტინე მე, — შენზე მეტი არაფერი ვიცი. — ყურმილი ლოყითა და მხრით დავიჭირე და მერე ხელთათმანიც წავიძვრე. — ახლავე წავალ მასთან. შენ ნუ ღელავ. იქნებ, ასეთი არაფერია. მალე დაგირეკავ.

ყურმილი დავდე, ხელთათმანები კალათში ჩავყარე, ხალათი გავიხადე, საკიდარზე ჩამოვკიდე და სანდერსონის კაბინეტისკენ წავედი. სანდერსონი საავადმყოფოს ყველა პათოლაბორატორიას განაგებს. იგი ორმოცდარვა წლის წარმოსადეგი გარეგნობის კაცია, საფეთქელზე ოდნავ ჭაღარაშერეული. ჭკვიანი სახე და ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი აქვს. სანდერსონს ჩემზე ნაკლები საფუძველი როდი ჰქონდა შეშფოთებისთვის.

— არტი დაპატიმრებულია, — ვუთხარი მე.

მან დახურა საქაღალდე, სადაც გაკვეთების ანგარიშები ეწყო და მკითხა:

— მიზეზი?

— არ ვიცი. მინდა წავიდე მასთან.

— გინდათ, წამოგყვეთ?

— არა, უმჯობესია მარტო მივიდე.

— როცა გაარკვევთ, დამირეკეთ, — მითხრა სანდერსონმა და სათვალის ზემოდან შემომხედა.

გასულიც არ ვიყავი, რომ კვლავ ანგარიშის კითხვაში ჩაეფლო. არც კი ემჩნეოდა, ააღელვა თუ არა გაგებულმა ამბავმა.

ვესტიბიულში მიმავალმა მანქანის გასაღებებისთვის ჯიბეში ჩავიყავი ხელი და მაშინღა გამახსენდა, რომ არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. ჯუდიტთან დასარეკად ცნობების მაგიდისკენ გავემართე. ვკითხე, სად იყო დაკავებული არტი, მაგრამ ჯუდიტმა არ იცოდა. მაშინ დავურეკე მის ცოლს, ბეტის — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, ლამაზ, საქმიან ახალგაზრდა ქალს. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ბეტი კვლევით მუშაობას ეწეოდა ჰარვარდში, მაგრამ მესამე შვილის გაჩენის შემდეგ სამსახურს თავი დაანება. ჩვეულებრივ, ბეტი მშვენივრად ფლობდა თავს. მაგრამ ახლა ხმაზე ეტყობოდა, რომ ღონემიხდილი იყო. მან შემატყობინა, რომ არტური ჩარ-

ლზ-სტრიტზე, განყოფილებაში იჯდა. დააპატიმრეს სახლში, სწორედ მაშინ, როდესაც საავადმყოფოში აპირებდა წასვლას. ბავშვები შეშინებულნი არიან, სკოლაშიც არ გამიშვია, მაგრამ ამიერიდან რაღა უნდა ვქნა, მაინც როგორ ავუხსნა მათ ყოველივეო? ვურჩიე, ბავშვებისთვის ეთქვა, რომ გაუგებრობა მოხდა და ყურმილი დავკიდე.

2

ჩემი „ფოლკსვაგენი" ექიმთა მანქანების სადგომიდან გამოვიყვანე და მოელვარე „კადილაკებს" წინ ჩავუარე. ყველა ასეთი ლიმუზინი კერძო პრაქტიკის მქონე ექიმს ეკუთვნის; პათოლოგანატომები ხელფასზე ცხოვრობენ.

ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა — „პიკის" საათი იყო; ამ დროს ბოსტონის ქუჩებში სიარული სიკვდილთან თამაშს უდრის, საგზაო ავარიების ყველაზე მეტი რაოდენობა ბოსტონზე მოდის, თვით ლოს-ანჯელესზე მეტიც კი. ამას დაადასტურებს „სასწრაფო დახმარებაში" მომუშავე ყოველი ექიმი, ანდა პათოლოგანატომი — საავტომობილო კატასტროფების მსხვერპლთა საკმაო რაოდენობა გასაკვეთად ჩვენთან ხვდება. ადამიანები გიჟებივით დაქრიან. „სასწრაფოს" სამორიგეოში მყოფს ისე მოეჩვენება, თითქოს ირგვლივ ომი მძვინვარებს. ერთიმეორის მიყოლებით მოაქვთ გვამები. ჯუდიტის აზრით, ყოველივე ეს გამუდმებით შეკავებული გრძნობების შედეგია; არტი კი ამტკიცებს — როგორც კათოლიკე ბოსტონელებს სწამთ, მათ უეჭველად დაიცავთ ღმერთი მაშინაც კი, როდესაც ისინი წითელ შუქზე მიქრიან. მაგრამ არტი, რასაკვირველია, ციანიკოსია. ერთხელ ჩვენი კოლეგის ოჯახში წვეულებაზე ერთი ქირურგი ამბობდა, რომ მანქანის ხელსაწყოთა დაფაზე მიმაგრებული მადონას პლასტმასის პატარა ფიგურები ძალიან ხშირად თვალის ტრავმების მიზეზია. არტმა გამოაცხადა, რომ ეს

ყველაზე საუკეთესო ანეკდოტია, რომელიც კი მას ოდესმე მოუსმენია. „რელიგიით დაბრმავებულნი, — ხითხითებდა ის, — რელიგიით დაბრმავებულნი“.

არტურ ლი ჩემი მეგობარია იმ დროიდან, რაც ერთად ვეუფლებით მედიცინას. ჭკვიანი და შესანიშნავი ექიმია. მტკიცედაა დარწმუნებული თავის მსჯელობათა სისწორეში, თუმცა საეჭვოა, რომ მუდამ უცოდველი იყოს, ალბათ ცოტა ზედმეტს იღებს თავის თავზე, მაგრამ როგორღაც ვერ ვახერხებ მის შეკავებას. ძალიან მძიმე საქმე იკისრა. კაცმა რომ თქვას, ვინმემ ხომ უნდა აკეთოს აბორტები. არ ვიცი, მაინც როდის დაიწყო ეს საქმე. როგორც ჩანს, ორდინატურის დამთავრებისთანავე. ეს ოპერაცია არც ისე რთულია, ყველა გამოცდილი მედდა გააკეთებდა, ერთი პატარა „მაგრამ“ რომ არ იყოს: ეს ოპერაცია უკანონოა.

კარგად მახსოვს, პირველად როგორ გავიგე მისი საქმიანობის ამბავი. სტაჟიორებმა ლაპარაკი წამოიწყეს ლიზე. მის მიერ დანიშნული „დგ“-ები (ე.ი. დიაგნოსტიკური გამოფხეკები) რაღაც ძალზე ხშირად მიანიშნებდა ფეხმძიმობაზე. ლი ამ „დგ“-ს უნიშნავდა ქალებს შეუძლოდ ყოფნის დროს, მაგრამ მრავალი ანალიზის შედეგი პაციენტის ფეხმძიმობაზე მიუთითებდა. ამან შემაშფოთა — სტაჟიორები ახალგაზრდები და ენაჭარტალები არიან. მათ მაშინვე ვუთხარი, რომ ეს სახუმარო საქმე არაა და ამგვარმა მითქმა-მოთქმამ შეიძლება სერიოზულად შეარყიოს ყოველი ექიმის რეპუტაცია. შემდეგ არტისკენ გავეშურე.

— არტ, — მივმართე. — ზოგი რამ მაწუხებს.

— იმედია, არა გინეკოლოგიის მხრივ, — გადიხარხარა მან.

— აბა, როგორ გითხრა. ჩვენი პრაქტიკანტების ლაპარაკს მოვკარი ყური. ისინი ამბობდნენ, რომ უკანასკნელი თვის განმავლობაში შენ მიერ გამოგზავნილი გამონაფხეკების ექვ-

სი ანალიზი ფეხმძიმობაზე მიუთითებდა. გაცნობეს ამის შესახებ?

— კი, — მიპასუხა მან. — მაცნობეს! — მისი გულარხეინი განწყობილებისგან ერთბაშად კვალიც კი აღარ დარჩა.

— უბრალოდ, მინდოდა გცოდნოდა. ეს ამბავი საკონტროლო კომისიის ყურამდე რომ მივიდეს, შეიძლება უსიამოვნება შეგხვდეს.

— უსიამოვნება არ იქნება. — მან თავი გააქნია.

— მაგრამ ანგარიშს თუ უწევ იმას, როგორ გამოიყურება ეს?

— ვუწევ. ეს ისე გამოიყურება, თითქოს კრიმინალურ აბორტებს ვაკეთებდე. — ეს ხმადაბლა და სავსებით მშვიდად თქვა. — უნდა მოვილაპარაკოთ. მოდი, სადმე ბარში წავიდეთ დღეს დაახლოებით ექვსი საათისთვის. შეძლებ?

— მგონი, შევძლებ.

— მაშინ, მანქანების სადგომზე შევხვდეთ. ხოლო თუ დღის განმავლობაში დროს გამონახავ, გადახედე ერთი ჩემი პაციენტი ქალის ავადმყოფობის ისტორიას. — სიუზენ ბლაკი, ნომერი: AO-221-365.

ნომერი ქაღალდის ხელსახოცზე ჩავიწერე და ცოტა არ იყოს გავოცდი: თუმცა ექიმი ბევრ რამეს იმახსოვრებს თავისი პაციენტის შესახებ, მაგრამ მათი ავადმყოფობის ისტორიის ნომრებს — იშვიათად.

— ყურადღებით წაიკითხე, — მითხრა არტმა და ჩემთან გასაუბრებამდე, ნურავისთან იმსჯელებ.

ლაბორატორიაში გაოცებული დავბრუნდი. იმ დღეს გაკვეთა უნდა ჩამეტარებინა; მხოლოდ ოთხი საათისთვის გავთავისუფლდი, მაშინვე საავადმყოფოს არქივში წავედი და ავადმყოფობის ისტორია AO-221-365 ავიღე. კარადას არც კი მოვშორებივარ, ისე წავიკითხე. ბოსტონის ერთ-ერთი კოლეჯის ბოლოსწინა კურსის სტუდენტი სიუზენ ბლაკი, ექიმ ლის პაციენტი გახლ-

დათ და პირველად ოცი წლის ასაკში მიმართა. იგი მენსტრუალური ციკლის მოშლას უჩიოდა. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მას ცოტა ხნის წინ წითურა გადაეტანა და ამის შემდეგ მუდამ სისუსტეს, აპათიასა და მოთენთილობას გრძნობდა. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ყოველი შვიდი-ათი დღის განმავლობაში ეწყებოდა სუსტი სისხლდენა, რომელიც მაშინვე წყდებოდა. გასინჯვის დროს ტემპერატურის ოდნავი აწევის მეტი არაფერი აღმოაჩნდა. ჰემოგლობინის მცირედი დაქვეითების მიუხედავად, სისხლის ანალიზი ნორმალური ჰქონდა. ექიმმა ლიმ „დგ" დაუნიშნა, ეს 1956 წლამდე, ესტროგენული თერაპიის აღმოჩენამდე მოხდა. „დგ"-მ არავითარი გადახვევა, ფეხმძიმობა ან სიმსივნის რაიმე ნიშანი არ აჩვენა. მკურნალობა, როგორც ჩანს, კარგ შედეგს იძლეოდა. სამი თვის განმავლობაში გოგონა ექიმის ზედამხედველობის ქვეშ იყო, რის შემდეგ ჩივილები შეუწყდა.

ვერ გამეგო, რისთვის დასჭირდა არტს ამ ავადმყოფობის ისტორიის ჩვენება. პათოლაბორატორიის დასკვნაც ვნახე. ანალიზი ექიმ სანდერსონს გაეკეთებინა. დასკვნა მოკლე და ნათელი იყო: მაკროჰისტოლოგია — ნორმა, მიკროჰისტოლოგია — ნორმა. ავადმყოფობის ისტორია ადგილზე დავდე და ლაბორატორიაში დავბრუნდი. ადგილზე მისული სულ ამაზე ვფიქრობდი — მაინც რაშია საქმე? არ ვიცი, რამ მომაფიქრა მიკროფოტოგრაფია.

ბევრ სხვა საავადმყოფოსავით, ლინკოლნის საავადმყოფოც ინახავს თავის პათოსლაიდებს. სლაიდები ინახება პატარა, გრძელ ყუთებში. ერთ-ერთ ყუთთან მივედი და საჭირო სლაიდი ამოვიღე. წავიღე სამიკროსკოპო ოთახში, სადაც ერთი-მეორის მიყოლებით ათი მიკროსკოპი იდგა. ერთი თავისუფალი იყო. ჩემი სლაიდი ჩავდე, და მაშინვე მივხვდი, რომ აქ ცოტა სხვანაირად იყო საქმე.

სლაიდი ზენკერ-ფორმალინისებრი შეფერილობისა გახ-

ლდათ, რომელიც მხოლოდ სპეციალური დიაგნოსტიკის დროს იხმარება ხოლმე. ჩვეულებრივად ჰემატოქსილინურ-ეოზინურს იყენენ. რაიმე მიზეზის გამო ზენკერ-ფორმალინისებრი საღებავის ხმარების შემთხვევაში კი მიზეზი პათოლოგანატომის დასკვნაში უნდა აღინიშნოს, მაგრამ სანდერსონს მოხსენიებულიც კი არ ჰქონდა, რომ სლაიდი უჩვეულოდ იყო შეფერილი.

თავისთავად ჩნდებოდა დასკვნა, რომ სლაიდი შეცვლილი იყო. იარლიყს დავხედე. არა, ხელწერა, ეჭვგარეშეა, სანდერსონისაა. მაშ, რა მოხდა? მაშინვე მომივიდა თავში შესაძლებელი განმარტებანი: უბრალოდ მას გადაავიწყდა აღნიშვნა, რომ არაჩვეულებრივი შეფერადება იყო გამოყენებული ან გაკეთებული იყო ორი სხვადასხვა გამონაფხეკის ანალიზი, შეღებილი სხვადასხვანაირად. ანდა, მოხდა სრულიად შესაძლებელი არევდარევა. მაგრამ არც ერთი ამ განმარტებათაგანი არ იყო სათანადოდ დამაჯერებელი. სულ ამაზე ვფიქრობდი და ძლივს გავძელი 6 საათამდე, სანამ სადგომზე არტს შევხვდებოდი. მან სურვილი გამოთქვა საავადმყოფოდან მოშორებით მდებარე რომელიმე ბარში შეგვევლო, სადაც შევძლებდით საუბარს. გზაში მკითხა:

— წაიკითხე?

— კი, — ვუპასუხე, — მეტად საინტერესოა! სლაიდი ნამდვილია?

— შენ იმის კითხვა გინდა, ავუღე თუ არა გამონაფხეკის ანალიზი სიუზენ ბლაკს? არა!

— მეტი სიფრთხილე გმართებს. შეფერილობა სხვაა და შესაძლებელი იყო უსიამოვნება შეგმთხვეოდა. საიდანაა ეს სლაიდი?

არტმა ჩაიცინა:

— ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან.

— ვინ შეცვალა?

— სანდერსონმა. მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ ახალბედები ვიყავით სპორტის ამ სახეობაში. ეს მან მოიფიქრა — შეგვეცვალა სლაიდი და დასკვნაში ჩაგვეწერა „მიკროჰისტოლოგია — ნორმა“. ახლა უფრო სუფთად ვმუშაობთ. ყოველთვის, როცა სანდერსონი გამოსაკვლევად იღებს გამონაფხეკს, რამდენიმე ზედმეტ სლაიდს ამზადებს და ინახავს.

— არ მესმის, — ვუთხარი მე — გინდა თქვა, რომ შენ და სანდერსონი ერთად მუშაობთ?

— რა თქმა უნდა! — მიპასუხა არტმა. — უკვე რამდენიმე წელია იცი, ეს ავადმყოფობის ისტორია თავიდან ბოლომდე ყალბია. ისე კი, ქალიშვილი ნამდვილად ოცი წლის იყო, მართლა ჰქონდა გადატანილი წითურა, დაერღვა ციკლი, მაგრამ ყველაფერი ორსულობამ გამოიწვია. გარდა იმისა, რომ ქმარი არ ჰყავდა, კოლეჯიც უნდა დაემთავრებინა. თანაც, პირველი სემესტრის დროს წითურაც აიკიდა. ჩემთან დაბნეული და შეშინებული მოვიდა. იშმუშნებოდა, ბუტბუტებდა, ბოლოს და ბოლოს, მთხოვა ოპერაცია გამეკეთებინა. შევძრწუნდი. ორდინატურა ახალი დამთავრებული მქონდა. ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დამეკარგა ნათელი იდეალები. ქალის მდგომარეობა სავალალო იყო, სულით სრულიად დაცემულიყო. თავი კოლეჯიდან გარიცხულ, უკანონო ბავშვის დედად წარმოედგინა, რომელიც შეიძლებოდა მახინჯიც დაბადებულიყო. კარგი გოგო იყო, შემებრალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მტკიცედ ვუთხარი — არა! მართალია, თანავუგრძნობდი, გულში ხინჯიც მქონდა, მაგრამ ავუხსენი, რომ ვერაფრით დავეხმარებოდი. მაშინ მკითხა, იყო თუ არა ეს ოპერაცია სახიფათო. ჯერ ვიფიქრე, ალბათ თავად სურს სცადოს აბორტის გაკეთება-მეთქი და ვუთხარი, რომ სახიფათოა-იყო. ქალიშვილმა მითხრა, რომ იცოდა ერთი კაცი ნორდ-ენდში, საზღვაო ქვეითი ჯარის ყოფილი სანიტარი თუ რაღაც ამდაგვარი, რომელიც ორას დოლარად აკეთებდა აბორტს. სიუზენმა გან-

მიცხადა, თუ უარზე ვიქნებოდი, იმ კაცს მიაკითხავდა. ამ სიტყვებით დატოვა ჩემი კაბინეტი.

იმ საღამოს სახლში საშინელ გუნებაზე დავბრუნდი. მძულდა ის, მძულდა იმიტომ, რომ იგი ჩემს ახალდაწყებულ პრაქტიკაში შემოიჭრა და ჩემი მომავლის დაწყობილი გეგმების დანგრევა სურდა. ნათლად წარმომედგინა, როგორ შედიოდა იგი აქოთებულ ქოხში, სადაც თავხედი ტიპი უცდიდა, რათა გამოეფხიკა და შეიძლება საიქიოშიც გაეგზავნა. ჩემს მეუღლესა და ერთი წლის შვილზე ვფიქრობდი. მახსენდებოდა ყოველი დილეტანტური აბორტი, რომელთა შედეგები ხშირად მინახავს ჯერ კიდევ სტაჟიორად ყოფნის დროს, როცა ღამის სამ საათზე მოჰყავდათ სისხლისგან დაცლილი ქალები. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ კანონი სამართლიანი არ იყო. ექიმს ზოგჯერ მეტად საეჭვო პირობებში შეუძლია სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადაწყვეტა, ამ შემთხვევაში ასე თვით ღმერთმა ინება.

დილით სანდერსონთან წავედი. ვიცოდი, ბევრ საკითხს საკმაოდ ლიბერალურად უყურებდა. მოვუყევი, რაშიც იყო საქმე და ჯუხსენი, რომ „დგ"-ს გაკეთება მინდოდა. მან მითხრა, რომ მოახერხებდა ჰისტოლოგიური გამოკვლევა მის ხელში მოხვედრილიყო და სიტყვას არ უღალატა. ყველაფერი მაშინ დაიწყო.

— და მას შემდეგ მიჰყავი ხელი აბორტების კეთებას?

— კი, — თქვა არტმა. — მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვთვლი, რომ ჩემი საქციელი გამართლებულია.

— არტ, — ვუთხარი მე. — ეს ოპერაცია კრიმინალურია.

— აი, ამას კი ვერ ვიფიქრებდი, რომ შენ ასე პატივს სცემ კანონებს, — გაიღიმა მან.

ჩემს ბიოგრაფიაზე მიმანიშნებდა. კოლეჯის დამთავრების შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგრამ მოთმინება მხოლოდ წელიწად-ნახევარი მეყო, გადავწყვიტე, რომ იურისპრუდენცია ჩემი საქმე არ იყო და მივატოვე, რათა ჩემი ძალები

ახლა მედიცინაში გამომეცადა. ცოტა ხანს ჯარშიც ვიმსახურე...

— პატივს ვცემ თუ არა, — ჩემი საქმეა, მაგრამ თუ გამოგიჭირეს, დაგაპატიმრებენ და პრაქტიკის უფლებასაც ჩამოგართმევენ. თვითონაც იცი.

— დარწმუნებული ვარ, — მიპასუხა მან. — სწორად ვიქცევი, ვისაც გადაწყვეტილი აქვს აბორტის გაკეთება, ასე თუ ისე, თავისას მაინც მიაღწევს. მდიდრები იაპონიაში ან პუერტო-რიკოში მიემგზავრებიან, ღარიბები კი საზღვაო ქვეითი ჯარის ყოფილ სანიტარს მიმართავენ.

მისი სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, გულახდილად ლაპარაკობდა.

დროთა განმავლობაში თავადაც შევეჩეხე ისეთ შემთხვევებს, როცა აბორტი ერთადერთი ჰუმანური გამოსავალი იყო. არტი აკეთებდა მათ. მე კი შევუერთდი სანდერსონს, პათოლაბორატორიაში კვალს ვფარავდი.

ნათელია, რომ სრულ საიდუმლოებაში ყველაფერს ვერ დავიცავდით. ბევრმა ახალგაზრდა ექიმმა იცოდა, რას აკეთებდა არტი, უმეტესობა ეთანხმებოდა მას, რადგან იგი ამ საქმეს დიდი შერჩევით აკეთებდა. ბევრი მათგანი გაჰყვებოდა კიდეც მის კვალს, მეტი გამბედაობა რომ ჰქონოდათ.

ზოგიერთი ეწინააღმდეგებოდა არტს და თუ არ აბეზღებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდათ, თანაც გლუკისა და იუპლის მსგავსი ნაძირლები, რომელთა რელიგიური რწმენა გამორიცხავდა თანაგრძნობასა და ჯანსაღ აზრს. დიდხანს მაშფოთებდნენ ეს გლუკები და იუპლები. შემდეგ არად ვაგდებდი მრავალმნიშვნელოვან მზერას და ზურგს ვაქცევდი მათ ცხვირჩამოშვებულ, ფარისევლურ ფიზიონომიებს. იქნებ, ეს შეცდომა იყო.

რადგან, თუ ახლა არტი ჩავარდა და მკაცრად დასჯიან, მე და სანდერსონსაც ველარაფერი გვიშველის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე წლის წინ ჯარში რომ ვმსახურობდი, ტოკიოს სამხედრო პოლიციაში გამამწესეს და იქ ბევრი რამ სასარგებლო შევიძინე. იმხანად ტოკიოში, ოკუპაციის უკანასკნელ პერიოდში, სამხედრო პატრული ყველაზე უფრო საძულველი ადამიანი იყო. ჩვენი ფორმებითა და თეთრი ჩაფხუტებით იაპონელების თვალში ყელში ამოსული ოკუპაციური რეჟიმის საბოლოო მოგონება ვიყავით. მათთვის კი, ვინც საკეს ან ვისკის გადაყლურწავდა, თუ ფინანსები ამის უფლებას აძლევდა — ამერიკელებისთვის, გინზაზე რომ დაყიალებდნენ, ყველა იმ აკრძალვათა და უბედურებათა განსახიერება ვიყავით, რომლითაც აღსავსეა ჯარისკაცის მკაცრი ცხოვრება. სწორედ ამიტომ ვიწვევდით ზიზღს ყველა შემხვედრში.

რასაკვირველია, შეიარაღებულნი ვიყავით. მახსოვს, როცა პირველად გადმოგვცეს პისტოლეტები, ერთმა ტემპერამენტიანმა კაპიტანმა გვითხრა:

— იარაღი გადმოგეცათ, მაგრამ გირჩევთ არასოდეს იხმაროთ, რადგან მიახვრეტთ ვიღაც მთვრალ ჩხუბისთავს თუნდაც თავდაცვის მიზნით, შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ კონგრესმენი ან გენერალი ბიძა ჰყავს. იარაღი გამოსაჩენ ადგილას იქონიეთ, ოღონდ ბუდეში. მორჩა და გათავდა!

მოკლედ, გვიბრძანეს ყველა და ყველაფერი დაგვეშინებინა. კარგად ავითვისეთ, ბოლოს და ბოლოს, ამ მეცნიერებას ყველა პოლიციელი ეზიარება.

სწორედ ეს ამბავი გამახსენდა, როდესაც ჩარლზ-სტრიტის უბნის მოღუშული პოლიციის სერჟანტის პირისპირ ვიდექი. მან ისეთი გამომეტყველებით ამხედ-დამხედა, გეგონება სიამოვნებით გამიხეთქდა თავს.

— რა გინდათ?

— ექიმი ლი უნდა ვნახო.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა, ჩავარდა თქვენი ჩინელი? ოჰ, ოჰ, ოჰ.

— მისი ნახვა მჭირდება, — გავიმეორე.

— არ შეიძლება! — მან მაგიდაზე დაყრილ ქაღალდებში დაიწყო ქექვა. თავისი გამომეტყველებით მანიშნებდა, რომ სალაპარაკო აღარაფერი გვქონდა.

— იქნებ, გაისარჯოთ და ამიხსნათ — რატომ?

— არა, — თქვა მან — არც კი ვეცდები.

ამოვიღე უბის წიგნაკი და კალამი.

— თქვენი ნიშნის ნომერი მინდა ვიცოდე.

— უმჯობესია მოწყდეთ აქედან, მასთან შესვლა არ შეიძლება.

— კანონის მიხედვით ვალდებული ხართ პირველი მოთხოვნისთანავე დაასახელოთ თქვენი ნომერი, — მე ყურადღებით დავაკვირდი მის პერანგს და თავი მოვაჩვენე, რომ ნომერს ვიწერდი. შემდეგ კარისკენ გავემართე.

— თქვენ საით? — აგდებულად მითხრა მან.

— ტელეფონის ჯიხური გვერდითაა.

— და მერე რა?

— რა დასანანია! თქვენი მეუღლე ალბათ, რამდენიმე საათი მოუნდებოდა სახელოზე ამ ნიშნის მიკერებას, მოჭრით კი უცბად მოჭრიან, სამართებლით, ისე რომ, ფორმასაც არ გააფუჭებენ.

იგი სკამიდან მძიმედ წამოდგა.

— თქვენ, კერძოდ, რა საქმეზე ხართ?

— მე ექიმ ლის ნახვა მჭირდება.

— თქვენ რა, მისი ვექილი ხართ?

— გამოიცანით.

— ეგრე გეთქვათ. — მან გასაღებების ასხმა ამოიღო: — წავიდეთ! — ეს ღიმილით იყო ნათქვამი, თვალები კი კვლავ მტრულად მიმზერდა. — თქვენ არ შეგიძლიათ ზედმეტი სიფხიზლისთვის ბრალი დამდოთ. ბოლოს და ბოლოს, მკვლელობა მკვლელობაა.

არტი საკმაოდ კარგ საკანში იჯდა. სუფთა იყო, არც ძალიან ყარდა. საერთოდ, ბოსტონის ციხის საკნები ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ ამერიკაში.

არტი საწოლზე იჯდა და ხელში ჩაბღუჯულ სიგარეტს მიშტერებოდა.

— ჯონ!

— თქვენს განკარგულებაში ათი წუთია, — თქვა სერჟანტმა, კარი მომიკეტა და იქითა მხრიდან მიეყრდნო გისოსს.

— გმადლობთ, — ვუთხარი მე, — შეგიძლიათ წახვიდეთ.

სერჟანტმა მტრული მზერა მტყორცნა და გასაღებების ჩხარუნით ნელ-ნელა გასცილდა იქაურობას.

მარტო რომ დავრჩით, არტს ვკითხე:

— როგორ ხარ?

— არა მიშავს.

არტი ტანდაბალი, წელში გამართული და ყოველთვის კოხტად ჩაცმულია. წარმოშობით სან-ფრანცისკოდანაა, დიდი ოჯახიდან, სადაც თითქმის ყველა ექიმი ან იურისტია. გარეგნობით სუფთა ჩინელი არაა. მისი კანი ზეითუნისფერი უფროა, ვიდრე ყვითელი, თვალების ჭრილი — ევროპული, თმა — წაბლისფერი.

არტი ახლა ფერმკრთალი და დაძაბული იჯდა. წამოდგა და საკანში გაიარ-გამოიარა.

— გმადლობ, რომ მოხვედი.

— ყოველ შემთხვევაში. თუ გკითხეს, დაიმახსოვრე, მე შენი ვექილის წარმომადგენელი ვარ. ამგვარად შემოვაღწიე აქ. — უბის წიგნაკი ამოვიღე. — უკვე აცნობე შენს ვექილს?

— ჯერ არა. ვერაფრით მოვსულვარ გონს. ყოველივე ეს ისეთი უაზრობაა...

— რა გვარია შენი ვექილი?

მან გვარი მითხრა და ჩავიწერე. საკმაოდ ცნობილი პიროვნება აღმოჩნდა, ალბათ, არტმა თავის დროზე განჭვრიტა, რომ ოდესღაც დასჭირდებოდა დამცველი.

— აქედან გასვლისთანავე დავურეკავ, — ვუთხარი. — ახლა კი, თქვი, რა მოხდა?

— დამიჭირეს, — თქვა არტმა, — მკვლელობისთვის.

— ამას მივხვდი, რატომ დამიძახე?

— შენ ხომ სწავლობდი იურიდიულზე?

— მხოლოდ ერთი წელი და ისიც ათი წლის წინ.

— ჯონ, ეს ერთდროულად სამედიცინო პრობლემაცაა და იურიდიულიც, და შენი დახმარება მჭირდება. ჯონ, უდანაშაულო ვარ, გეფიცები! მე მას არ გავკარებივარ.

— დაჯექი და მომიყევი თანამიმდევრობით.

— სახლში დამაკავეს, დღეს დილას, შვიდ საათზე მომიყვანეს აქ და დამიწყეს დაკითხვა. ჯერ მითხრეს, ეს ფორმალობაა. შემდეგ მუქარაზეც გადავიდნენ.

— რამდენი იყვნენ?

— თავდაპირველად ორნი, შემდეგ სამი.

— ცუდად გექცეოდნენ? შუქებით გაბრმავებდნენ?

— არა, ამდაგვარი არაფერი ყოფილა.

— გითხრეს, რომ შეგიძლია ვექილის აყვანა?

— მითხრეს, ოღონდ გვიან, როდესაც ამიხსნეს კონსტიტუციით მონიჭებული უფლებები. — მისთვის ჩვეული სევდიანი, ცინიკური ღიმილი მოეფინა სახეზე. — იცი რა, პირველად ფორმალობა მეგონა, ამიტომ ვექილის გამოძახება აზრადაც არ მომსვლია. მე ხომ არაფერი დამიშავებია. ისინი მთელ საათს მელაპარაკებოდნენ, სანამ იმ ქალიშვილს ახსენებდნენ.

— რომელ ქალიშვილს?

— კარენ რენდალს. დიახ, ჯ. დ. რენდალის ქალიშვილს.

— ღმერთო ჩემო!

— თავდაპირველად მკითხეს, რა ვიცი მის შესახებ და იყო თუ არა იგი ოდესმე ჩემი პაციენტი და ამის მსგავსი. ვუპასუხე, რომ ჩემთან ერთი კვირის წინ მოვიდა რჩევის საკითხავად. ძირითადად მენსტრუალური ციკლის დაკარგვას უჩიოდა.

— რა ხნის განმავლობაში?

— ოთხი თვე.

— მერედა, შენ უთხარი მათ ეს დრო?

— არა, არ უკითხავთ.

— ეს კარგია, — ჩავილაპარაკე.

— წვრილმანების გაგება სურდათ. მაგალითად, უჩიოდა თუ არა ის კიდევ სხვა რამეს ან თავი როგორ ეჭირა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ დამიწყია. განვაცხადე, რომ პაციენტს ჩემთან კონფიდენციალური საუბარი ჰქონდა.

მაშინ ისინი სულ სხვა მხრიდან მომიდგნენ: სურდათ გაეგოთ, სად ვიყავი წუხელ საღამოს. ვუპასუხე, რომ ჯერ საავადმყოფოში მქონდა შემოვლა, შემდეგ კი პარკში წავედი სასეირნოდ. ისინი დაინტერესდნენ, ხომ არ დავბრუნდი სეირნობის შემდეგ სამუშაო კაბინეტში, ვუპასუხე, არ დავბრუნებულვარ-მეთქი. შევხვდი თუ არა ვინმეს იმ საღამოს, პარკში? ვთქვი, რომ არ მახსოვდა, ყოველ შემთხვევაში, ნაცნობთაგან არავის. — არტმა ღრმად მოქაჩა სიგარეტი. ხელები უკანკალებდა. — მერე უკვე პირზე დამადგნენ: დარწმუნებული ვიყავი თუ არა, რომ არ დავბრუნებულვარ სამუშაო კაბინეტში? რას ვაკეთებდი საღამოს შემოვლის შემდეგ? დარწმუნებული ვარ თუ არა, რომ ერთი კვირაა, რაც კარენი აღარ მინახავს? ვერ გამეგო, საით უმიზნებდნენ.

— მაინც რა აინტერესებდათ?

— კარენ რენდალი დილის ოთხ საათზე მოიყვანეს მემორიალური საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში. დედამ მოიყვანა ძლიერი სისხლდენით, შოკში მყოფი. არ ვიცი, გადარჩენისთვის რა ზომები მიიღეს, ყოველ შემთხვევაში, იგი გარდაიცვალა. პოლიცია თვლის, რომ გუშინ საღამოს მე გავუკეთე აბორტი.

— რატომ არიან ასე დარწმუნებულნი?

— არ ამბობენ, რამდენჯერმე ვკითხე, მაგრამ არ მეუბ-

ნებიან. შეიძლება, გოგონამ, როდესაც ის საავადმყოფოში მიიყვანეს, აგონიაში ჩემი სახელი ახსენა, არ ვიცი!

მე თავი გადავაქნიე.

— არტ, პოლიციელები ერიდებიან შეცდომით დაპატიმრებას. თუ ისინი დაგაკავებენ და ვერ დაგიმტკიცებენ დანაშაულს, მათ თავზე ხელს არავინ გადაუსვამს. შენ არა ხარ ვიღაც ლოთი, შეგიძლია დახმარებისათვის მიმართო კარგ ვექილს და იციან, რომ ამ დახმარებას მიიღებ. ისინი უსაფუძვლოდ ვერ გაბედავდნენ შენს დადანაშაულებას.

— როგორც უნდა იყოს, არ ვიცი, რა სამხილი აქვთ ჩემს წინააღმდეგ, — მითხრა და საკანში ბოლთის ცემას მოჰყვა. — მცირეოდენი წარმოდგენაც კი არა მაქვს.

— მომიყევი, კარენის ვიზიტის შესახებ, — ვუთხარი.

— მოსაყოლიც კი არაფერია. მოვიდა და მთხოვა გამეკეთებინა აბორტი, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან უკვე ოთხი თვის ფეხმძიმე იყო. ავუხსენი კიდეც, რომ ასეთი დიდი ფეხმძიმობისას აბორტი მხოლოდ და მხოლოდ პატარა საკეისრო კვეთით კეთდებოდა.

— და ის შეეგუა მდგომარეობას?

— მომეჩვენა, რომ კი.

— რა ჩაწერე საავადმყოფო ბარათში?

— არაფერი. აღრიცხვაზე არ ამიყვანია.

— ეს შეიძლება ძალიან ცუდად შემობრუნდეს, — ამოვიოხრე მე. — როგორ გინდა პოლიციას აუხსნა?

— მისმინე, — თქვა მან, — რომ მცოდნოდა, მისი წყალობით ციხეში აღმოვჩნდებოდი, ბევრ რამეს სხვანაირად გავაკეთებდი.

სიგარეტი გავაბოლე და უკან გადავიწიე, კისერზე კამერის კედლის სიცივეს ვგრძნობდი. ჩემთვის ნათელი იყო, უსაზიზღრესი მდგომარეობა იქმნებოდა.

— გოგონა ვინ გამოგიგზავნა?

— კარენი? ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს პიტერმა.

— პიტერ რენდალმა?

— დიახ. ის იყო მისი მკურნალი ექიმი.

— არ გიკითხავს, ვინ გამოგზავნა შენთან? — საერთოდ არტი ასეთ დროს ყოველთვის ფრთხილობდა.

— არა. დღის ბოლოს მოვიდა და მეც ძალიან დაღლილი ვიყავი. გარდა ამისა, მაშინვე საქმიანად დაიწყო — ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. მეტად პირდაპირი ქალიშვილი აღმოჩნდა. მოვუსმინე თუ არა, გადავწყვიტე, რომ პიტერმა გამოგზავნა, რათა საქმის ვითარება ამეხსნა, ვინაიდან ნათლად ჩანდა, რომ აბორტის გაკეთება უკვე ძალზე დაგვიანებული იყო.

— რატომ გადაწყვიტე ასე?

მან მხრები აიჩეჩა.

— უბრალოდ, ისე გადავწყვიტე.

უცნაურად ჟღერდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოლომდე გულახდილი არ იყო.

— კიდევ ვინმე თუ გამოუგზავნიათ შენთვის რენდალების ოჯახიდან?

— რა გინდა ამით თქვა?

— ის, რასაც ვამბობ.

— ჩემი აზრით, ეს საქმეს არ ეხება.

— შეიძლება, ეხებოდეს კიდეც.

— არა, არ შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეს მასთან.

— კარგი, — ვუთხარი, ვიცოდი, თუ მოისურვებდა, არტს შეეძლო გაჯიუტება. — მაშინ დაწვრილებით მომიყევი ამ ქალიშვილის შესახებ.

— მან ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, — მითხრა არტმა — კარგი გარეგნობის გოგონა იყო, ჭკვიანი, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალიან პირდაპირი. შემოვიდა კაბინეტში, დაჯდა და ყველაფერი გადმოალაგა.

სამედიცინო ტერმინებსაც ხმარობდა, რაღაც „ამენორეინის“ მსგავსს.

— გასინჯე?

— არა. შევთავაზე, მაგრამ არ ისურვა. ჩემთან ოპერაციის გასაკეთებლად მოვიდა და რაკი უარი განვუცხადე, წავიდა.

— ხომ არაფერი უთქვამს თავის მომავალ გეგმებზე?

— კი, — მიპასუხა არტმა. — მხრები აიჩეჩა და ასე თქვა: „სხვა გამოსავალი არ არის, უნდა გამოვტყდე, რომ ბავშვი მეყოლება“.

— ამიტომ გადაწყვიტე, რომ სხვა შესაძლებლობების ძებნას აღარ დაიწყებდა?

— სწორედ ამიტომ.

— ჩანს, გადაიფიქრა.

— ეტყობა.

— მინდა ვიცოდე, რატომ?

ჩაეცინა.

— მის მშობლებს თუ იცნობ?

— არა, — ვუპასუხე, თან ვიფიქრე, იქნებ გამოვიჭიროთ მეთქი და ვკითხე: — შენ?

მაგრამ არტი ასე ადვილად არ წამოეგო ანკესზე. მიხვდა, გამიღიმა, თითქოს ჯეროვნად შეაფასა ჩემი სწრაფი რეაქცია და მითხრა: — არა, მაგრამ მსმენია მათ შესახებ.

— რა გსმენია?

ამ დროს სერჟანტი დაბრუნდა და გასაღებების ჟღარუნით დაიწყო საკეტის გაღება.

— დრო ამოიწურა, — თქვა მან.

— კიდევ ხუთი წუთი, — ვთხოვე მე.

— დრო ამოიწურა!

— ელაპარაკე ბეტის? — მკითხა არტმა.

— ველაპარაკე. შესანიშნავად უჭირავს თავი. დავურეკავ

და ვეტყვი, რომ შენზე არ ინერვიულოს. — შევხედე სერჟანტს, რომელიც ღია კარში იდგა და მიცდიდა.

— პოლიციას შენი დაკავების საფუძველი არა აქვს. დღესვე გამოგიშვებენ.

სერჟანტმა იატაკზე გადმოაფურთხა.

არტს ხელი ჩამოვართვი.

— მართლა, ახლა სად არის ცხედარი?

— ალბათ, მემორიალურში. თუმცა, შესაძლებელია უკვე ქალაქის საავადმყოფოში იყოს გადატანილი.

— მე შევამოწმებ. არაფერზე იდარდო. — კამერიდან გამოვედი და სერჟანტმა კარი დაკეტა. ჩუმად მომყვებოდა და ვესტიბიულში რომ აღმოვჩნდით, მაშინღა მითხრა:

— კაპიტანს თქვენი ნახვა სურს. .

4

ჩამოქერცლილ, მწვანე კარზე ჩამოკიდებული წარწერა გვაუწყებდა: „მკვლელობა“, მის ქვემოთ კი მუყაოს ბარათზე ხელით იყო გამოყვანილი „კაპიტანი პიტერსონი“. იგი ჯანღონიანი, ახოვანი კაცი აღმოჩნდა. შეჭაღარავებული თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი და შნოიანი მანერებით გამოირჩეოდა. კაპიტანმა მაგიდას შემოუარა, რათა ხელის ჩამორთმევით მომსალმებოდა. შევამჩნიე, რომ მარჯვენა ფეხით კოჭლობდა. არც კი ცდილობდა ამის დაფარვას, პირიქით, მგონი, ყოყოჩობდა კიდეც, ისე ხმაურით მიაჩოჩიალებდა ფეხს იატაკზე. პიტერსონი რომ საავტომობილო კატასტროფაში არ დასახიჩრებულა, ამაში ეჭვიც კი არ უნდა შეგვპარვოდა. ვცადე, დამედგინა კოჭლობის მიზეზი და ის იყო გადავწყვიტე, ალბათ, ტყვიით მიყენებული ჭრილობის შედეგია-მეთქი, რომ ამ დროს ხელი გამომიწოდა და თავი წარმომიდგინა.

— კაპიტანი პიტერსონი.

— ჯონ ბერი.

ხელის ჩამორთმევა ძლიერი და მეგობრული იყო, მაგრამ თვალები ცივად და ჯიუტად იმზირებოდნენ. სკამზე მიმითითა.

— სერჟანტმა მითხრა, რომ ადრე არასოდეს უნახავხართ აქ და ამიტომ გადავწყვიტე გაგცნობოდით. ბოსტონში სისხლის სამართლის საქმეთა რწმუნებულების უმრავლესობას ვიცნობთ.

— თქვენ გინდათ თქვათ — დამცველებს?

— დიახ, რასაკვირველია, — კეთილმოსურნედ დამეთანხმა იგი, — დამცველებს. — და კითხვის თვალით შემომხედა. — რომელი ფირმის წარმომადგენელი ბრძანდებით?

— ვექილი არ ვარ. საიდან მოიტანეთ რომ ვექილი ვარ?

— თქვენი ლაპარაკიდან სერჟანტმა ასე გაიგო.

— ესე იგი, არასწორად გაუგია.

პიტერსონი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და სასიამოვნოდ გაიღიმა.

— რომ გვცოდნოდა, თქვენ ვექილი არა ხართ, არასოდეს დაგრთავდით ლის ნახვის ნებას.

— სავსებით შესაძლებელია. მეორე მხრივ, არავის უკითხავს ჩემთვის არც ვინაობა, არც პროფესია. არავის უთხოვია მნახველთა ჟურნალში ხელის მოწერა.

— ეტყობა, სერჟანტი დაიბნა.

— ლოგიკური დასკვნაა.

პიტერსონმა უაზროდ გაიღიმა. ვიცნობდი ამ ტიპს: სამსახურში წარმატების მქონე პოლიციელი. საკმაოდ თავაზიანი და დიპლომატიური, მანამდე, ვიდრე თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად არ იგრძნობს.

— ასე რომ... — თქვა მან ბოლოს.

— მე ექიმ ლის კოლეგა ვარ.

იქნებ გაუკვირდა კიდეც, მაგრამ არაფრით გამოუხატავს.

— ექიმი? თქვენ ექიმები, ყოველთვის ზურგს უმაგრებთ ერთმანეთს. — ის კვლავ იღიმებოდა.

— ვერ ვიტყოდი. — ვუპასუხე მე. — თუ თქვენ ექიმი ხართ, — ლიმილი მოშორდა პიტერსონის სახეს, — ჩემი რჩევაა ლისაგან თავი შორს დაიჭიროთ. საგაზეთო აურზაური პრაქტიკას დაგაკარგვინებთ.

— რა აურზაური?

— აურზაური პროცესის გარშემო.

— პროცესი იქნება?

— დიახ, — თქვა პიტერსონმა, — და მის გარშემო ატეხილი ხმაური პრაქტიკას დაგაკარგვინებთ.

— მაგრამ, მე არ მაქვს პრაქტიკა!

— თქვენ მეცნიერულ მუშაობას ეწევით?

— არა, — ვუპასუხე, — პათოლოგანატომი ვარ.

— არ ვიცი, ექიმო, რის მტკიცებას აპირებთ. თქვენი დახმარება ჩვენ არ გვჭირდება, ლის კი მაინც ვერ გამოაძვრენთ.

— მაგასაც ვნახავთ.

პიტერსონმა თავი გადააქნია.

— ამას მე არ უნდა გიხსნიდეთ.

— მაინც რას?

— იცით თუ არა, — მითხრა პიტერსონმა, — რა თანხაზე შეუძლია სარჩელის აღძვრა ექიმს მისი უკანონოდ დაპატიმრებისთვის?

— მილიონ დოლარზე, — ვუპასუხე მე.

— ვთქვათ, ხუთას ათასზე. დიდი სხვაობა არ არის, აზრი იგივე რჩება.

— მიგაჩნიათ, რომ საქმე სასამართლოს გადაეცემა?

— დიახ, უსათუოდ, — პიტერსონმა კვლავ გაიღიმა. — რასაკვირველია, ექიმ ლის შეუძლია თქვენი მოწმედ გამოძახება, თქვენ კი წარმოთქვამთ მგზნებარე სიტყვას, ეცდებით, მეცნიერული მონაცემების ნაკადით თავგზა აუბნიოთ ნაფიც მსაჯულებს. მაგრამ ძირითად ფაქტს მაინც ვერ უგულებელყოფთ;

— მერედა, რა ფაქტია ეს?

— დღეს დილას ბოსტონის მემორიალურ საავადმყოფოში, კრიმინალური აბორტის მიზეზით გარდაიცვალა ახალგაზრდა ქალიშვილი. აი, რა ფაქტია ეს.

— და თქვენ ამტკიცებთ, რომ აბორტი ექიმმა ლიმ გააკეთა?

— ჩვენ გვაქვს ასეთი მონაცემები, — რბილად განმიმარტა მან.

— ფაქტები საკმაოდ დამაჯერებელი უნდა იყოს, რადგან ექიმი ლი მეტად ცნობილი და საპატივცემულო...

— მომისმინეთ, — მითხრა პიტერსონმა. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად გამოხატა მოუთმენლობა. — ალბათ ფიქრობთ, რომ ლაპარაკია ვიღაც იაფფასიან ქუჩის ქალზე? ეს იყო წესიერი ქალიშვილი, ძალიან წესიერი, საუკეთესო ოჯახიდან, ახალგაზრდა, მშვენიერი, ძალზე საყვარელი. და ის დაღუპეს. საკმაოდ ჰქონდა საღი აზროვნებაც და ბევრი ფულიც, რომ ვიღაც უვიცი თაღლითისთვის არ მიემართა.

— და ეს გაძლევს საფუძველს, ეჭვი მიიტანოთ ექიმ ლიზე?

— ეს უკვე თქვენი საქმე არაა.

— ექიმ ლის დამცველი აუცილებლად მოგცემთ ასეთ შეკითხვას. ეს მისი საქმე იქნება. და თუ ვერ შეძლებთ პასუხის გაცემას...

— დარწმუნებული იყავით, შევძლებთ.

უხმოდ ვიცდიდი. ყველაფერთან ერთად მაინტერესებდა გამეგო, რამდენად დიპლომატიური და მოხერხებული იყო პიტერსონი. ნებისმიერი შემდგომი სიტყვა მისი მხრიდან შეცდომა იქნებოდა.

პიტერსონმა თქვა:

— ჩვენ გვყავს მოწმე, რომელმაც გაიგონა, თუ როგორ ახსენა გოგონამ ექიმი ლი.

— გოგონა საავადმყოფოში შოკში მყოფი, გონდაკარგული მიიყვანეს. ამიტომ, მას რაც უნდა ეთქვა, არ შეიძლება სამხილად ჩაითვალოს.

— სრულიადაც არ უთქვამს შოკში მყოფს. ეს მან გაცილებით ადრე უთხრა.

— ვის?

— საკუთარ დედას. — პიტერსონმა კმაყოფილმა ჩაიცინა. — საავადმყოფოში წამოსვლამდე დედას უთხრა, რომ ეს ექიმ ლის ნამოქმედარია. დედამისი ამას ფიცის ქვეშ დაამოწმებს. სანდო მოწმეა. მოწიფული ქალი, თავდაჭერილი, თავის შეფასებებში ფრთხილი და საკმაოდ მომხიბვლელი. შესანიშნავ შთაბეჭდილებას მოახდენს მსაჯულებზე.

— შესაძლებელია.

— ახლა კი, როდესაც მე თქვენთან ასე გულახდილი ვარ. — მითხრა პიტერსონმა, — იქნებ გამაგებინოთ, რატომ ხართ ასე ძალიან დაინტერესებული ექიმ ლის ბედ-იღბლით? რამენაირად ხომ არ ხართ ამ საქმეში გარეული?

— ყველაფერი შესაძლებელია.

— სხვანაირად რომ ვთქვათ — კი?

— სხვანაირად რომ ვთქვათ — ყველაფერი შესაძლებელია.

კაპიტანმა ყურადღებით შემომხედა:

— თქვენ მკაცრი ტონით ლაპარაკობთ, ექიმო ბერი.

— სკეპტიკურით.

— რახან თქვენ ასეთი სკეპტიკოსი ბრძანდებით, რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ექიმი ლი ამ შემთხვევაში უდანაშაულოა? იცით, შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, თვით ექიმიც კი.

XXX

აფთიაქში შევედი. ვიყიდე ორი ყუთი სიგარეტი და რამდენიმე ადგილზე დავრეკე ავტომატიდან. უპირველეს ყოვლისა, დავრეკე ჩემთან, ლაბორატორიაში და ვუთხარი, რომ დღეს

სამსახურში არ დავბრუნდებოდი. შემდეგ დავურეკე ჯუდიტს, ვთხოვე წასულიყო ლის სახლში და ბეტისთან ყოფილიყო.

— ეცადე დაამშვიდო და გაყარე რეპორტიორები.

— ისინი რა, იქნებიან?

— არ ვიცი, მაგრამ თუ გამოჩნდნენ, გაყარე.

მითხრა, რომ გაყრიდა მათ. მერე არტის ვექილს, ჯორჯ ბრედფორდს დავურეკე, ბრედფორდი სოლიდური ვექილია, კარგი ნაცნობობა ჰყავს. „ბრედფორდ, სტოუნ და უიტლოუს“ ფირმის უფროსი პარტნიორია. როცა დავრეკე, კანტორაში არ იყო და ვთხოვე გადაეცათ, რომ მოლაპარაკება მსურდა. ბოლოს, დავურეკე ლუის კარს — მემორიალური საავადმყოფოს პროფესორს. მან ყურმილი აიღო და, როგორც ყოველთვის, ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა:

— კარი გისმენთ!

— ლუის, ჯონ ბერი ვარ.

— გამარჯობა, ჯონ! რაშია საქმე?

— მე კარენ რენდალის შესახებ ვრეკავ, — ვუთხარი მე.

— მაინც, რა გაინტერესებს მის შესახებ?

მის ხმაში სიფრთხილემ გამოჟონა. როგორც ჩანს, მემორიალურში ეს თემა ჯერ კიდევ საკმაოდ საჭირბოროტდ ჟღერდა.

— ყველაფერი, რაც იცი. ყველაფერი, რაც გაიგე.

— გამიგე, ჯონ, — მითხრა მან. — მამამისი დიდი კაცია ჩვენს საავადმყოფოში. ყველაფერი გავიგე და არაფერი გამიგია. ვის სურს ამის ცოდნა?

— მე.

— პირადად?

— რასაკვირველია.

— რატომ?

— მე არტ ლის მეგობარი ვარ.

— ესე იგი, მართლა ამ საქმეზე გამოიჭირეს? მეც გავიგე, მაგრამ არ მჯეროდა. ყოველთვის მეგონა, რომ ლი საკმაოდ ჭკვიანია. — ლუის, რა მოხდა გუშინღამ?

— ო, ღმერთო ჩემო, საშინელი ამბავია. ქსენონში საქმე წაახდინეს. არ შემიძლია ახლა ამაზე საუბარი, — თქვა კარმა, — უმჯობესია აქ მოხვიდე ჩემთან.

— კეთილი! — ვუთხარი — სად არის ახლა გვამი? თქვენთან?

— არა, ქალაქის საავადმყოფოში გადაიტანეს.

— უკვე გაკვეთეს?

— წარმოდგენა არ მაქვს.

— კარგი, — ვუთხარი, — რამდენიმე საათში შემოგივლი. — ამბულატორიულ ბარათში ჩახედვის შესაძლებლობა თუ არის?

— ვეჭვობ, — მითხრა კარმა — ის ახლა მოხუცს აქვს.

— როგორმე მისი ხელში ჩაგდება არ შეიძლება?

— ვეჭვობ.

— ყურმილი დავკიდე. ჩავაგდე კიდევ ერთი მონეტა და ქალაქის საავადმყოფოს პროზექტურაში დავრეკე. მდივანმა დამიმოწმა, რომ ცხედარი უკვე მათთან მიეტანათ. ელისს, მდივანს, რაღაც სჭირდა ფარისებრ ჯირკვალზე და მისი ხმა ისე ეღერდა, თითქოს კონტრაბასი გადაუყლაპავს.

— უკვე გაკვეთეს? — ვკითხე მე.

— ახლა ემზადებიან.

— იქნებ ცოტა ხანს მოეთმინათ? მინდოდა დავსწრებოდი.

— არა მგონია, — ხმა დაუბოხდა ელისს. — აქ ისეთი ჯიუტი ტიპი ზის მემორიალურიდან.

მირჩია ავჩქარებულიყავი. ვუთხარი, რომ ახლავე მივიდოდი.

5

თითქმის ყველა ბოსტონელი დარწმუნებულია, რომ მათ ქალაქში მსოფლიოში ყველაზე კარგი სამედიცინო მომსახურე-

ბის მიღება შეიძლება. ოღონდ ხშირად მხურვალე პაექრობის მიზეზი ხდება ხოლმე საკითხი, რომელი საავადმყოფოა ქალაქში უკეთესი. ძირითადად სამი პრეტენდენტია: ჯენერალი, ბრაიანი და მემორიალური. მემორიალურის მომხრენი გეტყვიან, რომ ჯენერალი ძალზე დიდია, ხოლო ბრაიანი ძალზე პატარა, ჯენერალი — სუფთა კლინიკური საავადმყოფოა, ბრაიანი — სუფთა მეცნიერული; ჯენერალი თერაპიის ხარჯზე უგულებელყოფს ქირურგიას, ბრაიანი კი პირიქით. დაბოლოს, საზეიმოდ გაგიცხადებენ, რომ თავისი ინტელექტუალური დონითა და დისციპლინით როგორც ჯენერალის, ისე ბრაიანის სამედიცინო პერსონალი გაცილებით ჩამორჩება მემორიალურის პერსონალს.

მაგრამ, თავისი ღირსებისდა მიხედვით, რა რიგითაც უნდა განალაგონ ბოსტონის საავადმყოფოები, ქალაქის საავადმყოფო მაინც ბოლო ადგილზე იქნება. ამ საავადმყოფოში მიედიოდი პრუდენშიალ-სენტრის გავლით, რომელიც იმის მედიდური განსახიერებაა, რასაც პოლიტიკური მოღვაწეები ახალ ბოსტონს უწოდებენ — ცათამბჯენების, სასტუმროების, მაღაზიების, შადრევნებიანი მოედნებისა და გამოუყენებელ ფართობთა კომპლექსი, რაც მოდერნისტულ იერს აძლევს მას. პრუდენშიალ-ცენტრიდან რამდენიმე წუთში შეიძლება მიხვიდე წითელი ფარნების კვარტლამდე, რომელიც არც ახალია და არც თანამედროვე, მაგრამ ცენტრის მსგავსად, თავისი დანიშნულება აქვს.

წითელი ფარნების კვარტალს როკსბერი ესაზღვრება — ზანგთა ჯურღმულების რაიონი. ესაზღვრება აგრეთვე ქალაქის საავადმყოფო. მივჯაყჯაყებდი ოღროჩოღროებსა და ფრანტეებზე და ვფიქრობდი იმაზე, თუ რაოდენ შორსა ვარ რენდალების ზეგავლენის სფეროსგან.

რენდალები, ბუნებრივია მემორიალურში მუშაობდნენ. ისინი ბოსტონში ცნობილნი იყვნენ, როგორც „უძველესი გვარი“ —

ეს იმას ნიშნავდა, რომ გემ „მეიფლაუერიდან“ ნაპირზე გადმოსულმა ზღვის ავადმყოფობით გაწამებულმა რომელიღაც პილიგრიმმა თავისი წვლილი შეიტანა ამ ოჯახის გენების ფონდში.

ორას წელზე მეტია, რაც ამერიკაში რენდალები მედიცინას ემსახურებიან. არცთუ ისე შორეულ დროში, ამ გვარმა მოგვცა გამოჩენილ ექიმთა მთელი პლეადა. ამ საუკუნეში თავისქალისშიდა ოპერაციებით სახელი გაითქვა ჯოშუა რენდალმა. მან ბევრი გააკეთა ამერიკაში ნეიროქირურგიის განვითარებისათვის, არა ნაკლები, ვიდრე თვით კუშინგმა.

ჯოშუა რენდალის შემდეგ გამოჩნდა უინტროპ რენდალი — თორაკალური ქირურგიის სპეციალისტი. ჯ. დ. რენდალი — კარენის მამა — კარდიოქირურგი, მუშაობდა გულის სარქვლების შეცვლაზე. მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ რამდენჯერმე შევხვედრივარ საზოგადოებაში. ეს იყო პირქუში, მბრძანებლური, პატრიარქალური გარეგნობის კაცი, თოვლივით თეთრი, ფუმფულა გრუზა თმით. იგი შიშს უნერგავდა თავის ორდინატორებს, რომლებიც, თუმცა მასთან მუშაობას ესწრაფოდნენ, ამავე დროს ვერ იტანდნენ მას.

მისი ძმა, პიტერი, თერაპევტი იყო. ამ მოდურ ექიმს, საერთო აზრით, კარგი სახელი ჰქონდა.

ჯ. დ. რენდალს ჰყავდა ვაჟიშვილი, კარენის ძმა, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა. ერთი წლის წინ ხმა დაირხა, რომ მას ჩამორჩენილობის გამო აუცილებლად გამოაგდებდნენ იქიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი მოგვარდა. სხვა ქალაქში სხვა დროში, შეიძლება უცნაურად მოსჩვენებოდათ, რომ ასეთი საუკეთესო სამედიცინო გენეალოგიის მქონე ყმაწვილი კაცი, დათანხმდებოდა ჩაეყლაპა ამგვარი დამცირება, მაგრამ ბოსტონში ეს არ მოხდებოდა. აქ, ამ ქალაქში, ძველი, მდიდარი ოჯახები დასაბამიდან თვლიდნენ, რომ მხოლოდ ორი პროფესია, მედიცინა და იურისპრუდენციაა ყურადღების ღირსი.

გამონაკლისს წარმოადგენდა სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელიც საპატიოდ ითვლებოდა, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ თქვენ, ბოლოს და ბოლოს, ჰარვარდის პროფესორი გახდებოდით.

რენდალების ოჯახი ექიმების ოჯახი იყო. ყოველი რენდალი ახერხებდა დაემთავრებინა სამედიცინო ინსტიტუტი და მოხვედრილიყო მემორიალური საავადმყოფოს ორდინატურაში. სამედიცინო ინსტიტუტებსა და მემორიალურს წარსულშიც კი არაერთხელ შეუხედავთ ზერელედ ცუდი ნიშნებისთვის, თუ საქმე რომელიმე რენდალს ეხებოდა. წლების განმავლობაში ოჯახმა ერთიორად გაამართლა ნდობა. აი, ყველაფერი, რაც ამ ოჯახზე ვიცოდი, გარდა იმისა, რომ ისინი ძალიან მდიდრები იყვნენ, საეპისკოპოსო ეკლესიის ერთგული მიმდევრები, არასოდეს გაურბოდნენ საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურს, მეტად პატივცემულნი და გავლენიანნი გახლდნენ.

მე კიდევ სხვა რაღაცის გარკვევა მჭირდებოდა.

საავადმყოფოდან სამი კვარტლის მოშორებით მასაჩუსეტსა და კოლუმბუს-ავენიუს კუთხეში „სამხედრო მოქმედების ზონა“ გადავკვეთე. ღამღამობით ამ კუთხეში მეძავები, სუტენიორები, ნარკომანები და ნარკოტიკებით მოვაჭრენი ირევიან; იმიტომ შეარქვეს ეს სახელი, რომ ქალაქის საავადმყოფოს ექიმები ამ რაიონიდან მოყვანილ დანებითა და ტყვიებით იმდენ დაჭრილს ხედავენ, რომ კარგა ხანია, იმ ადგილს ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლის არენად მიიჩნევენ.

ბოსტონის ქალაქის საავადმყოფო განლაგებულია თითქმის სამ კვარტალზე გადაჭიმულ მრავალ შენობაში. ესაა ვიღაც გადარეულის მიერ აშენებული ლაბირინთი. ათობით განცალკევებულ შენობას უამრავი მიწისზედა და მიწისქვეშა გადასასვლელი აერთიანებს. ყოველ მოსახვევში არის დიდი მწვანე მისანიშნებელი, მაგრამ საქმეს არც ეს შველის. საავადმყოფო 1350 საწოლზეა გაანგარიშებული, რომელთა უმრავლეს ნაწილს იკავებენ ლოთები და ათასი ჯურის ნაძირლები. ქალაქის საავადმყ-

ოფო თავისი კლიენტურის მიხედვით სამედიცინო სამყაროში ცნობილია „ბოსტონის ჩეჩმის“ სახელწოდებით. მაგრამ ყველას მიაჩნია, რომ ეს შესანიშნავი ადგილია ახალბედა ექიმთა და ბოლოკურსელთა პრაქტიკისთვის. მათ აქ ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ, რადგან ისეთ სამედიცინო პრობლემებს შეხვდებიან, რომელთაც უფრო უზრუნველყოფილი საზოგადოებისთვის განკუთვნილ საავადმყოფოში ვერასოდეს იხილავენ.

მეორე სართულზე ავედი ელისთან მოსალაპარაკებლად. ის ბუზღუნებდა: გაკვეთა კიდევ არ დაწყებულა, აჯანჯლებენ, და საერთოდ, ყოველივე ჯანდაბისკენ მიდის. გაიგე, რომ ამ ზამთარში გრიპის ეპიდემიას ელიან? ვუთხარი, გავიგე-მეთქი და შევეკითხე:

— ვინ გაკვეთავს კარენ რენდალს?

ელისი უკმაყოფილოდ მოიღუშა:

— ვიღაც გამოგზავნეს მემორიალურიდან. მისი გვარი, მგონი, ჰენდრიკსია.

გამიკვირდა, ვფიქრობდი, საქმეს უფრო დიდ ვინმეს მიანდობდნენ.

— უკვე აქაა? — ვკითხე და თავით დერეფნის ბოლოზე მივანიშნე.

— ჰო, — მიპასუხა ელისმა.

კარისკენ გავემართე, ჩავუარე აკურატულ ფირფიტას, რომელიც იუწყებოდა: „შესვლა ნებადართულია მხოლოდ შესვლის უფლების მქონე პერსონალისთვის“. კარი მთლიანი იყო, უმინო, წარწერებით: „შესასვლელი“ და „გამოსასვლელი“. შევაღე კარი, რომელიც პროზექტურაში გადიოდა. ოთახის შორეულ კუთხეში ორნი საუბრობდნენ. ერთ-ერთი მათგანი ვიცანი, ეს იყო ორდინატორი, გვარად გაფენი. მეორეს კი არ ვიცნობდი, ალბათ, ჰენდრიკსი გახლდათ.

— გამარჯობა, ჯონ, — თქვა გაფენმა. — აქ რამ მოგიყვანათ?

— კარენ რენდალის გაკვეთამ.

— მალე დაიწყებენ. გინდათ გადაიცვათ?

— არა, გმადლობ. მე მხოლოდ დავხედავ.

გარეშე მაყურებლის როლის შენარჩუნება მხოლოდ საკუთარ კოსტიუმში დარჩენით შემეძლო. ყველაზე ნაკლებად მსურდა, რომ ვინმეს არ შეჰქმნოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოსდა აქტიურად ვმონაწილეობდი გაკვეთაში და აქედან გამომდინარე, გავლენას მოვახდენდი საბოლოო დასკვნაზე.

ორმაგი კარი გაიღო და მსახურმა შემოაგორა ურიკა, რომელზეც თეთრზეწარგადაფარებული სხეული იდო. მან შემოგვხედა და იკითხა:

— რომელ მაგიდაზე?

— შუაში, — უპასუხა ჰენდრიკსმა.

— კარგით. — ახლოს მიაგორა ურიკა და გვამი უჟანგავი ლითონის მაგიდაზე გადაიტანა.

— ხელი მოაწერეთ, — უთხრა ჰენდრიკსს და ქვითარი გაუწოდა.

— ასეთ საქმეებში საკმაოდ გამოუცდელი ვარ, — მითხრა ჰენდრიკსმა, როდესაც მსახური გაუშვა, — საგამომძიებლო ორგანოებისათვის გაკვეთა მხოლოდ ერთხელ მომიხდა — ეს იყო წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევა.

— მაშ, რატომ დაგნიშნეს დღეს? — ვკითხე მე.

— ალბათ უბრალოდ ბედმა გამიღიმა. გაგებული მქონდა, რომ გაკვეთა უესტონს უნდა გაეკეთებინა.

უესტონი ქალაქის საავადმყოფოს მთავარი პათოლოგანატომია, შესანიშნავი მოხუცი და, ალბათ, საუკეთესო სპეციალისტი მთელ ბოსტონში.

— აბა, — თქვა ჰენდრიკსმა, — დროა, დავიწყოთ.

ის ბაკანს მიუახლოვდა და საგულდაგულოდ დაიწყო ხელების ბანა. ყოველთვის მაღიზიანებენ ის პათოლოგანატომები, რომლებიც გაკვეთის წინ დიდხანს იხეხავენ ხოლმე ხელებს.

ეს უკვე ძალიან წააგავს პაროდიას ქირურგებზე. მედლის იდიოტური მეორე მხარე — კაცი, ჩაცმული როგორც ქირურგი: ტომრისმაგვარ შარვალში, უსახელო, გულამოჭრილ ბლუზაში, გულმოდგინედ იბანს ხელებს, რომ დაიწყოს ოპერაცია იმ პაციენტისთვის, რომლისთვისაც სტერილობას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. კარგად მესმოდა, რომ ამ შემთხვევაში ჰენდრიკსს უბრალოდ დრო გაჰყავდა.

გაკვეთა არასოდეს განიჭებს სიამოვნებას, მაგრამ განსაკუთრებით დამტანჯველია მაშინ, როდესაც მიცვალებული ისეთი ახალგაზრდა და მიმზიდველია, როგორიც კარენ რენდალი იყო. იგი ზურგზე იწვა, გაშიშვლებული, მისი ქერა თმა წყალზე ლივლივებდა, გამჭვირვალე ცისფერი თვალები ჭერს მიშტერებოდა. სანამ ჰენდრიკსი ხელების ბანას მორჩებოდა, ყურადღებით დავათვალიერე სხეული და შევეხე მას. კანი ცივი და პრიალა იყო, მონაცრისფრო-მოთეთრო. სწორედ ასეთი ფერი უნდა ჰქონდეს სისხლის დაკარგვისგან გარდაცვლილ ახალგაზრდა ქალს.

ჰენდრიკსმა შეამოწმა, იყო თუ არა ფოტოაპარატში ფირი, ხელით მანიშნა, გვერდზე გავწეულიყავი და სამჯერ გადაიღო სხვადასხვა რაკურსში.

— ამბულატორიული ბარათი თან გაქვთ?

— არა, მოხუცთანაა. მე მხოლოდ გადაუდებელი დახმარების ექიმის დასკვნა მაქვს ხელთ. კლინიკური დიაგნოზი — სიკვდილი გამოწვეული საშოდან სისხლდენით, გართულებული სომატური ანაფილაქსიით.

— სომატური ანაფილაქსია? საიდან?

— ჩემთვის ყოვლად გაუგებარია.

ოთახში კიდევ ვიღაც შემოვიდა. ამ მელოტ და მოხრილ მამაკაცში მაშინვე შევიცანი ლილანდ უესტონი. უესტონი სამოცს გადაცილებული იყო, უკვე საპენსიოდ ემზადებოდა, მაგრამ მიუხედავად მოკაკული სხეულისა, მასში იგრძნობოდა

საკმაო ძალა და ენერგია. უესტონმა სწრაფად ჩამომართვა ხელი ჯერ მე, მერე ჰენდრიკსს, რომელსაც გულწრფელად გაუხარდა მისი დანახვა. უესტონი თავად შეუდგა გაკვეთას. დაიწყო იმით — როგორც ყოველთვის იწყებდა ჩემს მეხსიერებაში: ხუთჯერ მაინც შემოუარა მაგიდას, ყურადღებით ათვალიერებდა სხეულს და ცხვირში რაღაცას დუდუნებდა. ბოლოს გაჩერდა და შემომხედა.

— თქვენ დაათვალიერეთ იგი, ჯონ?

— დიახ...

— და რა შეამჩნიეთ?

— დიდი ხანი არაა, რაც გასუქებულა. ეს იქიდან ჩანს, რომ გვერდებზე და მკერდზე კანქვეშა თეთრი ნაჭდევები ეტყობა და წონაც ნამდვილად მოჭარბებული აქვს.

— შესანიშნავია. კიდევ რა?

— მას თმის საფრის საინტერესო განლაგება აქვს. ქერაა, ზედა ტუჩზე კი მუქი ღინღლი აქვს. ასეთივე მუქი თმა აქვს ხელებზეც, მეჩხერი და ძალიან თხელი, თითქოს ახალი ამოსულიაო.

— შესანიშნავია, — თავი დაიქნია უესტონმა. მის ბაგეებს ოდნავ შეეხო მოხუცი მასწავლებლის ეშმაკური ღიმილი, რომელიც თავის ძველ მოსწავლეს ცდიდა. იგი აუტოფსიას შეუდგა. ზუსტად და სწრაფად მოძრაობდა, დაადგინა გოგონას სიმაღლე — მეტრი და სამოცდაორი სანტიმეტრი და წონა — 62 კილოგრამი. თუ გავითვალისწინებთ დაკარგული სითხის რაოდენობას, წონა საკმაოდ მნიშვნელოვანია. უესტონმა ეს ციფრები დაფაზე დაწერა და პირველი ჩანაწერი გააკეთა. ხელები ოდნავ უცახცახებდა, მაგრამ მოძრაობა საოცრად ზუსტი და სწრაფი ჰქონდა. როდესაც მუცლის ღრუ გახსნა, იქიდან სისხლმა იფეთქა.

— სწრაფად! — თქვა მან. — გასაწოვი!

ჰენდრიკსმა გასაწოვი მოიტანა. მუცლის ღრუში და-

გროვილი მოშავო-მოწითალო ფერის სითხე ამოიღეს და ბოთ-
ლებით დარწყეს. სამ ლიტრამდე დაგროვდა.

— სამწუხაროა, რომ ავადმყოფობის ისტორია არ გვაქვს, — თქვა უესტონმა. — საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი ერ-თეული გადაუსხეს მიმღებში?

ადამიანს საშუალოდ ოთხ-ნახევარ ლიტრამდე სისხლი აქვს. თუ მუცლის ღრუში ასეთი რაოდენობა დაგროვდა, მაშასადამე, სადღაც გახვრიტეს.

— უცნაურია, — შენიშნა უესტონმა და თან ფარისებრ ჯირკვალს ხელით წონიდა. — ჩემი აზრით, თხუთმეტ გრამზე მეტს არ უნდა იწონიდეს. — ნორმალური ჯირკვლის წონა ოცი-ოცდაათი გრამია. — თუმცა ნორმიდან გადახვევა დასაშვებია. — მან ჯირკვალი გაკვეთა. უჩვეულო ვერაფერი დავინახეთ.

— ანაფილაქსია, — თქვა უესტონმა და თან ფილტვებს ათვალიერებდა. — თანაც, მუდმივი. საინტერესოა, რის მიმართ ჰქონდა მომეტებული მგრძნობელობა? — შემდეგ ის გულზე გადავიდა. — სრულ წესრიგშია!

სანამ საქმე საშვილოსნომდე მივიდოდა, ყველა დანარჩენი ორგანო სრულ წესრიგში იყო. უესტონმა ის ხელში აიღო, შეატრიალა და დავინახეთ ჭრილი, რომელიც ენდომეტრიასა და კუნთის ქსოვილს შუაზე კვეთდა. ამით აიხსნებოდა მუცლის ღრუში სისხლის დაგროვება.

მაგრამ მე სხვა რამემ — ზომამ შემაცბუნა. ის არაფრით არ ესადაგებოდა ფეხმძიმობას და მით უმეტეს — ოთხი თვისას.

საშვილოსნო საკმაოდ კარგად და ფრთხილად იყო გამოფხეკილი. გახვრეტა, როგორც ჩანს, ოპერაციის ბოლოს მოხდა.

— აქ სრულ უვიცს არ უმუშავია, — შენიშნა უესტონმა. — უკიდურეს შემთხვევაში, ამ კაცმა იცის ძირითადი პრინციპები.

— თუ გახვრეტას არ ჩავთვლით.

— კეთილი, ახლა სულ ცოტა, ერთში დარწმუნებული ვართ — თვითონ არ გაუკეთებია ოპერაცია.

ეს იყო არსებითი მომენტი. საშოდან მძიმე სისხლდენის დიდი პროცენტი მაშინ ხდება, როდესაც ქალი თვითონ ცდილობს ნაყოფის თავიდან მოცილებას. მაგრამ რადგან სრული ნარკოზი ესაჭიროებოდა, ამ შემთხვევაში ეს გამორიცხული იყო.

— თქვენი აზრით, — შევეკითხე მე, — ჰგავს, რომ ორსულად იყო?

— საეჭვოა, — მიპასუხა უესტონმა. — ძალზე საეჭვოა.

შემოვიდა მსახური და უესტონს შეეკითხა:

— შეიძლება გავკეროთ?

— დიახ, — უპასუხა უესტონმა.

მე უესტონისკენ მივბრუნდი:

— ტვინი?

— ამის ნებართვა არა გვაქვს, — მიპასუხა მან.

თუ ეჭვი ფსიქიკურ დაავადებებზე არ არის, საგამომძიებლო ხელისუფალნი იშვიათად მოითხოვენ გაკვეთის დროს ტვინის გამოკვლევას.

— მაგრამ რენდალებისთანა ოჯახი, — მედიცინის განხრით...

— იცი რა, ჯ. დ. სავსებით მომხრეა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მისის რენდალი კატეგორიული წინააღმდეგია.

ის ამოღებულ ორგანოებს მიუბრუნდა. მე კი წავედი: ვნახე ის, რისი ნახვაც მინდოდა და დავრწმუნდი, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების მდგომარეობის საფუძველზე არ შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ კარენ რენდალი ფეხმძიმედ იყო.

უმეტესი პათოლოგანატომებივით, ჩემთვის არცთუ ისე ად-

ვილია სიცოცხლის დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიებს ჩვენს დანახვაზე აერჟოლებთ. ჩვენ მათ ვაშინებთ ტუბერკულოზთან, ავთვისებიან სიმსივნეებთან და სხვადასხვა მომაკვდინებელ ინ-ფექციურ დაავადებასთან მუდმივი კონტაქტით. არა, ჩვენით ბევრს ვერ მოიგებ! რამდენადაც ვიცი, თავისი სიცოცხლის დაზღვევის დროს მხოლოდ ერთი კაცი აწყდება უფრო მეტ სიძნელეებს — ესაა ბიოქიმიკოსი, ვინმე ჯიმ მერფი. ახალგაზრდობაში მერფი ნახევარმცველი იყო იელის უნივერსიტეტის გუნდში და აღმო-სავლეთის შტატების ნაკრებში შედიოდა. ეს თავისთავად მცირე მიღწევა არაა, მაგრამ მით უფრო გაოცდებით, თუ თქვენ იც-ნობთ მერფის და გინახავთ მისი თვალები. მერფი თითქმის ბრმაა. ძალზე სქელლინზებიან სათვალეს ხმარობს და თითქოს თავისი სათვალის სიმძიმეს მოუხრიაო, თავჩაქინდრული დადის. საერ-თოდ, ცუდად ხედავს, მაგრამ საკმარისია აღელდეს და მაშინვე საგნებს აწყდება ხოლმე. ერთი შეხედვით ძნელი დასაჯერებე-ლია, რომ მერფი ოდესღაც ნიჭიერი ნახევარმცველი იყო. მისი წარმატებების გასაგებად, საჭიროა მოძრაობაში ნახოთ. მერფი იმდენად სწრაფია, რომ მეტყველებისას თითქოს ნაცვალსახელებ-ისა და წინდებულების ჩასმის დრო არა აქვსო, სტენოგრაფიულ ჩანაწერს ჰგავს. მას არა მარტო ლაპარაკით მიყავს თავისი მდი-ვანი და ლაბორანტი ქალები გაგიჟებამდე, არამედ გაღებული ფანჯრებითაც. მერფი მოითხოვს, რომ ფანჯრები ზამთარშიც კი მთლად ღია იყოს.

სამშობიარო სახლის ერთ-ერთ ფრთაზე მოთავსებული მისი ლაბორატორია ვაშლებით სავსე დამხვდა. ვაშლები იდო მა-ცივრებზე, რეაქტივების დასაწყობ და საწერ მაგიდებზე. ორივე ლაბორანტი ქალი, რომელთაც ხალათის ქვეშ სქელი სვიტ-ერები ჩაეცვათ, შეწყობილად ჭამდნენ ვაშლებს.

— სულ ცოლის ბრალია! — მითხრა მერფიმ და ხელი ჩამომართვა. — სპეციალობას ეუფლება! გინდა? დღეს ორი ჯიშით გაგიმასპინძლდები. გემრიელია! მართალს გეუბნები.

— არა მცალია, — ვუთხარი მე. — შენი დახმარება მჭირდება, მერფი.

— ალბათ წყლული, — მითხრა მერფიმ, თან ახალ ვაშლს ირჩევდა: — ნერვიული ბიჭი ხარ, მუდამ სადღაც გეჩქარება.

— საქმე ისაა, რომ ეს შენი განხრითაა. ასეთ საქმეში სწორედ შენ ხარ გარკვეული.

მან ფართოდ გაიღიმა და თვალები უეცრად ინტერესით აენთო:

— სტეროიდები? თავს ვდებ, რომ ისტორიაში პირველად დაინტერესდა პათოლოგანატომი სტეროიდებით. — ჩამოჯდა და ფეხები მაგიდაზე შემოაწყო. — ყურადღებად ვარ ქცეული! მიდი!

მერფის სამუშაო დაკავშირებულია ფეხმძიმე ქალებსა და ემბრიონებში სტეროიდების წარმოქმნასთან. მისი ყოფნა სამშობიარო სახლში გამოწვეულია არცთუ ისე საპატიო აუცილებლობით, მისთვის საჭიროა თავის მომარაგების წყაროსთან — მომავალ დედებთან და მკვდრადშობილ ჩვილებთან ახლოს ყოფნა.

— თუ შეგიძლია გაკვეთის დროს ორსულობის ჰორმონების არსებობის ანალიზის გაკეთება? — შევეკითხე მე.

მან სწრაფად, ნერვული მოძრაობით მოიფხანა თავი.

— ეშმაკმა დალახვროს! ალბათ, მაგრამ ვის სჭირდება ეს?

— მე.

— მინდოდა მეკითხა, ნუთუ გაკვეთის დროს შეუძლებელი იყო იმის დადგენა, იყო თუ არა ორსულად?

— უცნაურია, მაგრამ, ამ შემთხვევაში არის გაურკვევლობები.

— რა გაეწყობა! არც ისე ჩვეულებრივი ანალიზია, მაგრამ ვფიქრობ, რომ შეიძლება. რამდენი თვისაა?

— სავარაუდოდ, ოთხის.

— ოთხი თვის? და საშვილოსნოთი ვერ შეძელი გარკვევა?

— მერფი...

— დიახ, მეოთხე თვეზე, რასაკვირველია, შეიძლება, — მითხრა მან. — ასეთ ანალიზს იურიდიული ძალა არ ექნება, მაგრამ საერთოდ... შეიძლება. რა გაქვს? — მე ვერ გავიგე. — ჰო, სისხლი, შარდი? რა?

— ჰა? სისხლი. — ჯიბეში ხელი ჩავიყავი და გაკვეთის დროს მოგროვილი სისხლიანი სინჯარა ამოვიღე. — როდის შემატყობინებ?

— ორი დღის შემდეგ. ანალიზს ორმოცდარვა საათი სჭირდება. სისხლი გაკვეთის დროსაა აღებული?

— დიახ. მეშინოდა, რომ ჰორმონები შეიცვლიდნენ თავის თვისებებს ანდა კიდევ რაიმე...

— რა ცუდი მეხსიერება გაქვს, — ამოიხვნეშა მერფიმ. — მხოლოდ ცილებს შეუძლია თავისი თვისებების შეცვლა, მაგრამ სტეროიდები ხომ ცილები არაა, ასეა, ხომ? აქ არავითარი სირთულე არ არის. იცი რა, ორსულობის დროს პროგესტერონის შემცველობა ათჯერ მატულობს, ესტრიოლისა — ათასჯერ. ასეთი ნამატის გაზომვა კი ჩვენ სულ იოლად შეგვიძლია. — მან თავის ლაბორანტ ქალებს გადახედა: — ამ ლაბორატორიაშიც კი.

ერთ-ერთი ლაბორანტი ქალი ვალში არ დარჩა:

— თითების მოყინვამდე არასდროს შეცდომა არ მომსვლია.

— ვისია ეს? — იკითხა მერფიმ.

— რა?

მან ჩემ წინ რამდენჯერმე მოუთმენლად გააქნია სინჯარა.

— ვისი სისხლია?

— ისე, ერთი პაციენტისაა, — ავიჩეჩე მხრები.

— შენ დარწმუნებული არ ხარ, რომ ოთხი თვის ფეხმძიმეა? ჯონ, ჩემო ბიჭუნავ, გულახდილი არ ხარ შენი ძველი მეგობრის წინაშე.

— მართლაც, უკეთესი იქნება, — ვუპასუხე მე, — თუ შემდეგ გეტყვი.

— კეთილი, კეთილი! სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა არ მჩვევია. როგორც გენებოს, მაგრამ შემდეგ ხომ მეტყვი?

— სიტყვას გაძლევ.

— პათოლოგანატომისთვის მიცემულ სიტყვაში, — მითხრა მან და წამოდგა, — არის რაღაც მარადიული.

7

უკანასკნელად, როდესაც ვიღაცამ მოიცალა მათი გადათვლისთვის, დედამიწაზე არსებობდა ადამიანის ოცდახუთი ათასი დასახელების ავადმყოფობა, რომელთაგან დაახლოებით მხოლოდ ხუთი ათასი იკურნებოდა და მიუხედავად ამისა, ყოველი ახალგაზრდა ექიმი აუცილებლად ოცნებობს კიდევ რაღაც ახალი ავადმყოფობის აღმოჩენაზე. ეს მედიცინაში სახელის მოხვეჭის ყველაზე სწრაფი და უტყუარი საშუალებაა. თუ საქმე საქმეზე მიდგა, ძველი ავადმყოფობის მორჩენის მიგნებაზე გაცილებით იოლი ახალი ავადმყოფობის აღმოჩენაა. თქვენი მკურნალობის მეთოდს დაუწყებენ კვლევას, გარჩევას, წლობის მანძილზე იქნება დავა და ეს მაშინ, როდესაც ახალ ავადმყოფობას ყველა სწრაფად და ხალისით მიიღებს.

ჯერ კიდევ სტაჟიორად ყოფნის დროს მოხსნა ლუის კარმა ბანკი — ახალი ავადმყოფობა აღმოაჩინა. ავადმყოფობა საკმაოდ იშვიათი გამოდგა — მემკვიდრეობითი დისგამაგლობულინემია, რომელიც ზემოქმედებას ახდენდა ბეტა ფუნქციაზე. ეს ავადმყოფობა მან ერთი ოჯახის ოთხ წევრს დაუდგინა. მაგრამ ეს არაა მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ლუისმა აღმოაჩინა ეს ავადმყოფობა, გამოიკვლია იგი და შედეგები „ახალი ინგლისის სამედიცინო ჟურნალში“ გამოაქვეყნა. ექვსი წლის შემდეგ მემორიალური საავადმყოფოს პროფესორი

გახდა. კაცმა რომ თქვას, არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ის პროფესორი გახდებოდა — საქმე მხოლოდ ის იყო, რომ უნდა დალოდებოდნენ ვინმეს შტატიდან გადადგომას და ადგილის გათავისუფლებას.

თავისი მდგომარეობისდა მიხედვით კარს მემორიალში საკმაოდ კარგი კაბინეტი ჰქონდა. შეიძლება ითქვას, ახალგამომცხვარი პროფესორისთვის იდეალურიც კი. ჯერ ერთი, ოთახი ძალზე ვიწრო იყო და თანაც სავსე ჟურნალებით, ბროშურებითა და სამეცნიერო მოხსენებებით, რომლებიც ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, გროვებად ეყარა ყველგან. მეორეც, ჭუჭყიანი და ჩამოტყავებული იყო და სადღაც, ურولოგიური გამოკვლევებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიის მახლობლად, ბნელ კუთხეში მიკუნჭულიყო. უკანასკნელი შტრიხი კი ის გახლდათ, რომ მთელი ამ ჭუჭყისა და გაპარტახების შუა ადგილას წამომჯდარიყო ლამაზმანი მდივანი, რომელიც ძალზე მიმზიდველად, საქმიანად და სრულიად მიუკარებლად გამოიყურებოდა: უმიზნო სილამაზე კაბინეტის ხაზგასმული უმსგავსობის საწინააღმდეგოდ.

— ექიმი კარი შემოვლაზეა, — ღიმილის გარეშე მითხრა მან. — გთხოვათ, კაბინეტში დაელოდოთ.

კაბინეტში შევედი, სავარძლიდან „ექსპერიმენტული ბიოლოგიის ამერიკული ჟურნალის“ გროვა გადმოვალაგე და შიგ ჩავჯექი. რამდენიმე წუთში გამოჩნდა კარი. მას ხალათი (პროფესორები არასდროს იკრავენ ხალათს) და ყელზე ფონენდოსკოპი ეკიდა. პერანგის საყელო შელახული იყო (პროფესორებს არცთუ ისე დიდი შემოსავალი აქვთ), მაგრამ შავი ფეხსაცმელი კი უპრიალებდა (პროფესორებმა იციან, რა მოხვდება კაცს თვალში). როგორც ყოველთვის, მშვიდი, თავშეკავებული და დიპლომატიური იყო.

ბოროტი ენები ამტკიცებდნენ, რომ კარი უბრალოდ დიპლომატიური კი არ არის, არამედ უსინდისოდ მლიქვნელობს

უფროსებთანო. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ სწრაფი წარ-
მატებების გამო ბევრს შურდა მისი. კარს გადატკეცილი, ღა-
ჟღაჟა ლოყები და მრგვალი, ბავშვური სახე ჰქონდა. ძალზე
მიმზიდველად, პატარა ბიჭივით იღიმებოდა, რის გამოც დიდი
წარმატებით სარგებლობდა პაციენტ ქალთა შორის. ამჯერად
კი, ასეთი ღიმილით მე მასაჩუქრებდა.

— გამარჯობა, ჯონ, — მისალების კარი დაკეტა და მაგი-
დას მიუჯდა. — შენ კარენ რენდალი გაინტერესებს, — ისეთი
ტონით მითხრა, თითქოს ეს-ესაა, რაღაც მნიშვნელოვანი დას-
კვნა გააკეთაო. — პირადი მოსაზრებების გამო გაინტერესებს?

— დიახ.

— რასაც გეტყვი, ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება?

— დიახ.

— კეთილი, — მითხრა მან. — გეტყვი. იმ დროს იქ არ
ვყოფილვარ, მაგრამ მთლიანად საქმის კურსში ვარ.

ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. ლუის კარმა ყოველ მომ-
ლელ ქალზე უკეთ იცოდა საავადმყოფოს ჭორები. ირგვლივ
მომხდარ ამბებზე ცნობებს იგი ინსტინქტურად ითვისებდა, ისევ
როგორც სხვები ჰაერს ისუნთქავენ ხოლმე.

— გოგონა მისალებში დილის ოთხ საათზე მომაკვდავი
შემოიყვანეს. ბოდავდა. დიაგნოზი სრულიად ნათელი იყო —
სისხლდენა საშოდან. ტემპერატურა ორმოცამდე, კანი მშრა-
ლი, დაქვეითებული ტურგორის, სუნთქვა წყვეტილი, მაჯისცე-
მა აჩქარებული, სისხლის წნევა დაბალი. სულ წყალს ითხოვ-
და. — კარმა ღრმად ამოისუნთქა. — სტაჟიორმა მას დახედა
და განკარგულება გასცა, გადასხმის დასაწყებად, სისხლი შეთ-
ავსებადობაზე გაესინჯათ. ანალიზისთვის სისხლი აუღო და
სასწრაფოდ გადაუსხა ერთი ლიტრი გლუკოზა. სისხლის დე-
ნის წყაროს დადგენა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, ამიტომ ოქსი-
ტოცინი მისცა და დროებით საშუალებად ტამპონი შეუყვანა.
ამ დროს დედისგან გაიგო მისი ვინაობა და შიშისაგან კინაღამ

ჩაისვარა. გამოიძახა მთავარი ექიმი. დაიწყო სისხლის გადასხმა და პროფილაქტიკის მიზნით პენიცილინის დიდი დოზა გაუკეთა. საუბედუროდ, ეს გააკეთა მის ამბულატორიულ ბარათში ჩაუხედავად. არც დედას შეეკითხა იმის თაობაზე, ალერგია ხომ არ ჰქონდა რაიმეს მიმართ.

— მას კი ალერგია ჰქონდა?

— მერე როგორი! — მითხრა კარმა. — პენიცილინის ინიექციის გაკეთებიდან ათი წუთის შემდეგ დაეწყო სულის ხუთვა და ხელოვნურმა სუნთქვამ ვერ უშველა. ამ დროისთვის რეგისტრატურიდან მოიტანეს ამბულატორიული ბარათი და სტაჟიორი მიხვდა, რა ჩაიდინა. მაშინ ერთი მილიგრამი ეპინეფრინი გაუკეთა. ამას შედეგი არ მოჰყვა და ბენადრილის, კორტიზონისა და ამინოფილინის წვეთოვანი გადასხმა დაუწყო. ქალი ჟანგბადზე გადაიყვანეს. ის თანდათან ლურჯდებოდა, კონვულსიები დაეწყო და ოცი წუთის შემდეგ გარდაიცვალა. ალბათ, ისედაც მოკვდებოდა: როგორც ჩანს, მოყვანის დროისათვის სისხლის ორმოცდაათი პროცენტი უკვე დაკარგული ჰქონდა. ეს სიკვდილს ნიშნავდა, შენ იცი, შოკიდან ჩვეულებრივ ვერ გამოდიან. ასე რომ, შესაძლოა ჩვენ ვერც გადაგვერჩინა. მაგრამ რასაკვირველია, ამით თავს ვერ დაიმშვიდებ.

— საერთოდ, რატომ დასჭირდა სტაჟიორს პენიცილინის გაკეთება?

— უცნაურია, მაგრამ ასეთი წესია საავადმყოფოში, — მითხრა კარმა. — ასეა დაწესებული, თუკი მოყვანილ ავადმყოფებს გარკვეული სიმპტომები აქვთ. როდესაც მოჰყავთ ქალები მაღალი ტემპერატურითა და საშვილოსნოდან სისხლის დენით — ესე იგი, შესაძლოა სისხლის მოწამვლა, — მათ ვუკეთებთ „დგ“-ს, ლოგინში ვაწვენთ და ანტიბიოტიკები შეგვყავს. მეორე დღეს ისინი, ჩვეულებრივ, ეწერებიან ხოლმე. ხოლო ავადმყოფობის ისტორიაში ეს იწერება, როგორც თვითნებური მუცლის მოშლა.

— ასეთი დიაგნოზია ჩაწერილი კარენ რენდალის ავადმყ-
ოფობის ისტორიაში? მუცლის მოშლა?

— დიახ. თვითნებური. ყოველთვის ასე ვწერთ, შემდეგ
პოლიციასთან რომ არ გვქონდეს გართულებები. ხშირად საქმე
გვაქვს კრიმინალურ ანდა საკუთარი საშუალებებით გაკეთ-
ებულ აბორტებთან. უმეტეს შემთხვევაში ეს ავადმყოფები ის-
ტერიკულ მდგომარეობაში არიან და ღმერთმა იცის, რას ჩმახ-
ავენ. აუჩქარებლად ვაკეთებთ, რაც საჭიროა და რაც შეიძლება
სწრაფად ვუშვებთ სახლში.

— არასდროს ატყობინებთ პოლიციას?

— ყური მიგდე, წლის განმავლობაში ასამდე ქალი მო-
ჰყავთ ჩვენთან ამ მდგომარეობაში. ყოველი ასეთი შემთხვევის
შესახებ პოლიციას რომ მოვახსენოთ, მაშინ სულ სასამართ-
ლოებში უნდა ვიყოთ და ჩვენი პირდაპირი სამსახურებრივი
მოვალეობის შესასრულებლად დრო აღარ დაგვრჩებოდა.

— მაგრამ განა კანონი არ მოითხოვს...

— რასაკვირველია, კანონი მოითხოვს, რომ ვაცნობოთ
ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ. კანონი ასევე მოითხოვს,
რომ შევატყობინოთ სამიკიტნოში ყოველი ლოთის მიერ ატეხ-
ილ ჩხუბზე, მაგრამ ასე რომ მოვიქცეთ, ამას ბოლო აღარ ექნება.
ვთქვათ, შენ იცი, რომ ამა და ამ ავადმყოფს ოპერაცია გაუკე-
თა ვიღაც ცხენის ექიმბაშმა, დავუშვათ, იძახებ პოლიციას. მე-
ორე დღეს მოდის გამომძიებელი, ავადმყოფი კი ეუბნება, რომ
მუცლის მოშლა იყო თვითნებური, ანდა თვითონ მოიმოქმედა.
ყოველ შემთხვევაში, ის სიმართლეს არ იტყვის და პოლიციაც
უკმაყოფილო იქნება. თანაც უკმაყოფილო იქნება შენით, რად-
გან შენ გამოიძახე ის.

მასთან კამათს არ ვაპირებდი და ამიტომ საუბრის თემა
შევცვალე:

— მაშინ, რატომ წაუყენეს ლის ბრალდება? რა მოხდა?

— როდესაც კარენი გარდაიცვალა, — მითხრა კარმა, —

მისის რენდალი ისტერიკაში ჩავარდა... მან ყვირილი მორთო და ტრანკვილიზატორი მისცეს. ის დამშვიდდა, მაგრამ ამტკიცებდა, თითქოს ქალიშვილმა უთხრა, აბორტი ლიმ გამიკეთაო. ამიტომ, მან პოლიციას გამოუძახა.

— მისის რენდალმა გამოუძახა?

— სწორედ იმან.

— როგორი დარჩა დიაგნოზი?

— იგივე დარჩა — მუცლის მოშლა. ესაა ოფიციალური სამედიცინო დასკვნა. ჩვენი აზრით, მისი „კრიმინალური აბორტით" შეცვლას, არა აქვს საკმაო დასაბუთება. მხოლოდ გაკვეთა აჩვენებს, ნამდვილად იყო თუ არა გაკეთებული აბორტი.

— გაკვეთამ დაადასტურა ეს, — ვუთხარი მე. — თანაც, გარდა პატარა პერფორაციისა, საკმაოდ კვალიფიციურად იყო გაკეთებული. ოპერაცია გაუკეთებია ვილაცას, ვინც ეს საქმე იცის, მაგრამ არც ისე კარგად.

— ელაპარაკე ლის?

— ამ დილით. ამტკიცებს, რომ არ გაუკეთებია. გაკვეთის შედეგებიდან გამომდინარე მჯერა მისი.

კარმა ჯიბიდან ფონენდოსკოპი ამოიღო და ხელში ატრიალებდა.

— ბინძური ისტორიაა, — მითხრა მან. — ძალზე ბინძური.

— უნდა გავასუფთაოთ, — ვუთხარი მე. — ასე ხომ ვერ მივატოვებთ.

— რასაკვირველია, არა, — დამეთანხმა კარი. — ოღონდ მხედველობაში იქონიე, რომ ჯ. დ. რენდალი საშინელ მდგომარეობაშია. მან კინალამ მოკლა საბრალო სტაჟიორი, როდესაც გაიგო, რითი უმკურნალა. იმ დროს იქ ვიყავი და მეგონა, ხელებით დაახრჩობდა ბიჭს.

— ვინ არის ის სტაჟიორი?

— ვინმე როჯერ უაიტინგი. საკმაოდ კარგი ყმაწვილია, თუმცა ღმერთმა იცის, სად სწავლობდა.

— სად შეიძლება მისი პოვნა?

— ალბათ სახლში. დღეს დილით რვა საათზე შეიცვალა, — კარი მოიღუშა და ისევ დაუწყო ფონენდოსკოპს ტრიალი. — ჯონ, მართლა გსურს ამ საქმეში ჩაბმა?

— სრულებითაც არ მსურს, — ვუთხარი მე. — დამიჯერე, არჩევანი რომ მქონდეს, უკვე ჩემს ლაბორატორიაში ვიქნებოდი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს.

— უბედურება ისაა, — ნელა წარმოთქვა კარმა, — რომ მოვლენები აღარ გვემორჩილება. ჯ. დ. საშინელ მდგომარეობაშია.

— ჰო, უკვე მითხარი.

— მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ მდგომარეობის სწორად გაგებაში დაგეხმარო. — კარი ჩემკენ არ იხედებოდა და თავის მაგიდაზე რაღაცას ერთი ადგილიდან მეორეზე დებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მითხრა: — საქმის არსი ისაა, რომ ჯ. დ. რენდალის ქალიშვილი რომელიღაც იატაკქვეშელმა მეანმა მიასაკლავა და მაშასადამე, ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს. ლი არალეგალურ აბორტებს აკეთებს, ამის დამტკიცება სასამართლოზე არც ისე ძნელი იქნება. ადვილი შესაძლებელია, რომ ბოსტონის სასამართლოში ნაფიცი მსაჯულები სანახევროდ კათოლიკეებისგან იქნება შემდგარი. ისინი პრინციპული მოსაზრებების გამო დაადანაშაულებენ მას.

— შენ გინდა თქვა, რომ ლი — განტევების ვაცია?

— დაახლოებით ასეა, — ნაღვლიანად გაიღიმა კარმა.

8

ადამიანის უნივერსიტეტში შესვლის დღიდან, სანამ კარდიოქირურგი გახდებოდეს, ცამეტი წელი გადის. ოთხი წელი

სამედიცინო ინსტიტუტში, ერთი წელი ორდინატურაში, სამი წელი საერთო ქირურგიაში, ორი — გულმკერდის ქირურგიაში, ორი — გულისაში. სადღაც აქვეა ორი წლის მუშაობა ძია სემისთვის.

ყველა როდი აიღებს ასეთ ტვირთს ნებაყოფლობით, ყველას არ მოხიბლავს ასეთი შორეული მიზანი. იმ დროისათვის, როდესაც ექიმი საკმაოდ მოშზადებულია გულზე დამოუკიდებელი ოპერაციისთვის, ის უკვე თითქმის სხვა პიროვნებაა. მას სხვა ადამიანებისგან გამოცდილება და საქმისადმი ერთგულება განასხვავებს. ეს ერთგვარად გათვალისწინებულია სწავლების პროგრამაში: ქირურგები ჩვეულებრივ გულჩათხრობილები არიან.

ამაზე ვფიქრობდი, როცა სათვალთვალო კაბინის იატაკში გამოჭრილი შემინული ხვრელიდან №9 საოპერაციო ოთახში ვიყურებოდი. აქედან მშვენივრად მოჩანდა მთელი დარბაზი, ოპერაციაზე დამსწრე პერსონალი და თვით ოპერაციის მსვლელობა. აქედან ოპერაციას ხშირად ადევნებდნენ თვალს სტუდენტები და ექიმები. საოპერაციოში მოთავსებულია მიკროფონი და ამიტომ ყველაფერი კარგად ისმის: ინსტრუმენტების დაწკარუნება, სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატის რიტმული შიშინი, ხმადაბალი ლაპარაკი.

მე აქ ჯ. დ. რენდალის კაბინეტში ყოფნის შემდეგ შემოვედი. კარენის ამბულატორიული ბარათის ნახვა მსურდა, მაგრამ რენდალის მდივანმა ქალმა მითხრა, რომ მას ეს ბარათი არ ჰქონდა. ის თვით ჯ. დ.-ს აქვს, ჯ. დ. კი საოპერაციოში არისო. ამან გამაოცა. მეგონა, ყოველივე მომხდარი ამბის შემდეგ ის სამსახურში არ გამოვიდოდა. მაგრამ, ალბათ ასეთი აზრი მას უბრალოდ არ მოსვლია.

მდივანმა მითხრა, ოპერაცია, როგორც ჩანს, მალე დამთავრდებაო, მაგრამ საკმარისი იყო მინის იქით გახედვა და დარწმუნდებოდი, რომ ეს ასე არ იყო. ჯერ ნაკერების დადებაც არ დაეწყოთ. მოგვიანებით უნდა მოვსულიყავი ბარათისთვის.

ერთი წუთით შევჩერდი. გულზე ჩატარებულ ოპერაციაში არის რაღაც მომხიბლავი, რაღაც ფანტასტიკური, დაუჯერებელი, ცხოვრებაში განხორციელებული ოცნებისა და კოშმარის რაღაცნაირი ნარევი. ჩემ ქვევით არსებულ ოთახში ოთხი ქირურგის ჩათვლით თექვსმეტი ადამიანი იმყოფებოდა. ყველა მათგანი მოძრაობდა, მუშაობდა, რაღაცას ამოწმებდა ისე თანაბრად, შეთანხმებულად, თითქოს რომელიღაც სიურრეალისტური ბალეტი ყოფილიყოს. მწვანე სამოსში გახვეული, საოპერაციოდ გამზადებული ადამიანი ერთი ციცქნა მოჩანდა სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატის გვერდით, რომელიც მბზინავი ლითონითა და შეუჩერებლივ მომუშავე ცილინდრებითა და ბორბლებით თითქმის ავტომობილის ოდენა იყო.

ავადმყოფის თავთან მთელი თავისი ტექნიკით შეიარაღებული ანესთეზიოლოგი იდგა. აქვე იყვნენ რამდენიმე მედდა, აპარატის გამზომ ხელსაწყოთა შემმოწმებელი ორი ტექნიკოსი, სხვა მედდები, სანიტრები და თვით ქირურგები. მათ შორის რენდალის გამოცნობა ვცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე: თავიანთ ხალათებსა და ნიღბებში ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ ასე ჩანდა. იმ ოთხიდან ერთი პასუხისმგებელი იყო ოპერაციის მონაწილე თექვსმეტივე ადამიანის მოქმედებაზე. ის აგებდა პასუხს ამ ოთხში მყოფ მეჩვიდმეტე ადამიანზეც, რომლის გული გაჩერებული იყო.

9

როჯერ უაიტინგი საავადმყოფოს მახლობლად, ულიფტო სახლის მესამე სართულზე ცხოვრობდა. სახლი იდგა ბიკონ ჰილის იმ ფერდობზე, სადაც ჩვეულებრივ ლუისბურგის სკვერის ნაგავს ყრიან ხოლმე. კარი მისმა ულამაზო, დიდმუცლიანმა ცოლმა გამიღო. იგი შეშფოთებული ჩანდა.

— რა გნებავთ?

— თქვენს ქმართან მსურდა ლაპარაკი. მე ბერი ვარ. ლინკოლნის საავადმყოფოს პათოლოგანატომი.

მან ამრეზით შემომხედა.

— ჩემი ქმარი ახლახან დაწვა. ბოლო ორი დღე-ღამის განმავლობაში მორიგეობდა და ძალზე დაიღალა.

— მნიშვნელოვანი საქმე მაქვს.

— მის უკან გამხდარი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ის არათუ დაღლილად გამოიყურებოდა, არამედ ძლივს იდგა ფეხზე და ძალზე შეშინებულიც ჩანდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— კარენ რენდალზე მსურდა თქვენთან ლაპარაკი.

— უკვე ყველაფერი ავუხსენი. ასჯერ ავუხსენი. დოქტორ კარს გაესაუბრეთ.

— უკვე ვესაუბრე მას.

უატინგმა თმაზე ხელი გადაისვა და ცოლს უთხრა:

— ნუ ღელავ, ძვირფასო. ფინჯანი ყავა მოიტანე, კარგი? — ის ჩემკენ შემობრუნდა. — მიირთმევთ ყავას?

— სიამოვნებით.

იაფფასიანი და მონჯღრეული ავეჯით გაწყობილ პატარა სასტუმრო ოთახში შევედი. თავს როგორც საკუთარ სახლში ისე ვგრძნობდი: ჩემი სტაჟიორობის დროიდან ხომ მხოლოდ რამდენიმე თვე იყო გასული. კარგად მახსოვდა ფულის მუდმივი ნაკლებობა, მუდმივი დაძაბულობა, საშინელი განრიგი და არასასიამოვნო მოვალეობები, რომელთა შესრულებაც მიხდებოდა. კარგად მახსოვდა მორიგე მედდის მდგომარეობიდან გამომყვანი ტელეფონის ზარის წკრიალი, როდესაც შუაღამისას მირეკავდა, რათა გაეგო, შეიძლებოდა თუ არა, რომელიღაც ავადმყოფისთვის ასპირინის კიდევ ერთი აბის მიცემა. კარგად მახსოვდა, რა ძნელი იყო ავადმყოფის სანახავად ლოგინიდან წამოდგომა და რა ადვილად შეიძლებოდა გამთენიისას შეცდომის დაშვება.

— მესმის, რომ ძალზე დაღლილი ხართ, — ვუთხარი მე. — დიდი ხნით არ დაგაკავებთ.

— არა, არა, — ფიცხლად მიპასუხა მან. — თუკი შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ, ამ ეტაპზე მინდა გითხრათ...

შემოვიდა ცოლი. ხელში ორი ფინჯანი ეჭირა. მან მკაცრად გადმომხედა. ყავა წყალწყალა აღმოჩნდა.

— საავადმყოფოში პაციენტის შემოსვლის მომენტი მაინტერესებს, — ვუთხარი მე. — ქსენონში იყავით?

— არა. ვისვენებდი. დაახლოებით, დილის ოთხი საათისთვის გამომიძახეს. ქსენონის გვერდით მდებარე პატარა ოთახში გაუხდელად მეძინა. სულ ცოტა წავიძინე და მაშინვე გამაღვიძეს. ძლივს გავახილე თვალები. დასათვალიერებელში იმ დროს შევედი, როდესაც იქ ავადმყოფი შეჰყავდათ.

— გრძნობაზე იყო?

— დიახ, მაგრამ გონება არეული ჰქონდა და ძალზე ფერმკრთალი გახლდათ. მან ხომ ბევრი სისხლი დაკარგა. აღგზნებული იყო, ბოდავდა, თერმომეტრი ვერ გავუკეთეთ — სულ კბილებს უჭერდა, მაგრამ ხელის შეხებით განვსაზღვრეთ: სიცხე ორმოც გრადუსამდე ჰქონდა. სისხლის გადასხმისთვის შეთავსებადობის შემოწმება დავიწყეთ. მედდებმა საბანში გაახვიეს და ფეხებში რაღაც დაუდეს. შემდეგ გავსინჯე, სისხლდენა სრულიად აშკარად საშვილოსნოდან იყო და დავუსვით დიაგნოზი — მუცლის მოშლა.

— სიტყვამ მოიტანა და, სისხლდენის თაობაზე, — შევაწყვეტინე მას. — რაიმე ნაწილაკები, ქსოვილის კვალი, პლაცენტა ხომ არ შეგინიშნავთ?

— არა. მაგრამ სისხლდენა ხომ ადრე დაეწყო. მისი ტანსაცმელი... — თითქოს მთელი სურათი კვლავ თვალწინ დაუდგაო, შორს გაიხედა. — მისი ტანსაცმელი მთლად გაჟღენთილი იყო... მედდებმა ძლივს გახადეს.

— რაიმე გარკვეულს ამბობდა?

— საერთოდ, არაფერს. დროდადრო რაღაცას ბუტბუტებდა. მგონი, ვიღაც მოხუცზე. მამამისზე თუ ისე ვიღაც მოხუცზე, არ ვიცი. ხოლო როდესაც მის ტანსაცმელსა და თეთრეულს გაჭრა დაუწყეს, მაშინ ქსოვილის ნაკუწებს ხელი წაატანა და ჩაცმას ცდილობდა: ერთხელ ეს თქვა: „რატომ მექცევით ასე?“ და შემდეგ „სად ვარ?“ მაგრამ ყოველივე ეს ბოდვისას, აბნეულად.

— მთელი ამ ხნის განმავლობაში სად იყო მისის რენდალი?

— კარს უკან იცდიდა. სანამ მომხდარი ამბის შესახებ ვეტყოდით, მშვიდად გამოიყურებოდა. მერე კი თავშეკავებულობა დაკარგა, შეურაცხადი გახდა.

— რას იტყვით ამბულატორიული ბარათის შესახებ? ოდესმე იყო კარენი საავადმყოფოში?

— მე არ მინახავს მისი ბარათი, — მითხრა მან, — მანამ, ვიდრე... ეს მოხდებოდა. რეგისტრატურაში მოგვიხდა მისი ძებნა. მაგრამ გოგონა საავადმყოფოში ადრეც ყოფილა. თხუთმეტი წლის შესრულების შემდეგ, პირკეს რეაქცია ყოველ წელს უტარდებოდა. მისი ექიმის დანიშნულებით სისხლის ანალიზი — წელიწადში ორჯერ. როგორც მოსალოდნელი იყო, სამედიცინო თვალსაზრისით კარგად უვლიდნენ.

— ალერგიის გარდა თუ იყო მის ბარათში რაიმე განსაკუთრებული აღნიშვნები?

მან ნაღვლიანად გაიღიმა:

— განა ეს ცოტაა?

ის პირდაპირ ტკბებოდა თავისი თავისადმი სიბრალულის გრძნობით. მინდოდა მეთქვა, რომ ადამიანები კიდევ მოკვდებიან მის თვალწინ და ამას უნდა შეურიგდე. უნდა შეურიგდე იმ აზრს, რომ ყოველთვის შეიძლება შეცდომის დაშვება, და ეს იმიტომ, რომ შეცდომები ხდება ხოლმე. ზოგჯერ აღმაშფოთებელი შეცდომებიც ხდება. მინდოდა მეთქვა, რომ საკმარისი იყო ერთი შეკითხვა მისის რენდალისთვის, პენიცილინის მიმართ ხომ არ ჰქონდა კარენს ალერგია და უაიტინგი სუფთა და უზრუნველი იქნებო-

და. ავადმყოფი მაინც მოკვდებოდა, მაგრამ უაიტინგი უდანაშაულო გამოვიდოდა. მისი შეცდომა ის კი არ არის, რომ მან კარენ რენდალი მოკლა, არამედ ის, რომ საამისოდ ნებართვა არ აიღო.

მინდოდა ყოველივე ამის თქმა, მაგრამ არ ვუთხარი.

— ხომ არაფერი მიგვანიშნებდა იმაზე, რომ ის ფსიქიკურად გაუწონასწორებელი იყო? საერთოდ, არაჩვეულებრივი არაფერი შეგინიშნავს?

— ერთი წუთით, — ის მოიღუშა. — ერთი უცნაურობა შევნიშნე. ნახევარი წლის წინ დანიშნული ჰქონდა თავის ქალის სურათის მთელი კომპლექტი.

— გინახავთ თქვენ ის სურათები?

— არა. მხოლოდ რენტგენოლოგის დასკვნა წავიკითხე: არავითარი პათოლოგიური გადახვევები.

— რატომ გადაუღეს სურათი?

— იქ არ არის აღნიშნული.

— იქნებ რაიმე უბედური შემთხვევაა? დაეცა, ანდა საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა?

— არ ვიცი.

— ვისი დანიშნულებით გაკეთდა ის სურათები?

— როგორც ჩანს, პიტერ რენდალის დანიშნულებით. ის გახლდათ მისი ექიმი.

— მაგრამ მიზეზი ხომ უნდა იყოს?

— რასაკვირველია, უნდა იყოს, — გულგრილად დამიმოწმა მან. მოღუშულმა ჩაიხედა ყავის ფინჯანში, მოსვა და ბოლოს მითხრა: — იმედი მაქვს, რომ იმ არამზადას, რომელმაც აბორტი გაუკეთა, თავისი მიეზღო. არ ვიცი სასჯელი, რომელიც მისთვის ძალიან სასტიკი იქნება.

მე წამოვდექი, ბიჭუნა ისტერიკის ზღვარზე იყო. მისი კარიერა იმის გამო აღმოჩნდა კატასტროფის წინაშე, რომ შეცდომა დაუშვა ცნობილი ექიმის ქალიშვილის მიმართ — ახლა მას მეტი არაფერი გაეგებოდა. თავისი თავის მიმართ სიბრაზით,

სასოწარკვეთილებითა და სიბრალულით შეპყრობილი, ისიც განტევების ვაცს ეძებდა.

უაიტინგისგან წამოვედი და ლუის კარს დავურეკე. რენტგენის სურათებთან დაკავშირებული ამბების გასარკვევად აუცილებლად უნდა მენახა კარენ რენდალის ამბულატორიული ბარათი.

— ლუის, ისევ შენთან მაქვს თხოვნა.

— ჰო? — ხმის მიხედვით ვერ იტყოდი, რომ ამ აზრმა აღაფრთოვანა:

— დიახ. ჩემთვის უბრალოდ აუცილებელია მისი ბარათის ნახვა.

— მე მეგონა, რომ ჩვენ უკვე ყველაფერზე ვილაპარაკეთ.

— მაგრამ მიუხედავად ამისა, რაღაც ახალი გამოჩნდა. ყოველ წუთს ამბავი სულ უფრო და უფრო რთულდება. რატომ დაუნიშნეს რენტგენის სურათების გადაღება?

— მაპატიე, — მითხრა კარმა — ვერაფრით დაგეხმარები. — ოფიციალური ტონით მელაპარაკებოდა ადამიანი, რომელიც ყოველ სიტყვას წონის და სანამ ხმამაღლა წარმოთქვამდეს, ყოველ ფრაზას გონებაში იმეორებს.

— რა მოხდა? უკვე მოასწრო რენდალმა შენთან ლაპარაკი და პირის ამოლესვა?

— ჩემი აზრით, — მითხრა კარმა, — ამ საქმეს საგანგებოდ მომზადებული ხალხი უნდა იძიებდეს. მე თვითონ არც ისე კომპეტენტური ვარ და ალბათ, არც სხვა ექიმები არიან.

კაცმა რომ თქვას, ეს მოსალოდნელი იყო. კარი გამგონე ბიჭივით ყოველ თამაშს წესების ზუსტი დაცვით თამაშობდა.

10

არც ერთი ჭკუათამყოფელი ინგლისელი არ გაემგზავრებოდა ბოსტონში და განსაკუთრებით კი 1630 წელს. მტრულ,

მიყრუებულ ადგილზე ჩასასვლელად ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობისთვის მარტო სიმტკიცე და გამბედაობა საკმარისი არ იყო. ამისთვის საჭირო იყო ფანატიზმი, სასოწარკვეთილება და პირველ ყოვლისა, ღრმა, გამოუსწორებელი განაწყენება ინგლისელ საზოგადოებაზე.

საბედნიეროდ, ისტორია ადამიანებზე მსჯელობს მათი მოქმედების და არა გულის წადილის მიხედვით. ამიტომ ბოსტონელებს დამშვიდებული სინდისით შეუძლიათ თავიანთი წინაპრები თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლებად, რევოლუციის გმირებად, ლიბერალურ მხატვრებად და მწერლებად ჩათვალონ. ბოსტონი, არის ქალაქი, რომელიც დღემდე პატივს სცემს კვაკერთა სექტორის დამაარსებლებს და სათუთად ინახავს განმათავისუფლებელი ომის ხსოვნას.

ბოსტონს მეორე, არც ისე ნათელი სახეც აქვს. საკმარისია, გავიხსენოთ სამარცხვინო ბოძიხუნდები, გრძნეულებზე ნადირობა, სამარცხვინო სკამი ეკლესიაში. თანამედროვეთაგან ცოტანი თუ ჩაუფიქრდებიან, რას მოწმობენ წამების ეს იარაღები, — ისინი მოწმობენ აკვიატებულ იდეებს, ნევრასტენიასა და გაწაფულ სისასტიკეს. ეს არის ჩადენილი ცოდვების, მუდმივ სატანჯველზე განწირვის, ჯოჯოხეთის ცეცხლის, სნეულებათა და ინდიელთა შიშითა და ეჭვით შეპყრობილი დაძაბული საზოგადოების ნიშნები, ერთი სიტყვით, რეაქციულ რელიგიურ ფანატიკოსთა საზოგადოების ნიშნები.

ჯურღმულებიდან გამოსული კაცი წარმატებას რომ მიაღწევს, იმის მსგავსად, ბოსტონს სურს დაივიწყოს თავისი ისტორიის უმეტესი ნაწილი. ქალაქი კარგა ხანია დაშორდა თავის წარსულს და ყველაფერს აკეთებს, რათა მიჩქმალოს იგი. ოდესღაც უბრალო ხალხის დასახლებამ, წარმოშვა უტიტულო არისტოკრატია, რომელიც თავისი კარჩაკეტილობით ევროპის უძველეს საგვარეულოებს შეეცილება. მან, რელიგიური ფსიქოზის აკვანმა, შექმნა მეცნიერთა საზოგადოება, რომელ-

საც ქვეყნის ამ ნაწილის მეცნიერთა ვერც ერთი საზოგადოება ვერ გაეჯიბრება. ყოველივეს ისიც ემატება, რომ დაავადებულია საკუთარი თავისადმი სიყვარულით: ეს შტრიხი ახასიათებს ასეთივე საეჭვო წარმოშობის მქონე ქალაქ სან-ფრანციასკოს.

ორივე ქალაქისდა საუბედუროდ, თავიანთი წარსულის მთლად დავიწყება მათ არაფრით არ შეუძლიათ. სან-ფრანციასკოს თავი ვერ დაუღწევია ოქროს ციებ-ცხელების დროს ატაცებული უხეშობისთვის, სიმტკიცისათვის, მყვირალობისთვის და აღმოსავლეთის სანაპიროს ქალაქებივით წესიერი და დახვეწილი ვერ გამხდარა. ხოლო ბოსტონი ძალიანაც ცდილობს კვლავ ინგლისური ქალაქი გახდეს, მაგრამ პურიტანიზმის გავლენა ვერა და ვერ ჩამოიშორა.

ყველა ჩვენგანი — მთლად ან ნაწილობრივ — ჩვენს წარსულთან ვართ მიჯაჭვული. წარსული მოჩანს თვით ჩვენი ძვლების აგებულებაში, თმის საფრის განაწილებასა და კანის ფერში. იმაში, თუ როგორ დავდივართ, ვდგავართ, ვჭამთ, ვიცვამთ და... ვფიქრობთ.

ყოველივე ეს მაგონდებოდა უილიამ ჰარვეი რენდალთან, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთან შეხვედრაზე მიმავალს.

შეუძლებელია, კაცს უილიამ ჰარვეი ერქვას და თავი სულელად არ იგრძნოს. ეს იგივეა, ნაპოლეონის ან კერი გრანტის პატივსაცემად რომ შეგარქვან სახელი. ძალზე დიდი ტვირთი აწვება ასეთი სახელის მქონე ბავშვს მხრებზე, ძალზე ბევრს მოელიან მისგან.

ეჭვი მეპარება, რომ უილიამ ჰარვეი რენდალი ოდესმე მოისურვებდა თავისი სახელის შეცვლას. თუმც იგი პასუხისმგებლობას აკისრებდა, მაგრამ ამასთან ერთად ზოგიერთ უპირატესობასაც ანიჭებდა. მით უმეტეს, თუ ბოსტონში დარჩენა სურდა; გარდა ამისა, როგორც ჩანს, ის სრულებით არ აწვა მას ტვირთად. ეს იყო სასიამოვნო, ნათელი სახის, მაღალი,

მკვრივი, ქერათმიანი კაცი — ტიპური ჯანმრთელი ამერიკელი. მით უფრო სასაცილო და უცნაური ჩანდა მისი ოთახი შერატონ-ჰოლის პირველ სართულზე — სამედიცინო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში. თუმცა სხვებზე გაცილებით ფართო კი იყო, მაგრამ ამ საერთო საცხოვრებლის უმეტესი ოთახებივით ისიც ერთ ადამიანზე გახლდათ გათვალისწინებული. რასაკვირველია, საგრძნობლად დიდი იყო იმ პატარა ოთახზე, ჩემი სტუდენტობის წლებში მეოთხე სართულზე რომ მეკავა. მეოთხე სართულზე ოთახები უფრო იაფი ღირდა.

ჩემ შემდეგ კედლები ხელახლა შეეღებათ. მაშინ დინოზავრის კვერცხებივით ნაცრისფერი იყო. ახლა გულისამრევი მწვანე ფერის. მაგრამ ისევ ის ძველი საერთო საცხოვრებელი იყო, იგივე ულიმლამო დერეფნები, ბინძური კიბეები, კვლავ ოფლის, ჭუჭყიანი წინდების, სახელმძღვანელოებისა და ქლორის სუნი იდგა.

რენდალს ოთახი ძალიან კარგად მოეწყო. ძველებური აუჯი ედგა. გაცრეცილი წითელი ხავერდი და ადგილ-ადგილ ჩამოცვენილი ვარაყი მის სიძველესა და დიდებაზე მეტყველებდა.

ოთახში შევედი და დავჯექი.

— კარენის თაობაზე ხართ? — რენდალი შეფიქრიანებული უფრო ჩანდა, ვიდრე დადარდიანებული.

— დიახ, — ვუპასუხე მე. — მესმის, შეუფერებელი დროა.

— არა უშავს, შემეკითხეთ!

სიგარეტი გავაბოლე და ასანთი ვენეციური მინის მოოქრულ საფერფლეში ჩავაგდე. საფერფლე მდიდრული, მაგრამ უშნო იყო.

— მინდოდა თქვენთან მის შესახებ მესაუბრა.

— გისმენთ!

ველოდი, როდის დაინტერესდებოდა ჩემი ვინაობით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მას არ აღელვებდა.

— როდის ნახეთ კარენი უკანასკნელად?

— შაბათს. ავტობუსით ჩამოვიდა ნორტჰემპტონიდან და ავტოსადგურში შევიარე მის წამოსაყვანად. საუზმის შემდეგ ორი საათი თავისუფალი დრო მქონდა. მე მივიყვანე სახლში.

— როგორ იყო?

— მშვენივრად. სიცოცხლით სავსე, მხიარული, კოლეჯისა და ოთახში მისი მეზობელი გოგონას ამბავს მიყვებოდა. ეს მეზობელი, როგორც ჩანს, დამთხვეული ქალიშვილი იყო. შემდეგ სამკაულებზე ლაყბობდა.

— გასულ შაბათამდე როდის ნახეთ ის უკანასკნელად?

— ზუსტად არ მახსოვს. მგონი, აგვისტოში.

— ასე რომ, შეხვედრა დიდი ხნის განშორების შემდეგ მოხდა?

— საერთოდ, კი, — მითხრა მან. — ყოველთვის მიხაროდა კარენთან შეხვედრა. ისეთი მკვირცხლი იყო, რომ არასდროს მოიწყენდი მასთან. თანაც მშვენივრად ეხერხებოდა ადამიანის გამოჯავრება. რომელიმე თავის პროფესორს ან თაყვანისმცემელს წარმოსახავდა და შემდეგ გიჟივით ხარხარებდა. კაცმა რომ თქვას, სწორედ ასე ჩაიგდო ხელში მანქანა.

— მანქანა?

— შაბათ საღამოს, — მიპასუხა მან, — ჩვენ, ყველანი, რესტორანში ვსადილობდით: კარენი, მე, ევი და ძია პიტერი.

— ევი?

— ჩვენი დედინაცვალია, — მითხრა მან. — ევის ვეძახით მას.

— მაშასადამე, ხუთნი იყავით?

— არა, ოთხნი.

— მამათქვენი?

— საავადმყოფოში საქმე ჰქონდა.

რენდალმა ეს ძალზე მშრალად თქვა და მეც თემა აღარ გავაღრმავე.

— ასეა თუ ისე, — განაგრძობდა უილიამი, — უიკ-ენდის თვის კარენმა მანქანა ითხოვა, ხოლო ევიმ უარი უთხრა — არ უნდოდა, კარენი მთელი ღამით სადღაც დაკარგულიყო. მაშინ კარენმა ძია პიტერს მიმართა — მას საერთოდ არ შეუძლია უარის თქმა — და მანქანა სთხოვა. პიტერი მაინცდამაინც არ აღფრთოვანებულა, მაგრამ კარენი დაემუქრა, რომ გამოაჯანრებდა და იმანაც მაშინვე დაუთმო.

— მერედა პიტერი?

— საღამოს აქეთ მოვდიოდი და მე წამოვიყვანე.

— ასე რომ, შაბათს კარენთან ერთად რამდენიმე საათი გაატარეთ?

— დიახ. დაახლოებით დღის პირველი საათიდან საღამოს ათამდე.— და შემდეგ ბიძათქვენთან ერთად წახვედით?

— დიახ.

— კარენი?

— ევისთან ერთად დარჩა.

— იმ საღამოს სადმე ხომ არ წასულა?

— მგონი წავიდა. თუ არა, მაშ, რატომ ითხოვა მანქანა?

— არ უთქვამს, სად აპირებდა წასვლას?

— ჰარვარდში. იქ კოლეჯში ნაცნობები ჰყავს.

— კვირას თუ ნახეთ?

— არა, მხოლოდ შაბათს.

— რაიმე ცვლილება ხომ ვერ შეამჩნიეთ გარეგნობაში?

— არა. — უილიამმა თავი გააქნია. — ისეთივე იყო, როგორიც ყოველთვის. რასაკვირველია, ცოტა შესუქებულიყო, მაგრამ ჩემი აზრით, კოლეჯში მეცადინეობის დაწყების შემდეგ ყველა ქალიშვილი იწყებს წონაში მომატებას. ზაფხულში სულ მოძრაობაში იყო — ცურავდა, თამაშობდა ჩოგბურთს. სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად ყოველივე ეს შეწყდა და ალბათ ამიტომაც მოიმატა რამდენიმე გირვანქა, — მან გაიღიმა. — ამის გამო დავცინოდით კიდეც. უკმაყოფილებას გამოთქვამდა,

კოლეჯში ცუდი კვებაარ, მაშინ შევეკითხე, რა იყო წონაში მომატების მიზეზი.

— აქცევდა თავის წონას ყურადღებას?

— კარენი? არა, რას ამბობთ! მუდამ გამხდარი, მოძრავი, ნამდვილი ყაჩაღანა იყო. შემდეგ კი უცებ გაიფურჩქნა.

— ვხვდები, რომ ჩემი კითხვა შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, — ვუთხარი მე, — მაგრამ მითხარით, ყოველთვის ჰქონდა თქვენს დას ხელებზე თმა და შავი ღინღლი ტუჩზე?

— უცნაურია! — გააგრძელა მან. — აი, თქვენ ახსენეთ და გამახსენდა. შაბათს შევნიშნე ისინი. პიტერმა მათი გაუფერულება ანდა ცვილით მოხსნა ურჩია. კარენი ჯერ საშინლად გაუბრაზდა, ხოლო შემდეგ გაიცინა.

— მაშასადამე, ადრე არ ჰქონდა?

— ალბათ, არა. იქნებ ჰქონდა კიდეც, მაგრამ მე ვერ ვამჩნევდი.

— სად გაატარა ეს ზაფხული? — შევეკითხე შემდეგ.

— ზუსტად არ ვიცი. ოფიციალურად კარენი კონცხზე ცხოვრობდა, მუშაობდა პროვინსთაუნში სურათების რომელიღაც გალერეაში, ოღონდ, ვფიქრობ, იქ დიდხანს არ რჩებოდა. ჩემი აზრით, მთელ დროს ჰილზე ატარებდა თავის შერეკილ მეგობრებთან ერთად. უყვარდა გარშემო უცნაური ტიპების შემოკრება.

— მეგობარ ბიჭებთან თუ გოგონებთან?

— ორივესთან. — მან მხრები აიჩეჩა. — მაგრამ ზუსტად არ ვიცი. მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ სხვათა შორის თქვა ეს.

— ვისიმე სახელი ხომ არ უხსენებია?

— მგონი კი, კარგად ვერ დავიმახსოვრე. ვიღაც ჰერბი, სუ-სუ და ელი. — უცებ მან გადაიხარხარა. — მახსოვს, ერთხელ წაჰბაძა გოგონას, რომელსაც საპნის ბუშტების გაშვება უყვარდა.

— მაშასადამე, არც ერთი გვარი არ გახსოვთ?

მან თავი გააქნია.

წასვლის წინ შევეკითხე:

— რომელ საავადმყოფოში გადიოდით სამეანო პრაქტიკას?

— ლინკოლნისაში. — მან შემომხედა და მოიღუშა. — და გარკვევით რომ გიპასუხოთ კითხვაზე — დიახ, რამდენიმე აბორტის დროს ასისტენტად ვიყავი. თვითონაც შევძლებდი გაკეთებას. მაგრამ კვირა საღამოს საავადმყოფოში ვმორიგეობდი მთელი ღამე. აი, ასე იყო საქმე!

საერთო საცხოვრებლიდან გამოსულმა ჩემკენ მომავალი გამხდარი, შეევრცხლილთმიანი კაცი დავინახე. მიუხედავად შორი მანძილისა, მაშინვე ვიცანი.

რით-რით და გარეგნობით ჯ. დ. რენდალი უეჭველად გამოირჩეოდა.

11

— ექიმი ბერი ბრძანდებით?

ტონი ძალზე მეგობრული იყო. ჯ. დ-მ ხელი გამომიწოდა. ეს იყო ქირურგის ხელი. სუფთა, მშრალი ხელი, რომელსაც ათი წუთის განმავლობაში ხეხავენ იდაყვს ზემოთ ხუთი სანტიმეტრი.

— მოგესალმებით, ექიმო რენდალ.

— ჩემი ნახვა გსურდათ? — მითხრა მან. — მდივანმა ქალმა მითხრა, რომ ჩემს კაბინეტში იყავით.

— დიახ, — ვუთხარი მე. — ბარათის თაობაზე.

რენდალმა კეთილგანწყობილად გაიღიმა. ის ნახევარი თავით ჩემზე მაღალი იყო.

— ჩემი აზრით, მე და თქვენ ზოგი რამ უნდა გავარკვიოთ. წამოდით ჩემთან ერთად.

მას სრულებით არ სურდა ბრძანების ტონით მოემართა,

მაგრამ მისი სიტყვები სწორედ ასე გაისმა. ამან შემახსენა, რომ ქირურგები არიან საზოგადოების უკანასკნელი თვითმპყრობელები, ადამიანთა ის პრივილეგირებული კლასი, რომელიც რომელიღაც მომენტში აბსოლუტური ძალაუფლებითაა აღჭურვილი.

ავტომობილების სადგომის მიმართულებით მივდიოდით. მეჩვენებოდა, რომ სპეციალურად ჩემთან სასაუბროდ მოვიდა. წარმოდგენა არ მქონდა, საიდან გაიგო ჩემი აქ ყოფნის ამბავი, მაგრამ ამ გრძნობას ვერ ვიშორებდი.

— ბოლო დროს რამდენიმე კაცი მესაუბრა თქვენ შესახებ, — მითხრა მან.

— რას ბრძანებთ?

— თქვენ წარმოიდგინეთ!

მისი ავტომობილი მოვერცხლისფრო „პორშე" იყო. რენდალი დაუდევრად დაეყრდნო გაპრიალებულ ფრთას. მისი პოზიდან გამომდინარე გულმა მიგრძნო, რომ არ უნდა წამებაძა მისთვის. წამით მდუმარედ მათვალიერებდა, შემდეგ კი წარმოთქვა:

— თქვენზე ბევრი კარგი მსმენია. ამბობენ, განათლებული და საღი გონების პატრონიაო.

მხრები ავიჩეჩე. მან კვლავ გაიღიმა და მითხრა:

— თქვენ ხომ ლინკოლნის საავადმყოფოდან ხართ? მითხრეს, რომ იქ კარგი თვალით გიყურებენ.

— გმადლობ. — მისმა საქციელმა დამაბნია, ვერ გამეგო, საით უხვევდა. დიდი ხანი არ დამჭირვებია ცდა.

— სხვა საავადმყოფოში გადასვლაზე არ გიფიქრიათ? ხომ შეიძლება გამოჩნდეს სხვა შესაძლებლობა. ვაკანსიები.

— სავსებით კმაყოფილი ვარ ახლანდელი სამუშაოთი.

— ეს ამ მომენტში, — მითხრა მან.

— რასაკვირველია. ამ მომენტში.

— უილიამ სიუოლს თუ იცნობთ?

უილიამ სიუოლი მემორიალურის მთავარი პათოლოგანატომი გახლდათ. ის სამოცდამეორე წელში იყო და მალე უნდა გასულიყო პენსიაზე. ჯ. დ. რენდალის მიმართ გაწბილება ვიგრძენი. ნამდვილად არ მოველოდი, რომ ასე უხეშად იმოქმედებდა.

— დიახ, შორიდან ვიცნობ.

— მალე პენსიაზე გადის.

— ტიმოტი სტოუნმა — მისმა მოადგილემ მშვენივრად იცის თავისი საქმე.

— ალბათ, — მითხრა რენდალმა. მისი მზერა ცისკენ იყო მიმართული. — ალბათ, მაგრამ ბევრ ჩვენგანს უჭირს მასთან მუშაობა.

— ასეთი რამ მე არ გამიგონია.

— ამას ჩვენ არ ვახმაურებთ. — მან ნაზად გაიღიმა.

— ბევრი თქვენგანისთვის ჩემთან მუშაობა უფრო იოლი იქნება?

— ბევრი ჩვენგანი დაინტერესებულია მოიძებნოს ახალი ადამიანი, ვინმე უცხო, რომელსაც ასე ვთქვათ ძალუძს გამაცოცხლებელი სიო მოგვანიჭოს.

— ტიმოტი სტოუნი ჩემი ახლო მეგობარია, — ვუთხარი მე.

— მერე და, რა მოხდა?

— ის მოხდა, რომ სისაძაგლეს ვერ ჩავიდენ მის მიმართ.

— აზრადაც არ მომსვლია, თქვენთვის ასეთი რამ შემეთავაზებინა.

— მაშინ, შესაძლოა, მე არ მესმის საქმის არსი. რატომ არ უნდა ამიხსნათ?

დაფიქრებულმა რენდალმა საფეთქელი მოიფხანა. როგორც ჩანს, მეორე ფლანგიდან აპირებდა მიდგომას. წარბები შეჭმუხნა.

— ექიმო ბერი, მე პათოლოგანატომი არ ვარ, მაგრამ პათოლოგანატომებს შორის მეგობრები მყავს.

— უნდა ვიფიქროთ, რომ ტიმ სტოუნი არ არის მათ რიცხვში.

— ზოგჯერ მეჩვენება, რომ პათოლოგანატომებს ქირურგებზე მეტი სამუშაო აქვთ და საერთოდ ყველაზე მეტი. როგორც ჩანს, პათანატომია არაფრისთვის აღარ ტოვებს დროს.

— ამ შემთხვევაში, მართალი ბრძანდებით.

— ძალზე გაკვირვებული ვარ, თქვენ რომ ამდენი თავისუფალი დრო გაქვთ.

— რა გაეწყობა, ასე მოხდა. — სიბრაზე მერეოდა. ჯერ მოსყიდვა, შემდეგ დამუქრება. ან მოთაფლე, ან დააშინე! მაგრამ სიბრაზესთან ერთად უცნაური ცნობისმოყვარეობაც მეუფლებოდა. რენდალი სულელი არ იყო. ეტყობა, რაღაცის ეშინოდა, თორემ ასეთ საუბარს არ დამიწყებდა. აზრმა გამიელვა — თვითონ მას ხომ არ გაუკეთებია აბორტი? ამ დროს მან მითხრა:

— ოჯახი გყავთ?

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— დიდი ხანია ბოსტონში ცხოვრობთ?

— ყოველ წუთს შემიძლია აქედან წასვლა, თუკი პათოლოგიური ეგზემპლარები ძალზე უბადრუკად მომეჩვენება.

ეს მან ღირსეულად მიიღო. არ განძრეულა, წარბი არ ათამაშებია, ფეხიც არ მოუცვლია. მხოლოდ შემომხედა თავისი ნაცრისფერი თვალებით და მითხრა:

— მესმის.

— იქნებ თქვენ გამიხსნათ კარტი და მითხრათ, რა გაქვთ გუნებაში?

— ო, ეს ძალზე იოლია, — მიპასუხა მან. — მე თქვენი მოტივები მაინტერესებს. ჩემთვის გასაგებია მეგობრული ურთიერთობანი, იმასაც ვითვალისწინებ, რომ პირადი ერთგულება ადამიანებს ზოგჯერ უგუნურებისკენაც უბიძგებს. აღფრთოვანებული ვარ იმით, თუ რა მტკიცედ დგახართ ექიმ ლის მხ-

არეზე. თუმცა, უფრო მომეწონებოდა, ასეთი ერთგულების ობიექ-
ტი გაცილებით ღირსეული ადამიანი რომ ყოფილიყო. მაგრამ
ჩემი აზრით, თქვენი მოქმედება სცილდება უბრალო ლოიალი-
ბის საზღვრებს. ექიმო ბერი, რა გამოძრავებთ?

— ცნობისმოყვარეობა, ექიმო რენდალ, მხოლოდ ცნობის-
მოყვარეობა. მინდა გავარკვიო, ყველა რატომ ძვრება ტყეში
უდანაშაულო ადამიანის დასაღუპად. მაინტერესებს, რატომ
ირჯებიან არაობიექტურად იმ პროფესიის ადამიანები, რომ-
ლის საფუძველია ფაქტების ობიექტური გამოკვლევა.

— მოდით, ჯერ საუბრის თემა გავარკვიოთ. ექიმი ლი
აკეთებს კრიმინალურ აბორტებს. ასეა თუ არა?

— ეს თქვენ ლაპარაკობთ. მე გისმენთ.

— აბორტი კანონითაა აკრძალული. შემდეგ: როგორც
ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის დროს, აბორტის დროსაც
შეიძლება გარდაიცვალოს ადამიანი — იმ შემთხვევაშიც კი,
თუ აბორტს აკეთებს მცოდნე ადამიანი და არა მთვრალი...

— აზიელი? — ვუკარნახე მე.

— ექიმი ლი, — მან გაიღიმა, — აკეთებს აბორტებს, აკეთებს
არალეგალურად. როგორც ადამიანი — ძალზე საეჭვოდ იქცე-
ვა, როგორც ქირურგი — არღვევს საექიმო ეთიკის ნორმებს,
როგორც შეერთებული შტატების მოქალაქე — სჩადის ისეთ
ქმედებას, რომელიც სამართლის წესით დევნას ექვემდებარება.
აი, რა მაქვს გუნებაში, ექიმო ბერი და მინდა ვიცოდე, რატომ
ყოფთ ცხვირს სხვის საქმეში, რატომ შეუჩნდით ჩემი ოჯახის
წევრებს. და საერთოდ, ყველას მოაბეზრეთ თავი, ნაცვლად იმ-
ისა, რომ თქვენი პირდაპირი მოვალეობა შეასრულოთ. მოვა-
ლეობა, რომლისთვისაც ლინკოლნის საავადმყოფო ხელფასს
გიხდით...

— ექიმო, — ვუთხარი მე. — თუ ამ საქმეს წმინდა ოჯახ-
ური თვალსაზრისით მივუდგებით, როგორ მოიქცეოდით, თქვე-
ნი ქალიშვილი რომ მოსულიყო და ეთქვა, ფეხმძიმედ ვარო?

რა იქნებოდა, არალეგალურად მომუშავე ბებიაქალთან მისვლამდე, თქვენთვის რომ ეკითხა რჩევა?

— ვარაუდების აგებას აზრი არ აქვს.

— მაგრამ, თქვენ ხომ უეჭველად უნდა გქონდეთ პასუხი.

რენდალი გაწითლდა. გახამებულ საყელოზე ვენები გადმოებერა. ტუჩებმოკუმულმა მითხრა:

— აი, თურმე რა გინდათ! თქვენი ეგრეთ წოდებული მეგობრის დახმარების უგუნური იმედით ჩემი ოჯახის გალანძღვა გსურთ?

მანქანის კარი მიიჯახუნა და გამონაბოლქვი აირის სქელ, ლურჯ ღრუბელში გახვეული, ადგილს მოსწყდა.

12

შინ რომ დავბრუნდი, სახლი ჩაბნელებული და ცარიელი დამხვდა. ესე იგი, ჯუდიტი ბავშვებიანად ჯერ ისევ ლისთან იყო. მეც იქ წავედი.

ბეტი სამზარეულოში იჯდა და ერთი წლის გოგონას აჭმევდა: სახეზე ღიმილი შეჰყინვოდა, დაღლილი და ოდნავ აფორიაქებული ჩანდა, ჯუდიტიც იქვე იყო; მის გვერდით კი ქვედაბოლოზე ხელჩაკიდებული, ჯეინი — ჩვენი უმცროსი გოგონა იდგა.

სასტუმრო ოთახიდან მოისმოდა სათამაშო პისტოლეტების სროლა და ბიჭების ხმები. ბავშვები „პოლიციელებსა და ქურდებს“ თამაშობდნენ. ბეტი ყოველ გასროლაზე კრთოდა.

— ცუდი ცნობები გვაქვს, — მითხრა ჯუდიტმა. — დარეკა ბრადფორდმა. მან უარი განაცხადა საქმის წარმოებაზე.

— უნდა მოველაპარაკოთ მას, — ვუთხარი, თან ვცდილობდი მხნეობა შემენარჩუნებინა.

ჯუდიტმა საათს დახედა:

— უკვე ექვსის ნახევარია. ის, ალბათ, იქ აღარ იქნება...

— სულერთია, ვცდი. — და არტის კაბინეტისკენ გაეშურა. ჯუდიტი უკან გამომყვა. სროლის ხმას რომ ხელი არ შეეშალა, კარი მოვიხურე, არტის მაგიდას მივუჯექი და ბრედფორდის ნომრის აკრეფა დავიწყე.

— ჰო, კიდევ, — მითხრა ჯუდიტმა, — ფრიც ვერნერმა დარეკა. შენთან უნდა საუბარი.

ეს მოსალოდნელი იყო. ვინ-ვინ და ფრიცი ყოველთვის დაყნოსავს ხოლმე. მეორე მხრივ, მას შეიძლება რაიმე არსებითი სცოდნოდა.

— მოგვიანებით დავურეკავ, — ვუთხარი მე.

— ჰო, სანამ დამვიწყებია, ხვალ ხომ სტუმრად მიდივართ.

— არსად არ მინდა წასვლა.

— ჯორჯ მორისთან ვართ მიწვეულნი და მოგვიწევს წასვლა, — შემეპასუხა იგი. — კინაღამ დამავიწყდა.

— კარგი! რომელ საათზე?

— ექვსზე. შეგვიძლია ადრე გავიდეთ.

— კარგი!

ის სამზარეულოში დაბრუნდა. ამ დროს მავთულის მეორე ბოლოში მდივანმა ქალმა ყურმილი აიღო.

— მისტერ ბრედფორდს სთხოვეთ.

— ძალზე ვწუხვარ, — მიპასუხა მდივანმა ქალმა. — მისტერ ბრედფორდი უკვე წავიდა.

— როგორ შევძლებდი მასთან დაკავშირებას?

— მისტერ ბრედფორდი ხვალ, დილის ცხრა საათზე იქნება კანტორაში.

— ასე დიდხანს ლოდინი არ შემიძლია.

— ძალზე ვწუხვარ, სერ.

— თქვენ ნუ წუხხართ. უბრალოდ წაბრძანდით და მოძებნეთ იგი. მე ექიმი ბერი გახლავართ.

მისი ტონი წამშივე შეიცვალა:

— გეთაყვათ, ექიმო, წუთით მომითმინეთ. — რამდენიმე წუთის შემდეგ მიპასუხა: — მისტერ ბრედფორდი უკვე მიდის, მაგრამ ახლავე დაგელაპარაკებათ.

— გმადლობ!

გაისმა მექანიკური ჩხაკუნი.

— ჯორჯ ბრადფორდი გისმენთ.

— მისტერ ბრედფორდ, ჯონ ბერი ვარ.

— დიახ, ექიმო ბერი. რით შემიძლია გემსახუროთ?

— არტ ლის თაობაზე მსურდა თქვენთან ლაპარაკი.

— ექიმო ბერი, მე უკვე მივდივარ...

— ხომ ვერ შევხვდებოდით სადმე?

ცოტა ხანს დუმდა და ტელეფონში ამოიოხრა.

— ეს არაფერს მოგვცემს. ვშიშობ, ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. ამის მიზეზი მე არა ვარ.

— დიდ დროს არ წაგართმევთ.

— ასეთ შემთხვევაში, ოცი წუთის შემდეგ ჩემს კლუბში დაგელოდებით, „ტრაფალგარში“.

ყურმილი დავკიდე. ძაღლის შვილი! „ტრაფალგარი“ ქალაქის მეორე ბოლოშია. იქ რომ დროზე მივასწრო, კისრისტეხით უნდა ვიქროლო. ჰალსტუხი გავისწორე და მანქანისკენ გავიქეცი.

კლუბი „ტრაფალგარი“ მოთავსებული იყო ბიკონ-სტრიტზე ძველებურ, განცალკევებულ სახლში, ზედ ჰილის ძირში. პალტოს ჩამოსაკიდად ჩაბარების დროს შევამჩნიე განცხადება, რომელიც მშრალად იტყობინებოდა: „ქალბატონებს შესვლის ნება ეძლევათ მიპატიჟებით, ხუთშაბათობით ოთხიდან ექვსის ნახევრამდე“. ბრედფორდი ვესტიბიულში შემომხვდა. ეს გახლდათ უნაკლოდ ჩაცმული, ტანდაბალი, ჩასკვნილი კაცი. ვიწრო თეთრზოლიანი შავი კოსტიუმი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში სამსახურში ეცვა, სრულიად არ იყო დაჭმუჭნილი, ფეხსაცმელები ბზინავდა, ხოლო პერანგის მანჟეტები

იმდენად იყო გამოწეული პიჯაკის სახელოებიდან, როგორც ეს მიღებულია. ჯიბის საათს ვერცხლის ძეწკვით ატარებდა, უნივერსიტეტის ნიშანი ლამაზად ეხამებოდა ჟილეტის შავ ქსოვილს. საჭირო არ იყო ცნობარში ჩახედვა იმის გამოსარკვევად, რომ ის ცხოვრობდა ბევერლი ფარმსში ან სადმე ამდაგვარ ადგილზე, სწავლობდა ჰარვარდის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომ მის ცოლს დამთავრებული ჰქონდა ვასარი, დღემდე იცვამდა ნაკეცებიან ქვედატანს, ქიშმირის მატყლის სვიტერს და ყელზე ეკიდა მარგალიტი, რომ მისი ბავშვები გროტონსა და კონკორდში სწავლობდნენ.

— პირადად მე წინააღმდეგი არ ვარ, თითო ჭიქა დაველიოთ, — მითხრა მან. — თქვენ როგორ უყურებთ ამას?

— დადებითად!

ბარი მეორე სართულზე იყო. ფანჯარასთან მოხერხებულ სავარძლებში ჩავსხედით და ჩემთვის „გიბსონი“ შევუკვეთე. ბრედფორდმა მხოლოდ თავი დაუქნია ბარმენს. სანამ ველოდებოდით, მან მითხრა:

— მესმის, რომ ნაწყენი ხართ ჩემი გადაწყვეტილებით, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა...

— მე არ ვარ ნაწყენი. ძიებაში ხომ ჩემი საქმე არაა.

ბრედფორდმა ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა და უკანვე ჩაიდო.

— მე ბევრი კლიენტი მყავს და მისტერ ლი — მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია.

— ექიმი ლი!

— სავსებით სწორია, ექიმი ლი. ის მხოლოდ ერთ-ერთი ჩემი კლიენტთაგანია. ყველას მიმართ აღებული მაქვს ვალდებულებანი, რომელთა შესრულებასაც ჩემი შესაძლებლობისდა მიხედვით ვცდილობ. დღეს, სადილის შემდეგ, ვესაუბრე საოლქო პროკურორს, მინდოდა გამეგო, როდის მოისმენდნენ ექიმ ლის საქმეს. აღმოჩნდა, რომ მისი განხილვა ემთხვეოდა სხვა

საქმეს, რომლის წარმოებაზე უკვე დიდი ხნის წინ მივეცი თანხმობა. ერთდროულად ორ სასამართლო დარბაზში ვერ ვიქნები.

მოიტანეს სასმელი. ბრედფორდმა ასწია თავისი სირჩა.

— იცოცხლეთ!

— თქვენც!

ოდნავ მოსვა, სირჩას ჩახედა და განაგრძო:

— როდესაც ექიმ ლის ავუხსენი მდგომარეობა, მან გამიგო. ისიც ვუთხარი, რომ ჩემი ფირმა შეეცდება მისთვის ძალზე კომპეტენტური დამცველის გამოყოფას. ჩვენ ოთხი უფროსი პარტნიორი გვყავს და სრულიად შესაძლებელია, ერთ-ერთმა მათგანმა შეძლოს ხელის...

— მაგრამ, არა უეჭველად?

— კი მაგრამ, ამ ქვეყანაში რა არის უეჭველი?

ცოტა მოვსვი სირჩიდან. ცუდი კოქტეილი იყო — ოდნავ არაყგარეული ვერმუტი.

— ახლოს იცნობთ რენდალს? — შევეკითხე მე.

— დიახ, ვიცნობ.

— ხომ არ მოახდინა ამან რაიმე გავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე?

— რასაკვირველია, არა! — უცებ ის გასწორდა. — ყოველი ადვოკატი ძალზე სწრაფად ხვდება განსხვავებას მეგობრულ და საქმიან ურთიერთობებს შორის. ეს ხშირად აუცილებელია ხოლმე. — მან გაიღიმა და კვლავ მოსვა სირჩიდან: — ექიმო ბერი, ჩვენში დარჩეს და, გარწმუნებთ, მე სავსებით სოლიდარული ვარ ექიმ ლის მიმართ. ჩვენ ორივენი იმ აზრისანი ვართ, რომ აბორტი — სავსებით ცხოვრებისეული რამაა. მუდამ აკეთებდნენ და გააკეთებენ. პრაქტიკული თვალსაზრისითაც აუცილებელია. ჩვენი კანონები ამის შესახებ ბუნდოვანია, ცუდად ჩამოყალიბებული და სასაცილომდე მკაცრი. მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ ექიმები ამ შემთხვევაში კანონზე გაცილებით

მკაცრნი არიან. საავადმყოფოების სპეციალური კომისიები ძალზე ფრთხილობენ. ისინი უარს ეუბნებიან აბორტის გაკეთებაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონი, ალბათ, არც ჩაერეოდა. ჩემი აზრით, აბორტის თაობაზე კანონების შეცვლამდე, საჭიროა შეიცვალოს სამედიცინო სამყაროში გაბატონებული განწყობილებები.

ვერაფერი ვუპასუხე. ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო — საუკუნეობით ნაკურთხი წეს-ჩვეულებაა, და ის დუმილით უნდა განჭვრიტო.

— მაშ ასე, მოდით ვისაუბროთ ექიმ ლის შესახებ. მას წაყენებული აქვს სამოცდათვრამეტი წლის წინ მიღებული, მასაჩუსეტსის შტატის კანონის სტატია, რომლის მიხედვითაც აბორტი სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება ჯარიმით და ხუთ წლამდე პატიმრობით. სიკვდილის შემთხვევაში, სასჯელი შეიძლება შვიდიდან ოც წლამდე იყოს.

— ეს რა, მკვლელობაა დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებებით, თუ არაწინასწარგანზრახული მკვლელობა?

— ტექნიკურად არც ერთი და არც მეორე.

— მაშასადამე, თავდებში აყვანა შეიძლება?

— სავარაუდოდ — კი! მაგრამ ამ შემთხვევაში — არა, იმიტომ, რომ პროკურორი შეეცდება საერთო სამართლის საფუძველზე წაუყენოს მკვლელობის მუხლი. ამ მუხლის საფუძველზე სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად გამოწვეული სიკვდილი არის მკვლელობა. საქმის წარმოების პროცესში ბრალდება წარადგენს დამამტკიცებელ საბუთებს (დარწმუნებული ვარ, საკმაოდ საფუძვლიანს), რომ ექიმი ლი არალეგალურ მეანობას ეწევა. ისინი დაამტკიცებენ, რომ ის გოგონა, კარენ რენდალი, დადიოდა ექიმ ლისთან და მან რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო მისი ვიზიტის რეგისტრირება არ გააკეთა. დაამტკიცებენ, რომ მას არა აქვს მტკიცე ალიბი. მისის რენდალის ჩვენებასაც წარმოადგენენ, რომ როგორც მისმა

ქალიშვილმა უთხრა, ოპერაცია ექიმმა ლიმ გაუკეთა. ამგვარად, ყველაფერს მიიყვანენ ჩვენებების კოლიზიასთან. ლი — გამჟღავნებული იატაკქვეშელი მეანი — დაიწყებს მტკიცებას, რომ ოპერაცია მას არ გაუკეთებია; მისის რენდალი თავისას იტყვის — იმან გააკეთაო. თქვენ რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში იყოთ, ვის დაუჯერებდით?

— მტკიცებები იმის შესახებ, რომ იმ გოგოს ოპერაცია ექიმმა გაუკეთა, არ არსებობს. ყველა სამხილი არაპირდაპირია.

— არ დაგავიწყდეთ, მას ბოსტონში გაასამართლებენ.

— სადმე სხვაგან გაასამართლეთ, — ვუთხარი მე.

— რა საფუძველზე? იმის გამო, რომ საზოგადოებრივი აზრი აქ მისთვის არახელსაყრელია?

— თქვენ საქმის ტექნიკურ მხარეზე ლაპარაკობთ. მე კი ადამიანის გადარჩენაზე.

— ტექნიკურ მხარეში იმალება კანონის სიძლიერე.

— და მისი სისუსტე.

მან ჩაფიქრებულმა შემომხედა:

— ექიმ ლის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა დამტკიცდეს, რომ ოპერაცია მას არ გაუკეთებია. ამისთვის საჭიროა ნამდვილი დამნაშავის პოვნა. ვფიქრობ, ამის ძალზე ცოტა შანსია.

13

როდესაც სახლში დავბრუნდი, აღმოჩნდა, რომ ჯუდიტი ბავშვებიანად ჯერ ისევ ბეტისთან იყო. კიდევ ერთი კოქტეილი ავურიე, ამჯერად მაგარი და სასტუმრო ოთახში დავჯექი. ძალზე დაღლილი ვიყავი და ნერვებიც მოშლილი მქონდა.

ცუდი ხასიათი მაქვს. ვიცი და ვცდილობ თავის შეკავებას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, მკაცრი და უტაქტო ვარ. ალბათ იმიტომ, რომ მიზანტროპიისკენ მაქვს მიდრეკილება — იქნებ, სწორედ ამის გამო გავხდი პათოლოგანატომი. განვლილ

დღეს რომ გადავავლე თვალი, მივხვდი, ძალზე ხშირად ვკარგავდი წონასწორობას. სისულელეა: ამით ვერაფერს ვიგებდი, წაგება კი შემეძლო, და ძალიანაც მაგრად. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ლაპარაკობდა სანდერსონი. დაიწყო იმით, რომ მაცნობა, საავადმყოფოს ტელეფონით გელაპარაკებიო.

— გასაგებია! — ვუპასუხე მე: საავადმყოფოს ტელეფონს სულ ცოტა, ექვსი პარალელური აპარატი აქვს.

— როგორ გაატარეთ დღე? — შემეკითხა სანდერსონი.

— საინტერესოდ, — ვუპასუხე მე. — თქვენ?

— ზოგი რამ ჩემთანაც მოხდა, — მითხრა სანდერსონმა.

ასეც ვეჭვობდი. როგორც ჩანს, ყველა, ვისაც კი გზაზე ველობებოდი, მაშინვე სანდერსონზე იწყებდა იერიშის მიტანას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაისმა დაჟინებული ხმები ჩემი ლაბორატორიაში დაბრუნების შესახებ, ანდა ჩემს ადგილზე ვინმე სხვა კაცის აყვანის თაობაზე.

— უთხარით, რომ ათაშანგი მაქვს მესამე სტადიაში. ეს გავლენას მოახდენს.

სანდერსონმა გაიცინა:

— ჯერჯერობით ვუმკლავდები. მაგარი კისერი მაქვს. ერთხანს კიდევ გაუძლებს. — და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაამატა — კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება?

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე. — აქ სხვადასხვაგვარი გართულებებია.

— ხვალ შემომიარეთ და ყველაფერზე მოვილაპარაკოთ.

— კარგი, — ვუთხარი მე. — ხვალინდელი დღისთვის იქნებ მეტი ვიცოდე.

XXX

სანამ ვსაუზმობდი, ჯუდიტი ჩემთან იჯდა. ბავშვებს ჯერ კიდევ ეძინათ და მარტონი ვიყავით.

— რის გაკეთებას ფიქრობ დღეს? — მკითხა მან.

— ჯერ არ ვიცი. — სწორედ ეს შეკითხვა მივეცი ახლა ჩემს თავს. ბევრი რამის გარკვევა იყო საჭირო, ძალზე ბევრის. განსაკუთრებით, რაც კარენსა და მისის რენდალს შეეხებოდა. თითქმის არაფერი ვიცოდი არც ერთსა და არც მეორეზე. — დავიწყებ კარენით, — ვუთხარი მე.

— რატომ?

— რაც მის შესახებ მითხრეს, იქიდან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ კარენი მომხიბვლელი იყო. ეს მშვენიერი გოგონა ყველას უყვარდა.

— იქნებ, ეს სიმართლეცაა.

— შესაძლოა, — დავეთანხმე მე, — მაგრამ, გარდა მისი ძმისა და მამისა, კარგი იქნებოდა სხვისი აზრიც გაგვეგო.

— კი მაგრამ, როგორ შეძლებ ამას?

— დავიწყებ კოლეჯიდან, სადაც ის სწავლობდა.

საშაბათი

11 ოქტომბერი

1

მასაჩუსეტსი, ნორტჰემპტონი, სმიტის კოლეჯი. ყრუ, მივარდნილი ადგილია, სადაც ორი ათასი ქალიშვილი დახვეწილ განათლებას იღებს. აქ თვით ჰაერიც უსაშველო სევდით გაჟღენთილი გვეჩვენება — ქვეყნის კიდეზე ოთხი წლით გადასახლებული, ორი-ათას ორასი ქალიშვილის სევდა შერწყმულია ადგილობრივი მცხოვრებლების გაბოროტებასთან, რომლებმაც ძალაუნებურად უნდა ითმინონ მათი იქ ყოფნა.

საცნობაროს დაფლეთილ წიგნში კარენ რენდალის გვარი

ვიპოვე და მისი საერთო საცხოვრებლის — ჰენლი ჰოლის მოსაძებნად უილბერ-სტრიტისკენ გავემართე.

საერთო საცხოვრებელი ორსართულიანი, თეთრი სახლი აღმოჩნდა. მასში ორმოცი სტუდენტი გოგონა ცხოვრობდა. ქვედა სართულზე დაუთოებულთმიანი და ჯინსიანი ქალიშვილები ირეოდნენ. კართან მორიგის პატარა მაგიდა იდგა.

— კარენ რენდალის ნახვა მსურს, — მივმართე მას.

ისეთი შიშით შემომხედა, თითქოს მის წინ ღრმად მოხუცი მაცდური ყოფილიყოს.

— მისი ბიძა ვარ, — ვიცრუე მე. — დოქტორი ბერი.

— შაბათსა და კვირას აქ არ ვყოფილვარ, — მითხრა გოგონამ, — და დაბრუნების შემდეგ არ მინახავს კარენი. უიკ-ენდზე ბოსტონში აპირებდა წასვლას.

ბედი მეწია: როგორც ჩანს, ამ გოგონამ არაფერი იცოდა. საინტერესოა, სხვებმა თუ იციან. ერთი შეხედვით ვერ განვსაზღვრავ. საერთო საცხოვრებლის გამგემ უნდა იცოდეს, ანდა ყოველ შემთხვევაში, მალე გაიგებს. შეძლებისდაგვარად უნდა ვერიდო გამგესთან შეხვედრას.

— აი, გინი, — მითხრა მორიგის პატარა მაგიდასთან მჯდომმა ქალიშვილმა. — ისინი ერთ ოთახში ცხოვრობენ. — კარში შავთმიანი გოგონა გამოჩნდა, რომელსაც შემოტკეცილი ჯინსი და კარგად მომდგარი ზოლიანი სვიტერი ეცვა. მორიგემ თავისთან მოიხმო გინი და უთხრა: — ეს არის დოქტორი ბერი. მას კარენის ნახვა სურს.

გინიმ თავზარდაცემულმა შემომხედა. მან იცოდა! სწრაფად გავუკეთე ხელკავი, მისაღები ოთახისკენ წავიყვანე და იქ დავსვი.

— მაგრამ, კარენი...

— ვიცი, — შევაწყვეტინე მას. — სალაპარაკო მაქვს თქვენთან.

— ალბათ, უკეთესი იქნება, ამის ნებართვა მისის პიტერ-

სისგან აიღოთ, — მითხრა გინიმ. მან წამოდგომა დააპირა, მაგრამ რბილად და დაჟინებით დავსვი ადგილზე.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ გუშინ დავესწარი კარენის გვამის გაკვეთას. — მან ხელი პირთან მიიტანა. — მაპატიეთ, რომ ასე ერთბაშად შემოგიტიეთ, მაგრამ რამდენიმე სერიოზული შეკითხვა მაქვს, რომელზედაც პასუხის გაცემა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ. — გინი კვლავ უნდობლად შემომყურებდა, მაგრამ ვხედავდი, რომ მასში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა. წავიდეთ სადმე, განვმარტოვდეთ და ვილაპარაკოთ...

— მერწმუნეთ, არ ვიცი...

— რამდენიმე წუთზე მეტს არ დაგაკავებთ.

ის წამოდგა და დერეფნისკენ მანიშნა.

— ჩვეულებრივად, ჩვენს ოთახში მამაკაცების მიღების ნებას არ გვაძლევენ, — მითხრა მან, — მაგრამ თქვენ ხომ ნათესავი ბრძანდებით.

გინისა და კარენის ოთახი პირველ სართულზე მდებარეობდა. ვიწრო ოთახი სავსე იყო ყოველგვარი წვრილმანებით, რომლებიც შეიძლება ნახოთ ნებისმიერი სტუდენტი ქალიშვილის საცხოვრებელში: ახალგაზრდა მამაკაცების ფოტოებით, წერილებით, სახუმარო მისალოცი ბარათებით, ლექციების განრიგით, სუნამოების ფლაკონებით, სათამაშო მხეცებით; გინი ერთ-ერთ საწოლზე ჩამოჯდა და სკამზე მიმითითა.

— გუშინ საღამოს მისის პიტერსმა მითხრა, — ჩაილაპარაკა გინიმ, — რომ კარენი... კატასტროფაში დაიღუპა. მან მთხოვა ჯერჯერობით არავისთვის მეთქვა. უცნაურია! ჯერ არავინ მომკვდარა, — რასაკვირველია, ჩემი თანატოლებიდან. საერთოდ, გამიგებთ, უცნაურიცაა, მინდა ვთქვა, საოცარია, რომ ამ ამბის გაგების შემდეგ ვერაფერი ვერ ვიგრძენი. ვერაფრით შევძელი დანაღვლიანება. ალბათ ღრმად ვერ განვიცადე.

— ადრე თუ იცნობდით კარენს?

— არა. განაწილებით მოვხვდით ერთ ოთახში.

— კარგად შეეწყვეთ ერთმანეთს?

— დიახ, საერთოდ, შევეწყვეთ. კარენი სულაც არ იქცეოდა პირველკურსელივით. მას აქ არავის და არაფრის ეშინოდა. გამუდმებით მიდიოდა ხან ერთი დღით და ხან უიკ-ენდზე. მუდამ. დღე იმეორებდა, რომ საშინლად არ მოსწონდა აქაურობა. საერთოდ, აქ ყველა ასე ამბობს, მაგრამ მას მართლაც სძულდა კოლეჯი.

— რა გაძლევდათ ამის ფიქრის საფუძველს?

— მისი ქცევა. აცდენდა მეცადინეობებს, მუდამ სადღაც იკარგებოდა. უიკ-ენდზე წასვლისას ამბობდა, თითქოს მშობლებთან მიდიოდა, სინამდვილეში კი არასდროს მიდიოდა მათთან. მას სძულდა მშობლები. — გინი ადგა და კედლის კალენდის კარი გამოაღო. შიდა მხარეს ჭიკარტებით მიმაგრებული იყო ჯ. დ. რენდალის დიდი პრიალა ფოტოსურათი. — იცით რას აკეთებდა? ყოველ საღამოს, ძილის წინ, ისრებს ესროდა მამამისის სურათს.

— დედაზე რაღას იტყვით?

— ოჰ, დედა უყვარდა, ნამდვილი დედა, რომელიც გარდაიცვალა. ახლა კი დედინაცვალი ჰყავს. მას კი კარენი მაინცდამაინც არ სწყალობდა.

— მაინც, ჩვეულებრივ, რაზე ლაპარაკობდა კარენი?

— ბიჭებზე, — მიპასუხა გინიმ და ისევ ჩამოჯდა საწოლზე. — კიდევ რაზე უნდა ვილაპარაკოთ აქ? ბიჭებზე! ადრე კარენი სადღაც აქ, ახლოს კერძო სკოლაში სწავლობდა და ბევრ ახალგაზრდას იცნობდა. მასთან ხშირად ჩამოდიოდნენ იელის უნივერსიტეტის სტუდენტები.

— ხვდებოდა ვინმეს მუდმივად?

— ვფიქრობ, რომ არა. ბევრი ვინმე ჰყავდა. ყველანი კუდში დასდევდნენ.

— მოსწონდათ ბიჭებს?

— მოწონების გარდა, შეიძლება სხვა რაღაცებიც იყო. გინიმ შუბლი შეჭმუხნა. — იცით, ახლა, რასაკვირველია, კარგი არაა მასზე რომ ვჭორაობთ და დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს ყველაფერი სწორია. იქნებ, უბრალოდ მონაგონია.

— მაინც რაშია საქმე?

— იცით რა, როცა აქ ჩამოდიხარ, არავინ გიცნობს, არავის არაფერი გაუგონია შენ შესახებ, ამიტომ შეგიძლია რაც გინდა, ის როშო, და ყველაფერი შეგრჩება. მე ჩემ შესახებაც ზოგიერთ რამეს ვიგონებდი...

— მაინც რას გიყვებოდა კარენი?

— სიმართლე რომ ვთქვა, ის არც კი ჰყვებოდა. უფრო სწორად, სიტყვას გადაჰკრავდა ხოლმე. მოსწონდა, როდესაც შმაგი ეგონათ და გვაგრძნობინებდა, რომ ყველა მისი მეგობარი შმაგი იყვო. შმაგი მისი საყვარელი სიტყვა იყო და ყოველივეს ისე ლაპარაკობდა, რომ უნებურად სჯეროდათ მისი. ყველაფერზე ნახევრად გადაკვრით ლაპარაკობდა. აი, თავისი აბორტებისა და სხვა ამგვარების შესახებ.

— აბორტების?

— როგორც თვითონ ამბობდა, ჯერ კიდევ კოლეჯში მიღებამდე ორჯერ ჰქონდა გაკეთებული. არარეალურად ჟღერს, ხომ სწორია? ორი აბორტი! ის ხომ მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო. მე მაინცდამაინც არ დავუჯერე. მაშინ ახსნა დამიწყო, თუ როგორ კეთდებოდა ეს და მეც შევეჭვდი: იქნებ, მართალიცაა?

მედიკოსთა ოჯახიდან გამოსულ ქალიშვილს ადვილად შეეძლო თავის გამოჩენა ოპერაციის პროცედურის ცოდნით. ეს სრულიადაც არ იყო იმის დამადასტურებელი, რომ თვითონ ჰქონდა გაკეთებული.

— მოგიყვათ რაიმე თავისი აბორტების შესახებ? სად უკეთებდნენ?

— არა, ისე თქვა, რომ გაუკეთეს. საერთოდ უყვარდა ამგვარ თემებზე ლაპარაკი. მოსწონდა ჩემი შოკირება. მახსოვს

ჩვენი პირველი უიკ-ენდი — არა, მგონი, მეორე, — შაბათ საღ-
ამოს სადღაც წავიდა დროს სატარებლად და ძალიან გვიან
დაბრუნდა, გაწეწილი, მოთენთილი, შეწვა ლოგინში და მითხრა:
„დალახვროს ეშმაკმა, მაინც რა ძლიერ მიყვარს შავი ხორ-
ცი!“ აი, ასე, მოურიდებლად. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ჩვენ
მაშინ ახალგაცნობილები ვიყავით და დუმილი ვარჩიე. ვიფიქრე,
რომ ეს ისე, ფორსისთვის თქვა.

— მაგრამ, ზოგჯერ მაინც ხომ გჯეროდათ მისი?

— ორი თვის შემდეგ დავიწყე დაჯერება.

— ოდესმე ეჭვი ხომ არ აღგძვრიათ, რომ ის ორსულად
იყო?

— სანამ აქ იყო? კოლეჯში? არა! არასდროს ამგვარი რამ
არ უთქვამს. გარდა ამისა, ის მუდამ იღებდა აბებს.

— ნამდვილად იცით, რომ იღებდა?

— დიახ. ამას სრულიად აშკარად აკეთებდა, ყოველ დილ-
ით. აი ისინი — ის აბები, თქვენ წინაა მის პატარა მაგიდაზე.
აი, იმ შუშაში.

მაგიდასთან მივედი და პლასტმასის შუშა ავიღე. ეტიკეტზე
ეწერა: „აფთიაქი „შუქურა“, მიღების წესები არ იყო აღნიშნუ-
ლი. რეცეპტის ნომერი ჩავიწერე, შემდეგ შუშას თავი მოვხადე
და იქიდან ერთი აბი გადმოვაგდე. შიგ კიდევ ოთხი ცალი იყო.

— ყოველდღე იღებდა?

— ყოველ ცისმარე დღეს, — მიპასუხა გინიმ.

მე არც გინეკოლოგი ვარ და არც ფარმაცევტი, მაგრამ ცოტა
რამ მაინც გამეგება. ჯერ ერთი, ორსულობის საწინააღმდეგო
საშუალებათა უმრავლესობა ახლა სპეციალურად შეფუთული
იყიდება, მეორე, პირველდაწყებითი დოზა დღეში ათი გრამიდან
შემცირებულია ორამდე, მაშასადამე, აბები ძალზე პატარა უნდა
იყოს. ესენი კი შედარებით დიდია, სახელწოდების გარეშე, ძალზე
თეთრი ფერის და თანაც ხაოიანი. ერთი ჯიბეში ჩავიდე, ხოლო
დანარჩენები ისევ პატარა ბოთლში ჩავყარე.

— ხომ არ იცნობთ რომელიმე ახალგაზრდას, ვისაც კარენი ხვდებოდა?

გინიმ თავი გააქნია.

— კარენი თავისი პაემნების შესახებ ლაპარაკობდა?

— სიმართლე რომ გითხრათ, არა. ლაპარაკობდა განყენებულად, არავის ასახელებდა, გესმით? ერთი წუთით. — გინი წამოდგა და კარენის ტუალეტის პატარა მაგიდასთან მივიდა. სარკის ჩარჩოს უკან ახალგაზრდა ყმაწვილების რამდენიმე სურათი იყო ამოშვერილი. მან ორი მათგანი ამოიღო და გამომიწოდა. — აი, ამ ყმაწვილის შესახებ მიამბობდა. ოღონდ ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ იგი მას აღარ ხვდებოდა. ჩემი აზრით, ისინი გასულ ზაფხულს ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს ყმაწვილი ჰარვარდიდანაა.

სურათზე ფეხბურთელისფორმიანი სტუდენტი დავინახე. მის მკერდზე ლამაზად მოჩანდა ციფრი 71, ჩაცუცქული წინ გადმოწეულიყო და პირდაპირ ობიექტივში იკრიჭებოდა.

— რა გვარია?

— არ ვიცი.

ჰარვარდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებს შორის ფეხბურთის მატჩის პროგრამა ავიღე. ნომერი 71 — მარჯვენა მცველი ელან ზენერი. გვარი ჩავიწერე და ფოტოსურათი გინის დავუბრუნე.

— აი ეს, — მითხრა მან და მეორე ფოტოსურათი გადმომცა, — უფრო გვიანი დროისაა. ვფიქრობ, მას ბოლო დრომდე ხვდებოდა, ზოგჯერ ძილის წინ ამ ფოტოსურათს კოცნიდა. მას, მგონი, ჰარი ჰქვია. ჰარი ან ერიკი.

სურათზე აღბეჭდილი იყო მაგრად შემოჭერილ მბზინავ კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა ზანგი, რომელსაც ხელში ელექტროგიტარა ეჭირა. ის ნაძალადევად იღიმებოდა.

— თქვენი აზრით, ის ამ ყმაწვილს ხვდებოდა?

— დიახ, ასე ვფიქრობ. ის ბოსტონის ერთ-ერთ ჯაზში უკრავს.

— და თქვენი აზრით, მას ჰარი ჰქვია?

— დიახ, რაღაც ამდაგვარი.

— ამ ჯაზბენდის სახელწოდება არ იცით?

— კარენს თავისი რომანების საიდუმლოებით შემოსვა უყვარდა, — მოიღუშა გინი. — არ ჰგავდა სხვა გოგონებს, რომლებიც სიხარულით გეტყვიან ყველა წვრილმანს, რაც მათ ბიჭებს შეეხებათ. კარენი სხვანაირი იყო: ყველაფერზე გადაკვრით ლაპარაკობდა.

— ის რა, უიკ-ენდებზე ხვდებოდა მას?

გინიმ თავი დამიქნია.

ფოტოსურათები ხელში შევათამაშე. უკანა მხარეს წარწერა იყო:

„ფოტოატელიე კერზონი, ვაშინგტონ-სტრიტი".

— შეიძლება წავიღო?

— ინებეთ, — მიპასუხა მან. — რა ჩემი საქმეა!

ფოტო ჯიბეში ჩავიდე და ისევ დავჯექი.

— მისი ყმაწვილებიდან თუ იცნობთ რომელიმეს?

— არა, თავისი მეგობრებიდან არავის მაცნობდა. თუმცა... ერთი წუთით. ერთხელ გამაცნო გოგონა.

— გოგონა?

— დიახ. როგორღაც კარენმა მითხრა, ერთი დღით მასთან ჩამოვიდოდა მისი ახლო მეგობარი. ყურები წაიღო იმის ლაპარაკით თუ როგორ გაბედული და თავზე ხელაღებული გოგონა იყო, ღმერთმა იცის, რეები მოჰყვა. მართლა რაღაც გადასარევის გამოჩენას ველოდი. და აი, ჩამოვიდა...

— მერე და, რა?

— მართლაც, უცნაური, — მითხრა გინიმ. — ძალზე მაღალი და გრძელფეხება ქალიშვილი. კარენი გამუდმებით იმეო-

რებდა, თუ როგორ უნდოდა მასაც ასეთი გრძელი ფეხები ჰქონ-
ოდა, ხოლო ის გოგონა იჯდა და დუმდა. მართლაც ლამაზი
იყო, მაგრამ საოცრად უცნაური. გეგონებოდა სძინავს და ისე
დადისო. იქნებ რაიმე ჰქონდა ნაყლაპი. ბოლოს და ბოლოს,
თითქმის ერთი საათი მდუმარედ ჯდომის შემდეგ ალაპარაკდა.
რაღაც სისულელეებს ლაპარაკობდა.

— რა ერქვა იმ გოგონას?

— არ მახსოვს. მგონი, ენჯი.

— სტუდენტი იყო?

— არა, თუმცა არც იმდენი ხნისა იყო, მუშაობდა. კარენმა
თქვა — მედდააო.

— იქნებ გაიხსენოთ მისი გვარი, — ვთხოვე მე.

გინიმ წარბები შეჭმუხნა და იატაკს ჩააშტერდა. შემდეგ
თავი გააქნია:

— არა, არ შემიძლია. არ დამიმახსოვრებია.

ამ თემაზე მეტხანს მსურდა შეჩერება, მაგრამ დროისთ-
ვისაც უნდა გამეწია ანგარიში.

— კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ კარენზე? ნერვიული იყო?
მოუსვენარი?

— არა! ჩვენთან ყველანი ნერვიულები არიან, განსაკუთრე-
ბით სესიების დროს, მაგრამ მას თითქოს ყველაფერი ფეხებზე
ეკიდა. ნახევრად მკვდარივით იყო და როდესაც პაემანზე წასვ-
ლის დრო დგებოდა, მაშინ გამოცოცხლდებოდა ხოლმე. ისე
კი, მუდამ დაღლილი იყო და ამ დაღლილობაზე ჩიოდა.

— ბევრი ეძინა?

— დიახ. თითქმის ყველა ლექციაზე ეძინა.

— ბევრს ჭამდა?

— განსაკუთრებით არა. სადილობის დროსაც ხშირად ჩაე-
ყვინთებოდა ხოლმე.

— ასეთ შემთხვევაში, ის, ალბათ წონაშიც იკლებდა?

— პირიქით, იმატებდა. საკმაოდ შესამჩნევად. მეცადინეობის დაწყებიდან ისე მოიმატა, რომ ვერც ერთ კაბაში ვეღარ ეტეოდა. ახალი კაბის ყიდვა მოუხდა.

— სხვა ცვლილება თუ შენიშნეთ?

— მხოლოდ ერთი. თან დარწმუნებული არ ვარ, რომ ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. უფრო სწორად, კარენისათვის ამას რასაკვირველია, ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ სხვები ვერ ამჩნევდნენ. საქმე ისაა, რომ მას ეჩვენებოდა, თითქოს თმა ეზრდებოდა. ხელებსა და ფეხებზე თმა წამოეზარდა, ტუჩებზე პატარა ულვაში დაემჩნა. ჩიოდა, ყოველდღე მიხდება ფეხების გაპარსვაო.

საათს დავხედე: შუადღე ახლოვდებოდა.

— რას იზამ, მეტს აღარ დაგაკავებთ, თქვენ, ალბათ, ლექციებზე უნდა წახვიდეთ.

— არა უშავს, — მითხრა გინიმ, — ჩემთვისაც ძალიან საინტერესოა.

— უფრო სწორად?

— საინტერესოა მუშაობის დროს თქვენი ყურება.

— ალბათ, ადრეც გისაუბრიათ ექიმებთან?

— თქვენ რა, სულელი გგონივართ? — უკმაყოფილო ტონით მითხრა მან. — გუშინ არ გავჩენილვარ ქვეყანაზე.

— ძალზე ჭკვიან გოგონად მიმაჩნიხართ.

— გსურთ, რომ ჩვენებები მოგცეთ?

— რა ჩვენებები?

— სასამართლოზე პროცესის დროს. — მისი სახე კინოეკრანის გმირი ქალის გამჭრიახობის გამოხატულება იყო.

— კარგად ვერ გავიგე, რისი თქმა გსურთ.

— ნუ მიმალავთ. — მითხრა მან. — მე ხომ მესმის, რომ ადვოკატი ბრძანდებით. გისურვებთ საქმე წარმატებით წაგვვანოთ.

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენტგენის კაბინეტში, ჩემს ძველ ნაცნობთან, მემორიალურის რენტგენოლოგ ჰიუზთან ერთად შევედი, მე და ჯუდიტი ზოგჯერ მასთან და მის ცოლთან ერთად ბრიჯს ვთამაშობდით. მოწინააღმდეგეების მიმართ ორივე დაუნდობლად თამაშობდა, მაგრამ ეს მომწონდა კიდეც. ზოგჯერ მეც წამომივლის ხოლმე ასეთი ხუშტური.

ლუის კარს იმიტომ არ დავურეკე, რომ დარწმუნებული ვიყავი, უარს მეტყოდა. ჰიუზი კი იერარქიული კიბის საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგა და ფეხებზე ეკიდა, ვისი სურათები მაინტერესებდა — კარენ რენდალისა თუ აღა ხანისა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ თირკმლის ოპერაცია გაუკეთეს. ჰიუზმა პირდაპირ კაბინეტში შემიყვანა. იქ რამდენიმე რენტგენოლოგი მუშაობდა. თითოეულის წინ სურათებიანი კონვერტი და მაგნიტოფონი იდო. ისინი ერთიმეორის მიყოლებით იღებდნენ სურათებს, კითხულობდნენ პაციენტის გვარს, რიგით ნომერსა და სურათის ხასიათს. შემდეგ სწრაფად ამაგრებდნენ მქრქალ მინაზე და იწყებდნენ დიაგნოზის კარნახს.

სურათები რენტგენის კაბინეტის გვერდითა ოთახში ინახებოდა. ჰიუზი შევიდა იქ, კარენ რენდალის სურათები აიღო და მომიტანა. მინის კედელთან დავსხედით და ჰიუზმა მასზე პირველი სურათი მიამაგრა.

— თავის ქალის გვერდითი სურათი, — ჩაილაპარაკა მან — თუ იცი, რატომ დაუნიშნეს?

— არა, — ვუპასუხე მე. ფირს შევხედე, მაგრამ ცოტა რამ თუ გავარჩიე. თავის ტვინის სურათის ამოკითხვა ძნელია. ჰიუზი ერთ ხანს შეჰყურებდა მას და ხანდახან ავტოკალმის ჩახრახნილი ბოლოთი ხაზებს ატარებდა.

— თითქოს ყველაფერი ნორმაშია, — თქვა მან ბოლოს. — არც ბზარები, არც კირის პათოლოგიური დანალექები, ჰემატ-

ომის ან ჰაერის არავითარი ნიშნები. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა არტერიოგრამა ან პნევმოენცეფალოგრამა რომ გვქონოდა. აბა, მეორე სურათი ვნახოთ, — სურათი მოხსნა და მეორით შეცვალა. — აქაც ყველაფერი წესრიგშია, — მითხრა მან. — მაინც საინტერესოა, რატომ დაუნიშნეს რენტგენი. ის რა, საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა?

— არ ვიცი, არ გამიგია.

ჰიუზმა საქაღალდე გადაქექა.

— არა, როგორც ჩანს, სახის სურათები არ გადაუღია, მხოლოდ თავის ქალისაა. — სახის სურათებს იმიტომ აკეთებენ, რომ ნახონ, სახის ძვლები ხომ არ არის დაზიანებული. არაფერი მესმის, — მითხრა მან და თან სურათზე თითს აკაკუნებდა. — ჩემი აზრით, არაფერი საინტერესო აქ არ არის.

— კეთილი, — ვუთხარი და წამოვდექი. — გმადლობ დახმარებისთვის.

3

საავადმყოფოს ვესტიბიულის ახლოს ტელეფონის ჯიხურში შევედი. უბის წიგნაკი ამოვიღე და აფთიაქისა და რეცეპტის ნომერი მოვძებნე. კარენის ოთახიდან აღებული აბი ამოვიღე. ცერა თითის ფრჩხილით მისგან ცოტა მოვჩიჩქნე და ხელისგულზე დავფშვენი. იოლად დაიფშვნა. თითქმის ეჭვი არ მეპარებოდა რა იყო, მაგრამ საბოლოოდ რომ დავრწმუნებულიყავი, ფხვნილი ენით მოვსინჯე. დაფშვნილი ასპირინი საშინელი გემოსია. დავრეკე აფთიაქში.

— ექიმი ბერი გელაპარაკებათ ლინკოლნის საავადმყოფოდან. მინდოდა გამეგო, რომელი წამალი...

— ერთი წუთით, ფანქარს ავიღებ. — მცირე პაუზა. — გისმენთ, ექიმო.

— გვარი კარენ რენდალი. რეცეპტის ნომერი ერთი-ოთხი,

შვიდი-ექვსი-შვიდი-სამი. წამალი გამოწერილია ექიმ პიტერ რენდალის მიერ.

— ახლავე შევამოწმებ, — მეორე ბოლოში ტელეფონის ყურმილი დადეს. ისმოდა, რომ ვიღაც სტვენდა და ფურცლავდა. შემდეგ მიპასუხეს: დიახ, აი ისიც, დარვონი, სამოცდათხუთმეტმილიგრამიანი ოცი კაფსულა. ტკივილების დროს თითო კაფსულა ყოველ ოთხ საათში... განმეორდა ორჯერ. გსურთ თარიღი?

— მადლობთ, არა.

— მზად ვართ, გემსახუროთ.

ყურმილი ნელა დავდე.

— მაინც რას წარმოადგენს ეს ქალიშვილი, რომელიც თავს ისე წარმოაჩენს, თითქოს ორსულობის საწინააღმდეგო საშუალებებს იღებს და სინამდვილეში კი მუცლის ქვედა არეში ტკივილების მოსახსნელად შუშაში მოთავსებულ ასპირინს ყლაპავს.

4

რენდალების სახლი ძალიან დიდი იყო: გოთურ სტილში აგებული ოთხსართულიანი თეთრი შენობა პატარა ღვლარჭნილი აივნებითა და კოშკებით. გაზონი ზედ წყლამდე მიდიოდა; მთელ ნაკვეთს, ალბათ ორ ჰექტარზე მეტი ეკავა. ქვიშით მოკირწყლული ხეივნით შევედი და ჩემი მანქანა დავაყენე ორ „პორშეს“ გვერდით, რომელთაგან ერთი შავი და მეორე კი ჭყეტელა ყვითელი იყო. როგორც ჩანს, მთელი ოჯახი „პორშეთი“ დადიოდა. სახლის მარცხნივ მიკუნჭულიყო გარაჟი, რომელშიც ნაცრისფერი „მერსედესი“ იდგა. ეს უკანასკნელი, ეტყობა, მოსამსახურე პერსონალისთვის იყო განკუთვნილი.

მანქანიდან გადმოვედი და იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორ გავმძვრალიყავი ლაქიის შეუმჩნევლად. ამ დროს მთავარი შესას-

ვლელიდან ქალი გამოვიდა და კიბეზე დაეშვა. გზადაგზა ხელთათმანებს იცვამდა და ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს ძალზე ეჩქარებოდა. მე რომ შემამჩნია, შეჩერდა.

— მისის რენდალი ბრძანდებით?

— დიახ.

არ ვიცი, რას მოველოდი, მაგრამ, უეჭველად, არა მისი ყაიდის ქალს. ის ტანმაღალი იყო და შანელის ჩალისფერი კოსტიუმი ეცვა. კუპრივით შავი და მბზინავი თმა, გრძელი ფეხები, დიდი და შავი თვალები ჰქონდა. ვერაფრით იფიქრებდით, რომ ოცდაათ წელზე მეტის იყო. მისი თვალებიდან ისეთი სიცივე გამოსჭვიოდა, გეგონებოდა წყალს გაყინავსო. რამდენიმე წამს უაზროდ დადუმებული ვუმზერდი, თავს სულელურად ვგრძნობდი და არ ვიცოდი, როგორ გამოვსულიყავი მდგომარეობიდან. ის მოიღუშა.

— აბა, მთელი დღე ასე ვიდგებით აქ? ამისი დრო არა მაქვს. რა გნებავთ? — დაბალი ხმა ჰქონდა, ოდნავ ჩახლეჩილი, ბაგე ვნებიანი. ხმა ინტელიგენტური — მოქნილი, ინტონაციაში ოდნავ შესამჩნევი ინგლისური გადაჰკრავდა.

— თქვენთან საუბარი მსურდა, — ვუთხარი მე. — თქვენი ქალიშვილის თაობაზე.

— ჩემი გერის, — სწრაფად შემისწორა მან. გვერდით ჩამიარა და შავი „პორშესკენ“ გაემართა.

— დიახ, თქვენი გერის თაობაზე.

— უკვე ყველაფერი ვაცნობე პოლიციას, — მითხრა მან. — თანაც საქმიან პაემანზე მაგვიანდება, ასე რომ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით... — მან მანქანის კარი გამოაღო.

— ჩემი გვარია... — დავიწყე მე.

— ვიცი, ვინც ბრძანდებით, — შემაწყვეტინა მან. — გუშინ მელაპარაკა ჯოშუა თქვენზე. მითხრა, რომ ალბათ შეეცდებოდით ჩემთან შეხვედრას და მირჩია, ექიმო ბერი, ჯანდაბაში გაგგზავნოთ. — ძალიან ცდილობდა განრისხება გამოეხ-

ატა, მაგრამ ცუდად გამოსდიოდა. მის სახეზე სხვა რამ გამოსახულიყო — იქნებ ცნობისმოყვარეობა, და შეიძლება შიშიც. იგი საჭეს მიუჯდა. — კარგად ბრძანდებოდეთ, ექიმო.

მისკენ დავიხარე.

— ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებთ?

— ჩვეულებრივ, ქმრის რჩევებს ყურად ვიღებ ხოლმე.

— მაგრამ არა ყოველთვის.

ის იყო სიჩქარე უნდა ჩაერთო, მაგრამ გაჩერდა.

— რაო? — შემეკითხა, თან ხელი სიჩქარეთა გადამრთველზე ედო.

— იმის თქმა მინდოდა, რომ თქვენი ქმარი, როგორც ჩანს მომხდარ ამბავს ისე ვერ აღიქვამს, როგორც საჭიროა.

— ვფიქრობ, აღიქვამს.

— თვითონაც იცით, მისის რენდალ, რომ არა.

ძრავა გამორთო და შემომხედა.

— ოცდაათი წამის შემდეგ ჩვენს ტერიტორიაზე აღარ იყოთ. — მითხრა მან. — წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიციას გამოვიძახებ. — ხმა უკრთოდა და სახე გაფითრებოდა.

— პოლიციას გამოუძახებთ? ჩემი აზრით, ეს დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა თქვენი მხრიდან.

ტონს დაუწია:

— რატომ მობრძანდით აქ?

— მინდა, იმ ღამის ამბავი მომიყვეთ, როდესაც კარენი საავადმყოფოში მიიყვანეთ.

— თუ იმ ღამის ამბის გაგება გსურთ, მაშინ მიბრძანდით და აი, იმ მანქანას შეხედეთ, — მან ყვითელ „პორშეზე“ მიმითითა.

მივედი და შიგ შევიხედე.

დავინახე რაღაც კოშმარი. ირგვლივ ყველაფერი სისხლით იყო მოსვრილი: მძღოლის ადგილი, გვერდით მგზავრის

ადგილი, მოწყობილობათა დაფა, საჭე, იატაკის პატარა ნიხ-
იც კი მუქ წითელ ქერქს დაეფარა. ლიტრობით სისხლი
დაღვრილიყო ამ მანქანაში.

— გააღეთ კარი, — მითხრა მისის რენდალმა. — მოსინ-
ჯეთ საჯდომი.

დავემორჩილე. საჯდომი ოდნავ სველი იყო.

— სამი დღე გავიდა, — მითხრა მან, — და კიდევ არ გა-
მომშრალა. ხედავთ, რამდენი სისხლი დაკარგა კარენმა. აი, რა
გაუკეთა მან.

— ეს მისი მანქანაა? — შევეკითხე და კარი მივაჯახუნე.

— არა, კარენს არ ჰყავდა მანქანა. ჯოშუას არ უნდოდა,
რომ სრულწლოვანებამდე მანქანა ჰყოლოდა.

— მაშ ვისია?

— ჩემი, — მითხრა მისის რენდალმა.

მივუთითე შავ ავტომობილზე, რომელშიც ის იჯდა.

— ესა?

— ეს ახალია. გუშინ ვიყიდეთ. ესე იგი, მე ვიყიდე. ჯოშუა
დამეთანხმა.

— რას უპირებთ ყვითელ მანქანას?

— პოლიციაში გვირჩიეს, ცოტა ხნით შევინახოთ, იქნებ
ნივთმტკიცებისთვის გახდეს საჭიროო.

— ზუსტად მიამბე, რა მოხდა კვირა ღამით? — შევეკითხე
მე.

— ვალდებული არა ვარ, რაიმე გითხრათ, — მითხრა მან
და ტუჩები მოკუმა.

— რა თქმა უნდა, არა, — და ზრდილობიანად გავულიმე.
მესმოდა, რომ მეტი გზა არ ჰქონდა. თვალებში კვლავ შიში
უკრთოდა. ზურგი შემაქცია და საქარე მინის მიღმა დაიწყო
ყურება.

— სახლში მარტო ვიყავი, — მითხრა მან. — ჯოშუა
სასწრაფოდ გამოიძახეს საავადმყოფოში. უილიამი თავისთან

იყო უნივერსიტეტში. დაახლოებით დილის ოთხის ნახევარი იქნებოდა. კარენი სადღაც ერთობოდა.

უცებ ავტომობილის საყვირის ხმა შემომესმა.

ლოგინიდან წამოვდექი, ხალათი მოვიცვი და დაბლა ჩავედი. სახლის წინ გამოურთველი ძრავათი და ანთებული ფარებით ჩემი ავტომობილი იდგა. საყვირი კვლავ ყვიროდა. გავედი... და კარენი დავინახე. გრძნობა დაეკარგა, წინ დაცემულიყო და საყვირის კნოპს აწვა. ირგვლივ ყველაფერი სისხლში ცურავდა, — სული მოითქვა და სიგარეტის საძებრად ჩანთაში დაიწყო ქექვა. ამოიღო ფრანგული მარკის კოლოფი. ცეცხლი მივაწოდე. — არსებითად მეტი არაფერი მაქვს მოსაყოლი. უკანა საჯდომზე გადავათრიე და საავადმყოფოში წავიყვანე. — ეწეოდა ნერვიულად, ხშირად ქაჩავდა. — გზაში შევეცადე გამეგო, რა მოხდა და მან მითხრა: „ეს ლიმ გააკეთა!“ სამჯერ გაიმეორა. არასდროს არ დამავიწყდება ისეთი სუსტი, საცოდავი ხმით...

— გონზე იყო? ლაპარაკის თავი ჰქონდა?

— დიახ, — მიპასუხა მისის რენდალმა. — მეორედ სწორედ მაშინ დაკარგა გრძნობა, როდესაც საავადმყოფოსთან მივედით.

— რატომ დაასკვნით, რომ ეს აბორტი იყო? — შევეკითხე მე. — იქნებ, მუცელი მოსწყდა.

— ახლავე გეტყვით, — მიპასუხა მისის რენდალმა. — იმიტომ რომ, ჩანთაში ჩავიხედე და აღმოვაჩინე მისი ჩეკის წიგნაკი. კარენის მიერ გამოწერილი ბოლო ჩეკი, სამასი დოლარი, „წარმომდგენზე“ იყო. აი, საიდან გამოვიტანე დასკვნა, რომ აბორტი გაუკეთეს.

— თუ წარადგინეს ჩეკი? იკითხეთ ბანკში?

— რასაკვირველია, არ წარუდგენიათ. ამ ჩეკის მიმღები კაცი ახლა ციხეში ზის.

— მესმის, — ვუთხარი ჩაფიქრებულმა.

— მით უკეთესი, — მომიჭრა მან. — ახლა კი გთხოვთ,

მაპატიოთ. — მანქანიდან გადმოვიდა და სწრაფი ნაბიჯით საჯ-
ლის კიბეს აუყვა.

— მე კი მეგონა, საქმიან პაემანზე გაგვიანდებოდათ, — შევნიშნე მე.

მისის რენდალმა მხარს ზემოდან გადმომხედა.

— ჯანდაბამდის გზა გქონიათ! — მითხრა და კარი მიიჯახუნა.

უკან, ჩემი მანქანისკენ გავეშურე. თან გათამაშებულ სცენაზე ვფიქრობდი. ეს სცენა ძალზე დამაჯერებელი იყო. მასში მხოლოდ ორი ნაკლი შევნიშნე. ერთი იყო დაკარგული სისხლის რაოდენობა ყვითელ მანქანაში: საგონებელში მაგდებდა ის გარემოება, რომ მგზავრის საჯდომ ადგილზე მეტი სისხლი იყო. და მეორე — როგორც ჩანს, მისის რენდალმა არ იცოდა, რომ არტი აბორტში ოცდახუთ დოლარს იღებდა — ძლივს ფარავდა ლაბორატორიის ხარჯებს — და არასდროს იღებდა მეტს. ამგვარად, მისი გაგებით, საკუთარი სინდისის წინაშე სუფთა იყო.

5

ძველი ფირნიში „კერზონის ფოტოატელიე". ქვემოთ წარწერა წვრილი შრიფტით: „ფოტოსურათები ცხოვრების ყველა შემთხვევისთვის: საპასპორტო, სარეკლამო, კაბინეტური შესრულება ერთ საათში".

ფოტოატელიე მდებარეობდა გაჩირაღდნებული კინოთეატრებისა და დიდი უნივერმაღების მოშორებით, ვაშინგტონსტრიტის ჩრდილოეთ განაპირას, კუთხის სახლში. შიგ შევედი და ერთმანეთის გვერდით მდგომი ტანდაბალი მოხუცი ქალი და კაცი დავინახე.

— გისმენთ, — მითხრა მოხუცმა კაცმა. თავი თავაზიანად, თითქმის მორიდებით ეჭირა.

— თქვენთან რამდენადმე უცნაური თხოვნა მაქვს, — დავიწყე მე.

— პასპორტი? ამაზე ადვილი არაფერია. ფოტოსურათს ერთ საათში დავამზადებთ. თუ ჩქარობთ, უფრო სწრაფადაც. ჩვენი ცხოვრების განმავლობაში ათასობით გაგვიკეთებია.

— მართალია, — თქვა მოხუცმა ქალმა და თან თავს მეტისმეტად თავდაჭერილად აქნევდა. — ათასობით კი არა, ათიათასობით.

— მე სხვაგვარი პრობლემა მაქვს, — ვუპასუხე. — იცით რა, ჩემი ქალიშვილი დაბადების დღეს იხდის, თექვსმეტი წლის ხდება და...

— ნიშნობებს ჩვენ არ ვიღებთ, — მითხრა მოხუცმა კაცმა. — გთხოვთ მაპატიოთ.

— არ ვიღებთ, — დაადასტურა მოხუცმა ქალმა.

— არა, ეს არ არის ნიშნობა. უბრალოდ წვეულებაა დაბადების დღესთან დაკავშირებით.

— ასეთ სამუშაოებს არ ვასრულებთ, — მითხრა მოხუცმა კაცმა, — საკვებით გამორიცხულია.

— ადრე ვასრულებდით, — განმარტა მოხუცმა ქალმა. — წარსულში.

მძიმედ ამოვისუნთქე:

— სიმართლე რომ გითხრათ, თქვენგან ზოგი რამის გაგება მინდა. საქმე ისაა, რომ ჩემი ქალიშვილი ერთი ჯაზბენდის თავგამოდებული თაყვანისმცემელია და თქვენ კი სწორედ ამ ჯგუფისთვის სურათი გადაგიღიათ. მისთვის სიურპრიზის გაკეთება მინდოდა და ვიფიქრე, რომ...

— თქვენი ქალიშვილი თექვსმეტისაა? — და ეჭვით შემომხედა.

— სწორედ შემდეგ კვირას უსრულდება.

— და ჩვენ სურათი გადავუღეთ ჯაზორკესტრს?

— დიახ, — ვუთხარი და ფოტოსურათი გადავეცი. ის დიდხანს ათვალიერებდა მას.

— ეს ხომ ერთი კაცია და არა ორკესტრი, — მითხრა მან ბოლოს.

— ვიცი, მაგრამ ამ ჯაზორკესტრში მუშაობს. ეს ფოტოსურათი თქვენი გადაღებულია და ვიფიქრე, იქნებ...

მოხუცმა კაცმა უკვე გადააბრუნა ფოტოსურათი და მეორე მხარეს ათვალიერებდა.

— ეს ჩვენი ნამუშევარია. ხედავთ, უკან ჩვენი შტამპია. აქ ოცდათერთმეტი წლიდან ვართ. ადრე საქმე მამაჩემს ეკუთვნოდა.

— ასეა, — დაადასტურა მოხუცმა ქალმა.

— განა ეს ჯგუფია? — შემეკითხა მოხუცი კაცი და ფოტოსურათი ცხვირწინ ამიფრიალა.

— ერთ-ერთი ჯგუფიდან.

— რა სახელწოდებისაა ეს ჯაზი?

— არ ვიცი. სწორედ ამიტომ მოგმართეთ თქვენ. სურათზე თქვენი შტამპია...

— ვნახე. ბრმა არ ვარ, — შემომიღრინა მოხუცმა კაცმა. დაიხარა და დახლს ქვემოთ შეიხედა. — ჩაკერებულში უნდა მოვძებნოთ. ჩვენ ყველა სურათის ეგზემპლარი გვაქვს შენახული. — და ფოტოების დასტები ამოალაგა. გავვოცდი. მართლაც, ათიათასობით ჯაზბენდის სურათი გადაუღია. — ცოლი ვერასდროს იმახსოვრებს ამ ჯაზორკესტრების სახელწოდებებს, მე კი შემიძლია. საკმარისია, ერთად ვნახო მუსიკოსები, რომ მაშინვე გამახსენდება. გესმით? აი „ჯიმი და მისი შფოთისთავები". — სწრაფად სინჯავდა სურათებს. — აი „მოსიმღერეები", „ძველი კალოშები", „კამარილია", „ყალთაბანდები". სახელწოდებები გონებაში მეჩხირება.

სახეების დანახვას ვცდილობდი, მაგრამ მოხუცებული ძალზე სწრაფად სინჯავდა სურათებს.

— ერთი წუთით, — შევაჩერე და ერთ სურათზე მივუთითე. — ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს.

— „ზეფირები“, — უკმაყოფილო ტონით მითხრა მოხუცმა კაცმა. — დიახ, ისინია — „ზეფირები“.

ფოტოზე ხუთი ჭაბუკი იყო აღბეჭდილი. ხუთივე ზანგი. ისეთივე ბზინვარე კოსტიუმები ეცვათ, როგორც ცალკე სურათზე ვნახე. თითქოს სურათის გადაღების გამო უკმაყოფილონი არიანო, ხუთივე ნაძალადევად იღიმებოდა.

— თუ იცით მათი სახელები? — შევეკითხე მე.

მან შეაბრუნა ფოტოსურათი. სახელები უკან იყო დაჩხაპნილი.

— ზიკი, ზაკი, გრეკი, ჯორჯი და იღბლიანი. ესენი არიან. — უბის წიგნაკი ამოვიღე. — ყური მიგდეთ, დარწმუნებული ხართ, რომ ღირს მათი მიწვევა თქვენი ქალიშვილის საღამოზე? ისინი ხომ ხულიგნები არიან.

— ერთი საღამო არა უშავს, ხომ არ იცით, სად შეიძლება მათი პოვნა?

— რასაკვირველია, ვიცი. — მოხუცმა თითით ქუჩისკენ მიმითითა. — ღამღამობით „ელექტრონულ ფორთოხალში“ მუშაობენ. ყველა ზანგი იქაა ატუზული.

— გმადლობ, — ვუთხარი და გასასვლელისაკენ გავემართე.

— ფრთხილად იყავით, — მირჩია დამშვიდობებისას მოხუცმა ქალმა.

6

ელან ზენერი ნამდვილი გოლიათი იყო. ჩემი ვარაუდით სიმაღლით მეტრი და ოთხმოცდახუთი სანტიმეტრი, ხოლო წონით ასი კილოგრამი იქნებოდა.

მაშინ შევეჩეხე, როდესაც ვარჯიშის შემდეგ „დილონის“ დახურული სტადიონიდან გამოდიოდა. საშხაპიდან ახალი გა-

მოსული იყო; მოკლე, შავი თმა ჯერ არ შეშრობოდა და თითქოს მწვრთნელის რჩევას ასრულებსო, რომ სველი თმით არასდროს გამოსულიყო, გულმოდგინედ იმშრალებდა. მითხრა, სადილზე და სამეცადინოდ მაგვიანდებაო და საუბარი ლარს ანდერსენის ხიდის გადაკვეთით, ჰარვადის უნივერსიტეტის მიმართულებით მიმავლებს, გზადაგზა მოგვიხდა. ჯერ უმნიშვნელო რამეებზე ვყბედობდი. ზენერი ლევერეტის კოლეჯის ბოლო კურსზე სწავლობდა. მისი ძირითადი საგანი ისტორია იყო. მითხრა, რომ უკმაყოფილოა თავისი სადიპლომო თემით. და ვერაფრით გადაეწყვიტა შესულიყო თუ არა იურიდიულ ფაკულტეტზე. იურიდიულზე სპორტსმენებს დიდად არ ელოლიავებიან, ნიშნებს დიდ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ, იქნებ მაინც ჯობდეს იელში იურიდიულზე გადასვლა. ამბობენ, იქ უფრო სიმხიარულეაო.

ბოლოს კარენზე ჩამოვაგდე სიტყვა.

— რა, თქვენც მის თაობაზე მოხვედით?

— არ მესმის.

— დღეს უკვე მეორე ხართ. თქვენამდე აქ საფრთხობელა იყო.

— საფრთხობელა?

— მამამისი. ასე ეძახდა მას. სხვა სახელებსაც უწოდებდა ხოლმე.

— ელაპარაკეთ?

— იყო ჩემთან, — ორჭოფულად მითხრა ზენერმა, — ჰოდა... თავიდან მოვიცილე. იმიტომ, რომ არ მინდა ამ საქმეში გარევა.

— ისედაც გარეული ხართ.

— როგორ არა! — მანქანებს შორის მოხერხებულად გაძვრა-გამოძვრა და ქუჩაზე გადავიდა.

— იცით, რა მოუვიდა მას? — შევეკითხე მე.

— ყური მიგდეთ, მის შესახებ სხვებზე მეტი ვიცი. ბრბოლებზე მეტიც კი და ყველაზე მეტი.

— მაგრამ არ გინდათ ჩარევა.

— გამოდის, რომ ასეა.

— იცით რა, — ვუთხარი მე. — ეს ხომ მეტად სერიოზული საქმეა. ერთ ადამიანს ჰბრალდება მისი დაღუპვა. თქვენ ყველაფერი უნდა მითხრათ, რაც იცით.

— ის კარგი გოგონა იყო, — მითხრა მან, — მაგრამ თავისი სიძნელეები ჰქონდა. საერთო სიძნელეებიც გვქონდა. თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო, შემდეგ კი თანდათან გართულდა და ამიტომ საქმის დამთავრება მოგვიხდა. ესაა და ეს. ახლა კი თავი დაშანებეთ!

— პროცესის მსვლელობისას, როგორც მოწმეს, ისე გამოგიძახებთ დაცვა. იქ უკვე ფიცით მოგიხდებათ ჩვენების მიცემა.

— არსად არავითარი ჩვენების მიცემას არ ვაპირებ.

— ამას კი უთქვენოდ გადაწყვეტენ, — ვუთხარი მე. — ოღონდ ესაა, პროცესი საერთოდ არ შედგება.

— ესე იგი?

— ესე იგი, უმჯობესია ჩვენ ვილაპარაკოთ.

ცენტრალური მოედნისკენ მასაჩუსეტს-ავენიუს გაყოლებით ორი კვარტალი გავიარეთ და ჭუჭყიან, პატარა ტავერნაში მაგიდას მივუსხედით. ბარის დახლზე ფერადი ტელევიზორის ეკრანი მოჩანდა. ორი კათხა ლუდი შევუკვეთეთ და მილოდინში ამინდის პროგნოზს ვუსმენდით. დიქტორმა, სიცოცხლით სავსე მსუქანმა ჯუჯამ, მხიარული ღიმილით ხვალ და ზეგ წვიმები გვიწინასწარმეტყველა.

— რამ დაგაინტერესათ ამ საქმეში? — შემეკითხა ზენერი.

— ჩემი აზრით, ლი უდანაშაულოა.

მან გაიცინა:

— ერთადერთი ხართ, რომელიც ასე ფიქრობს.

მოიტანეს ლუდი. ფული გადავიხადე. მან თავისი კათხიდან ლუდი მოსვა და ტუჩებიდან ქაფი მოილოკა.

— კეთილი, — მითხრა და ვიწრო კაბინაში უფრო უკეთ

მოეწყო. — რიგის მიხედვით ყველაფერს მოგიყვებით. გასულ გაზაფხულს გავიცანი, დაახლოებით აპრილში, საღამოს წვეულებაზე. ერთი შეხედვით გავუგეთ ერთმანეთს. დიახ, მე არაფერი ვიცოდი მის შესახებ. ლამაზი გოგონა იყო, ესაა და ეს! ვხვდებოდი, რომ წლოვანებით პატარა იყო, მაგრამ რამ-დენისა, მხოლოდ მეორე დღეს გავიგე და კინაღამ გავსულელ-დი. წარმოგიდგენიათ! თექვსმეტი... — ერთი მოსმით ნახევარი კათხა მოსვა. — ჰოდა, ერთმანეთს ვხვდებოდით, და მის შესახ-ებ ნელ-ნელა ზოგი რამ გავიგე. მოყოლის ასეთი მანერა ჰქონ-და — ცოტ-ცოტაობით... ძალზე ეშმაკური, ძველებურ მრავალსერიიან ფილმებში რომ არის: „გაგრძელება იქნება“ ანდა „შაბათს შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი სერია“, დაახლოე-ბით ამდაგვარად. ამის ოსტატი იყო. ივნისში, ივნისის დასაწყის-ში სკოლას ამთავრებდა და ვუთხარი, საზეიმო ნაწილის სან-ახავად მოვალ-მეთქი. მან არ მოისურვა, მაინტერესებდა, რა-ტომ. სწორედ აქ გამოირკვა ყველაფერი. მისი მშობლების შესახ-ებაც და ისიც, რომ მათი ოჯახის შესაფერისი არ ვიყავი. ყვე-ლაფერი ამიხსნა და ერთბაშად გავწყვიტე მასთან ურთიერთო-ბა. მაშინ ძალიან გულნატკენი ვიყავი, ახლა კი თითქოს რაღაც-ნაირად სულერთია.

— მერე აღარ გინახავთ?

— ერთხელ ვნახე. ალბათ, ივლისის ბოლო იყო. სამ-უშაოდ კონცხზე, მშენებლობაზე მოვეწყვე, სუფთა სამუშაო იყო და ბევრი ნაცნობი ბიჭი ჩამოვიდა. იქ ისეთი რამეები გავ-იგე, რაც ჩვენი სიყვარულობანას დროს, ჩემთვის არავის უთქ-ვამს. ის, რომ საკმარისი იყო თითით მოხმობა. ისიც, თუ როგორ სძულდა მამა. კიდევ გავიგე, რომ გაუკეთებია აბორ-ტი და შემდეგ ჰყვებოდა, თითქოს ბავშვი ჩემგან ჰყავდა. — მან ლუდი შესვა და ხელით მოიხმო ბარმენი. კიდევ შევუკვეთეთ თითო-თითო. — ერთხელ, სრულიად შემთხვევით შევხვდი. შევეკითხე, მართალია თუ არა-მეთქი აბორტის ამბავი. მიპა-

სუხა, მართალიაო. ვკითხე, ბავშვი ჩემი იყო-მეთქი, და თვალდაუხამხამებლად მიპასუხა, საიდან უნდა ვიცოდე, ვინ იყო მამაო. ჰოდა, შევუკურთხე და მოვცილდი. მაშინ გამოიქცა ჩემკენ, დამიწყო პატიების თხოვნა და კვლავ მეგობრობა და შეხვედრები შემომთავაზა. ვეუბნები, არა-მეთქი, გვიანაა. დაიწყო ტირილი. ჰოდა, ერთი სიტყვით, ვუთხარი, რომ საღამოს მივაკითხავდი.

— მერე? მიაკითხეთ?

— ჰო. და ღმერთმა უწყის, რა გამოვიდა.

— გასულ ზაფხულს კონცხზე ცხოვრობდა?

— ამბობდა, თითქოს იქ ცხოვრობდა და რომელიღაც სამხატვრო გალერეაში მუშაობდა. მაგრამ ყური მოვკარი, რომ თითქმის მთელ დროს ბიკონ ჰილში ატარებდა. იქ ჰყავდა მეგობრები — შმაგები.

— ვინ იყვნენ ის მეგობრები?

— საიდან უნდა ვიცოდე. მეგობრები, მორჩა და გათავდა.

— რომელიმე მათგანს იცნობდით?

— მხოლოდ ერთს. ერთხელ, როგორღაც კონცხზე საღამოს წვეულებაზე გამაცნეს გოგონა, რომელსაც ენჯელას ეძახდნენ და ამბობდნენ კარენთან მეგობრობსო. ენჯელა ჰარლი და ჰარდი. რაღაც ამდაგვარი. ძალზე ლამაზი, მაგრამ უცნაური ქალიშვილი.

— მიანც როგორი?

— უბრალოდ, უცნაური, შერეკილი. როდესაც გავიცანი, ძალზე აღგზნებული იყო — არ ვიცი, მთვრალი იყო თუ რაიმე მოსწია. გაუთავებლად იმეორებდა რაღაც სისულელეს, რაღაც ამის მსგავს: „ღმერთის ერთ ცხვირში არსებული ძალა ერთ უძლურს ეყოფა“. მასთან ლაპარაკი არ შეიძლებოდა. საწყენია — ძალზე ლამაზი გოგონა იყო.

— ოდესმე შეხვედრიხართ კარენის მშობლებს?

— ერთხელ შევხვდი. კარგი წყვილია. შეუდრეკელი მოხ-

უცი კაცი და მანდილოსანი, რომელსაც მეტისმეტად ადვილად დაიყოლიებ. გასაკვირიც არაა, რომ კარენს ის სძულდა.

— მაშ, თქვენი აზრით, რაზე ლაპარაკობდა ჩემთან? თავის მშობლებზე საათობით. უცნაურია, მაგრამ დედა ძალიან უყვარდა. ღვიძლი დედა. თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლისა რომ იყო კარენი, მაშინ გარდაეცვალა. ჩემი აზრით, ყველაფერი, ის გაშმაგება, ნარკოტიკები და მხეცური გამოხდომები მაშინ დაიწყო. სურდა, ყველას თავშეუკავებლად ჩაეთვალა. თავისი ყოფაქცევით ყველა აღეშფოთებინა. თითქოს აუცილებლად რაღაც უნდა დაემტკიცებინა. ნარკოტიკებს უშუალოდ ყველას დასანახავად იღებდა. ამბობდნენ, მოთავებული ნარკომანი გახდაო, მაგრამ არ ვიცი, ასეა თუ არა. კონცხზე ძალზე ბევრს აწყენინა და ამიტომ მის შესახებ ღმერთმა უწყის, რას ჩმახავდნენ. მაგალითად, კარენ რენდალი ვისთანაც გინდა და სადაც გინდაო. — ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, ოდნავ შეაჟრჟოლა.

— მის მიმართ კარგად იყავით განწყობილი? — შევეკითხე მე.

— დიახ, — მიპასუხა მან. — სანამ შემეძლო.

— მაშინ, კონცხზე, უკანასკნელად შეხვდით?

— დიახ! — ლუდის ახალმა ულუფამ მოგვისწრო. ელანმა აიღო თავისი კათხა და რამდენიმე წამს ხელში ატრიალებდა. — თუმცა, არა, ვიცრუე.

— თქვენ მას კიდევ შეხვდით?

მაშინვე არ მიპასუხა.

— კვირას. გასულ კვირას. ზუსტად სადილობის დრო იყო. წინადღით, მატჩის შემდეგ, საღამოს წვეულებაზე დავთვერი. დავთვერი მაგრად და ნაღვინევზე ძალზე ვიტანჯებოდი. მაფიქრებდა ორშაბათს ვარჯიშზე როგორ ვიგრძნობდი თავს. ჩემს ოთახში ვიყავი, ვიცვამდი, რომ სადილზე წავსულიყავი. ჰალსტუხს ვკვანძავდი. მესამე ცდაზე მოვახერხე, რადგან სულ გვერდზე მიდიოდა. საზიზღრად ვგრძნობდი თავს და თან თავიც მის-

კდებოდა. უცბად ის დაბარებულივით პირდაპირ ოთახში შემოვიდა.

— თქვენ არ ელოდით?

— ნამდვილად არ ველოდი! ჩემი ოთახის მეზობლები ყველანი წასული იყვნენ სადილად, მარტო ვიყავი. მან მთხოვა სადილად წამეყვანა. უარი ვუთხარი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ მინდოდა მისი ნახვა. გადამდები სენივით, შავი ჭირივით იყო. არ მინდოდა მისი ნახვა და ვთხოვე: „ქენი სიკეთე, წადი!“ მაგრამ არ წავიდა. დაჯდა, გააბოლა და მითხრა: რასაკვირველია, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია, მაგრამ ვინმესთან ლაპარაკი მსურსო. ეს კი ადრეც გამიგონია — ვერ გამაკვირვებ. მაგრამ მაინც არ მინდოდა. მითხრა, რომ მე ერთადერთი კაცი ვარ, ვისთანაც შეუძლია აზრის გაზიარება. ბოლოს და ბოლოს, დავნებდი. დავჯექი და ვუთხარი: „კეთილი, მოჰყევი“.

— რაზე ლაპარაკობდით?

— მასზე. ეს მისი საყვარელი თემა იყო, საკუთრივ მასზე, მის მშობლებზე, ძმაზე.

— კარგი ურთიერთობა ჰქონდა ძმასთან?

— შედარებით. ოღონდ ისიც მამამისივით ყოველგვარ აღმაფრენას მოკლებული კაცია. მედიცინის გარდა არაფერი აინტერესებს. ასე რომ, კარენი მასთან არცთუ ისე გულახდილი იყო. მაშ ასე, დავჯექი და ვუსმინე. ჯერ ლაპარაკობდა კოლეჯზე, შემდეგ რაღაც მისტიკურ რიტუალზე, რომლის ჩატარებაც ყოველდღიურად გადაუწყვეტია. იცით, ეს შემდეგნაირად გამოიხატება, დღეში ორჯერ ნახევარ-ნახევარი საათით განჭვრეტას უნდა მიეცე. მან ის იყო, მიჰყო ხელი ამას და ძალზე აღფრთოვანებული ჩანდა.

— ამჯერად როგორ ეჭირა თავი?

— ღელავდა, — მითხრა ზენერმა, — სანამ ჩემთან იჯდა,

მთელი კოლოფი მოსწია, და გამუდმებით ხელებს ამოძრაკებ-და. ბეჭედი ჰქონდა გაკეთებული და ხან იძრობდა თითიდან, ხან იკეთებდა, ხანაც ხელში ათამაშებდა. გამუდმებით, გაუთავებლად.

— გითხრათ, რატომ ჩამოვიდა უიკ-ენდზე კოლეჯიდან?

— შევეკითხე და მიპასუხა.

— მაინც რატომ?

— იმიტომ, რომ აბორტი უნდა გაეკეთებინა. არ დავუჯერე — მან სწრაფად შემავლო თვალი და ლუდი მოსვა. — აღარაფერი მჯეროდა მისი. აი, რაშია მთელი უბედურება. იმ-ჯერად უბრალოდ გამოვეთიშე, ყურადღება არ მივაქციე. სხ-ვანაირად არ შემეძლო, რადგან ჯერ კიდევ არ ვიყავი მის მიმ-რთ გულგრილი.

— ეს მისთვის არ იყო საიდუმლოება?

— მისთვის არაფერი იყო საიდუმლოება, — მითხრა მან. — ყველაფერს მაშინვე ამჩნევდა. კატასავით ინსტინქტით მო-ქმედებდა და არასდროს ტყუვდებოდა. შეეძლო ოთახში შესვ-ლა, იქ მყოფთათვის თვალის შევლება და მაშინვე გაიგებდა, ვინ ვისზე რას ფიქრობდა. ასეთი ინტუიცია ჰქონდა.

— აბორტის თაობაზე თუ ილაპარაკეთ?

— არა. იმიტომ, რომ არ დავუჯერე. უბრალოდ წავუყრუე. მაგრამ ერთი საათის მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდა ამ თუ-მას. მითხრა, რომ ეშინოდა, რომ ჩემთან ყოფნა სურდა. რამ-დენჯერმე გაიმეორა, რომ ეშინოდა.

— ეს დაიჯერეთ?

— არ ვიცოდი, რა დამეჯერებინა. არა! არ დავუჯერე. — სულმოუთქმელად შესვა ლუდი და კათხა მაგიდაზე დადო. — მისმინეთ, — მითხრა მან, — მაინც, რა გინდათ ჩემგან? ის ფსიქო-პათი იყო. ყველამ იცოდა ეს, მეტი რაღა გინდათ. მას ბოლო მოუღო მშობლებთან და საერთოდ, ყველასთან ურთიერთობამ. უბრალოდ გააფრინა.

— რამდენ ხანს ლაპარაკობდით?

— დაახლოებით საათ-ნახევარს, შემდეგ ვუთხარი, რომ სადილობისა და მეცადინეობის დრო მომივიდა და კარგი იქნება თუ წახვალ-მეთქი. ჰოდა, ისიც წავიდა.

— არ იცით, სად წავიდა?

— არა. შევეკითხე, მაგრამ მხოლოდ გაიცინა და მითხრა, რომ წინასწარ არასდროს იცის, სად მიდის.

7

ზენერს რომ დავცილდი, უკვე გვიან იყო, მაგრამ მაინც დავურეკე პიტერ რენდალს კაბინეტში. ადგილზე არ აღმოჩნდა. ვუთხარი, რომ სასწრაფოდ მჭირდებოდა და მაშინ მედდამ მირჩია მისთვის ლაბორატორიაში დამერეკა. სამშაბათობით და ხუთშაბათობით ხშირად გვიანობამდე მუშაობსო.

არ დავრეკე. უბრალოდ, ავდექი და წავედი.

პიტერ რენდალი იყო რენდალების ოჯახის ერთადერთი წევრი, რომელსაც ვიცნობდი. რამდენჯერმე შევხვედრივართ წვეულებებზე ხან ერთ და ხან მეორე ექიმთან. მისი შეუმჩნევლობა არ შეიძლებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მაშინვე იქცევდა ყურადღებას, და მეორეც, იმიტომ, რომ უყვარდა წვეულებები და არც ერთს არ გამოტოვებდა ხოლმე.

პიტერ რენდალი საოცრად სქელი იყო. მისი ღაჟღაჟა სახე ქონის ნაოჭებში იფლობოდა. მხიარული, გულღია ადამიანი გახლდათ. გადამდები სიცილი იცოდა. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, უზომოდ სვამდა, გაუთავებლად ყბედობდა, თანაც ძალზე მოსწრებულად, ერთი სიტყვით, ყოველგვარი საზოგადოებისა და საღამოს სული და გული იყო: ვისაც გინდათ, იმას გამოაცოცხლებდა უცებ. ლინკოლნის საავადმყოფოს მთავარი ექიმის ცოლმა ბეტი ჰეილიმ, როგორღაც თქვა: „ეს ხომ გულღია ცხოველის დიდებული ნიმუშია“. ბეტის საერთოდ უყვარდა ამგ-

ვარი ფრაზების წამოროშვა, მაგრამ ამჯერად საოცრად ზუსტად მოარტყა მიზანში. პიტერ რენდალი მართლაც გულღია ცხოველი იყო, ამხანაგური, არ ჰქონდა მიდრეკილება თვითანალიზისადმი, ლაღი და გულკეთილი. მახვილგონიერებისა და ადამიანებთან მიდგომის წყალობით მას ბევრ რამეს მიუტევებდნენ. მაგალითად, პიტერს თავისუფლად შეეძლო ყველაზე უწმაწური ანეკდოტის მოყოლა, თქვენს ცოლთან არშიყი, ღვინის დაქცევა, დიასახლისთან უზრდელად მოქცევა, ცხოვრებაზე წუწუნი — საერთოდ რაც სურდა, იმას აკეთებდა. არავის არასდროს მასზე გული არ მოსდიოდა, არც კი იმჩნევდნენ, თუ გული მოსდიოდათ.

XXX

პიტერ რენდალის ლაბორატორია მდებარეობდა იმ ფრთის მეხუთე სართულზე, რომელიც ბიოქიმიურ განყოფილებას ეკავა. დერეფანს მივუყვებოდი და ყველა ლაბორატორიისთვის დამახასიათებელ სუნს ვყნოსავდი, — აცეტონის ნაერთის, თხევადი საპნისა და რეაქტივების სუფთა, მკვეთრ სუნს. მისი კაბინეტი პატარა იყო. თეთრ ლაბორატორიულ ხალათში გამოწყობილი ქალიშვილი პატარა მაგიდას უჯდა და მანქანაზე ბეჭდავდა. ის საოცრად ლამაზი იყო, რასაც, კაცმა რომ თქვას, მოველოდი კიდეც.

— რით გემსახუროთ?

— ექიმ რენდალს ვეძებ.

— გელოდებათ?

— დარწმუნებული არა ვარ. მართალია, დავრეკე, მაგრამ შესაძლოა არ გადასცეს.

თვალებში გაუელვა ამ ოდნავ შესამჩნევმა ქედმაღლურმა გამოხედვამ, რომელიც უჩნდებათ მკურნალ ექიმთა საზოგადოებაში მოხვედრილ კვლევით მუშაკებს. იცით რა, კლინიცისტები ტვინით არ მუშაობენ. ისინი გართულნი არიან ისეთი

არასტერილური და არამეცნიერული ობიექტებით, როგორიც ავადმყოფებია.

— წამობრძანდით, — მითხრა გოგონამ. — ზუსტად ახლა იწყებს ახალ ინკუბაციურ ციკლს, — მხრის ზემოდან მესროლა მან. — და არ სცალია.

ლაბორატორიაში შევედით.

პიტერ რენდალი თეთრ ვირთხაზე დახრილიყო. როდესაც ქალიშვილი შევიდა, უთხრა:

— ო, ბრიჯიტ! კარგ დროს მოხვედი... — და ამ დროს მე დამინახა. — აბა, რა გნებავთ?

— ჩემი გვარია ბერი, — დავიწყე მე. — მე...

— როგორ არა, როგორ არა! მშვენივრად მახსოვხართ. — ვირთხა გაუშვა და ხელი ჩამომართვა. ვირთხამ მაგიდა გადაირბინა, მაგრამ მის კიდესთან შეჩერდა და ცხვირის ტრიალით დაბლა დაიწყო ყურება. — რამდენადაც მახსოვს, ჯონი? რასაკვირველია, რამდენჯერმე შევხვედრილვართ. — კვლავ აიტაცა ვირთხა და ჩაიცინა. — სიმართლე რომ გითხრათ, ძმამ ეს-ესაა დამირეკა თქვენ შესახებ. გვარიანად გამოგიყვანიათ წონასწორობიდან. „ცინგლიანი, ყველგან რომ ყოფს ცხვირს“ — მგონი, ასე თქვა. მეორეჯერ ნუ ჩააცივდებით მის ცოლს. როგორც ჩანს, ძალზე გააბრაზეთ იგი.

— ძალზე ვწუხვარ.

— თქვენ კი ნუ წუხხართ, — ხალისიანად მიპასუხა პიტერმა. ბრიჯიტს მიუბრუნდა და უთხრა: — დაუძახეთ დანარჩენებს. ცდა უნდა დავიწყოთ.

ბრიჯიტმა პატარა ცხვირი შეჯმუხნა და პიტერმა მას თვალი ჩაუკრა. როდესაც ის გავიდა, მითხრა:

— მაინც რით შემიძლია გემსახუროთ? წარმოდგენა არა მქავს, რატომ ისურვეთ ჩემი ნახვა. ბრიჯიტის ნახვა რომ მოგსურვებოდათ, ალბათ გასაგები იქნებოდა ჩემთვის. მაგრამ ჩემი — არა.

— თქვენ იყავით კარენ რენდალის მკურნალი ექიმი? — შევეკითხე მე.

— რაც იყო, იყო.

ვირთხა აიყვანა და პატარა გალიაში ჩასვა. შემდეგ სხვა ვირთხის ძებნაში, უფრო დიდი გალიები შეათვალიერა.

— შეგიძლიათ ვირთხის მოკვლა?

— მეტ-ნაკლებად.

— ხომ ვერ გააფრთხობინებთ სულს? ვერ ვიტან, როდესაც თვითონ მიხდება ამის გაკეთება.

— აჰ, ღმერთმა დამიფაროს.

მან ამოიოხრა.

— ასეც ვიცოდი. ახლა, რაც შეეხება კარენს. დიახ, მე ვიყავი მისი მკურნალი ექიმი. მაინც რა გაინტერესებთ? — გარეგნულად სავსებით მეგობრულად და თავისუფლად ეჭირა თავი.

— ხომ არ მოუმართავს მას შუა ზაფხულში ტრავმის თაობაზე?

— ტრავმის? არა.

ოთახში შემოვიდა ბრიჯიტი და ორი ლაბორანტი გოგონა.

— ყველაფერი მზადა გაქვთ? — ჰკითხა პიტერმა.

— დიახ, — უპასუხა ბრიჯიტმა. მან მიუთითა გრძელ მაგიდაზე, რომლის წინ სამი სკამი იდგა. მაგიდაზე ყოველი სკამის წინ კორპის საფენი, ჭიკარტები, ქინძისთავები, პინცეტები, სკალპელი და ყინულიანი თასი იდო.

— ფიზიოლოგიური ხსნარი მზადაა?

— დიახ, — უპასუხა მეორე ლაბორანტმა.

— კარგია, — თქვა პიტერმა. — მაშინ დავიწყოთ.

ლაბორანტმა გოგონებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს მაგიდასთან. რენდალმა შემომხედა და მითხრა:

— როგორც ჩანს, თვითონვე მომიწევს.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა, ბრიჯიტი პასუხის გასაცემად მივარდა. შემდეგ უთხრა:

— გაქირავების ბიუროდანაა. მანქანას ახლავე მოიყვანენ.

— ძალიან კარგი, — უთხრა პიტერმა. — უთხარით, რომ სადგომზე დააყენონ და გასაღებები იქვე დადონ. — სანამ ბრიჯიტი ინსტრუქციებს გადასცემდა, პიტერი მე მომიბრუნდა: — რა არასასიამოვნო ამბავია. ჩემი ავტომობილი გაიტაცეს.

— გაიტაცეს?

— დიახ. ძალზე არასასიამოვნოა. გუშინ.

— რა მანქანა გყავდათ?

— „მერსედესი". არც ისე ახალი, მაგრამ შეჩვეული ვიყავი.

— პოლიციაში განაცხადეთ?

— კი, — მხრები აიჩეჩა. — მაგრამ საეჭვოა, რომ რაიმე შედეგი გამოიღოს.

ბრიჯიტმა ყურმილი დადო და თავის ადგილზე დაბრუნდა.

თვალს ვადევნებდი ბრიჯიტის მუშაობას. მარჯვე, დამუშავებული მოძრაობებით მოკლული ვირთხა კორპის საფენზე, მუცლით ზემოთ მიამაგრა. შემდეგ ჩაჭრა და ძვლები სწრაფად გაათავისუფლა ხორცისგან. მერე კი გაკრიჭა და ყინულიან თასში ჩააგდო.

— ჩვენი მოკრძალებული მიღწევა, — მითხრა პიტერმა, — ჩვენს ლაბორატორიაში პირველად დავამუშავეთ ძვლის კულტურა, გამოცალკევებულ ძვალში ძვლის ქსოვილს ცოცხალ მდგომარეობაში სამ დღემდე ვინახავთ. ძირითადი სიძნელე — ესაა ქსოვილის კვდომამდე ცხოველისგან ძვლის ამოღება და თასში ჩადება. ჩვენი მეთოდი დღეისთვის თითქმის სრულყოფილია.

— სახელდობრ, რომელ სფეროში მოღვაწეობთ?

— კალციუმის ცვლა, განსაკუთრებით მისი ურთიერთმოქმედება ფარისებრი ჯირკვლების ახლომდებარე ჰორმონებთან და ტიროკალციტონინთან. მინდა გავარკვიო, თუ როგორ უწყობენ ხელს ეს ჰორმონები ძვლიდან კალციუმის გამოყოფას.

— რამდენი ხანია, რაც ამ საკითხზე მუშაობთ?

— უკვე შვიდი წელია, დავიწყე მცირედან — კვირაში ნახევარი დღე. შემდეგ ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს, მერე მთელი უიკ-ენდიც მიემატა. ჩემი პრაქტიკა რამდენადაც შემეძლო ისე შევამცირე. ეს სამუშაო ნამდვილად რაღაცნაირ დამღუპველ გატაცებად გადაიქცა. ეს თამაშია, ნამდვილი დიდი თამაში. გამოცანა, რომლის პასუხი არავინ იცის, — მითხრა პიტერმა და ფიქრებში წასულმა მუცელი მოიფხანა. — მაგრამ, კმარა ჩემ შესახებ. როგორაა თქვენი საქმე?

— ახლა კარენი მაინტერესებს.

— ჰო, გინდათ იცოდეთ ტრავმის შესახებ? არავითარი ტრავმა არ ყოფილა. კარგად მახსოვს.

— მაშ, რატომ გადაუღეს გასულ ზაფხულს თავის ქალის სურათები?

— აჰ, ეგა? იცით რა, კარენი — კარენია. ჩემთან მიღებაზე მოვიდა და განმიცხადა: „ვბრმავდები". თურმე მხედველობას კარგავს და ამის გამო სუსტად თამაშობს ჩოგბურთს. მომთხოვა, რომ ამასთან დაკავშირებით რაიმე მეღონა. მაშინ სისხლი ავუღე და რამდენიმე ანალიზი დავუნიშნე. სისხლის ანალიზი მუდამ კარგ გავლენას ახდენს. სისხლის წნევაც გავუსინჯე, მოვუსმინე და საერთოდ, თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს საქმეს სერიოზულად ვუდგებოდი.

— და თავის ქალის სურათის გადაღება დაუნიშნეთ?

— დიახ. ეს შედიოდა მკურნალობის კურსში.

— კარგად ვერ გაგიგეთ.

— კარენის ყველა დაავადება მხოლოდ ფსიქოსომატური წარმოშობისა იყო, — მითხრა მან. — ის არაფრით განსხვავდებოდა ქალების იმ ოთხმოცდაათი პროცენტისგან, რომელთა მკურნალობაც მე მიხდება. რაღაც უბრალო რამ არ გამოუვა, მაგალითად, ჩოგბურთის თამაში და ბახ! უკვე მკურნალობა სჭირდება. მიდის თავის ექიმთან. ექიმი უმეტეს შემთხვევაში

ვერავითარ ფიზიკურ დარღვევას ვერ ნახულობს, მაგრამ ის განა დამშვიდდება ამით? არა! მიდის ერთ ექიმთან, მეორესთან, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ წააწყდება ისეთს, რომელიც ხელზე ხელს გადაუსვამს და ეტყვის: „რას იზამ, მკურნალობაა საჭირო, საყვარელო“. — მან გაიცინა.

— მაშასადამე, ყველა ეს ანალიზი მხოლოდ დასამშვიდებლად დაუნიშნეთ?

— უპირატესად, — მითხრა მან. — მაგრამ, მაინც მთლად არა. მე სიფრთხილის მომხრე ვარ. და როდესაც ისეთი სერიოზული საჩივრით მოგმართავენ, როგორიც მხედველობის დასუსტებაა, გინდა თუ არა, გამოკვლევა საჭიროა. გავუსინჯე თვალის ფსკერი. ნორმაშია. გავუსინჯე მხედველობის არე. ნორმაშია. მაგრამ ის მიმტკიცებდა, რომ ზოგჯერ კარგად ხედავდა და ზოგჯერ — ცუდად. მაშინ სისხლი ავუღე და შაქარსა და ჰორმონებზე დავუნიშნე ანალიზები. ნორმაშია. თავის ქალის სურათებიც ნორმაში იყო — თუ უკვე ნახეთ ისინი?

— ვნახე, — ვუთხარი მე. — მაგრამ აქამდე არ მესმის, რატომ...

— აბა, შეადარეთ. ის ახალგაზრდაა, მაგრამ გამორიცხული არაა — ჩვილი თავის ტკივილსა და მხედველობის დაქვეითებაზე, წონის რამდენადმე მომატება, აპათია. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ჰიპოფიზის ჰიპერტროფია მხედველობის ნერვზე გართულებებით.

— სიმსივნე ჰიპოფიზზე?

— ეს დასაშვებია. საეჭვოა, მაგრამ დასაშვებია. ჩემი ანგარიშით, ანალიზებს უნდა გამოევლინა, იყო თუ არა ახალწარმონაქმნები ჰიპოფიზზე. თავის ქალის სურათებიც გამოამჟღავნებდა, რაიმე სერიოზული რომ ჰქონოდა. მაგრამ ყველა შემთხვევაში ანალიზის შედეგი უარყოფითი აღმოჩნდა. ყველაფერი მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო.

— დარწმუნებული ხართ? ხომ შეიძლება ლაბორატორიაში შემცდარიყვნენ.

— ესეც სწორია. სინდისის დასაშშვიდებლად, ანალიზის მეორე სერია უნდა დამენიშნა.

— და მაინც, რატომ არ გააკეთეთ ეს?

— იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კარენი მეტჯერ აღარ მოსულა ჩემთან.

— რას იზამ, — ვუთხარი მე, — გმადლობ, ყურადღება რომ მომაქციეთ.

— არ ღირს სალაპარაკოდ. — მან ქაღალდის პირსახოცით ხელის შემშრალება დაიწყო. შემდეგ შეჩერდა. — როგორც ჩანს, რაღაც განცხადება უნდა გამეკეთებინა, — მითხრა მან. — ვინაიდან მისი ბიძა ვარ და საერთოდ...

მე ვდუმდი.

— ძმამ რომ გაიგოს, რაზე ვსაუბრობდით ჩვენ აქ, სამუდამოდ დამემდურებოდა. ეცადეთ დაიმახსოვროთ ეს, თუკი კიდევ ვინმესთან გექნებათ ამ თემაზე საუბარი.

— გაძლევთ პირობას! — ვუთხარი მე.

— არ ვიცი თქვენი განზრახვა, — განაგრძობდა პიტერი. — და არც მინდა ვიცოდე. მუდამ ძალზე კეთილგონიერ კაცად მიმაჩნდით, და ვფიქრობ, ტყუილუბრალოდ დროს არ დახარჯავდით.

რა მეპასუხა არ ვიცოდი. ვერ გამეგო, რა ჰქონდა გუნებაში, მაგრამ რაღაც რომ ჰქონდა, ეს უეჭველი იყო.

8

სახლთან მისულმა დავინახე, რომ გზის პირას პოლიციის მანქანა იდგა ჩართული ციმციმათი. კაპიტანი პიტერსონი წინა ფრთაზე მიყრდნობილი იდგა და თვალს მადევნებდა, როგორ ვუხვევდი ჩემი შესასვლელისკენ. მანქანიდან გადმოვედი და

ახლომდებარე სახლებს თვალი შევავლე. მეზობლებს უკვე შეემჩნიათ განათებული ციმციმა და ახლა ფანჯრებზე იყვნენ გადმოკიდებულნი.

— იმედი მაქვს, — ვუთხარი მე, — დიდხანს არ გალოდინეთ.

— არა, — ღიმილით მითხრა პიტერსონმა. წითელი ფერის თანაბარ ციმციმში კარგად ვხედავდი მისი სახის თვითკმაყოფილ, ალერსიან გამომეტყველებას. სავსებით ნათელი იყო, რომ ციმციმა ჩემს ჯიბრზე არ გამორთო.

— რაიმე ცნობა ხომ არა გაქვთ ჩემთვის?

მან პოზა შეიცვალა:

— საერთოდ, კი ექიმო ბერი, თქვენზე საჩივარი შემოვიდა ექიმ რენდალისგან.

მიამიტური ხმით შევეკითხე:

— მაინც, რა სახის საჩივარია?

— რამდენადაც მესმის, თქვენ გადაკიდებული ხართ მისი ოჯახის წევრებზე: მის ვაჟიშვილზე, მის ცოლზე, მისი ქალიშვილის თანაჯგუფელებზეც კი.

— გადაკიდებული ვარ?

— ასე მითხრა მან, — დინჯად წარმოთქვა პიტერსონმა.

— მერედა, თქვენ რა უთხარით? — ციმციმა ჩემს ნერვებზე იწყებდა მოქმედებას.

— ვუთხარი, რომ შევეცდები ზომების მიღებას.

— კანონი დავარღვიე? — შევეკითხე მე.

— ეს ჯერ არ არის დადგენილი.

— თუ რომელიმე კანონი დავარღვიე, — ვუთხარი მე, — ექიმ რენდალს შეუძლია სასამართლოში მიჩივლოს. აგრეთვე შეუძლია სასამართლოს მიმართოს, თუკი იმედი აქვს, რომ დამიმტკიცებს, თითქოსდა ჩემ მიერ ჩადენილი მოქმედებების შედეგად განიცადა მატერიალური ზარალი. ეს მან თქვენზე ცუდად არ იცის და სხვათა შორის, არც ჩემზე ცუდად.

— იქნებ, ღირდა განყოფილებაში გაგვესეირნა და გვესაუბრა?

მე თავი გავაქნიე.

— დრო არა მაქვს.

— მაგრამ ხომ შემიძლია დაკითხვაზე გაგიგიძახოთ.

— შეგიძლიათ. — ვუთხარი მე. — მაგრამ თქვენი მხრივ ეს წინდაუხედაობა იქნებოდა.

— იქნებ, სრული წინდახედულებაც იყო.

— ეჭვი მეპარება, მე კერძო პირი ვარ და კერძო პირისთვის მიცემული უფლებების ფარგლებში ვმოქმედებ. არავის ავკიდებივარ და არ დავმუქრებივარ. ვისაც არ სურდა ჩემთან საუბარი, შეეძლო არ ესაუბრა.

— თქვენ შეიჭერით კერძო სამფლობელოში, რენდალის სამფლობელოში.

— ეს მოხდა წინასწარგანუზრახველად. გზას ავცდი და ვინმესგან მინდოდა გამეგო, როგორ განმეგრძო გზა. გზაზე შემომხვდა უზარმაზარი შენობა; ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ეს კერძო სახლი იყო. ვიფიქრე, რაიმე დაწესებულებაა-მეთქი.

— დაწესებულება?

— რასაკვირველია. თავშესაფარი, ან რაიმე სამკურნალო. ჰოდა, შევედი შიგ, გზა რომ მეკითხა. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც აღმოჩნდა, რომ სრულიად შემთხვევით...

— შემთხვევით?

— თქვენ რა, საპირისპიროს დამიმტკიცებთ?

პიტერსონმა საკმაოდ წარმატებით გამოსახა გულკეთილი ჩაცინება:

— თქვენ ხუმრობთ.

— არა მგონია, — ვუთხარი მე. — იცით რა, გამოთიშეთ ერთი ეგ ციმციმა და ნუ იპყრობთ ყველა მეზობლის ყურადღებას ჩემკენ, თუ არა და ვიჩივლებ, რომ პოლიცია საშველს არ მაძლევს-მეთქი. მერე საჩივარს შევიტან პოლიციის უფროსთან,

საოლქო პროკურორის კანცელარიაში და მერის კანცელარიაში.

მან დაუდევრად შეყო ხელი ფანჯარაში და გამომრთველი გააჩხაკუნა. სინათლე ჩაქრა.

— ოჰ, — მითხრა მან. — ოდესმე ცხვირიდან წამოგადენენ ამას.

— დიახ, — ვუთხარი მე. — იქნებ მე და იქნებ სხვა ვინმეს.

სახლში რომ შევდიოდი, გავიგონე, თუ როგორ დაიძრა ადგილიდან.

9

მაინცდამაინც არ მინდოდა კოქტეილის სასმელად წასვლა, მაგრამ ჯუდიტი დაჟინებით მთხოვდა. კემბრიჯში რომ მივდიოდით, გზაში მკითხა:

— რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— მაინც რა?

— ეს ამბავი პოლიციასთან.

— ჩემი ჩამოცილების ცდაა. რენდალმა იჩივლა, მყუდროებას მირღვევსო.

— მერე, მართალია?

— მე ვიტყოდი — კი. — ორიოდე სიტყვით ავუწერე ხალხი, ვისთანაც საქმე მქონდა დღის განმავლობაში. — ჩემი ღრმა რწმენით, დღემდე მხოლოდ ზედაპირზე ვცურავ, — დავამთავრე მე.

— როგორ ფიქრობ, მისის რენდალმა იცრუა სამასი დოლარის ჩეკის თაობაზე? — შემეკითხა ჯუდიტი.

— ძალიანაც შესაძლოა, — ვუპასუხე და პაუზის შემდეგ ვკითხე: — ბეტი როგორაა?

— ცუდად. დღეს გაზეთში გამოქვეყნდა სტატია... ისე, პატარა სტატია. ექიმის დაპატიმრება კრიმინალური აბორტის

გამო. თითქმის ყოველგვარი წვრილმანების გარეშე, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მოხსენიებულია არტი. გარდა ამისა, რამდენჯერმე ვიღაც იდიოტებმა დაურეკეს.

— ბევრი სისაძაგლე უთხრეს?

— საკმაოდ. ახლა მე თვითონ მივდივარ ტელეფონთან.

— ჭკვიანი ქალი ხარ! ხვალ წახვალ მასთან?

— წავალ.

მანქანა კემბრიჯის საქალაქო საავადმყოფოსთან ახლოს, წყნარ საცხოვრებელ კვარტალში დავაყენე. კარგი რაიონი იყო, ძველებური კერძო სახლებით, აგურის ტროტუარებით და ირგვლივ დარგული ნეკერჩხლებით. ერთი სიტყვით — კემბრიჯი. ის იყო მანქანა დავაყენე, რომ მოტოციკლით ჰემონდი მოგვადგა.

ჰემონდმაც დააყენა თავისი მოტოციკლი, დაკეტა, სიყვარულით დაარტყა ხელი საჯდომზე და ამ დროს შეგვამჩნია.

— ბიჭებო! სალამი. — ჰემონდი ყველას ბიჭებს უწოდებდა.

— როგორ ხარ, ნორტონ?

— ჯერჯერობით ვხტუნავ. მიუხედავად ყველა ხრიკისა. — მხარზე ხელი დამარტყა. — ჯონ, ამბობენ, საომრად გაგიწევიაო? დახე ამას, ჩვენს ბ. კ.-ზე აღმართა ხელი.

— ბ. კ.? — გაიკვირვა ჯუდიტმა.

— ბებერი კლისტირი — ასე უწოდებენ მას მესამე სართულის ბიჭები.

— რენდალს?

— სწორედ მას. — მან ჯუდიტს გაუღიმა. — მძიმე საქმე უკისრია ჭაბუკს. ამბობენ, არწივ-ფასკუნჯივით აქეთ-იქით აწყდება მესამე სართულზეო. არაფრით იჯერებს, რომ ვინმემ გაბედა მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ მოქმედება. ბ.კ.-საც უნდა გაუგო. მემორიალურში ასი წელი მაინც იცხოვრა და მუდამ ყველაფერი მშვიდად და წყნარად იყო. ახლა კი ეს ნადირობა თავის ქალაზე და თანაც კიდევ ეს ამბავი, მის ქალიშვილს რომ შეემთხვა...

— თავის ქალაზე ნადირობა? — გაუმეორა კითხვა ჯუ-
დიტმა.

— ღმერთო ჩემო! რა მოუვიდა იატაკქვეშა ტელეგრაფს? აქამდე ცოლები მუდამ პირველები იგებდნენ ყველაფერს. მემორიალში ისეთი ამბავი ატყდა საავადმყოფოს აფთიაქის თაობაზე, რომ ღმერთმა უწყის. გასულ კვირას თორმეტი დუჟინი მორფის ამპულა გაქრა. მეაფთიაქე კინაღამ გაგიჟდა. როდესაც ეს მოხდა, ის ადგილზე არ იყო. შესვენების დროს სადღაც კუთხეში სანიტარ ქალს ეხვეოდა.

— დანაკარგი იპოვეს?

— არა. მთელი საავადმყოფო გადააქოთეს და ვერაფერი აღმოაჩინეს.

— ადრე თუ მომხდარა ასეთი რამ? — ვკითხე მე.

— გამოირკვა, რომ მოხდა რამდენიმე წლის წინ. მაგრამ მაშინ სულ რამდენიმე ამპულა დაიკარგა. ამჟამად კი გვარიანად აწაპნეს.

— ვინმემ ექიმთა პერსონალიდან? — შევეკითხე მე.

ჰემონდმა მხრები აიჩეჩა.

— ყველა შეიძლება ყოფილიყო. პირადად მე, ეს წმინდა კომერციულ საქმედ მიმაჩნია. ბევრია წაღებული. ძალზე დიდი რისკი იყო. შეგიძლია წარმოიდგინო შენი თავი მემორიალურის ამბულატორიაში ფრთხიალით შესული და იქიდან იღლიებქვეშ ამპულებით გამოფრთხიალებული? აქ გაქანება იგრძნობა.

— მაგრამ ერთ ადამიანს ხომ ამდენი არ სჭირდება.

— საქმეც ესაა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ აქ კომერციას აქვს ადგილი. ჩემი აზრით, ეს იყო ძარცვა და თანაც გულდასმით მოფიქრებული. ამასთანავე ის აზრი უფრო ჭკუასთან ახლოა, რომ ეს ვიღაც შინაური იყო.

— იცი ისეთი ვინმე, ვინც ამით ერთობა?

— მედპერსონალს შორის? არა. დადიოდა ხმა, რომ ადრე კარდიოლოგიური განყოფილების ერთ-ერთი მედდა იჩხვლიტე-

ბოდა, მაგრამ უკვე წელიწადი იქნება, რაც თავი დაანება. ყოველ შემთხვევაში ძალზე გულდასმით შეამოწმეს. მთლად გაა-შიშვლეს და გამოიკვლიეს — ნემსების კვალს ეძებდნენ. ის ეჭვს გარეშე აღმოჩნდა.

— რაც შეეხება...

— ექიმებს?

თავი დავუქნიე. ექიმები და ნარკოტიკები — ეს აკრძალული თემაა. ექიმებს შორის არის ნარკომანების ზომიერი რაოდენობა: ეს არ არის საიდუმლოება, ისევე როგორც არ არის საიდუმლო ის, რომ თვითმკვლელობა ექიმებს შორის საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა. ასე ფართოდ არ არის ცნობილი ექიმისა და მისი შვილის კლასიკური სინდრომი — შემთხვევა, როდესაც შვილი ნარკომანი ხდება და ექიმი აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს ნარკოტიკებზე. მაგრამ ასეთ ამბებზე ლაპარაკი მიღებული არ არის.

— რამდენადაც ვიცი, ექიმები ეჭვს გარეშე არიან, — მითხრა ჰემონდმა.

— არავინ გათავისუფლებულა საავადმყოფოდან? ვინმე მედდებიდან, მდივანი ქალებიდან, საერთოდ არავინ?

— ერთი დამიხედე, როგორ გაცხარდი! მაინც რატომ? ფიქრობ, ამას კავშირი აქვს იმ ქალიშვილთან? არავითარი საფუძველი არ არის ამ ორი შემთხვევის ერთმანეთთან დასაკავშირებლად. მაგრამ საინტერესო იქნებოდა წმინდა თეორიულად. თუ რაიმე ახალს გავიგებ, დაგირეკავ.

კართან მივედით. შიგნიდან მხიარული ხმები ისმოდა: ბოკალების წკარუნი, საუბარი, სიცილი.

— გისურვებ წარმატებას, — მითხრა ჰემონდმა. — ძალიან მინდა რომ ომი შენ მოიგო.

— მეც.

წვეულება გაემართა ლინკოლნის საავადმყოფოს უფროს ორდინატორს ჯორჯ მორისს. მორისი ორდინატურას ამთავრებ-

და და კერძო პრაქტიკის დაწყებას აპირებდა. ასე რომ, ეს საკუთარი თავისათვის მოწყობილი დებიუტის მაგვარი იყო.

წვეულება დიდებულად იყო მოწყობილი. სტუმრები გარემოსილი იყვნენ კომფორტით, რომელიც მასპინძელს, ალბათ, ბლომად ფული დაუჯდა. ეს მაგონებდა იმ ფაბრიკანტების მიერ მოწყობილ დიდებულ ბანკეტებს, რომლებიც ახალი პროდუქციის ან ახალი წარმოების დაწყებას აპირებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ აქაც იგივე ხდებოდა.

ოცდარვა წლის ჯორჯ მორისი, რომელსაც ცოლი და ორი შვილი ჰყავდა, ვალებში ჩაეფლო. ნებისმიერ ექიმს მის ადგილზე იგივე ბედი ეწეოდა. ახლა აპირებდა ამ მდგომარეობიდან გამოსვლას, რისთვისაც პაციენტები სჭირდებოდა. ესე იგი, ავადმყოფები რომ გაეგზავნათ და მისთვის რეკომენდაცია გაეწიათ. მოკლედ რომ ვთქვათ, მას სჭირდებოდა იმ ექიმების კეთილგანწყობა, რომლებიც ქალაქში ცნობილნი იყვნენ. აი, რატომ მოიწვია თავის სახლში ორას კაცამდე და ახლა ძალით ასხამდა პირში საუკეთესო ალკოჰოლურ სასმელებს, რომლების შოვნაც კი შეძლო და ხეთქავდა საუკეთესო საუზმეულობით, რაც კი საუკეთესო რესტორანში აღმოჩნდა.

რადგან მე მხოლოდ პათოლოგანატომი ვიყავი, ძალზე სასიამოვნოდ მივიჩნიე ამ წვეულებაზე მიპატიჟება. არაფრით შემეძლო მორისისთვის სასარგებლო ვყოფილიყავი: პათოლოგანატომებს საქმე გვამებთან აქვთ, ხოლო გვამებს ვერავისთან გაუწევ რეკომენდაციას. მორისმა მე და ჯუდიტი იმიტომ მიგვიწვია, რომ მეგობრულად იყო ჩვენდამი განწყობილი. ჩემი აზრით, ამ წვეულებაზე ჩვენ მისი ერთადერთი მეგობრები ვიყავით.

ირგვლივ მიმოვიხედე. აქ იყვნენ ქალაქის უმეტესი საავადმყოფოს განყოფილების გამგეები: აგრეთვე ორდინატორები და მათი ცოლები. ცოლები კუთხეში შეგროვილიყვნენ და ბავშვებზე საუბრობდნენ; ექიმებს პატარ-პატარა ჯგუფებად მოეყარათ თავი იმის მიხედვით, თუ რა განხრით მუშაობდნენ და

რომელ საავადმყოფოში საქმიანობდნენ. ერთ კუთხეში ემერი დავობდა ფარისებრი ჯირკვლების ჰიპერფუნქციის მკურნალობის დროს შემცირებული დოზების ეფექტიანობის თაობაზე; მეორეში ჯონსტონი ღვიძლის წნევაზე ლაპარაკობდა; უფრო მოშორებით შეიძლებოდა მოგესმინათ ლუისტონის ბუტბუტი თავის საყვარელ თემაზე — შიზოფრენიის დეპრესიული ფორმის დროს ელექტროშოკით მკურნალობის არაადამიანურობის შესახებ. იქიდან, სადაც ცოლები იყვნენ შეკრებილი, დროდადრო მოისმოდა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „აცრა“, ანდა „ჩუტყვავილა“.

ამ საღამოზე მყოფი სტუმრებიდან მხოლოდ ერთი ადამიანი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემთვის სასარგებლო — ფრიც ვერნერი; მაგრამ ის რატომღაც არ ჩანდა და მის ძებნაში ერთი ოთახიდან მეორეში დავეხეტებოდი. სტუმრებს შორის მოსიარულეს ანეკდოტებისა და საუბრების ნაწყვეტები მესმოდა; ეს საღამოც ისეთივე ჩვეულებრივი იყო, როგორიც სხვა საღამოები ექიმთა სახლებში.

„გაგიგიათ ფრანგი ბიოქიმიკოსის შესახებ, რომელსაც ტყუპი დაებადა? მან ერთი მონათლა, მეორე კი საკონტროლო ერთეულად დატოვა“.

„სულერთია, ყველა მათგანს ადრე თუ გვიან ბაქტერემია უვითარდება...“

„კი მაგრამ, რას მოელით კაცისგან, რომელიც ჰოპკინსის კოლეჯში სწავლობდა?..“

„რასაკვირველია, შეიძლება სისხლის აირის გამოსწორება, მაგრამ ამით სისხლის მიმოქცევას ხომ ვერ უშველით...“

„... რასაკვირველია, მან დაუსტვინა. ვინ არ დაუსტვენდა.“

„... ღვიძლი თითქმის მუხლამდე ჰქონდა, მაგრამ არავითარი ფუნქციური დარღვევები არ აღმოაჩნდა...“

„მან განაცხადა, რომ გაეწერებოდა, თუ ოპერაციას არ გავუკეთებდით, ასე რომ, ბუნებრივია, ჩვენ“...

„ყოვლად შეუძლებელია! ჰარი სანიტარ გოგონასთან მეშ-
ვიდედან? იმ ქერათმიანთან?“

„...უბრალოდ არ მჯერა. წლის განმავლობაში გაცილებით მეტ სტატიებს აქვეყნებს ჟურნალებში, ვიდრე საშუალო ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობში წაიკითხავს“.

რვა საათისთვის უკვე გადაღლილი ვიყავი. ამ დროს ფრიც ვერნერი დავინახე; სწორედ ახლა შემოდიოდა ოთახში; ხელის ქნევით ესალმებოდა ყველას და თან რაღაცას მხიარულად ჰყვებოდა. მე მისკენ წავედი, ის კი — ბარისკენ.

მაღალი, გამხდარი, თითქმის დაძაბუნებული კაცი გახლდათ. მის მოძრაობებში რაღაც ფრინველისებური იყო; დადიოდა მოუქნელად, გვერდულად; თითქოს ყურს აკლიაო, თანამოსაუბრეს რომ უსმენდა, კისერს იგრძელებდა. მასში რაღაცნაირი ვნება იგრძნობოდა, რაც შესაძლოა, აიხსნებოდა მისი ავსტრიული წარმოშობითა და კიდევ არტისტული ნატურით; ფრიცის ჰობი ფერწერა იყო, რის გამოც მის კაბინეტში, ისევე როგორც სტუდიაში, მუდამ სივიწროვე და არეულ-დარეულობა სუფევდა. მაგრამ თავის სარჩენ ფულს შოულობდა — და თანაც გვარიანად — როგორც ფსიქიატრი, ყოველდღიურად მოთმინებით უსმენდა ხანში შესულ ქალბატონებს, რომელთაც სიცოცხლის დასასრულს უცებ ეჩვენებათ, რომ თავის არეში საქმე ცუდად აქვთ. მან ხელი გამომიწოდა და გამიღიმა.

— ამას ვის ვხედავ! შემთხვევით, აქაურობის წყლული ხომ არ ხართ?

— მგონი, თვითონაც უკვე ასე ვფიქრობ.

მან ოთახს თვალი მიმოავლო.

— თქვენი მეუღლე დღეს მომხიბვლელად გამოიყურება. მან მუდამ ლურჯი უნდა ჩაიცვას.

— გადავცემ.

— უბრალოდ მომხიბვლელია. როგორ ხართ, საერთოდ, მთელი ოჯახი?

— გმადლობ, კარგად. ფრიც...

— სამსახურის საქმე როგორაა?

— მისმინეთ, ფრიც, დახმარება მჭირდება.

მან წყნარად გაიცინა:

— დახმარება ცოტაა. დროა, გადაგარჩინოთ. აი, თქვენ ხან ერთს, ხან მეორეს ესაუბრებით. ვფიქრობ, უკვე მოასწარით საჭირო საგნის მონახულება. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ბაბლზმა.

— რომელმა? პატარა მსახიობმა ქალმა, სტრიპტიზით რომ გამოდის?

— არა, ბაბლზმა — ოთახის მეზობელმა.

— კარენის მეზობელმა?

— დიახ.

— კოლეჯის საერთო საცხოვრებელში?

— ღმერთო ჩემო, არა. ბიკონ ჰილზე გასულ ზაფხულს ერთად რომ ქირაობდნენ ოთახს. კარენი, ბაბლზი და კიდევ მესამე, რომელსაც რაღაც საერთო ჰქონდა მედიცინასთან — მედდა, ტექნიკოსი, თუ კიდევ ვიღაცა. კარგი კომპანია იყო!

— კი მაგრამ, ნამდვილი სახელი რა არის? ბაბლზი ხომ არ ერქმევა!

ვიღაც ბართან მივიდა სასმლის დასამატებლად. ფრიცმა მკაცრად მიმოიხედა აქეთ-იქით და პროფესიონალური ტონით მითხრა:

— საკმაოდ სერიოზულად ჟღერს. ჩემთან გამოგზავნეთ ხვალ ორის ნახევარსა და სამის ნახევარს შორის.

— ამას მოვაგვარებ, — ვუთხარი მე.

— შესანიშნავია. ჯონ, მოხარული ვარ თქვენი ნახვის. ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს.

XXX

ჯუდიტი კედელთან მიყუდებულ ნორტონ ჰემონდს ელაპარაკებოდა. მათკენ მიმავალმა გავიფიქრე, რომ ფრიცი მართალი იყო: ჯუდიტი მართლაც მომხიბვლელად გამოიყურებოდა. შემდეგ შევნიშნე, რომ ჰემონდი სიგარეტს ეწეოდა. ამაში არაფერი იყო განსაკუთრებული, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჰემონდი საერთოდ არ ეწეოდა. მას ხელში სირჩა არ ეჭირა და მაგარი ნაფაზებით აუჩქარებლად ეწეოდა.

— ყური მიგდე, — ვუთხარი მე. — ამ საქმეს ცოტა უფრთხილდი.

— ვცდილობდი მისთვის ამეხსნა, — შენიშნა ჯუდიტმა, — ვინმე აუცილებლად იყნოსავს-მეთქი.

— ვერავინ ვერაფერს იყნოსავს, — შეეპასუხა ჰემონდი. როგორც ჩანს, ის მართალი იყო; ოთახში სულს ვერ მოითქვამდი — შენ კი, მაშასადამე, აბორტის მომხრე ხარ და მარიხუანის წინააღმდეგი? სწორად გაგიგე?

სანამ ვუყურებდი, როგორ ივსებდა პირს ბოლით, უცებ აზრი დამებადა:

— ნორტონ, შენ ხომ ბიკონ ჰილზე ცხოვრობ. ხომ არ იცნობ ვინმეს, მეტსახელად ბაბლზს?

— ვინ არ იცნობს მას? — გაიცინა. — ბაბლზი და სუპერთავი. ისინი მუდამ ერთად არიან.

— სუპერთავი?

— ჰო. ეს მისი მორიგი გატაცებაა. ელექტრონული მუსიკის შემთხზველი, რომელიც ისე ჟღერს, თითქოს ძაღლების ხროვა მთვარეს უყეფსო.

— ადრე კარენ რენდალთან ერთად ხომ არ უცხოვრია ერთ ბინაში?

— არ ვიცი. შესაძლოა. მერე რა?

— ნამდვილი სახელი რა ჰქვია იმ ბაბლზს?

— არასდროს გამიგონია, სხვანაირად დაეძახოთ. ბიჭს კი სემუელ არჩერი ჰქვია.

— სად ცხოვრობს?

— სადღაც რატუშასთან ახლოს, რომელიღაც სარდაფში, ბუნაგივით აქვთ მოწყობილი.

— ბუნაგივით?

— რომ დაიჯერო, ეს უნდა ნახო. — მითხრა ნორტონმა და მშვიდად, კმაყოფილად ამოისუნთქა.

10

მისამართი სატელეფონო ცნობარში ვნახე: სემუელ ფ. არჩერი, 1334, ლენგდონ-სტრიტი.

მართალია, არსებობდა რისკი, რომ სემუელ ფ. არჩერი იქ აღარ დამხვედროდა, მაგრამ მაინც პირდაპირ იმ მისამართზე წასვლა გადავწყვიტე. ბინა ბიკონ ჰილის აღმოსავლეთ ციცაბო ფერდზე, ჩამოცრცნილ მრავალბინიან სახლში იყო. სადარბაზოში კომბოსტოსა და სახვევი ჩვრების სუნი იდგა. ჭრიალა ხის კიბით ჩავედი სარდაფში, სადაც მაშინვე აინთო მწვანე სინათლე და ზეთის შავი საღებავით შეღებილი კარი გაანათა. კარზე ჩამოკიდებული იყო პატარა ფირი წარწერით: „ღმერთი ზრუნავს თავის შვილებზე“. დავაკაკუნე.

შიგნიდან კივილი, ყმუილი, რაკრაკი და გოდება მოისმოდა. გაიღო კარი. ჩემ წინ დაახლოებით ოცი წლის ყმაწვილი კაცი იდგა გრძელი, შავი თმითა და ფართო და ხშირი წვერით. ეცვა ჯინსი, სანდლები და თეთრწინწკლებიანი სოსანისფერი პერანგი. შემომყურებდა ალერსიანად და არც გაოცებასა და არც ცნობისმოყვარეობას არ გამოხატავდა.

— რა გნებავთ?

— ექიმი ბერი გახლავართ. სემუელ არჩერი ბრძანდებით?

— არა.

— მისტერ არჩერი სახლშია?

— ახლა დაკავებული გახლავთ.

— მისი ნახვა მინდოდა.

— მისი ნაცნობი ხართ? — ახლა უკვე დაუფარავი უნდობლობით შემომყურებდა. ხმების ახალი ნაკადი შემომესმა — ღრჭიალი, გრიალი და გაბმული სტვენა.

— მისი დახმარება მჭირდება.

თითქოს ცოტა მოლბა.

— ცუდი დრო აგირჩევიათ.

— საქმე ვერ ითმენს გადადებას.

— ექიმი ბრძანდებით?

— დიახ.

— მანქანა გყავთ?— დიახ.

— რა მარკის?

— „შევროლე", 1965 წლის.

— ნომერი?

— ორი-ერთი-ერთი-ხუთი-თექვსმეტი.

— მაპატიეთ, მაგრამ ხომ იცით, ახლა რა დროა. არავის ნდობა არ შეიძლება. მობრძანდით, ოღონდ ჩუმად იყავით, კარგი? ჯერ მე თვითონ ვეტყვი. შემოქმედების პროცესში, ჯობს არ მიეკაროთ. ახლა უკვე მეშვიდე საათი დაიწყო, ასე რომ, არა უშავს. მაგრამ, საერთოდ, ადვილად კარგავს წონასწორობას, გადაქანცულიც კი.

ჩვენ, როგორც ჩანს, ყოფილ სასტუმრო ოთახზე გავიარეთ, აქ იდგა დივან-საწოლები და რამდენიმე იაფფასიანი ტორშერი. თეთრი კედლები დაფარული იყო უცნაურად მოდღაბნილი ნახატებით, რომლებიც თითქოს მნათი საღებავებით იყო შესრულებული.

— შეიძლება შეიშალო, — ვუთხარი იმ იმედით, რომ მიზანში მოვახვედრებდი.

— ნუ მეტყვით.

შემდეგ ოთახში შევედით. შუქი მიმქრალი იყო. იატაკზე იჯდა სხვადასხვაგვარი ელექტრონული აპარატურით გარშემორტყმული დაბალი, ფერმკრთალი ჭაბუკი, რომელსაც ქერა ხუჭუჭი თმა უზარმაზარი ზვინივით ადგა თავზე. კედელთან იდგა ორი მიკროფონი, ერთდროულად ორი მაგნიტოფონი მუშაობდა. ფერმკრთალი ჭაბუკი თავის ტექნიკასთან საქმიანობდა. ხან ერთ და ხან მეორე ღილაკს აჭერდა თითს და ყველა ხელსაწყოდან უცნაურ ხმებს გამოსცემდა. ჩვენ რომ შევედით, არც კი გამოუხედავს, ძალზე დაძაბულად გამოიყურებოდა, მაგრამ შენელებული მოძრაობა ჰქონდა.

— აქ დაიცადეთ, — მითხრა წვერიანმა. — მე ვეტყვი.

კართან გავჩერდი. წვერიანი ფერმკრთალთან მივიდა და ხმადაბლა უთხრა: „სემ, სემ“.

სემმა შეხედა.

— სალამი, — უთხრა მან.

— სემ, შენთან არიან.

სემი შეფიქრიანდა.

— ჩემთან? — ის კვლავინდებურად ვერ მამჩნევდა.

— დიახ, ძალზე სიმპათიური კაცი. გესმის? ის მოვიდა როგორც მეგობარი.

— კარგი, — წყნარად წარმოთქვა სემმა.

— მას შენი დახმარება სჭირდება. დაეხმარები?

— მაგას კითხვა უნდა?

წვერიანმა თითით მომიხმო.

— რისგანაა ასე? — ვკითხე, ახლოს რომ მივედი.

— ბევრი მოსწია. უკვე დროა, გონს მოვიდეს. მაგრამ სულერთია, რაც შეიძლება ფრთხილად იყავით. კარგი?

ჩავცუცქდი და ჩემი სახე სემის სახის დონეზე აღმოჩნდა. მან უაზროდ შემომხედა.

— არ გიცნობ. — ბოლოს და ბოლოს, წარმოთქვა მან.

— ჯონ ბერი ვარ.

სემი შეირხა.

— შენ, ძმაო, მოხუცი ხარ. ოჰ, როგორი მოხუცი.

— ნაწილობრივ კი! — ვუთხარი მე.

— დიახ, ძმაო, სასწაულები... ეი, მარვინ. — ქვევიდან ზემოთ შემყურემ უთხრა თავის მეგობარს. — ნახე ეს ძია? მთლად მოხუცებულია!

— მთლად, — დაადასტურა მარვინმა.

— აი სასწაული, — მოხუცებული!

— სემ, მე შენი მეგობარი ვარ.

— შენ ფარაონი ხარ, — მითხრა მან.

— არა, არ ვარ ფარაონი. სემ, არა ვარ ფარაონი.

— ჰოდა, ცრუობ კიდეც.

— ხშირად მოსდის ხოლმე ასე, — მითხრა მარვინმა. — აკვიატებული იდეა აქვს. სულ ეშინია, რომ საგიჟეთში მოათავსებენ.

— არა, სემ, არ ვარ ფარაონი. თუ არ გინდა, რომ დამეხმარო, წავალ.

— ფარაონი, ჯაშუში, გროშები, ინდაური.

— არა, სემ, არა! არა!

როგორც იქნა, ცოტათი დამშვიდდა.

მე სული მოვითქვი:

— სემ, თუ იცნობ ბაბლზს?

— კი.

— სემ, თუ ჰყავს მას მეგობარი ქალი, სახელად კარენი?

თვალები შორს მიაპყრო. სანამ მიპასუხებდა, კარგა ხანი გავიდა.

— კი! კარენი.

— ბაბლზი კარენთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობდა?

— კი.

— იცნობდი კარენს?

— კი. — მან ხშირი სუნთქვა იწყო. მკერდი ზემოთ ეწეოდა, თვალები გაუფართოვდა.

ფრთხილად დავადე ხელები მხრებზე:

— წყნარად, სემ. წყნარად, წყნარად. რაშია საქმე?

— კარენი, — მითხრა მან და ოთახის შორეულ კუთხეს მიაშტერდა.

— კარენი საშინელება იყო. ყველაზე ცუდი იყო, ძმაო. ყველაზე ცუდი.

— ახლა სადაა ბაბლზი, სემ?

— არ არის, ენჯელასთან წავიდა, ენჯელასთან.

— ენჯელა ჰარდინგთან, — უკარნახა მარვინმა. — გასულ წელს ის, კარენი და ბაბლზი ერთად ცხოვრობდნენ.

— ახლა სად ცხოვრობს ენჯელა? — შევეკითხე მარვინს.

მაგრამ ამ დროს სემი წამოხტა და მთელი ხმით აღრიალდა:

„ფარაონი! ფარაონი!“ ხელი მომიქნია, ამაცდინა უნდოდა წიხლის კვრა, მაგრამ ფეხში ვტაცე ხელი და დაეცა. დაცემის დროს ზოგიერთი რამ თავისი ელექტრონული აპარატურიდან ძირს ჩამოაგდო... რომელიღაც ხელსაწყოდან გამოსულმა ყურთასმენის წამღებმა ხმამ ოთახი ააავსო.

სემს ხელი ვტაცე და იატაკს მივაკარი. წიხლებს ისროდა და გააფთრებით ღრიალებდა.

— ფარაონი! ფარაონი! ფარაონი!

მარვინი ცდილობდა დამხმარებოდა, მაგრამ ვერას გახდა. სემმა თავის იატაკზე დარტყმა დაიწყო.

— თავქვეშ ფეხი დაუდე.

მარვინი ვერ მიხვდა.

— გაინძერი, რაღა! — დავუყვირე მე.

ბოლოს და ბოლოს, ისე დაუდო ფეხი, თავი რომ არ გაეტეხა. სემი განაგრძობდა ფართხალსა და ბრძოლას, მაგრამ მაგრად მეჭირა. შემდეგ კი უეცრად ხელი ვუშვი. მაშინვე შეწ-

ყვიტა კლაკვნა, ხელებზე დაიხედა და შემდეგ ჩემზე გადმოიტანა მზერა.

— ეი, ძმაო, შენ რა?

— შეგიძლია მეტი აღარ იფართხალო.

— ყური მიგდე, ძმაო, მაგრამ შენ ხომ გამიშვი.

მარვინს ვანიშნე და მან ელექტროხელსაწყოები გამორთო. ყმუილი შეწყდა. სემმა ყურადღებით შემომხედა:

— ყური მიგდე, ძმაო, შენ ხომ გამიშვი. შენ მართლა გამიშვი. — კვლავ სახეში შემომყურებდა. — ძმაო, — უცებ თქვა მან, ჩემს ლოყას შეეხო და მაკოცა.

ოთხშაბათი

12 ოქტომბერი

1

თვეში ერთხელ უფალი ღმერთი იცოდებს თავისუფლების აკვანს და მზეს ნებას რთავს ბოსტონი გაანათოს. დღეს სწორედ ასეთი დღე იყო: გრილი, კაშკაშა და ნათელი, ჰაერში შემოდგომის მაცოცხლებელი სიო ქროდა. რაღაც წინათგრძნობით შეპყრობილმა, კარგი განწყობილებით გავიღვიძე.

კარგად ვისაუზმე, ორი კვერცხიც გემრიელად გეახელით, თან დამნაშავედ ვგრძნობდი თავს, რადგან მახსოვდა, რომ ისინი ჰოლესტერინს შეიცავენ. შემდეგ ჩემს კაბინეტში გავედი, რათა დღის წესრიგი დამესახა. შევადგინე იმ პირთა სია, რომელთა ნახვაც უკვე მოვასწარი და ვცადე, ამეწონ-დამეწონა, რომელიმე მათგანზე ხომ არ შეიძლებოდა ეჭვის მიტანა. ნამდვილად არც ერთ მათგანზე არ შეიძლებოდა ეჭვის მიტანა.

რამდენიმე ხანს ვეჭვრეტდი ჩემს სიას, შემდეგ ქალაქის

საავადმყოფოში დავრეკე. ელისი ადგილზე არ იყო; ყურმილი სხვა მდივანმა ქალმა აიღო.

— კარენ რენდალის გაკვეთის დასკვნა მიიღეთ?

— ბარათის ნომერი?

— ნომერი არ ვიცი.

— კარგი იქნებოდა, გცოდნოდათ, — მიპასუხა ძალზე გაღიზიანებულად.

— გეთაყვა, ასეა თუ ისე, შეამოწმეთ.

— თვის განმავლობაში მომხდარი ყველა გაკვეთის ანგარიშის ბარათი პირდაპირ მის ცხვირწინ, ყუთში აწყვია და ჩემი თხოვნის შესრულება მისთვის სულ იოლია. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მითხრა:

— აი, ინებეთ: „სისხლდენა საშვილოსნოდან, გამოწვეული საშვილოსნოს პერფორაციით, რომლის მიზეზია სამი თვის ფეხმძიმობის შეწყვეტა. თანმხლები დიაგნოზი: ანაფილაქსია".

— ნუთუ? — ვუთხარი და მოვიღუშე. — დარწმუნებული ხართ?

— მე უბრალოდ იმას ვკითხულობ, რაც აქ წერია, — მიპასუხა მან.

უცნაური გრძნობით შეპყრობილმა დავკიდე ყურმილი. ვიცოდი, რომ შეიძლებოდა შევმცდარიყავი. შესაძლოა მიკროსკოპულმა ექსპერტიზამ დაადგინა ის, რაც არ აჩვენა მაკროსკოპიამ. თუმცა, ეს ვარიანტი ნაკლებდამაჯერებლად მომეჩვენა. მერფის ლაბორატორიაში დავურეკე, რათა გამეგო, დამთავრებული ჰქონდა თუ არა ანალიზი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ დაუმთავრებია: ანალიზი მხოლოდ ნაშუადღევის შემდეგ ექნებოდა მზად.

მერე ტელეფონების წიგნი გადავშალე და ენჯელა ჰარდინგის მისამართის ძებნა დავიწყე. ის ჩესტნატ-სტრიტზე ცხოვრობდა: მისამართი ძალზე რესპექტაბელური იყო. მასთან წავედი.

ჩესტნატ-სტრიტი ზედ ბიკონ-სტრიტის ძირში კვეთს ჩარლზ-სტრიტს. ეს არის საცხოვრებელი სახლების, ანტიკვარული მაღაზიების, ძველმოდური რესტორნებისა და პატარა საბაყლო დუქნების ძალზე წყნარი რაიონი. უმთავრესად ახალგაზრდა სპეციალისტები ცხოვრობენ: ექიმები, ადვოკატები, ბანკის თანამშრომლები, რომელთაც კარგი მისამართი სჭირდებათ, მაგრამ ჯერჯერობით ნიუტონ ანდა უელზლი-სტრიტი მათთვის ძვირია. მისი მოსახლეობის მეორე ნაწილს შეადგენენ ძველი სპეციალისტები — დაახლოებით ორმოცდაათი, სამოცი წლის ხალხი, რომელთა შვილები უკვე დაიზარდნენ და ოჯახები შექმნეს. აქ, რასაკვირველია, სტუდენტებიც სახლდებიან, ოღონდ ეკონომიის გამო, ერთ პატარა ბინაში რამდენიმე ცხოვრობს. ხანში შესული მცხოვრებლები, თითქოსდა, სიმპათიით იყვნენ განწყობილნი სტუდენტებისადმი — მათ რაიონის ცხოვრებაში სიხალისე და ერთგვარი კოლორიტი შეჰქონდათ. უფრო სწორად, მანამ იყვნენ სიმპათიით განწყობილნი, სანამ სტუდენტები წესიერად გამოიყურებოდნენ და წყნარად იყვნენ.

ენჯელა ჰარდინგი ულიფტო სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა; დავაკაკუნე, კარი გამიღო გოგონამ, რომელსაც მინიქვედაბოლო და სვიტერი ეცვა და მოლურჯო ფერის უზარმაზარი, მრგვალი სათვალე ეკეთა. ლოყაზე კი ყვავილი ეხატა.

— ენჯელა ჰარდინგი ბრძანდებით?

— არა. — მიპასუხა ქალიშვილმა. — დაიგვიანეთ, უკვე წავიდა. მაგრამ, შესაძლოა კიდევ დაბრუნდეს.

— ექიმი ბერი გახლავართ. პათოლოგანატომი.

ქალიშვილმა ტუჩი მოიკვნიტა და დაბნეულად შემომხედა.

— ბაბლზი ბრძანდებით?

— დიახ, — მითხრა მან. — თქვენ საიდან იცით? — და მაშინვე თითები დაატკაცუნა: ჰო, რასაკვირველია. თქვენ ხომ

გუშინ სუპერთავთან იყავით. — კარიდან უკან დაიხია. — მო-
ბრძანდით!

ოთახში თითქმის არ იყო ავეჯი. სასტუმრო ოთახში ვი-
წრო ტახტი იდგა და იატაზე ორიოდე ბალიში ეგდო: ღია კარს
იქით აულაგებელი საწოლი მოჩანდა.

— ვცდილობ, ყველაფერი გავარკვიო კარენ რენდალის
შესახებ, — ვუთხარი მე.

— მსმენია.

— თქვენ სამნი ცხოვრობდით გასულ ზაფხულს აქ ერ-
თად? .

— დიახ.

— როდის ნახეთ უკანასკნელად კარენი?

— უკვე რამდენიმე თვეა, არ მინახავს, ენჯელას, — მითხრა
მან.

— ასე გითხრათ ენჯელამ?

— დიახ, რასაკვირველია.

— როდის გითხრათ?

— გუშინ საღამოს. ჩვენ გუშინ საღამოს ვლაპარაკობდით
კარენის შესახებ. საქმე ისაა, რომ სწორედ გუშინ გავიგეთ ის
ამბავი, რაც მას შეემთხვა.

— ვინ გითხრათ?

— ხმებმა მოაღწია.

— რა ხმებმა?

— რომ ის ცუდად გამოფხიკეს.

— იცით, ვინ გააკეთა ეს?

— პოლიციას დაუკავებია ვიღაც ექიმი. ალბათ, მან ჩაიდ-
ინა. — მხრების აწევით თქვა ბაბლზმა. — ერთი რამ არ მესმის,
კარენი სულელი არ იყო, ყველაფერი იცოდა. ამის გამოცდილება
უკვე არაერთხელ ჰქონდა, გასული ზაფხულის ჩათვლით.

— ესე იგი, აბორტს იკეთებდა?

— დიახ! სწორია. ამის მერე მკვდარივით დადიოდა. შემ-

დეგ, ორიოდეჯერ, ეშმაკმა უწყის, რა მოსწია და ცოტათი მოკეთდა. ბავშვების მიმართ გულგრილი არ იყო. აბორტის შემდეგ პირველ ხანებში არ გვინდოდა მისთვის რაიმე ისეთი მიგვეცა, მაგრამ გვთხოვდა და საშინლადაც დამთავრდა ეს ამბავი.

— მაინც რა მოხდა? — ვკითხე მე.

— ერთხელ თავისი თავი დანად წარმოიდგინა. ოთახს ფხეკდა და თანაც შემზარავად ღრიალებდა, რომ ირგვლივ სისხლია, ყველა კედელი სისხლშია მოსვრილი, თან ეჩვენებოდა თითქოს ფანჯრები — ახალშობილი ბავშვებია და ისინი მის თვალწინ შავდებიან და კვდებიან. უბრალოდ საშინელებაა.

— თქვენ კი რას აკეთებდით?

— ვამშვიდებდით, მეტი რაღა დაგვრჩენოდა? — მაგიდისკენ გასწია ხელი და მავთულის პატარა მარყუჟი და ტოლჩა აიღო. მარყუჟი გაიქნია და საპნის პატარა ბუშტულების ნაკადი ჯერ ჰაერში აფრინდა და მერე ნელ-ნელა დაბლა იწყო დაშვება. ბაბლზი თვალს ადევნებდა მათ. ისინი ერთიმეორის მიყოლებით იატაკზე ეცემოდნენ და სკდებოდნენ. — უბრალოდ საშინელებაა!

— ვინ გაუკეთა მას გასულ ზაფხულს აბორტი? — ვკითხე მე.

ბაბლზმა გაიცინა:

— არ ვიცი.

— როგორ მოხდა ეს?

— უბრალოდ, დაორსულდა. მოვიდა ერთხელ და გამოგვიცხადა, რომ უნდა მოიცილოს ის. ჰოდა, გაქრა ერთი დღით, შემდეგ კი მობრძანდა. ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— უბრალოდ, სინანულის გარეშე?

— ჰო! — ბუშტულების ახალი ნაკადი გამოუშვა და თვალს ვერ სწყვეტდა მათ. — უბრალოდ, სინანულის გარეშე. მაპატიეთ, ერთი წუთით. — სამზარეულოში გავიდა, ერთი ჭიქა წყალი

დაისხა და აბს დააყოლა. — რაღაც მოვითენთე, — ამიხსნა მან. — თქვენ, ალბათ, გესმით.

— რა არის ეგ?

— პატარა ბომბები.

— ამფიტამინი?

— მეტედრინი.

— მუდმივად ხმარობთ?

— გეტყობათ, რომ ექიმი ხართ. — თმა გადაიწია, — არ შეგიძლიათ კითხვების გარეშე?

— სად შოულობთ? — ობლატის შენიშვნა მოვასწარი. მასში სულ ცოტა, ხუთ მილიგრამამდე იყო. შავ ბაზარზე მეტედრინს ჩვეულებრივ ერთ მილიგრამად დაფასოებულს ყიდიან.

— დაივიწყეთ, — მითხრა მან. — კარგით? დაივიწყეთ და მორჩა.

— თუ გინდათ, რომ დავივიწყო, მაშინ, საერთოდ, რატომ მიიღეთ ჩემ თვალწინ?

— თავის მოწონება მომინდა თქვენ წინაშე, ესაა და ეს.

— კარენიც იღებდა მას?

— კარენი ყველაფერს იღებდა, რაც კი ხელთ მოხვდებოდა. იჩხირავდა კიდეც. — როგორც ჩანს, გაოცება გამომეხატა, იმიტომ, რომ იქ სადაც ხელი იხრება, თითით ვენაში გადასხმის იმიტირება დაიწყო. — სხვა არავინ იჩხირავს. კარენი კი თავს არ იზოგავდა.

— მერედა, როგორ გრძნობდა შემდეგ თავს?

— საშინლად, როგორც მისიკვდილებული. გულმოკლული, აი, სწორედ — გულმოკლული იყო. მთელი ზაფხული, ზაფხულის ბოლომდე, არც ერთი ბიჭი არ მიუშვია ახლოს. თითქოს ეშინოდა.

— დარწმუნებული ხართ?

— ჰო, — მითხრა მან. — აბა რა!

ირგვლივ მიმოვიხედე.

— სადაა ენჯელა? გასაუბრება მინდოდა მასთან.

— თვითონაც ძალიან სურს თქვენთან საუბარი — ახლავე.

— რაიმე უსიამოვნება შეემთხვა?

ბაბლზმა მხრები აიჩეჩა.

— რამდენადაც ვიცი, ის მედდაა.

იმ წუთს შემოსასვლელი კარი გაიღო და ოთახში ამ სიტყვებით მაღალი ქალიშვილი შემოვარდა:

— ის პირუტყვი არსად არის. იმალება, წყეული... — ჩემს დანახვაზე სიტყვა გაუწყდა.

— დატკბი, ენჯელა, — უთხრა ბაბლზმა და ჩემკენ თავით მოუთითა. — აი, ვინ მოვიდა შენთან — ბებერი და კოხტა.

ენჯელა ჰარდინგი სწრაფი ნაბიჯებით შემოვიდა ოთახში, ტახტზე დაენარცხა და სიგარეტი გააბოლა. ძალზე მოკლე შავი კაბა, შავი ბადურა წინდები და შავი ლაკის ჩექმა ეცვა. გრძელი შავი თმა და ლამაზი, კლასიკური სახე ჰქონდა, თლილი ნაკვთებით; ეს იყო მანეკენის სახე. ძლივს წარმომედგინა მედდის როლში.

— თქვენ ხართ დაინტერესებული კარენით? დაბრძანდით, — მითხრა მან. — გული მოიოხეთ.

ბაბლზმა ისევ წამოიწყო:

— ენჯი, მე მისთვის არ მითქვამს...

— ქენი სიკეთე, ბაბლზ, მომიტანე კოკა-კოლა, — უთხრა ენჯელამ. ბაბლზმა მორჩილად დაუკრა თავი და სამზარეულოში გავიდა. ენჯელამ სიგარეტი მოქაჩა და მაშინვე ჩააქრო. სწრაფად მოძრაობდა, მაგრამ სახეზე აღელვება არ ეტყობოდა. მან ხმას დაუწია: — მისი თანდასწრებით არ მინდოდა კარენზე ლაპარაკი. ყოველივე ამის გამო ბაბლზი ძალზე განერვიულებულია. ისინი ძალიან მეგობრობდნენ.

— თქვენ?

— ისე არა.

— მაინც რატომ?

— თავიდან ის ორივეს მოგვეწონა. კარგი გოგონა იყო, ცოტა ავარდნილი, მაგრამ მხიარული. თავიდან ძალიან მომეწონა. ამიტომაც გადავწყვიტეთ სამივემ ერთად ცხოვრება. შემდეგ ბაბლზი სუპერთავთან გადავიდა, მე კი აქ კარენთან ერთად დავრჩი. ეს უკვე არცთუ ისე სასიამოვნო იყო. ის არანორმალური იყო, ჩამოყალიბებული გიჟი.

ბაბლზი დაბრუნდა და კოკა-კოლა შემოიტანა.

— ტყუილია!

— რასაკვირველია, შენი თანდასწრებით არა. შენ წინ შეეძლო თავის მოკატუნება.

— უბრალოდ იმის გამო ბრაზობ...

— ჰო, რასაკვირველია, აბა რა! — ენჯელამ თავი გააქნია და თავის გრძელ ფეხებს მდგომარეობა შეუცვალა. შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა და მითხრა: — ჯიმიზე ჩამირტყა სიტყვა. ჯიმი ჩემი ნაცნობი ექიმია გინეკოლოგიიდან.

— სადაც თქვენ მუშაობდით?

— დიახ, — მითხრა მან. — მე და ჯიმის გვიყვარდა ერთმანეთი. მეგონა, ნამდვილი გრძნობა იყო და მართლაც ნამდვილი იყო. ამ დროს გამოჩნდა კარენი. — მეორე სიგარეტი გააბოლა და თან ჯიუტად ცდილობდა ჩემი მზერის აცილებას. კაცმა რომ თქვას, დარწმუნებული არ ვიყავი, მე მელაპარაკებოდა თუ ბაბლზს. როგორც ჩანს, გოგონებს შორის უთანხმოება სუფევდა. — არასდროს ვიფიქრებდი, რომ ასეთი რამის ჩადენა შეეძლო. — განაგრძობდა ენჯელა. — მეზობლისაგან ასეთ რამეს არ მოელი. ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობს რაღაც ეთიკა...

— კარენს მოსწონდა იგი, — თქვა ბაბლზმა.

— მთელი სამოცდათორმეტი საათი. — ენჯელა წამოდგა და ოთახში წინ და უკან დაიწყო სიარული. კაბა ძლივს უფარავდა უკანალს. საოცრად ლამაზი იყო, კარენზე გაცილებით ლამაზი.

— თვითონ იცი, რომ ყოველივე ეს არ არის მართალი. იცი, რომ ჯიმი...

— არაფერი ვიცი, — შეეპასუხა ენჯელა. — ერთადერთი რაც ვიცი: ჯიმი ახლა ჩიკაგოში ორდინატურას ამთავრებს და მე მასთან არა ვარ. იქნებ, იქ რომ ვყოფილიყავი...

— იქნებ, — თქვა ბაბლზმა.

— იქნებ რა? — შევეკითხე მე.

— გავათავოთ ამაზე ლაპარაკი, — თქვა ენჯელამ.

მე შევეკითხე:

— როდის ნახეთ უკანასკნელად კარენი?

— არ ვიცი. მგონი, აგვისტოში, ვიდრე კოლეჯში მოეწყობოდა.

— გასულ კვირას არ გინახავთ?

— არა, — მიპასუხა და თან განაგრძობდა ოთახში სიარულს. ფეხიც კი არ შეშლია. — არა.

— უცნაურია. ელან ზენერმა ნახა გასულ კვირას.

— ვინ?

— ელან ზენერმა. ერთი მისი მეგობარია. კარენმა მას უთხრა, რომ აქ მოდიოდა.

ენჯელამ და ბაბლზმა ერთმანეთს გადახედეს, ენჯელამ წაიბუტბუტა:

— საძაგელი პირუტყვი... — და კბილებში გამოცრა: — ალბათ, გადაიფიქრა. ასე სჩვეოდა. კარენი ისე ხშირად გადაიფიქრებდა ხოლმე, რომ ზოგჯერ ეჭვი გვეპარებოდა, ჰქონდა თუ არა ის, რითაც უნდა ეფიქრა.

— ყური მიგდე, ენჯელა...

— კიდევ მომიტანე კოკა-კოლა, — ბაბლზი ადგა და მორჩილად გავიდა სამზარეულოში. — ბაბლზი კარგი გოგონაა, — მითხრა ენჯელამ. — მაგრამ ჭკუამოკლე. უყვარს, ყველაფერი კარგად რომ თავდება. — ოთახში სიარული შეწყვიტა და ჩემ

წინ გაჩერდა. — გინდოდათ ჩემთვის რაიმე განსაზღვრული კითხვის მოცემა?

— მხოლოდ ერთი: ნახეთ თუ არა კარენი?

— არა. ვიმეორებ, რომ არ მინახავს.

— მაშინ, მაპატიეთ შეწუხებისთვის.

2

შუადღემდე ცოტათი ადრე, ბრედფორდის კანტორაში დავრეკე, სადაც მაცნობეს, რომ ექიმ ლის საქმის წარმოება თავს იდო კანტორის ერთ-ერთმა ადვოკატმა, ვინმე ჯორჯ უილსონმა, რომელთანაც შემაერთეს კიდეც. ტელეფონით საუბრისას მან ჩემზე თავის თავში დარწმუნებული და დინჯი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. ის დამთანხმდა, ხუთ საათზე შევხვედროდით, მაგრამ არა კლუბში, არამედ ტომსონ-გამანადგურებლის ბარში.

შემდეგ სასაუზმოდ წავედი, კაფეტერიაში, სადაც დილის გაზეთები გადავათვალიერე. ყველა გაზეთის პირველ გვერდზე მყვირალა სათაურით არტურ ლის დაპატიმრების ამბავი იყო გამოქვეყნებული, თუმცა ეს დაპატიმრება ჯერჯერობით კარენ რენდალის სიკვდილს არ უკავშირდებოდა. სტატიებს დართული ჰქონდა არტის ფოტოსურათები. თვალები შესივებული ჰქონდა და ეს ბიწიერ შესახედაობას აძლევდა. ტუჩების კუთხეები ავისმომასწავებლად ჩამოშვებოდა და თმა აწეწოდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი ცხენის ექიმბაში გახლდათ. სტატიაში წინასწარ ცოტა რამ იყო ნათქვამი და მხოლოდ მის დაპატიმრებასთან დაკავშირებული შიშველი ფაქტები მოჰყავდათ. არსებითად, ბევრის თქმა არც იყო საჭირო — ფოტოსურათი თავისთავად მეტყველებდა. ცუდად არ იყო მოფიქრებული: ძნელი გასაპროტესტებელია საგამოძიებო ორგანოების მოქმედება იმის საფუძველზე, რომ გამოქვეყნებულ უხეირო ფოტოსურათს შეუძლია საზოგადოებრივი აზრის წარმართვა.

პირველ საათზე კვლავ დავურეკე მერფის ლაბორატორიაში და პირდაპირ მას შევხვდი.

— გისმენთ ფირმა „ჰორმონი განუსაზღვრელი პასუხისმგებლობით“.

— გამარჯობა, მერფ. რა არის ახალი?

— კარენ რენდალთან დაკავშირებით?

— მისმინე, მერფ, შენი აზრით, მეტი რა უნდა მაინტერესებდეს?

— არ ვიცი, — მიპასუხა მან. — იქნებ ის, რომ ეს-ესაა დამირეკეს ქალაქის საავადმყოფოდან. თვით უესტონმა დამირეკა. აინტერესებდა, ანალიზისთვის სისხლი ხომ არ მომიტანე.

— მერე, რა უპასუხე?

— ვუთხარი, რომ მომიტანე. მან კი შედეგის გაგება მოინდომა. ჰოდა, ვუთხარი.

— მაინც როგორია ეს შედეგი?

— ის არ ყოფილა ფეხმძიმედ. ეს გამორიცხულია.

— კეთილი, — ვუთხარი მე. — გმადლობ.

მერფიმ ოდნავ გაახალისა ჩემი თეორია. დიდად არა, მაგრამ მაინც.

3

მელორის პათოლაბორატორიაში სამ საათზე მივედი. პირველი, ვინც იქ ვნახე, იყო უესტონი, რომელიც ძალზე დაღლილი მეჩვენა. მან ცალყბად გამიღიმა.

— მაშ ასე, რა გაარკვიეთ? — ვკითხე.

— შედეგი უარყოფითია. რაც შეეხება ფეხმძიმობას. — მან ამოიღო საქაღალდე, რომელშიც გაკვეთის ოქმი იდო და გადაფურცლა. — ყოველგვარი ეჭვის გარეშეა.

— არც ისე დიდი ხნის წინ დავრეკე აქ და მითხრეს, რომ დასკვნაში მითითებულია სამთვიანი ფეხმძიმობა.

— ვის ელაპარაკე? — ფრთხილად მკითხა უესტონმა.

— მდივან ქალს.

— ალბათ, რაღაც შეცდომა მოხდა. — მან საქაღალდე გადმომცა: — სლაიდების ნახვა გინდა?

— ვნახავდი.

— აი, აქაა, — მითხრა უესტონმა და სლაიდებიან ყუთზე მიმითითა.

მარტო დამტოვა. მიკროსკოპის წინ მოვეწყვე. ყუთში მხოლოდ ოცდაათი სლაიდი იდო, რომლებზეც გამოსახული იყო სხვადასხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოს ჭრილები. ექვსი აღებული იყო საშვილოსნოს სხვადასხვა ადგილიდან, იმათგან დავიწყე. მაშინვე ნათელი გახდა, რომ ფეხმძიმობის ხსენებაც არ იყო. ყოველი შემთხვევისთვის, კიდევ რამდენიმე სლაიდი შევამოწმე. შედეგი ერთნაირი აღმოჩნდა.

ბოლოს, პატარა სასაგნე მაგიდაზე ფარისებრი ჯირკვლის ჭრილის სლაიდი დავდე. სულ მცირე გადიდების დროსაც კი ნათლად გამოჩნდა ატროფირებული ჯირკვალი. ფოლიკულები დანაოჭებულები იყო და გარშემო ქსოვილის უჯრედები — სუსტი. აშკარად იყო გამოსახული ფარისებრი ჯირკვლების ფუნქციის დაქვეითება. ეს კი ნიშნავდა, რომ ფარისებრი ჯირკვალი, თირკმელზედა ჯირკვალი და საკვერცხეები — ყველაფერი ატროფირებული იყო.

თუმცა დაავადების მიზეზი გაურკვეველი რჩებოდა, მაგრამ დიაგნოზი თავისთავად იბადებოდა. საქაღალდე გავხსენი და ოფიციალური ანგარიში წავიკითხე. უესტონის მიერ იყო დაწერილი. ზუსტად და მკაფიოდ გადმოეცა. მივედი მიკროსკოპული კვლევის აღწერამდე. ის აღნიშნავდა, რომ ენდომეტრია სუსტად არის განვითარებული, ნორმიდან აშკარად გადახვეულია, მაგრამ მიაჩნდა, რომ დანარჩენი ჯირკვლები „ერთი შეხედვით ნორმაში იყო“. აქ დასმული გახლდათ კითხვის ნიშანი და შემდეგ კი ეწერა: „ნაადრევი ატროფიული ცვლილებები“.

საქაღალდე დავხურე და უესტონისკენ წავედი.

— რაიმე გეეჭვებათ?

შევყოყმანდი. სანამ ანგარიშს ვკითხულობდი, ეჭვი დამებადა — ფაქტებს ხომ არ ასხვაფერებს, იმათ ხომ არ მიემხრო, ვისაც არტის დაღუპვა გადაუწყვეტიათ, რადაც უნდა დაუჯდეთ. მაგრამ ამის გაფიქრება უაზრობა იყო; უესტონის მოსყიდვა შეუძლებელია, ამისთვის საკამოდ ხნიერი და სინდისიერია, თანაც რენდალების ოჯახთან არც ისე ახლო ურთიერთობა აქვს. შეუძლებელია, რაიმე საფუძველი ჰქონოდა ანგარიშის მონაცემების შესაცვლელად.

— დიახ. ეს-ესაა სლაიდები ვნახე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციები დაქვეითებულია და ვიფიქრე, იქნებ...

— ყური მიგდე, ჯონ, — ჩაიცინა უესტონმა. — ვიცი, რასაც იტყვი.

შენ იფიქრე, რომ იქნებ მეც მომინდეს მათი ხელახლა ნახვა. — გამიღიმა. — უკვე ვნახე. ორჯერ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი გაკვეთაა და რაც შემეძლო, მთელი გულისყურით გავაკეთე. როდესაც ამის წინ სლაიდებს ვათვალიერებდი, მეც შენსავით ვიფიქრე, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებენ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების დაქვეითებაზე, რამაც თავის მხრივ დააზიანა სამი შესაძლო წერტილი: ფარისებრი ჯირკვალი, თირკმელზედა ჯირკვალი და სასქესო ჯირკვლები. ეს ვარაუდი იმდენად დამაჯერებელი მეჩვენა, რომ ძირითად ორგანოებს დავუბრუნდი. როგორც თვითონ ნახე, ძირითად ორგანოებში არავითარი არსებითი ცვლილებები არ შეინიშნება.

— ავადმყოფობა, შესაძლოა, ახალი წარმოშობის ყოფილიყო.

— სწორია, — მითხრა მან. — შესაძლოა! მთელი უბედურება ეგ არის. თანაც უნდა გვენახა ტვინი. შეგვემოწმებინა, ხომ არ იყო იქ ინსულტის ანდა ახალწარმონაქმნების ნიშნები.

მაგრამ ეს შეუძლებელია: დღეს დილით გვამის კრემაცია მოახდინეს.

— გასაგებია.

— დაჯექი, ჯონ. ნერვები მეშლება. როდესაც ასე დგახარ, — დაელოდა ჩემს დაჯდომას და განაგრძო: ასეა თუ ისე, კიდევ ერთხელ დავათვალიერე ძირითადი ორგანოები და, შემდეგ ხელახლა დავუბრუნდი იმ სლაიდებს. ამჯერად აღარ მქონდა ძველებური რწმენა. ამიტომ გულდასმით შევისწავლე რამდენიმე ძველი ანგარიში ამგვარ თემაზე და სლაიდებს მესამეჯერ დავუბრუნდი. ამ დროისთვის უკვე მესმოდა, რომ დარწმუნებით არ შემეძლო დასმა დიაგნოზისა: „ჰიპოფიზის ფუნქციის დარღვევა". რაც მეტს ვუცქერდი, მით უფრო ნაკლებად მჯეროდა. მჭირდებოდა დამადასტურებელი მტკიცება, სულ უმნიშვნელო ცნობები მაინც თავის ტვინში დარღვევების შესახებ: რენტგენოსკოპია ანდა სისხლის ჰორმონები. აი, რატომ დავურეკე ჯიმ მერფის. მახსოვდა, ჰორმონებზე ანალიზისთვის სისხლი რომ აიღე და ვეჭვობდი, მას მერფისთან წაიღებდი, მინდოდა გამეგო, სხვა ჰორმონების დონის შემოწმებაც ხომ არ გადაწყვიტე, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც შეეძლო ნათელი მოეფინა.

— რატომ მე არ დამირეკეთ?

— დავრეკე, მაგრამ შენს ლაბორატორიაში არავინ იცოდა, სად იყავი. — მე თავი დავუქნიე. ყველაფერი, რასაც ის ამბობდა, სავსებით მართალი და ლოგიკური იყო. ვიგრძენი, რომ თანდათან მოვლბი. — სხვათა შორის, — განაგრძობდა უესტონი, — რამდენადაც ვიცი, ცოტა ხნის წინ კარენ რენდალს თავის ტვინის სურათები გადაუღეს. ხომ არ იცი, რა უჩვენეს მათ?

— არაფერი, — ვუთხარი მე. — შედეგი უარყოფითია. მაგრამ შემიძლია, ზოგიერთი საინტერესო რამ გაცნობოთ: ისინი იმიტომ იქნა დანიშნული, რომ მხედველობის დაქვეითებას უჩიოდა.

— იცი, ჯონ, მხედველობის დაქვეითების ყველაზე გავრ-

ცელებული მიზეზი რომ გამოუძინებლობაა. მაინც, როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილზე? დიაგნოზს დასვამდი უქეიფობაზე ჩივილის საფუძველზე, რომელიც რენტგენის სურათების მიზეზი გახდა?

— მაგრამ სლაიდები საკმაოდ დამაჯერებელია, — შევახსენე მას.

— არცთუ სავსებით. — მან ნელა გააქნია თავი. — ისედაც საკმაოდ დახლართული საქმეა, ჯონ. არასწორი დიაგნოზის დასმით, რომელშიც თვითონ არა ვარ დარწმუნებული, კიდევ უფრო მეტად ვერ დავხლართავ მას.

4

აუცილებლად უნდა მენახა სანდერსონი. დაპირებული ვიყავი, რომ მივიდოდი და გარდა ამისა, მესმოდა, — მისი რჩევის გარეშე ვერაფერს ვიღონებდი.

სანდერსონი ვიპოვე ჩვენს პათოლოგანატომიურ ბიბლიოთეკაში — კვადრატულ ოთახში, სადაც იდგა გადასაწევი ზურგიანი სკამები, საპროექტო აპარატი, კედელზე ეკრანი ეკიდა. აქ ტარდებოდა პათოლოგანატომთა კონფერენციები, განიხილებოდა გაკვეთების შედეგები, რომელიც ლინკოლნის საავადმყოფოში 1923 წლიდან ჩატარდა. ეს ის წელია, როდესაც ჩვენ ნამდვილი ანგარიშგება შემოვიღეთ. ამ დრომდე არავის შეეძლო ზუსტად ეთქვა, რამდენი ადამიანი გარდაიცვალა ამა და ამ ავადმყოფობისგან. მაგრამ სამედიცინო მეცნიერების განვითარებასთან და ადამიანის სხეულის სტრუქტურაზე ცოდნის დაგროვებასთან ერთად, ეს ცნობები მეტად აუცილებელი გახდა. გაზრდილი ინტერესის ერთ-ერთი დამადასტურებელია ჩატარებული გაკვეთების რაოდენობა — 1923 წლის ყველა ანგარიში მოთავსდა ერთ პატარა ყუთში, მაშინ როდესაც 1965 წელს მათ უკვე ნახევარი თარო დასჭირდა.

ოთახის ერთ კუთხეში მაგიდაზე იდგა პატარა ელექტროყავადანი, საშაქრე და ქაღალდის პატარა ჭიქების დასტა. სანდერსონი ელექტროყავადანთან ტრიალებდა, რომლის ჩართვასაც ვერ ახერხებდა. ეს ყავადანი დიდი ხანია განთქმული იყო თავისი სიჯიუტით.

— ოდესმე, — წაიბუტბუტა სანდერსონმა, — ეს დაწყეველილი დენით მომკლავს. — როგორც იქნა, შტეფსელი როზეტში ჩართო და იქ რაღაც ატკაცუნდა. — ყავა შაქრითა და ნაღებით გინდა?

— დიახ, — ვუთხარი მე.

სანდერსონი ცნობილი იყო იმით, რომ ვერავითარ მექანიზმს ვერ ხმარობდა. დიდებულად, თითქმის ინტუიციით იცოდა ადამიანის სხეული, ორგანიზმის ყველა ფუნქცია, ხოლო რაც შეეხება მექანიკურ, ფოლადის ან ელექტრონულ საგნებს — აქ სრული უვიცი გახლდათ.

ტანმაღალი სანდერსონი ღონიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ოდესღაც ჰარვარდის რვაკაციანი ნაკის პირველი მენიჩბე იყო. სერიოზული, ჩაფიქრებული გამომეტყველება ჰქონდა. ასეთი სახეები მოსამართლეებსა და პოკერის საუკეთესო მოთამაშეებს აქვთ.

— სხვა ხომ არაფერი თქვა უესტონმა? — შევეკითხე მე.

— არა.

— საკმაოდ მოწყენილი ხმა გაქვთ.

— უმჯობესია ვთქვათ, შეშფოთებული.

სანდერსონმა თავი გააქნია.

— მგონი, თქვენ ცდებით, უესტონი არავის გულისთვის არ შეცვლის გაკვეთის შედეგებს. თუკი ამბობს, რომ დარწმუნებული არ არის, ესე იგი, ასეცაა.

— იქნებ საჭირო იყო თვითონ გენახათ ეს სლაიდები.

— რასაკვირველია. მაგრამ ხომ იცით, რომ ეს შეუძლებელია.

სანდერსონი მართალი იყო, თუ ის მელორის ლაბორატორიაში გამოჩნდებოდა და სლაიდების ნახვას ითხოვდა, უესტონი ამას პირად შეურაცხყოფად მიიღებდა. ასეთი რამეები უბრალოდ დაუშვებელია.

— თვითონ რომ ეთხოვა თქვენთვის?

— რატომ დასჭირდებოდა ეს?

— არ ვიცი.

— უესტონმა დასვა თავისი დიაგნოზი და ხელი მოაწერა. საკითხი შეიძლება ამოწურულად ჩავთვალოთ, ოღონდ თუ იგი კვლავ არ ამოტივტივდა სასამართლოზე.

გული გადამიქანდა. ამ დღეებში მტკიცედ დავრწმუნდი, რომ საქმის სასამართლომდე მიყვანა არ შეიძლებოდა. ყოველგვარი სასამართლო პროცესი — თუგინდ გამამართლებელი განაჩენითაც — სერიოზულად შეარყევს არტის რეპუტაციას, მის მდგომარეობას საზოგადოებაში და საექიმო პრაქტიკას. რადაც უნდა დაჯდეს, თავიდან უნდა ავიცილოთ პროცესი.

— მაგრამ თქვენ მიგაჩნიათ, რომ მას ჰიპოფიზი ჰქონდა გადიდებული? — მკითხა სანდერსონმა, — მიზეზი?

— ალბათ სიმსივნე, ადენომა, ანდა, იქნებ, კრანიფარინგომა, როგორც ჩანს, არცთუ დიდი ხნისა. ოთხი თვის წინ გადაღებულ რენტგენის სურათებზე არავითარი დარღვევები არ შეინიშნება, მაგრამ ის მხედველობის დაქვეითებას უჩიოდა.

— იქნებ ფსევდოსიმსივნე იყო?

— ცერებრალური ფსევდოსიმსივნე ქალებსა და პატარა ბავშვებში გვხვდება. ამასთან, ავადმყოფებს აღენიშნებათ ყველა სიმპტომი, რომელიც სიმსივნის გაჩენას ახლავს. სინამდვილეში კი არავითარი სიმსივნე მათ არა აქვთ. ჩვეულებრივ, ეს დაკავშირებულია ხოლმე ჰორმონალურ დარღვევებთან. ზოგჯერ ასეთი მოვლენები შეინიშნება იმ ქალებში, რომლებიც ბოროტად იყენებენ ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს. მაგრამ,

რამდენადაც ვიცოდი, კარენი არ იღებდა აბებს. ამის შესახებ ვუთხარი სანდერსონს.

— საწყენია, რომ თავის ტვინის სლაიდები არ გვაქვს.

მე თავი დავუქნიე.

— ასე თუ ისე, აბორტი გაკეთებულია. ამას ვერსად გაექცევი.

— მაგრამ ეს კიდევ ერთი მტკიცებაა იმისა, რომ არტს არ გაუკეთებია, — ვუთხარი მე. — წინასწარი ანალიზის გარეშე ის არ გააკეთებდა ოპერაციას.

— ეს მხოლოდ არაპირდაპირი მტკიცებაა და მეტი არაფერი.

— ვიცი, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც რაღაცას ნიშნავს.

— არსებობს სხვა შესაძლებლობაც, — შენიშნა სანდერსონმა. — დავუშვათ, რომ ექიმმა დაუჯერა კარენის სიტყვას. რასაკვირველია, მხედველობაში არა მყავს არტი.

— მაინც, ვინ გყავთ მხედველობაში?

— ყველაფერი სავარაუდოა.

ველოდი, რას იტყოდა შემდგომ.

— ისედაც საკმარისზე მეტია სიბინძურე. არ მინდა დავამატო. ასეა თუ ისე, ამის შესახებ ჩემს ცოლს ერთ-ერთი ექიმის ცოლმა უამბო. — არ დავუწყე სანდერსონს აჩქარება. თუ თვითონ არ ეჩქარებოდა, მე შემეძლო ლოდინი.

— ფუი ეშმაკს, — წამოიძახა სანდერსონმა, — იქნებ, ჩვეულებრივი ჭორია. ვერ წარმომიდგენია, ადრე არ მოეღწია ამას ჩვენამდე.

— მაინც რა? — თავი ველარ შევიკავე.

— პიტერ რენდალი აკეთებს აბორტებს. ძალზე საიდუმლოდ და ვიწრო წრეში.

— ეშმაკმა დალახვროს! — ვუთხარი და სავარძელში ჩავეშვი. თუ პიტერი მართლა აკეთებს აბორტებს, იცის კი ეს ჯ. დ.-მ? იქნებ ფიქრობს, რომ აბორტი მის ქალიშვილს პი-

ტერმა გაუკეთა, და მის შველას ცდილობს? მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ჩაითრიეს ამ საქმეში არტი?

მეორე მხრივ, ასე სასწრაფოდ პიტერი არ გააკეთებდა ოპერაციას. მან იცოდა, რომ კარენის ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება სხვა რამ ყოფილიყო. საკმაოდ კარგი ექიმია, რომ ფსევდოსიმსივნის არსებობა ევარაუდა. თუ ძმისწული მივიდოდა მასთან და გამოუტყდებოდა, ფეხმძიმედ ვარო, აუცილებლად გაახსენდებოდა მისი ჩივილები მხედველობაზე და ალბათ ყველა ანალიზს გააკეთებდა.

— პიტერს არ გაუკეთებია ოპერაცია.

— იქნებ აღარ მოეშვა. იქნებ, კარენი ჩქარობდა.

— არა. ვერავითარი ზემოქმედება ვერ აიძულებდა მას.

— დარწმუნებით შეგიძლიათ თქვათ, რომ პიტერს არ გაუკეთებია აბორტი?

— არა, — ვაღიარე მე.

— მოდი, ვივარაუდოთ, რომ გააკეთა და ვივარაუდოთ, რომ მისის რენდალმა იცოდა ეს ამბავი. ანდა კარენმა, სისხლისგან რომ იცლებოდა, უთხრა მას, ოპერაცია პიტერმა გამიკეთაო. რა უნდა ექნა მისის რენდალს? გადაეცა პოლიციისთვის თავისი მაზლი? — კარგად მესმოდა, რისი თქმაც სურდა სანდერსონს. ეს, რასაკვირველია, ნათელს ხდიდა, რატომ მიმართა მისის რენდალმა პოლიციას, მაგრამ არ მსიამოვნებდა ასეთი ახსნა-განმარტება და ასეც ვუთხარი სანდერსონს.

— არ გსიამოვნებთ იმიტომ, რომ კეთილად ხართ განწყობილი პიტერისადმი.

— შესაძლებელია.

— მაგრამ, ვარაუდიდან ვერ გამორიცხავთ — ვერც მასა და ვერც სხვა ვინმეს. იცით, სად იყო პიტერი გასულ კვირას, საღამოს?

— არა.

— არც მე, — მითხრა სანდერსონმა. — ვფიქრობ, ღირს შემოწმება.

— არა, — ვუპასუხე: — არ ღირს. პიტერი ასე არასოდეს მიაფუჩეჩებდა. ყური მიგდეთ, თუ დავუშვებთ, რომ პიტერს შეეძლო გაეკეთებინა ოპერაცია ანალიზებისა და ყველაფრის გარეშე — მაშასადამე, ასეთივე წარმატებით არტსაც შეეძლო მისი გაკეთება.

— დიახ, — მშვიდად მითხრა სანდერსონმა. — ეს მეც მომდიოდა თავში.

5

სანდერსონთან საუბარმა გამაღიზიანა. რატომ, კაცმა რომ თქვას, ვერ გავიგე. იქნებ, სიმართლე მის მხარეზე იყო; იქნებ, მართლაც არალოგიკური და უგუნური ვიყავი უდავო მტკიცებების ძებნაში, ჩემს სურვილში — მერწმუნა ადამიანისა. მაგრამ ამას ემატებოდა კიდევ ზოგი რამ. სასამართლო გარჩევის დროს ყოველთვის მოსალოდნელი იყო, რომ მე და სანდერსონი აღმოვჩენილიყავით ამ საქმეში გარეული. მაშინ გაირკვეოდა, რომ საავადმყოფოს კომისიის გასულელებაში ჩვენც მიგვიძღოდა წვლილი. ორივენი, ისევე როგორც არტი, სერიოზული საფრთხის წინაშე ვიყავით. კრინტიც კი არ დაგვიძრავს ამის თაობაზე, მაგრამ გულის სიღრმეში მუდამ ვფიქრობდი ამაზე. უეჭველი იყო, რომ სანდერსონიც ფიქრობდა. ეს კი ყველაფერს სულ სხვა სახეს აძლევდა.

სანდერსონი სავსებით მართალი იყო: შეიძლებოდა ძიებისთვის პიტერ რენდალი შეგვეჩეჩებინა. მაგრამ ეს რომ გვეკისრა, არასდროს ბოლომდე დარწმუნებული არ ვიქნებოდით, რატომ მოვიქეცით ასე. მართალია, ყოველთვის შეიძლებოდა ჩვენი მოქმედება აგვეხსნა იმით, რომ დარწმუნებულნი ვიყავით პიტერის დანაშაულში. ანდა გვემტკიცებინა, რომ ეს უდანაშაუ-

ლოდ დაპატიმრებულის გადასარჩენად გავაკეთეთ. მაგრამ შემ-
დეგში მუდამ გაგვტანჯავდა ფიქრი — იქნებ, უბრალოდ, თავის
გამოხსნა გვინდოდა?

სანამ რაიმეს ვიღონებდი, ბევრი რამ უნდა გამერკვია. თუ
სანდერსონის არგუმენტებს დავეთანხმები, მაშინ, ბოლოს და
ბოლოს, განა სულერთი არ არის — ნამდვილად იცოდა მისის
რენდალმა, რომ პიტერმა გააკეთა აბორტი თუ მხოლოდ ეჭვი
ჰქონდა.

გარდა ამისა, დგებოდა კიდევ ერთი საკითხი. თუ მისის
რენდალს აბორტის გაკეთებაში ეჭვი პიტერზე ჰქონდა და დაპ-
ატიმრებისაგან მისი გადარჩენა სურდა, რატომ დაასახელა არტ
ლი? არ იცოდა, რომ არტ ლი წინდახედული და უნდობი კაცი
იყო. საეჭვოა, მისი სახელი ბოსტონის ფეხმძიმე ქალთა სალა-
პარაკო ყოფილიყო. მას იცნობდნენ მხოლოდ ექიმთა ვიწრო
წრეში და შედარებით მცირერიცხოვან პაციენტ ქალთა შორის.
ძალზე ფრთხილად არჩევდა თავის კლიენტურას. მაინც, საიდ-
ან უნდა სცოდნოდა მისის რენდალს, რომ ის აბორტებს აკეთებდა?
მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა:
ფრიც ვერნერს.

ფრიც ვერნერი ბიკონ-სტრიტზე ცალკე სახლში ცხოვრობ-
და. ქვედა სართულზე მოთავსებული იყო მისაღები და დიდი,
მყუდრო კაბინეტი. ზედა ორ სართულზე განლაგებული იყო
საცხოვრებელი ოთახები. პირდაპირ მეორე სართულზე გავე-
მართე და სასტუმრო ოთახში შევედი. საშინაო შარვალსა და
სქელ, გაწელილ სვიტერში გამოწყობილი ფრიცი დიდ სავარ-
ძელში იჯდა. სტერეოფონური ყურსაცვამები გაეკეთებინა; მსხ-
ვილ სიგარას ეწეოდა და ტიროდა. ჩემს დანახვაზე თვალები
მოიწმინდა და ყურსაცვამები მოიხსნა: — აჰ, ჯონ! იცნობთ
ალბიონის? მის ადაჟიოს?

— ვშიშობ, რომ არა.

— მუდამ სევდა მეუფლება, როცა მას ვუსმენ. დაბრძანდით,

გეთაყვა! მე დავჯექი. მან გამორთო ფირსაკრავი და ფირფიტა აიღო. — კარგია, რომ მოხვედით. აბა, როგორ გაატარეთ დღე?

— საინტერესოდ.

— ინახულეთ ბაბლზი?

— ვნახე.

— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— ძალზე ბუნდოვანი.

— რატომ ლაპარაკობთ ასე?

მე გავიღიმე.

— ფრიც, ნუ იკვლევთ ჩემში მიზეზებს ფსიქოანალიზის ყველა წესის მიხედვით. ექიმებს არასდროს ვუხდი ფულს. უკეთესია, მომიყვეთ კარენ რენდალზე.

— მაშ ასე, კარენ რენდალი, — ფრიცმა ღრმად ამოიოხრა. — ჯონ, თქვენ არ იცნობთ იმ გოგონას, — მითხრა მან. — მიმზიდველს მას ვერ უწოდებდი, არამც და არამც. ბოროტი, ცრუ ნევროზის მძიმე ფორმით დაავადებული არასასიამოვნო გოგონა გახლდათ, და თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ფსიქოზის საზღვარზეც კი იყო. მას მხოლოდ სექსუალური საკითხები აღელვებდა — რაშიც ბრალი მშობლებს მიუძღვით. მამამისი მძიმე ხასიათის ადამიანია. იმ ქალზე დაქორწინება ამის მშვენიერი დადასტურებაა.

— მომიყევით კარენზე, — გავუმეორე მე.

ფრიცმა ამოიოხრა.

— იმ გოგონამ, კარენ რენდალმა, ნევროზი მშობლებისგან მიიღო მემკვიდრეობით. ქადაგებდა სექსუალურ თავისუფლებას, არავის აზრს ყურს არ უგდებდა, მეგობრობდა შეუფერებელ ხალხთან. რომანები ჰქონდა სპორტსმენებთან, ზანგებთან, ამ ყაიდის ადამიანებთან. ეს ჩემი პაციენტი ქალებისგან გავიგე. ბევრი მათგანი კარენში ხედავდა ერთგვარ გამოწვევას, რომელიც საფრთხეს უქადდა თავად მათ. ერთხელ, მასზე მეთვალყურეობა შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი.

— ვინ გთხოვათ მისი მიხედვა?

— რასაკვირველია, პიტერმა. მათ ოჯახში ეს ერთადერთი გონიერი კაცია.

— ფრიც, ბოლო აბორტამდე რამდენი ჰქონდა გაკეთებული კარენს და ვინ უკეთებდა?

— ორი. წარმოდგენა არა მაქვს, ვინ უკეთებდა.

— როგორც ჩანს, კარგი ექიმი აკეთებდა. ბაბლზმა თქვა, კარენი მხოლოდ ნახევარი დღით წავიდაო. ეტყობა, ოპერაცია ძალზე ოსტატურად გაკეთდა. იქნებ პიტერ რენდალი იყო?

— რატომ კითხულობთ, თუკი თვითონ იცით? — წაიბურტყუნა ფრიცმა.

— დასტური მჭირდება.

— მაგარი მარყუჟი გჭირდებათ ყელზე, აი რა გჭირდებათ. დიახ, პიტერი იყო.

— ჯ. დ.-მ თუ იცოდა ამის შესახებ?

— ღმერთმა დაიფაროს!

— მისის რენდალმა იცოდა?

— ჰმ. ამაზე თავს ვერ დავდებ.

— ის ამბავი, რომ პიტერი აბორტებს აკეთებს, ჯ.დ.-მ იცის?

— ეს არავისთვის არის საიდუმლო.

— რა კავშირია მისის რენდალსა და არტ ლის შორის?

— დღეს დიდ შორსმჭვრეტელობას ამჟღავნებთ, — შენიშნა ფრიცმა. კვლავ კითხვის თვალით შევყურებდი მას. ფრიცმა ორჯერ მოქაჩა სიგარა, სახე ბოლმა დაუფარა, მან გვერდზე გაიხედა.

— აჰ, ასე! — ვუთხარი მე, — მაინც როდის იყო ეს?

— გასულ წელს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, შობა უნდა ყოფილიყო მოახლოებული.

— ჯ. დ.-მ ეს ამბავი იცოდა?

— თუ გახსოვთ, ჯ. დ. გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ინდოეთში იყო მივლინებული.

— მაშინ ვისგან დაორსულდა?

— აი, ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

კვლავ დამეუფლა გრძნობა, რომ ცრუობდა.

— ხშირად მიფიქრია, — მითხრა ფრიცმა, — რომ ახლანდელი მისის რენდალი მშვენივრად შეიძლებოდა კარენის დედა ყოფილიყო, თავისი ბუნებით ორივენი გარყვნილი დედაკაცები არიან.

სიგარეტი გავაბოლე.

— რატომ შეირთო ჯ. დ.-მ იგი?

— ღმერთმა უწყის... — ფრიცმა უსუსურად აიჩეჩა მხრები.

— დიახ, მაგრამ მოდით, კარენს დავუბრუნდეთ.

— კარენი სტრესებისა და ნერვული გადატვირთვების მიდრეკილების ქალი იყო, — მითხრა მან. — ამიტომ გამომუშავებული ჰქონდა გარკვეული რეაქციები — ზოგი თავდაცვითი, ზოგი შეტევითი, უფროსების ქცევებისა თუ ცხოვრების წესისადმი, რაც მასში საპასუხო რეაქციას იწვევდა. არც შეიძლებოდა არ გამოეწვია. გარკვეულად, ეს ხელს უწყობდა სულიერი წონასწორობის მოპოვებაში. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მას ძალზე უყვარდა თავისი დედა, რენდალის პირველი ცოლი. ის ორი წლის წინ კიბოთი გარდაიცვალა, რაც კარენისთვის დიდი დარტყმა იყო. მამისადმი უაღრესად გულგრილია. თექვსმეტი წლის გოგონამ საშინელი სიმწარე იწვნია — დაკარგა უახლოესი ადამიანი, რომელსაც ყველაფერში ენდობოდა. აღარ დარჩა არც ახლობლები, არც მეგობრები, ვეღარავის მიმართავდა დახმარებისთვის. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მიაჩნდა.

— კი მაგრამ, ბაბლზი და ენჯელა ჰარდინგი?

ფრიცმა მშვიდად შემომხედა:

— თქვენი აზრით, წყალწაღებულს შეუძლია წყალწაღებულის შველა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

როდესაც ბარში შევედი, იქ მხოლოდ ერთი მომსვლელი იყო, ზორბა, კარგად ჩაცმული ზანგი. შორეულ კუთხეში მოხრილი იჯდა და წინ ერთი სირჩა მარტინი ედგა. დახლთან ტაბურეტზე შემოვჯექი და ვისკი შევუკვეთე. ტომსონი — ყოფილი მოჭიდავე და ბარის მეპატრონე — თვითონ ემსახურებოდა კლიენტებს; პერანგის სახელოები მაღლა აეკაპიწებინა და ბანჯგვლიანი, დაკუნთული ხელები გამოეჩინა.

— თუ იცნობთ ვინმე ჯორჯ უილსონს? — შევეკითხე.

— რასაკვირველია, — დაცინვით მითხრა ტომსონმა.

— როდესაც შემოვა, მითხარით, კარგით?

ტომსონმა შორეულ კუთხეში მჯდომზე მიმანიშნა. ზანგმა თავი ასწია და გამიღიმა. მის გამოხედვაში დაცინვა გამოსჭვიოდა, ამავე დროს აშკარად შეცბუნებული იყო. მივედი და ხელი ჩამოვართვი. უილსონი სულ ახალგაზრდა იყო, ოცდაათიოდე წელზე მეტის არ იქნებოდა: მარჯვენა ყურიდან კარისკენ გასდევდა მკრთალი იარა, რომელიც პერანგის საყელოს იქით იმალებოდა, მტკიცე და მშვიდი გამოხედვა ჰქონდა; თავისი წითელი ზოლიანი ჰალსტუხი გაისწორა და მითხრა:

— იქნებ, ცალკე კაბინაში დავსხდეთ?

— სიამოვნებით.

კაბინისკენ მიმავალი უილსონი მიბრუნდა და უთხრა:

— ტომსონ, გეთაყვა, მარტინი და ვისკი მოგვიტანეთ.

— ბრედფორდის ფირმაში მუშაობთ? — შევეკითხე მე.

— დიახ. უკვე ერთ წელზე მეტია, რაც მიმიღეს.

თავი დავუქნიე.

— ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვითაა, — მითხრა უილსონმა. — ცალკე საკუთრად კარგი კაბინეტი მომცეს, მდივანი ქალის მაგიდა კართან დგას. რომ მომსვლელმა და წამსვლელმა კლიენტებმა დამინახონ.

მშვენივრად მესმოდა, რა ჰქონდა მხედველობაში და მაინც ოდნავ მაღიზიანებდა. ახალგაზრდა ადვოკატებს შორის მყავდა მეგობრები და ფირმაში რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგაც კი არც ერთი მათგანისთვის არ მიუციათ ცალკე კაბინეტი. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ამ ახალგაზრდას ბედი ეწია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ ღირდა, რადგან ორივემ ვიცოდით, რატომ ეწია ბედი, — ის გახლდათ ბედის თავისებური ჭირვეულობა, ერთგვარი პროდუქტი, რომელზედაც უცებ გაჩნდა მოთხოვნილება. განათლებული ზანგის წინ გაიხსნა ახალი ჰორიზონტი, მომავალი ბევრ რამეს უქადდა. და მაინც, ის მხოლოდ მოდური სათამაშო იყო.

— რა სახის საქმეები გიწარმოებიათ?

— უმთავრესად საგადასახადო. რამდენიმე ქონებრივი საქმე, ერთი თუ ორი სამოქალაქო პროცესი. რასაკვირველია, გესმით, რომ ჩვენი ფირმა იშვიათად ჰკიდებს ხელს სისხლის სამართლის საქმეებს. მაგრამ მე თავიდანვე ვუთხარი, რომ რომელიმე პროცესზე დამცველად მსურდა გამოსვლა. მიუხედავად ამისა, არ მეგონა, რომ ამ საქმეს მე მომცემდნენ.

— თქვენ, ასე ვთქვათ, აშკარად წაგებული საქმე შემოგაჩეჩეს.

— შესაძლოა. — მან გაიღიმა. — ყოველ შემთხვევაში, ისინი ასე ფიქრობენ. ჩემი აზრით, ყოველი საქმე სასამართლოში წყდება და არა მანამდე.

— უკვე მოხაზეთ დაცვის გეგმა?

— ვფიქრობ მასზე, — მითხრა უილსონმა. — ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ არაფერზე შემოგვედავონ. რადგან პირველი, რასაც ნაფიცი მსაჯულები დაინახავენ, ესაა თავხედი ზანგი, რომელიც იცავს კრიმინალური აბორტების მკეთებელ ჩინელ ექიმს და საეჭვოა, ასეთი რამ მათ მოეწონოთ.

ვისკის ვწრუპავდი.

— მეორე მხრივ, — მითხრა უილსონმა, — ეს ჩემთვის საუკეთესო შანსია.

— იმ შემთხვევაში, თუ პროცესს მოიგებთ.

— მე კი განზრახული მაქვს მისი მოგება, — მშვიდად წარმოთქვა უილსონმა.

უცებ აზრი დამებადა: რა მოსაზრებებითაც უნდა ეხელმძღვანელა ბრადფორდს, ძალზე ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო, ეს საქმე რომ უილსონს დაავალა.

— ელაპარაკეთ არტს?

— დღეს დილით.

— მერედა, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— უდანაშაულოა. ამაში დარწმუნებული ვარ.

— რატომ?

— გავერკვიე ამ საქმეში, — მითხრა უილსონმა.

მეორე ჭიქა ვისკის სმის დროს უილსონს მოვუყევი, ამ დღეებში რისი გაკეთებაც შევძელი. უილსონი მდუმარედ მისმენდა და თუმცა დროდადრო ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა, ერთხელაც არ შემაწყვეტინა. როდესაც დავამთავრე, მითხრა:

— უამრავ სადავიდარაბო საქმეს გადამარჩინეთ.

— როგორ?

— ყოველივე თქვენი ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ საქმის შეწყვეტა შეიძლება. დიდი ჯაფის გარეშე შევძლებთ ექიმ ლის გათავისუფლებას.

— იმის საფუძველზე, რომ კარენ რენდალი ფეხმძიმედ არ იყო?

მან თავი გააქნია.

— სხვადასხვა სასამართლო პროცესზე და სხვათა შორის, პროცესზე „მასაჩუსეტსის შტატი ტეილორის წინააღმდეგ“ გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ ფეხმძიმობა არც ისე არსები-

თია. არც იმ ფაქტს აქვს მნიშვნელობა, რომ ნაყოფი აბორტის გაკეთებამდე იყო მკვდარი.

— სხვანაირად რომ ვთქვათ, ის ფაქტი, რომ კარენი ორსულად არ იყო, არაფერს ცვლის?

— დიახაც.

— მაგრამ, განა ეს იმის დამადასტურებელი არაა, რომ ოპერაცია გააკეთა არაპროფესიონალმა ადამიანმა, რომელმაც აბორტის გაკეთების წინ ანალიზზეც კი არ იზრუნა? არტი არასდროს გააკეთებდა ოპერაციას ყველა ანალიზის გარეშე.

— თქვენ გინდათ, ამაზე ააგოთ დაცვა? მიუთითოთ, რომ ექიმი ლი ძალზე გამოცდილი იატაკქვეშა მეანია, რათა ასეთი შეცდომა არ დაეშვა?

მეწყინა.

— მისმინეთ, — მითხრა უილსონმა, — არ შეიძლება დაცვა აიგოს ბრალდებულის პირადი თვისებებიდან გამომდინარე. — მან ბლოკნოტი გადაფურცლა. — ნება მიბოძეთ, იურიდიული თვალსაზრისით მოკლედ მოგიხაზოთ საქმის მდგომარეობა. 1845 წელს მასაჩუსეტსის შტატის საკანონმდებლო ორგანოებმა მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც დანაშაულად ითვლება ყოველგვარი საშუალებით გაკეთებული აბორტი. თუ პაციენტი ცოცხალი გადარჩება, აბორტის გამკეთებელს უსჯიან შვიდ წლამდე პატიმრობას; თუ პაციენტი კვდება, პატიმრობის ვადა მერყეობს ხუთიდან ოც წლამდე. შემდეგში კანონში შეტანილი იქნა ზოგიერთი შესწორება. რამდენიმე წლის წინ გადაწყდა, რომ დედის სიცოცხლის შესანარჩუნებლად გაკეთებული აბორტი არ ითვლება კანონსაწინააღმდეგო აქტად. აღნიშნულ შემთხვევას ეს არ ეხება. შემდგომი შესწორება, რომელიც კანონში შეიტანეს და თავისი ასახვა პოვა პროცესში — „მასაჩუსეტსის შტატი ვიერას წინააღმდეგ", ამბობს, რომ ყოველი ინსტრუმენტის წინასწარგანზრახული ხმარება, გარკვეული მიზნით უკვე დანაშაულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ

მისი შედეგი მუცლის მოწყვეტა ან პაციენტის სიკვდილი არ არის. აი, ამ შესწორებას შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდება შეეცდება — რაშიც ეჭვი არ მეპარება, დაამტკიცოს, რომ ექიმი ლი მრავალი წლის მანძილზე აკეთებდა კრიმინალურ აბორტებს, ამის შემდეგ შეეცდება იმის დამტკიცებას, რომ პირდაპირი სამხილების უქონლობა ჯერ კიდევ არასაკმარისი საფუძველია ლის გასამართლებლად.

— და ისინი შეძლებენ ამას?

— არა, მაგრამ შეიძლება შეეცადონ და ეს სერიოზულ ზიანს მიაყენებს ჩვენს საქმეს.

— შემდეგ?

— არსებობს კიდევ ორი მნიშვნელოვანი სასამართლო დადგენილება, საიდანაც ჩანს, რომ კანონი თავისი მახვილით მიმართულია იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც აბორტებს აკეთებს და ამავე დროს, ძალზე ნაკლებადაა დაინტერესებული თვით დაზარალებულით. „მასაჩუსეტსის შტატი ვუდის წინააღმდეგ“ პროცესის დამთავრების შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ პაციენტის თანხმობა არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში და არავითარ შემთხვევაში არ მიიღება აბორტის გამამართლებლად. იმავე სასამართლომ დაადგინა, რომ ოპერაციის შედეგად გამოწვეული პაციენტის სიკვდილი მხოლოდ ამძიმებს დანაშაულს. ეს კი ნიშნავს, რომ კარენ რენდალის სიკვდილთან დაკავშირებული თქვენ მიერ ჩატარებული გამოძიება, კანონის თვალსაზრისით, დროის ფუჭად დაკარგვაა.

— მაგრამ, მე ვფიქრობდი...

— დიახ, — შემაწყვეტინა მან. — როგორც უკვე გითხარით, ეს საქმე შეიძლება დახურულად ჩავთვალოთ.

— როგორ?

— არის ორი შესაძლებლობა. პირველი — არ დაველოდოთ სასამართლოს და რენდალებს წარვუდგინოთ ჩვენ მიერ

მოგროვილი მასალები. ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ განსვენებულის მუდმივი ექიმი, პიტერ რენდალი, აკეთებს კრიმინალურ აბორტებს, ადრეც გაუკეთებია მისთვის აბორტები. ჯ. დ-ს მეუღლე, მისის რენდალი, ექიმ ლისთან იკეთებდა აბორტებს და შესაძლებელია, მისი ჯავრი აქვს, რამაც აიძულა დაემახინჯებინა კარენის უკანასკნელი სიტყვები. თვითონ კარენი იყო მერყევი ხასიათის ამორალური ქალიშვილი, რომლის სიკვდილისწინა სიტყვები არც ერთ შემთხვევაში არ არის დასაჯერებელი. ჩვენ შეგვიძლია ყველა ამ ფაქტზე მივუთითოთ ოჯახს და დავარწმუნოთ ისინი, რომ ჯერ კიდევ სასამართლომდე უკან წაიღონ თავიანთი ბრალდებები. ხოლო მეორე შესაძლებლობა — ეს იგივეა, ოღონდ უფრო გავრცობილი და უკვე სასამართლო დარბაზში. ნათელია, რომ გადამწყვეტი საკითხები ეხება კარენს, მისის რენდალსა და ექიმ ლის შორის ურთიერთობებს. ამჟამად ბრალდება ეყრდნობა მხოლოდ მისის რენდალის ჩვენებებს. ჩვენ დისკრედიტირება უნდა ვუყოთ ამ ჩვენებებსა და მის პიროვნებას. ისე უნდა მოვცხოთ ჩირქი, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა არც კი გაიფიქრონ თუნდაც მისი ერთი სიტყვის დაჯერება და შემდეგ გავაანალიზოთ კარენის პიროვნება და მისი ყოფაქცევა. დავამტკიცოთ, რომ ნარკოტიკების მიღება ჩვევად ექცა, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა და პათოლოგიური მატყუარა იყო. ნაფიცი მსაჯულები უნდა დავარწმუნოთ, რომ კარენის მიერ თავის დედინაცვალთან ან სხვა ვინმესთან ნათქვამი სიტყვები არავითარ ნდობას არ იმსახურებს. იმის დამტკიცებასაც შევძლებთ, რომ პიტერ რენდალმა ორჯერ გაუკეთა აბორტი, და როგორც ჩანს, მესამეჯერაც მან გაუკეთა ოპერაცია.

— დარწმუნებული ვარ, პიტერ რენდალი აქ არაფერ შუაშია.

— შესაძლოა, — მითხრა უილსონმა, — მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იგი არაა სამართალში მიცემული.

სასამართლოში ექიმ ლის საქმეა და ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის დასახსნელად.

უილსონს შევხედე.

— არ ვისურვებდი თქვენს კლანჭებში მოხვედრას.

— არ მოგწონთ ჩემი მეთოდები? — სახეზე დაცინვამ გაუელვა.

— სიმართლე რომ გითხრათ, არა.

— არც მე მომწონს, — მითხრა უილსონმა, — ამას ჩვენ გვაიძულებს თვით კანონის არსი. აბა, გონივრულად შეხედეთ საქმეს. კანონი ნათელი და გასაგებია. სამართლიანია თუ არა, მაინც ნათელია, არსებული სამართლებრივი აქტების ჩარჩოებში ბრალდებასა და დაცვას სთავაზობს გარკვეულ შაბლონებს, გარკვეულ მეთოდებს, გარკვეულ ტაქტიკურ ხერხებს. როგორც ბრალდების, ისე დაცვის საუბედუროდ, ეს მეთოდები მოდავე მხარეთა დისკრედიტაციად იქცევა ხოლმე. ბრალდება შეეცდება, მთელი ულმობლობით, რაც კი მის შესაძლებლობაშია, სახელი გაუტეხოს ექიმ ლის. ჩვენ კი, დაცვა, ჩვენი მხრიდან შევეცდებით განსვენებულის, მისის რენდალისა და პიტერ რენდალის სახელის გატეხას. ბრალდებისთვის ხელსაყრელია ბოსტონელ ნაფიც მსაჯულთა თანდაყოლილი არაკეთილგანწყობა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ბრალი ედებათ კრიმინალურ აბორტებში. ჩვენ შევძლებთ ჩვენი ინტერესებისთვის გამოვიყენოთ ის ფაქტი, რომ ყოველი ბოსტონელი გულში ელოლიავება ოცნებას, იმის მოწმე გახდეს, თუ როგორ გადაასხამენ თავზე ლაფს არისტოკრატიულ ოჯახს.

— მაგრამ, ეს ხომ საზიზღრობაა!

— ძალზე.

— არსებობს საქმის მოგების რაიმე სხვა საშუალება?

— რასაკვირველია, ნამდვილი დამნაშავის პოვნა.

— როდის შედგება სასამართლო?

— წინასწარი მოსმენა დანიშნულია მომავალ კვირას.

ხოლო სასამართლო კი, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ. პროცესს „მწვანე გზა“ ეძლევა. არ ვიცი, როგორ მოახერხეს, მაგრამ ვხვდები.

— რენდალი მთელ თავის გავლენას იყენებს?

უილსონმა თავი დააქნია.

— კი მაგრამ, სასამართლომდე თუ ვერ იპოვეს ნამდვილი დამნაშავე? — ვკითხე მე.

ადვოკატმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— მამაჩემი, — მითხრა მან, — ჩრდილოეთ კაროლინაში ბაპტისტი მღვდელი იყო და მკაცრი ბუნების კაცი გახლდათ. სწამდა ღვთის სამსჯავრო. სჯეროდა, რომ ცოდვილებს თავს ციური მეხი დაატყდებოდა. ჯოჯოხეთის გენიის და მარადიული ტანჯვის სჯეროდა. სჯეროდა სიკეთისა და ბოროტებისა.

— თქვენც გჯერათ?

— მე მწამს რომ ცეცხლს მხოლოდ ცეცხლით მოერევი.

— ყოველთვის სიმართლეს ემსახურება ცეცხლი?

— არა, — მითხრა უილსონმა, — მაგრამ ის მუდამ წვავს და თავისი გააქვს.

— და თქვენ გჯერათ გამარჯვებისა?

— დიახ! — და იარას შეეხო კისერზე.

— თუნდ არაკეთილსინდისიერი გზით იყოს მოპოვებული?

— პატიოსნება მოიპოვება ბრძოლაში. — მან დაჟინებით შემომხედა — არტურ ლის უნდა ციხიდან გამოსვლა. ბოსტონში მეტი არავინ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს, ყველამ ზურგი შეაქცია. მე კი თავს ვდებ, რომ შევძლებ მის გადარჩენას.

7

უილსონთან საუბარმა უსიამოვნო გრძნობა დამიტოვა, მაგრამ ამავე დროს ბევრ რამეზე დამაფიქრა. სახლში მოვედი, არაყი დავისხი, შიგ ყინული ჩავაგდე, ჩავჯექი სავარძელში —

ყველაფერი კარგად უნდა გამეაზრებინა. გონებაში აღვადგინე ადამიანები, რომელთაც ვესაუბრე. დავრწმუნდი, რომ მათთვის არ მიმიცია ზოგიერთი არსებითი მნიშვნელობის კითხვა. აღმოვაჩინე რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზებისა. მაგალითად, რას აკეთებდა კარენი შაბათ საღამოს, რესტორნიდან პიტერის მანქანით წამოსვლის შემდეგ? რა უთხრა მისის რენდალს მეორე დღეს? დაუბრუნა პიტერს მანქანა — ის მანქანა, რომელიც შემდეგ მოიპარეს? მაინც როდის?

არაყს ვსვამდი და თანდათან ვმშვიდდებოდი, როგორც ჩანს, ძალიან ვჩქარობდი, ხშირად თავს ვერ ვიკავებდი. ადამიანთა ყოფაქცევაზე უფრო ვრეაგირებდი, ვიდრე მათგან მიღებულ ცნობებზე, პიროვნებები უფრო მაღელვებდა, ვიდრე ფაქტები.

მომავალში საჭიროა უფრო წინდახედული მოქმედება.

გაისმა ტელეფონის ზარი. ლის სახლიდან ჯუდიტი რეკავდა. მშვიდად და დინჯად მითხრა:

— მოსვლას ხომ ვერ შეძლებდი? აქ დემონსტრაციის მაგვარი მოაწყვეს. მთელი ბრბოა, ზედ სახლის წინ, პატარა მდელოზე.

— ახლავე მოვდივარ, — ვუთხარი და ყურმილი დავკიდე. პალტოს დავტაცე ხელი და ის იყო, მანქანისკენ უნდა გავქცეულიყავი, მაგრამ შევჩერდი. უფრო წინდახედული მოქმედების დრო დადგა.

ოთახში დავბრუნდი და „გლობუსის“ სარეპორტიორო განყოფილების ნომერი ავკრიფე, დემონსტრაციის ამბავი ვაცნობე და ლის მისამართი მივეცი. ყურმილში აღელვებული, აქოშინებული ხმით ვლაპარაკობდი; ვიცოდი, ჩემს ცნობას უყურადღებოდ არ დატოვებდნენ.

როდესაც მივედი, არტის სახლის წინ, გაზონზე ხის ჯვარი ჯერ კიდევ იწვოდა. აქვე იდგა პოლიციის მანქანა; სახლის წინ ბრბო შეკრებილიყო. საღამოვდებოდა, ცა მუქი ლურჯი იყო და კვამლის ბოლქვები ცას ერთვოდა. ბრბოში ძლივს გავაღ-

წიე სახლისკენ. ფასადის მხარეს ყველა ფანჯარა ჩამტვრეული იყო. შიგნიდან ტირილი მოისმოდა. კარში მდგარმა პოლიციელმა შემაჩერა.

— ვინა ხართ?

— ექიმი ბერი გახლავართ. სახლში ჩემი ცოლი და ბავშვები არიან.

მან გამატარა. ყველანი სასტუმრო ოთახში შეკრებილიყვნენ. ბეტი ლი ტიროდა, ჯუდიტი ბავშვებით იყო გართული. იატაკზე მინის ნამსხვრევები ეყარა. ორ ბავშვს საკმაოდ ღრმა, მაგრამ არცთუ სერიოზული ჭრილობა აღმოაჩნდა. პოლიციელი მისის ლისგან ჩვენებებს იღებდა, მაგრამ ვერაფერი გაერკვია. ბეტი მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ჩვენ ვითხოვდით დაცვას, მოსვლას გთხოვდით. გეევედრებოდით, მაგრამ თქვენ მაინც არ მოხვედით...“

— ღმერთმანი, ქალბატონო... — დაიწყო პოლიციელმა.

— ჩვენ გთხოვდით. განა არა გვაქვს არავითარი უფლებები?

— ღმერთმანი, ქალბატონო, — კვლავ გაიმეორა მან.

ჯუდიტს ბავშვების გადახვევაში დავეხმარე.

— რა მოხდა, — შევეკითხე მე.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — პოლიციელი ჩემკენ მკვეთრად შემობრუნდა.

— ექიმი.

— ჰო, სწორია, სწორედ დროულია, — თქვა და კვლავ მისის ლის მიუბრუნდა.

ჯუდიტი ფერმკრთალი და თითქოს დაღვრემილი გამოიყურებოდა.

— ეს მოხდა დაახლოებით ოცი წუთის წინ, — მითხრა მან. — მთელი დღე ტელეფონით გვირეკავდნენ და გვემუქრებოდნენ. ვიღებთ მუქარის წერილებსაც. შემდეგ კი მოვიდა ოთხი მანქანა და იქიდან მოზარდთა ბანდა გადმოვიდა. მათ ჯვარი აღმართეს, ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ალბათ,

ოცამდე კაცი თუ იქნებოდა. იდგნენ და მღეროდნენ: „წინ, ქრისტეს მებრძოლებო“. შემდეგ დაინახეს ფანჯრებიდან რომ ვუცქერდით და ქვების სროლა დაგვიწყეს. პოლიციას თხუთმეტი წუთი დასჭირდა აქამდე მოსაღწევად. ამ დროისთვის უკვე ყველა ფანჯარა ჩამტვრეული იყო და ბიჭების კვალიც გაქრა.

მაგიდასთან მივედი და წერილების გადათვალიერება დავიწყე. კონვერტები ფრთხილად გაეხსნათ და კოხტად დაეწყოთ. უმეტესობა ხელით იყო ნაწერი; მხოლოდ რამდენიმე დაებეჭდათ მანქანაზე. ტექსტი მოკლე იყო, ზოგან გესლით გაჟღენთილი მხოლოდ ერთი ფრაზა ეწერა.

უკნიდან შემომესმა:

— ასე, ასე! წარმოგიდგენიათ. — შემოვბრუნდი. პიტერსონი იყო. — წარმოგიდგენიათ! — ოთახს თვალი შეავლო. ჩამტვრეული ფანჯრებიდან საღამოს სიო უბერავდა. — ეშმაკმა იცის, რა მოიმოქმედეს, ჰა? — მთელი ოთახი შემოიარა. — უბრალოდ, აღმაშფოთებელია.

ამ დროს კიდევ ერთი ადამიანი შემოვარდა სახლში. ლაბადა ეცვა და ხელში ბლოკნოტი ეჭირა.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა პიტერსონმა.

— ჩემი გვარია კერტისი. „გლობუსიდან“ გახლავართ, სერ.

— ყმაწვილო, ვინ მოგიწვიათ? — პიტერსონმა თვალი მოავლო ოთახს. მისი მზერა ჩემზე შეჩერდა. — ცუდია, — თქვა მან. — ძალზე ცუდია.

— „გლობუსი“, კარგი რეპუტაციის გაზეთია. მისი რეპორტიორი მუდამ ზუსტად და მიუკერძოებლად გადასცემს ფაქტებს. რაიმე გაქვთ საწინააღმდეგო?

— ყური მიგდეთ, — თქვა პიტერსონმა. — ამ ქალაქში ორმილიონ-ნახევარი კაცი ცხოვრობს, პოლიციის განყოფილებაში ხალხი არ გვყოფნის. საშუალება არა გვაქვს, ვიღაც შერეკილების მუქარის ყოველი საჩივარი და შეტყობინება გამოვიძიოთ.

— ბრალდებულის ოჯახს, — ვუთხარი, და ვგრძნობდი, რომ რეპორტიორი ყურადღებით მისმენდა, — ბრალდებულის ოჯახს, რომელიც ცოლისა და პატარა ბავშვებისგან შედგება, ტელეფონითა და წერილებით ბევრჯერ დაემუქრნენ. ნათელია, რომ მისის ლი შეშინდა. მაგრამ თქვენ ოდნავადაც არ აგაღ-ელვათ ამ ამბავმა. შემდეგ მოვლენები ძალზე ცუდად განვი-თარდა. მოზარდებმა დაიწყეს ჯვრის დაწვა და სახლის განად-გურება. ოჯახის დედამ დაგირეკათ და შველა გთხოვათ, თქვენს ბიჭებს თხუთმეტი წუთი სჭირდებათ აქ მოსასვლელად. განა შორსაა აქედან უახლოესი პოლიციის განყოფილება?

— ეს არ არის არსებითი.

რეპორტიორი განაგრძობდა წერას.

— თქვენ ცუდად წარმოადგინეთ თქვენი თავი, — ვუთხარი მე. — ბოსტონის ბევრი მცხოვრები პროტესტს აცხადებს აბორ-ტის წინააღმდეგ, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მათგანი აღშფოთე-ბული იქნება ხულიგანთა ბანდის მიერ მოწყობილი თავდასხმითა და რბევით, რომელიც მათ კერძო სახლში ჩაიდინეს...

— სულაც არ იყვნენ ხულიგნები...

რეპორტიორს მივუბრუნდი:

— კაპიტანმა პიტერსონმა გამოთქვა აზრი, რომ ყმაწვილე-ბი, რომლებმაც ჯვარი დაწვეს და სახლის ყველა ფანჯარა დალეწეს, ხულიგნები არ იყვნენ.

— ამის თქმა არ მინდოდა, — სწრაფად შემეპასუხა პიტერ-სონი.

— მაგრამ მან თქვა ეს, — რეპორტიორს მივუბრუნდი, — უფრო მეტიც, თქვენთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გაგება, რომ ორი ბავშვი სერიოზულადაა დაჭრილი მინის ნამ-სხვრევებისგან. სამი და ხუთი წლის ბავშვებმა სერიოზული ჭრილობები მიიღეს.

— ჩემი ცნობები რამდენადმე განსხვავდება თქვენისგან, — მითხრა პიტერსონმა. — მცირე განაკაწრები...

— ვფიქრობ, — შევაწყვეტინე მე, — ამ მომენტში მე აქ ერთადერთი ექიმი ვარ. ანდა, იქნებ პოლიციამ, ბოლოს და ბოლოს, ყურად იღო თხოვნა და თან ექიმი წამოიყვანა?

— პოლიციასთან ერთად ექიმი მოვიდა? — იკითხა რეპორტიორმა.

— არა.

რეპორტიორი სწრაფად იწერდა.

— ძვირად დაგიჯდებათ, ბერი, — მითხრა პიტერსონმა, — კარგ პასუხს მიიღებთ ჩემგან ამისთვის.

— ფრთხილად! თქვენ გვერდით რეპორტიორია. — პიტერსონი მრისხანედ აკვესებდა თვალებს. მკვეთრად შემოტრიალდა ქუსლებზე. — სიტყვამ მოიტანა და, — ვთქვი მე, — რა ზომებს მიიღებს პოლიცია, რათა მომავალში არ განმეორდეს ასეთი უმსგავსობა?

ის შეჩერდა:

— ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

— არ დაგავიწყდეთ, — ვუთხარი მე, — რეპორტიორისთვის იმის ახსნა, რომ ამ შემთხვევას ძალზე სამწუხაროდ მიიჩნევთ და სახლთან სადღეღამისო საპოლიციო პოსტის დაყენებას აპირებთ.

პიტერსონს ზიზღით მოეღრიცა ტუჩები, მაგრამ ვიცოდი, რომ ყოველივე ამას შეასრულებდა. მე კი მხოლოდ ეს მინდოდა — ბეტისთვის დაცვა უზრუნველეყოთ და პოლიციისთვის ჭკუა მესწავლებინა.

8

ჯუდიტი ბავშვებთან ერთად შინ წავიდა, მე კი ბეტის ვეხმარებოდი — ფიცრებს ვაჭედებდით ფანჯრებზე. ამ საქმიანობამ დაახლოებით ერთი საათი წამართვა და თანდათან სულ უფრო და უფრო მერეოდა სიბრაზე.

ბეტის ბავშვები ძლივს იდგნენ ფეხზე, მაგრამ არაფერით უნდოდათ დაწოლა. წამდაუწუმ ჩვენთან ჩამოდიოდნენ დაბლა. გარი ჯიუტად იმეორებდა, ფეხი მტკივაო. ბანდი შემოვხსენი და ჭრილობაში ჩარჩენილი პატარა ნამსხვრევი აღმოვაჩინე.

სახლი გაჟღენთილი იყო მბჟუტავი ჯვრის დამწვრის სუნით. ყოველი მხრიდან უბერავდა, ოთახებში ქაოსი სუფევდა; სახლის წესრიგში მოსაყვანად რამდენიმე დღე იქნებოდა საჭირო. ბეტის მიერ მიღებულ წერილებს დავუბრუნდი. წავიკითხე და კიდევ უფრო მეტად შემომაწვა სევდა და დაღლილობა ვიგრძენი. უცებ სურვილი აღმეძრა, ყველაფერი დამთავრებულიყო. მომინდა, ამ წერილებს ბოლო მოღებოდა, ფანჯრებში მინები ჩასმული ყოფილიყო, ბავშვებს ჭრილობები მოშუშებული ჰქონოდა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დაბრუნებულიყო. ჯორჯ უილსონს დავურეკე.

— ველოდი თქვენს ზარს, — მითხრა უილსონმა.

— ხომ არ ისურვებდით ჯ. დ. რენდალთან სტუმრად გასეირნებას?

— რატომ?

— ცუდი განწყობილების გასაქარვებლად, — ვუთხარი მე. — ოცი წუთის შემდეგ შევხვდეთ, — მიპასუხა უილსონმა.

სამხრეთ პლაჟისა და რენდალის სახლისკენ რომ მივდიოდით, გზაში უილსონმა მკითხა:

— რამ გაიძულათ გადაფიქრება?

— ბევრმა რამემ.

— ბავშვებმა?

— ბევრმა რამემ, — გავუმეორე მე.

ერთ ხანს მდუმარედ მივდიოდით, შემდეგ მითხრა:

— თქვენ, რასაკვირველია, გესმით, რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვაპირებთ მისის რენდალისა და პიტერის შანტაჟირებას. — გვიანი საღამო იყო. დაახლოებით ცხრა

საათი იქნებოდა. ცა მთლად ჩამობნელებულიყო. — როდესაც მათთან ვიქნებით, — მითხრა უილსონმა, — საუბრის წარმართვის უფლება მე დამითმეთ, კარგით?

— თუ თქვენ ასე გსურთ, სიამოვნებით, — ვუთხარი მე.

ზუსტად არ მახსოვდა, სად იდგა სახლი და ნელა, აქეთ-იქით ყურებით მივდიოდი. როგორც იქნა, ვიპოვე და ის იყო, ხეივანში უნდა შემეხვია, რომ იძულებული შევიქენი დამემუხრუჭებინა. რენდალის სახლის სადარბაზოს წინ, ხრეშით მოყრილ პატარა მოედანზე ორი მანქანა იდგა. — ერთი — ჯ. დ. რენდალის მოვერცხლისფრო „პორშე". მეორე — ნაცრისფერი „მერსედესი". ფარები ჩავაქრე და უკან დავიხიე.

— რა ხდება? — მკითხა უილსონმა.

— კარგად მე თვითონაც არ ვიცი, — ვუპასუხე მე.

— შევალთ თუ არა შიგ?

— არა! — უკანა სვლით ქუჩა გადავჭერი და მანქანა მოწინააღმდეგე მხარეს ხეებქვეშ დავაყენე. აქედან ორივე მანქანას კარგად ვხედავდი. — იქ „მერსედესი" დგას.

— მერე და, რა?

— „მერსედესი" პიტერ რენდალს ჰყავს.

— მით უკეთესი, — მითხრა უილსონმა, — ორივესთან შევძლებთ საუბარს.

— საქმე ეს არაა. პიტერ რენდალმა მითხრა, რომ მისი მანქანა მოიპარეს.

ჩავფიქრდი. ბუნდოვანი, ამაფორიაქებელი მოგონებები მომეძალა. უცებ გონება გამინათდა: ეს მანქანა ხომ რენდალების გარაჟში ვნახე, როდესაც მისის რენდალთან ვიყავი. კარი გამოვაღე.

— წავედით! მერსედესს მინდა შევხედო.

გამოვედით, არასასიამოვნო ღამე იყო, ნესტი ძვლებამდე აღწევდა. ხეივანში მიმავალმა, ხელი ჯიბეში ჩავიყავი და პატარა ელექტროფარანი მოვსინჯე.

— უწევთ თუ არა ანგარიშს იმას, — წამჩურჩულა უილსონმა, — რომ ჩვენ კერძო საკუთრების უფლებას ვარღვევთ?

— ვუწევ.

ფეხქვეშ მოხრაშუნე ხრეშიდან მინდორზე გადმოვედით და დამრეცი ფერდობით ზედ სახლთან მივედით. პირველ სართულზე სინათლე ენთო, მაგრამ ფარდები გადაწეული იყო და ვერ ვხედავდით, შიგ რა ხდებოდა. „მერსედესთან" რომ მივედი, პატარა ფარანი ავანთე. მანქანა ცარიელი იყო და უცებ გავშეშდი: მძღოლის საჯდომი ადგილი მთლად სისხლის ლაქებით იყო მოსვრილი.

— ასე-ე! — წარმოთქვა უილსონმა.

რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ამ დროს გაღებული კარის ხმა და ლაპარაკი გაისმა. ერთი ნახტომით კვლავ მინდორზე აღმოვჩნდით და ბუჩქებს ამოვეფარეთ.

სახლიდან გამოვიდა ჯ. დ. რენდალი. გვერდით პიტერი მოჰყვებოდა. რაღაცაზე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, როგორც ჩანს, დავობდნენ. კიბეზე ჩამოვიდნენ და მანქანებისკენ გაემართნენ. პიტერი „მერსედესში" ჩაჯდა და ძრავა ჩართო. ჯ. დ.-მ უთხრა: „უკან გამომყევი", პიტერმა თავი დაუქნია. შემდეგ ჯ. დ. თავის ვერცხლისფერ „პორშეში" ჩაჯდა და ხეივნით ქუჩისკენ წავიდა. გზაზე გასულებმა, მარჯვნივ, სამხრეთისკენ გაუხვიეს.

ხეივანი გავიარეთ და სირბილით წავედით ჩემი მანქანისაკენ. ის ორი მანქანა უკვე საკმაოდ შორს წასულიყო; ძლივს ვარჩევდით მათი მოტორების ხმას, მაგრამ უკანა სინათლეები კიდევ ჩანდა — ზღვის სანაპირო გზატკეცილით მიდიოდნენ. ძრავა ჩავრთე და მანქანით უკან დავედევნე. უილსონმა ჯიბიდან რაღაც ამოიღო და ხელში ატრიალებდა. შევათვალიერე რა იყო.

— მუდამ თან ატარებთ ფოტოაპარატს?

— ყოველთვის.

ძმებს ეჭვი რომ არ აღძრვოდათ, ვცდილობდი საკმაოდ

მოცილებით მევლო. პიტერი ძალიან ახლოს მიჰყვებოდა ჯ. დ-ს. ხუთიოდე წუთის შემდეგ მანქანები ერთიმეორის მიყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიმავალ შეღმართზე ავიდნენ. რამდენიმე წამის შემდეგ მეც იქ აღმოვჩნდი.

— იქნებ, სრულიად უწყინარი საქმე წამოიწყეს. მითხრა უილსონმა. — შეიძლება აღმოჩნდეს...

— არა, — ვუთხარი მე. გონებაში უკვე შევაჯერე ზოგიერთი ფაქტი. — პიტერმა უიკ-ენდისათვის თავისი მანქანა ათხოვა კარენს. ეს ჯ. დ.-ს ვაჟისგან, უილიამისგან გავიგე. კარენმა ისარგებლა მისი მანქანით. საჯდომზე სისხლის კვალი დარჩა. შემდეგ მანქანა დააყენეს რენდალების გარაჟში. ამავე დროს პიტერმა განაცხადა, რომ ის მოიპარეს. ახლა...

— ახლა მისი თავიდან მოცილება უნდათ, — მითხრა უილსონმა. — დასწყევლოს ეშმაკმა. ნაღდად ასეა.

მანქანები ისევ მიქროდნენ პლიმუტის გვერდის ავლით სამხრეთის მიმართულებით. კონცხისკენ უფრო აგრილდა, ჰაერი მარილით გაჟღენთილიყო. ავტოსტრადა თითქმის ცარიელი იყო.

— შესანიშნავია! — მითხრა უილსონმა და თან თვალს არ აშორებდა წინ მიმავალი მანქანების უკანა შუქებს. — ცოტა კიდევ ჩამორჩით.

ავტოსტრადა სულ უფრო და უფრო თავისუფალი ხდებოდა და ორივე წინა მანქანამ დიდი სისწრაფე განავითარა. უკან მოვიტოვეთ პლიმუტი, შემდეგ ჰაიანისი, შორს პროვინსტაუნის შუქები აკიაფდა, უცებ შევამჩნიე, რომ სამუხრუჭე სინათლეები აციმციმდა. მერე ორივე მანქანამ მარჯვნივ, პლაჟისკენ გადაუხვია. ჩვენც გადავუხვიეთ და მოუკირწყლავი ქუჩით წავედით. აქეთ-იქით დაბალი, მეჩხერი ფიჭვნარი იზრდებოდა. ფარები ჩავაქრე. ოკეანის მხრიდან ცივი, მძაფრი ქარი ქროდა.

— უდაბური ადგილია! — შენიშნა უილსონმა.

მალე შემოგვესმა ტალღების ხმაური. გზიდან გადავუხვიე და მანქანა გზის პირას გავაჩერე. ნაპირისკენ ფეხით წავედით და მალე ერთმანეთის გვერდით მდგარი ორი მანქანა დავინახეთ.

ადგილი ვიცანი. ეს იყო კონცხის აღმოსავლეთის მხარე. აქ საკმაოდ დიდ მანძილზე გადაჭიმული ქვიშიანი ნაპირი მკვეთრად წყდებოდა ოცდაათიოდე მეტრით დაბლა მდებარე ზღვასთან. ორივე მანქანა პირით ზღვისკენ, შვერილზე იდგა. რენდალი თავისი „პორშედან" გადმოძვრა და პიტერს ელაპარაკებოდა. წუთით რაღაცაზე დავობდნენ, შემდეგ პიტერი კვლავ ჩაჯდა „მერსედესში" და ზედ შვერილის ნაპირთან მიიდა. მანქანის წინა თვლები თითქმის ფლატეზე იყო ჩამოკდებული. მერე გადმოვიდა და უკან დაბრუნდა. ჯ. დ-მ ამასობაში თავისი „პორშეს" საბარგული გააღო და იქიდან ბენზინით სავსე კანისტრა ამოიღო. შემდეგ ორივემ ერთად მთელი ეს ბენზინი „მერსედესის" შიგნით დაღვარეს.

ჩემ გვერდით ჩხაკუნი გაისმა. უილსონს თვალებთან ფოტოაპარატი მიედო და იქ რაც ხდებოდა, ყველაფერს იღებდა.

— ზემგრძნობიარე ფირი მაქვს, — დამამშვიდა და განაგრძობდა გადაღებას. — და თუ კარგ ლაბორატორიაში გაამჟღავნებ... მე კი კარგი ლაბორატორია მაქვს.

ამასობაში ჯ. დ-მ „პორშეს" ძრავა ჩართო, უკანა სვლით მანქანა რადიატორით გზისკენ შეაბრუნა.

— ახლა გაუჩინარდებიან! შესანიშნავია, — თქვა უილსონმა.

ჯ. დ.-მ პიტერს დაუძახა და მანქანიდან გადმოვიდა. ის ცოტა ხანს ძმის გვერდით იდგა და შემდეგ დავინახე როგორ აინთო მის ხელში ასანთი. თვალის დახამხამებაში „მერსედესს" შიგნით ალი მოედო. ორივე რენდალი მანქანის საბარგულს მივარდა და მთელი სხეულით მიაწვა. „მერსედესი" ნელა დაიძრა ადგილიდან, შემდეგ აუჩქარა და ბოლოს ქვევით გადაეშვა. გა-

დავარდნილი მანქანა, როგორც ჩანს, აფეთქდა — ჩვენამდე მოაღწია გრუხუნის ხმამ, სადღაც დაბლა ალი ავარდა. რენდალები მიცვივდნენ იქვე მდგარ მანქანას, ჩასხდნენ და ჩაგვიქროლეს.

— წავიდეთ, — მითხრა უილსონმა. კამერამომარჯვებულმა, ზედ ფლატეს კიდესთან მიირბინა. დაბლა, წყლის პირას „მერსედესის" დამახინჯებული ჩონჩხი ეგდო, რომელსაც ჯერ ისევ ეკიდა ცეცხლი. უილსონმა რამდენიმე სურათი კიდევ გადაიღო, შემდეგ აპარატი დახურა, შემომხედა და მხიარულად გამიღიმა: — აბა, მეგობარო! ნაღდი საქმე გვიჭირავს ხელში!

9

უკან დაბრუნებისას ავტოსტრადიდან კვლავ იმ დაღმართზე გადავუხიე, საიდანაც გზა რენდალების სახლისკენ მიდიოდა.

— ეი, — წამოიძახა უილსონმა. — რას შვრებით?

— რენდალებთან მივდივარ.

— ახლავე? ჭკუაზე ხართ? მას შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ?

— დღეს თქვენთან ერთად იმიტომ წამოვედი, რომ ამ ამბიდან არტ ლი დამეხსნა და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ამის გაკეთება.

— მაგრამ ახლა ხომ არა, მას შემდეგ, რაც ვნახეთ, — მან ხელი გადაუსვა თავის ფოტოკამერას. — ახლა სასამართლოს წინაშეც შეიძლება წარდგომა. აბსოლუტურად ნაღდი საქმეა, მისი წაგება შეუძლებელია.

თავი გადავაქნიე.

— ყური მიგდეთ, — მითხრა უილსონმა. — შეიძლება დაბნიო მოწმე. შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენო მისი ჩვენებები. მაგრამ შეუძლებელია ფოტოსურათს არ დაუჯერო.

— არა, — მტკიცედ ვიდექი ჩემსაზე.

— ადრე მათი გაბრიყვება მინდოდა, — ამოისუნთქა უილსონმა, — მივსულიყავი მათთან და შემეშინებინა, გული გამეხეთქა შიშით, თითქოს ჩვენ გვქონდა ისეთი საბუთები, რომლებიც სინამდვილეში არ გაგვაჩნდა, მაგრამ ახლა სხვა საქმეა. ახლა ჩვენ გვაქვს მტკიცებები. ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა.

— თუ თქვენ არ გინდათ მათთან ლაპარაკი, მაშინ მე გავესაუბრები.

— ბერი, — მითხრა უილსონმა, — თქვენ მხოლოდ გააფუჭებთ ყველაფერს.

— ვაიძულებ მათ, უკან წაიღონ ბრალდება.

— ბერი, თქვენ ყველაფერს გააფუჭებთ. მათ ხომ ეს-ესაა, ისეთი რამ გააკეთეს, რომელიც მთლიანად ააშკარავებს მათ ჩანაფიქრს. ეს მშვენივრად იციან და შეურიგებელ პოზიციას დაიკავებენ.

— ასეთ შემთხვევაში ვეტყვით, რაც ვიცით.

— ჰოდა, თუ საქმე სასამართლომდე მივა, მაშინ რა? წინასწარ გამოვამჟღავნოთ განზრახული?

— ეს სულაც არ მაღელვებს. საქმე არ მივა სასამართლომდე.

— ყური მიგდეთ, თქვენ რა, არ გინდათ საქმის მოგება?

— მინდა, — ვუთხარი მე. — მაგრამ ჩხუბის გარეშე.

რენდალის სახლისკენ შევუხვიე და ხეივანში შევედი.

— შეცდომას უშვებთ, — თავისას ამბობდა უილსონი.

— შესაძლოა, თუმცა ამაში დარწმუნებული არ ვარ.

კიბეზე ავედით და დავრეკეთ.

ლაქია უხალისოდ შეგვიძღვა სასტუმრო ოთახში. ეს იყო კალათბურთის მოედნისოდენა ოთახი. უზარმაზარ ბუხართან ისხდნენ კოხტა ხალათში გამოწყობილი მისის რენდალი, პიტერი და ჯ. დ. ხელში კონიაკის სირჩები ეჭირათ.

კართან ლაქია მოკრძალებულად შეჩერდა და მოახსენა:

— ექიმი ბერი და მისტერ უილსონი, სერ. მათ მითხრეს, რომ თქვენ ელოდებით.

ჩვენს დანახვაზე ჯ. დ. მოიღუშა. პიტერი სავარძელში გადაწვა, სახეზე ღიმილმა გაუელვა. მისის რენდალი, თითქოსდა, გულწრფელად გაართო ჩვენმა გამოჩენამ.

— რა გნებავთ? — იკითხა ჯ. დ.-მ.

საუბრის წარმართვა უილსონს მივანდე. იგი თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა და დაიწყო:

— ექიმო რენდალ, ვგონებ თქვენ იცნობთ ექიმ ბერის? მე გახლავართ ჯორჯ უილსონი — ექიმ ლის ადვოკატი.

— ძალზე მოხარული ვარ! — თქვა ჯ. დ.-მ და საათს დახედა. — მაგრამ ახლა უკვე შუაღამეა და მე ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად ვისვენებ. სასამართლოს დარბაზში შეხვედრამდე არაფერი მაქვს სათქმელი არც თქვენთან და არც ექიმ ბერისთან. ასე რომ, თუ თქვენ...

— გთხოვთ მაპატიოთ, სერ, — უთხრა უილსონმა. — თქვენს სანახავად სპეციალურად ჩამოვედით შორიდან. თუ საქმე ასეა, ზედ კონცხიდან.

ჯ. დ.-მ თვალები დაახამხამა და მაშინვე გაუქვავდა სახე. პიტერმა ღიმილის დასაფარავად ჩაახველა.

მისის რენდალმა იკითხა:

— მერე, რას აკეთებდით კონცხზე?

— ხანძარს ვუყურებდით, — უთხრა უილსონმა. მერე ჯ. დ.-ს მიუბრუნდა: — უარს არ ვიტყოდით თითო სირჩა კონიაკზე და შემდეგ კი საუბარს გავაგრძელებდით.

ამჯერად პიტერმა სიცილი ვეღარ შეიკავა. ჯ. დ.-მ მკაცრად გადახედა მას და ლაქია იხმო. კიდევ ორი სირჩა კონიაკის მოტანა უბრძანა და როდესაც ლაქია წასასვლელად შებრუნდა, დაუმატა:

— პატარა სირჩები მოიტანე, ჰერბერტ! ისინი დიდხანს არ დაყოვნდებიან, — შემდეგ ცოლს მიუბრუნდა. — თუ შენ საწინააღმდეგო არ გექნება, ძვირფასო.

ქალმა თავი დაუკრა და სასტუმრო ოთახიდან გავიდა.

— დაბრძანდით, ბატონებო, — გვითხრა ჯ. დ.-მ. გვიამბეთ, რამ მოგიყვანათ აქ?

— ერთმა პატარა იურიდიულმა საკითხმა, — უთხრა უილსონმა. — ვფიქრობთ, რომ შესაძლოა სურვილი აღგეძრათ ექიმ ლის წინააღმდეგ თქვენ მიერ წარდგენილი ბრალდების გადასასინჯად.

— მაინც რა არის აქ გადასასინჯი? — ჰკითხა ჯ.დ.-მ.

— შესაძლებლად მიგვაჩნია ის, რომ თქვენს ცოლს უბრალოდ მოესმა, თითქოს აბორტი კარენ რენდალისათვის ექიმ ლის გაეკეთებინოს. ჩვენი აზრით, პიტერი შეცდა, როდესაც პოლიციას აცნობა, თითქოს მისი მანქანა ვიღაცამ მოიპარა. იქნებ ჯერ არაფერი უცნობებია?

— არც ჩემი ცოლი და არც ჩემი ძმა არაფერში შემცდარან. — თქვა ჯ. დ.-მ. პიტერმა კვლავ ჩაახველა და სიგარეტი გააბოლა. — განა ასე არ არის, პიტერ?

— ასეა.

— ასეთ შემთხვევაში საქმე გადაცემული იქნება სასამართლოში და მოგიხდებათ სასამართლოსათვის ანგარიშის ჩაბარება, როგორ გაატარეთ დღევანდელი საღამო — უთხრა უილსონმა.

— სავსებით შესაძლებელია. მაგრამ თქვენ გექნებათ მისის რენდალის მტკიცე ჩვენება, რომ საღამო გავატარეთ სახლში, ჭადრაკის თამაშში, — და კუთხეში ჭადრაკის დაფაზე მიუთითა.

— მაინც ვინ მოიგო? — ღიმილით იკითხა უილსონმა.

— მე, ღმერთმანი, მე! — თქვა პიტერმა და ჩაიხითხითა. — მეთორმეტე სვლაზე ცხენს კუ დაუსვა.

— სასაცილოს ვერაფერს ვხედავ, პიტერ!

— შენ არ გეხერხება წაგება, — უთხრა პიტერმა და ერთბაშად სერიოზული გახდა. ხელები უზარმაზარ მუცელზე დაიწყო და მეტი კრინტი არ დაუძრავს.

კმაყოფილმა ჯ. დ.-მ წუთით შეიცადა და შემდეგ იკითხა:

— კიდევ რით შემიძლია გემსახუროთ, ბატონებო?

X X X

— ძაღლისშვილო, — ვუთხარი უილსონს, — ყველაფერი გააფუჭეთ.

— რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე!

— თქვენ გააბრაზეთ ის, ძალით შეაგდეთ სასამართლოში. ხომ შეგეძლოთ შეგეშინებინათ, დამუქრებოდით, თუ როგორ შებრუნდებოდა ყველაფერი. შეგეძლოთ სურათების შესახებაც გეთქვათ... და რადგან გინდათ, რომ სასამართლო შედგეს, ძალით შეაგდეთ ისინი იქ. თქვენ გჭირდებათ არენა, თავის გამოჩენის შესაძლებლობა, სახელის მოხვეჭა. ორივემ ვიცით, რომ თუ საქმე სასამართლომდე მივა, განურჩევლად დასასრულისა, არტ ლი წაგებული იქნება. ის დაკარგავს თავის რეპუტაციას, პაციენტებს, შეიძლება პრაქტიკის უფლებაც კი წაართვან. და თუ საქმე სასამართლომდე მივა, რენდალებიც წააგებენ. მათ გასვრიან, გასრისავენ ნახევრად დამამტკიცებელი ფაქტებითა და გადაკრული სიტყვებით. მოგებული დარჩება მხოლოდ ერთი ადამიანი — თქვენ, უილსონ!

— ეს თქვენებურად, — მითხრა მან. თანდათან ბრაზი ერეოდა. მგონი, ჩანაფიქრს მივუხვდი.

— ეს ფაქტია.

— ხომ მოისმინეთ, რას ლაპარაკობდა ჯ. დ. რაღაც აბდაუბდას ამბობდა.

— თქვენ შეგეძლოთ გეიძულებინათ იგი, რომ მოესმინა.

— არა, — მითხრა უილსონმა, — აი, სასამართლოზე მოუწევს ყურის დაგდება. — ის საჯდომის ზურგზე გადაწვა. — იცით, ბერი, თქვენ მაოცებთ. ასე თუ ისე, მეცნიერი ბრძანდებით. ვალდებული ხართ ფაქტებს ობიექტურად უყუროთ. დღეს საღამოს

უამრავი ფაქტის წინაშე დადექით. რომლებიც ადასტურებენ, რომ დანაშაული ჩაიდინა პიტერ რენდალმა, თქვენ კი მაინც უკმაყოფილო ხართ.

— სხვანაირად რომ ვთქვათ, თქვენ გწამთ, რომ ის დამნაშავეა?

— რასაკვირველია, — მითხრა უილსონმა. — და შეეძლებ, ნაფიცი მსაჯულები დავარწმუნო.

— მაგრამ, რომ ცდებოდეთ?

— რას იზამ, ძალიან მეწყინება. იმაზე ნაკლებად არა, ვიდრე ის, მისის რენდალმა რომ ლის ცილი დასწამა.

— გასამართლებელ მიზეზს ეძებთ.

— მე? — თავი გააქნია. — ო, არა, ჩემო კარგო. თქვენ ეძებთ მათ. თქვენ გსურთ, რომ არც ერთ ექიმს არ მოეცხოს ჩირქი, არც ერთი მათგანი არ დაზარალდეს. საკითხი გადაწყდეს წყნარად, შშვიდობიანად, ძალზე ტაქტიანად და არავის გრძნობებს არ შეეხონ.

— მაგრამ, განა ეს ყველაზე უკეთესი საშუალება არ არის? ადვოკატის მოვალეობაა, ისე წაიყვანოს საქმე, როგორც უფრო უკეთესი იქნება მისი კლიენტისთვის.

— ადვოკატის მოვალეობა თავისი კლიენტის საქმის მოგებაა. მთელი უბედურება ისაა, არც კი უშვებთ იმ აზრს, რომ თქვენი წრის ადამიანი შეიძლება სულმდაბალი აღმოჩნდეს. სხვა საქმეა, სამართალში მიცემული რომ ნახოთ ვინმე დემობილიზებული სანიტარი ან მედდა. ეს, ალბათ დაგაკმაყოფილებდათ. ანდა კიდევ უკეთესი — ვინმე მოხუცი მეანი ქალი. აი, ვის გინდათ აჰკიდოთ ეს საქმე, მაგრამ ექიმს არავითარ შემთხვევაში.

— ამ საქმის აკიდება იმისთვის მინდა, ვინც დანაშაული ჩაიდინა, — ვუთხარი მე, — და სხვა არავისთვის.

— კარგად იცით, ვინ ჩაიდინა, — მითხრა უილსონმა. — ეშმაკმა წაგიღოთ, კარგად იცით!

XXX

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილსონს დავცილდი და შინ წავედი. სახლში ერთი ჭიქა არაყი დავისხი და სულ ცოტა ყინული ჩავაგდე. უკვე ყველას ეძინა. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო.

არაყს ვსვამდი, და დღევანდელ ნანახს ვაანალიზებდი. როგორც უილსონი ამბობდა, დანაშაულის ყველა ძაფი პიტერ რენდალთან მიდიოდა. მისი მანქანის საჯდომზე აღმოჩენილი სისხლის კვალის გამო მანქანა თავისი ხელით გაანადგურა. ახლა უდანაშაულო იყო, ან შეიძლებოდა ყოფილიყო, ჩვენ რომ მოწმე არ გავმხდარიყავით, როგორ წვავდა იგი მანქანას.

და მაშინ — ესეც აღნიშნა უილსონმა — ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა. ენჯელა და ბაბლზი არავის ატყუებდნენ, როდესაც ამტკიცებდნენ, კარენი არ გვინახავსო; იმ კვირა საღამოს, ის პიტერთან წავიდა. პიტერმა კი რაღაც შეცდომა დაუშვა. კარენი წავიდა სახლში, გზაში დაეწყო სისხლდენა. ეს ამბავი მისის რენდალს უთხრა, რომელმაც თავისი მანქანით საავადმყოფოში წაიყვანა. მისის რენდალმა არ იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში გადაუდებელი დახმარება არასდროს იძახებს პოლიციას და სკანდალის მიფუჩეჩებისა და ოჯახის პატივის გადასარჩენად, აბორტისთვის ბრალი მისთვის ერთადერთ ცნობილ ექიმს დასდო, რომელიც ასეთ ოპერაციებს აკეთებდა, — არტ ლის. ყველაფერი სავსებით ლოგიკურად გამოიყურებოდა.

სულ ესაა, ვფიქრობდი მე, გარდა ერთი მოსაზრებისა. პიტერ რენდალი მრავალი წელი მკურნალობდა კარენს, კარგად იცოდა, ფსიქოპათი რომ იყო. მაშასადამე, ჯერ თაგვებზე გააკეთებდა ანალიზს. თანაც, ცოტა ხნის წინ მხედველობის გაუარესებას უჩიოდა, რაც ჰიპოფიზის სიმსივნის შესაძლებლობაზე მეტყველებდა. მისი სიმპტომები ძალზე წააგავს ფეხმძიმობის სიმპტომებს. აქედან გამომდინარე, პიტერი უეჭველად გააკეთებდა ანალიზს. გამოდიოდა, თითქოს არტ ლისთან პიტერმა გაგზავნა კარენი.

რატომ? თუ მას აბორტის გაკეთება აუცილებლად მიაჩნდა, მაშინ თვითონ გააკეთებდა. ადრეც ხომ ორჯერ გაუკეთა ოპერაცია, და ყველაფერი კარგად დამთავრდა. მაინც როგორ მოუვიდა ასეთი სერიოზული შეცდომა მესამეჯერ?

არა, ვფიქრობდი მე, აქ არავითარი ლოგიკა არ არის.

ხუთშაბათი

13 ოქტომბერი

1

გულდამძიმებულს გამომეღვიძა. ალბათ ასე გრძნობს თავს ხაფანგში გაბმული, დაფეთებული ნადირი. საკმაოდ ძნელი იყო არტ ლის უდანაშაულობის დამტკიცება; თანაც უბრალოდ შეუძლებელი მეჩვენებოდა იმის დამტკიცება, რომ პიტერ რენდალიც უდანაშაულოა.

ჯუდიტმა შემომხედა და მკითხა:

— ცუდ გუნებაზე ხარ?

ჩავიფრუტუნე და შხაპის მისაღებად გავედი.

— არის რაიმე ახალი? — მკითხა მან.

— კი. უილსონს უნდა, საქმე პიტერ რენდალს აჰკიდოს.

მან გაიცინა.

— საყვარელ მოხუც პიტერს?

— სწორედაც რომ, — დავადასტურე მე.

— არის მისი საწინააღმდეგო სამხილები?

— კი.

— ახია მათზე, — თქვა ჯუდიტმა.

— ვისზე?

— რენდალებზე.

— მაგრამ, ჯუდიტ, თუ პიტერი უდანაშაულოა...

— ჩემთვის უკვე სულერთია, ვინაა ნამდვილი დამნაშავე. უბრალოდ მინდა, საქმე რაც შეიძლება მალე დამთავრდეს და არტი გაათავისუფლონ.

— მესმის შენი. — პიჯაკი ჩავიცვი და ვცადე თავიდან ყველა ფიქრი მომეცილებინა. მაგრამ ამ დროს ტელეფონმა დარეკა. მე არ მივედი. წუთის შემდეგ ჯუდიტმა დამიძახა:

— შენ გთხოვენ.

ყურმილი ავიღე. ნაცნობი ბოხი ხმა შემომესმა:

— ჯონ, პიტერი ვარ. საუზმეზე მინდოდა თქვენი მოპატიჟება.

— ასე უცებ რატომ?

— მინდა ჩემი ალიბი გაგაცნოთ. პირველის ნახევარზე შეგიძლიათ?

2

პიტერ რენდალი პატარა, კოხტა ცალკე სახლში ცხოვრობდა ნიუტონის დასავლეთით. სახლის პატრონი კარში შემომხვდა, ხელში ვისკიანი ჭიქა ეჭირა.

— შემოდით, ჯონ. — მან სასტუმრო ოთახში გამიყვანა, — რას დალევთ?

— გმადლობ, არაფერს.

— უმჯობესია, დალიოთ, — მითხრა მან. — ვისკი?

— ყინულით. მიხვდით, რომ უილსონმა ფოტოსურათები გადაიღო?

— მქონდა ასეთი ეჭვი. ეგ ყმაწვილი შორს წავა. მაშასადამე, მე ჩავვარდი?

— წააგავს.

წუთით პიტერი ჩამაშტერდა, შემდეგ შემეკითხა:

— თქვენ რას ფიქრობთ ამ ამბებზე?

— აღარც კი ვიცი, რა ვიფიქრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგალითად, იცით, აბორტებს რომ ვაკეთებ?

— ვიცი.

— კარენს რომ ოპერაცია გავუკეთე?

— ორჯერ, — ვუთხარი მე.

— უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, სამჯერ.

— მაშასადამე, თქვენ...

— არა, არა. უკანასკნელად ივნისში გავუკეთე.

— პირველი?

— თხუთმეტი წლის ასაკში. — მან ამოიოხრა. — იცით რა, ცხოვრებაში საკმაო შეცდომები დამიშვია. ერთ-ერთი ისაა, რომ შევეცადე კარენისთვის მეურვეობა გამეწია. მამას სრულებით არ აინტერესებდა გოგონას ბედ-ილბალი, მე კი... მიყვარდა. საყვარელი გოგონა იყო, გზასაცდენილი, თავგზააბნეული, მაგრამ საყვარელი. მაშ ასე, გავუკეთე პირველი აბორტი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ კარენი ამაზე არ შეჩერებულა. სამი წლის განმავლობაში, სამჯერ მოახერხა დაორსულება: მის ასაკში კი ეს რაღაც პათოლოგიური იყო, ამიტომ გადავწყვიტე, რომ მეოთხეჯერ უნდა ემშობიარა.

— რატომ?

— თავად იბრძოდა ამისთვის. როგორც ჩანს, სჭირდებოდა სირცხვილის განცდა, უკანონოდ დაბადებული ბავშვის წვალებით გაზრდა. ამიტომ, მეოთხეჯერ აბორტის გაკეთებაზე უარი ვთქვი.

— დარწმუნებული ხართ, რომ ფეხმძიმედ იყო?

— არა, — მითხრა მან. — და იცით ჩემი ეჭვის მიზეზი. მინდოდა გამოკვლევის ჩატარება, მაგრამ კარენმა უარი თქვა. მხოლოდ აბორტი აინტერესებდა და როდესაც უარი ვუთხარი, ჩემზე გაბრაზდა.

— და თქვენ ექიმ ლისთან გაგზავნეთ?

— დიახ, — მითხრა პიტერმა.

— იმან გაუკეთა?

პიტერმა თავი გააქნია.

— არტი საამისოდ ძალზე კარგი ექიმია. ის ოპერაციას ანალიზების გარეშე არ გააკეთებდა, გარდა ამისა, როგორც თვითონ კარენი ამბობდა, ის ოთხი თვის ფეხმძიმე იყო, არტი კი ასეთ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა.

— არც თქვენ მოჰკიდებთ, — ვუთხარი მე.

— დიახ. გჯერათ ჩემი?

— მინდა დაგიჯეროთ.

— მაგრამ მთლად დარწმუნებული არა ხართ?

— თქვენ დაწვით საკუთარი მანქანა. მასში იყო სისხლის კვალი.

— დიახ, — მითხრა მან, — კარენის სისხლის. უიკ-ენდზე მანქანა ვათხოვე. მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა ოპერაციის გაკეთება.

— გინდათ თქვათ, რომ საოპერაციოდ თქვენი მანქანით გაემგზავრა, შემდეგ იმავე მანქანით დაბრუნდა სახლში და სისხლისგან დაცლილი ყვითელ „პორშეში" გადაჯდა?

— მთლად ასე არაა. მაგრამ ჩემზე უკეთ ამას ერთი ვინმე აგიხსნით. მოდი აქ, ძვირფასო! — მან გამიღიმა: — გაიცანით ჩემი ალიბი.

ოთახში მისის რენდალი შემოვიდა და პიტერის გვერდით სკამზე დაჯდა.

— ხედავთ, რომ ხელფეხშებოჭილი ვარ, — მითხრა პიტერმა.

— მაშასადამე, კვირა საღამოს?.. — დავიწყე მე.

— იძულებული ვარ, გაგანდოთ ზოგიერთი ოჯახური საიდუმლო, — მითხრა პიტერმა. — ჯოშუა სულელია. რასაკვირველია, ეს თქვენთვის ახალი ამბავი არ არის. სწორედ ამიტომაც იბღინძება. მაგრამ, ვაი რომ, ჯოშუა ეველინას ქმარია და ჩვენ მოჯადოებულ წრეში ვართ.

მისის რენდალს მივუბრუნდი:

— შეგიძლიათ ფიცის ქვეშ მისცეთ ჩვენება, რომ ორშაბათ ღამეს პიტერი თქვენთან იყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ საჭირო იქნება, კი, — მითხრა მან.

— უილსონი გაიძულებთ ამის თქმას. მას საქმის სასამართლომდე მიყვანა სურს.

— ვიცი, — მითხრა მან.

— რატომ დასდეთ ბრალი არტ ლის?

— ჩემი შველა უნდოდა, — ამიხსნა პიტერმა.

— თქვენ გარდა, არტი მისთვის ერთადერთი ნაცნობი ექიმი იყო, რომელიც აბორტებს არალეგალურად აკეთებდა?

— დიახ, — მიპასუხა ეველინამ.

— მან გაგიკეთათ თქვენ აბორტი?

— დიახ, გასული წლის დეკემბერში.

— კარგად გაგიკეთათ, არა?

ის ოდნავ შეცბა.

— თუ თქვენ ეს გაინტერესებთ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— სწორედ ეს მაინტერესებს, — ვუთხარი მე. — იცით, რომ არტს არაფრის გულისთვის არ უნდა თქვენი ამ საქმეში ჩათრევა? თქვენ კი გაწირეთ იგი.

— დიახ, — მითხრა მან. — ასე გამოვიდა.

— მაშ კარგი, ახლა შეგიძლიათ მოხსნათ მას ბრალდება.

— როგორ?

— უარი თქვათ თქვენს ჩვენებებზე.

— ეს არც ისე ადვილია, — მითხრა პიტერმა. — თვითონ დარწმუნდით გასულ ღამით. ჯ. დ.-ს ბრძოლა სწყურია. ის შუბლმაგარია. საკმარისი იყო მის ცოლს ბრალი დაედო ექიმ ლისთვის და მან მისი სიტყვები უცილობელ ჭეშმარიტებად მიიღო. ჩაეჭიდა ამას და ახლა არაფრის გულისთვის უკან არ დაიხევს, მაგრამ მთავარი საკითხი გადაუჭრელი რჩება. არ ვიცი, გჯერა თუ არა, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ კარენისთვის აბორტი არ გამიკეთებია. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ არც ექიმ ლის გაუკეთებია. მაშ ვინ? შეგიძლიათ ამის გარკვევა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დახმარებას მთხოვთ?

— დიახ, — მითხრა მან.

საუზმის დროს ეველინას შევეკითხე:

— სინამდვილეში რა გითხრათ კარენმა მანქანაში?

— მან მითხრა: „აი, ქვეწარმავალი!“ რამდენჯერმე გაიმეორა: „ქვეწარმავალი, წყეული ქვეწარმავალი!“ ესაა და ეს.

— ვინ ჰყავდა მხედველობაში — ვინმეზე ხომ არ გაქვთ ეჭვი?

— არა, — მითხრა ეველინამ.

— კი მაგრამ, რა იფიქრეთ მაშინ?

— არაფერი არ მიფიქრია. საავადმყოფოში მიმყავდა და ჩემ თვალწინ კვდებოდა. მეშინოდა, რომ ეს პიტერის ნამოქმედარი იყო, მეშინოდა ჯოშუას არ გაეგო ყველაფერი. ბევრი რამის მეშინოდა.

— მაგრამ მის გამო არ შიშობდით?

— მის გამოც.

XXX

საუზმე მომეწონა. დამთავრებისას, ამ წყვილის შემყურემ, ჩემი თავი დავიჭირე ფიქრზე, რომ ჯობდა აქ არ მოვსულიყავი და არაფერი მცოდნოდა მათ შესახებ.

საუზმის შემდეგ მე და პიტერი ყავას მივირთმევდით. სამზარეულოდან ისმოდა ჭურჭლის წკარუნი, რომელსაც ეველინა რეცხავდა.

— ვშიშობ, — მითხრა პიტერმა, — დღეს თქვენი აქ დაპატიჟება ჩემი მხრიდან აკრძალული ილეთი იყო.

— უდავოდ, — დავეთანხმე მე.

— ეველინა ცდილობდა დაერწმუნებინა ჯ. დ. უარი ეთქვა ბრალდებაზე, — მითხრა მან. — მაგრამ ის მტკიცედ დგას, მას კი ვერ მოუფიქრებია...

— როგორ აუხსნას?

— დიახ.

უკვე მანქანისკენ მივდიოდი, როცა პიტერმა მითხრა:

— თუ არ ისურვებთ დახმარება გამიწიოთ, თქვენ მიმართ პრეტენზია არ მექნება.

მოვიხედე და ვუთხარი:

— თქვენ ხომ კარგად იცით, რომ არჩევანი არ მაქვს.

— არა, არ ვიცოდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებდი.

3

მანქანაში ჩავჯექი და დავიწყე ფიქრი, რა ღონე მეხმარა. არ მქონდა არავითარი გარკვეული გეგმა, არავითარი მიზანი, ერთი სიტყვით, არაფერი. უნებურად ჯიბეები მოვიქექე და უცებ რაღაც მოვისინჯე, მბზინავ კოსტიუმში ჩაცმული ზანგის ფოტოსურათი აღმოჩნდა — გრეკ ჯონსი.

გრეკ ჯონსი სრულიად ამომივარდა თავიდან. სიჩქარეში, პიროვნებათა კალეიდოსკოპში სადღაც დამეკარგა. საკმაოდ კარგა ხანს ვათვალიერებდი ფოტოსურათს, ვცდილობდი, სახის გამომეტყველებით გამომეცნო მისი ხასიათი, გამეგო, რა კაცია. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ჩვეულებრივი პიჟონის გამოხედვა და თვითკმაყოფილი, თავხედური ღიმილი ჰქონდა, ბრბოსთვის გათვალისწინებული პოზა იყო.

ჩემს კაბინეტში ჯდომით ორი საათი მოკალი. ვცდილობდი ყველაფერი გამერკვია, ერთმანეთთან დამეკავშირებინა კარენ რენდალი, სუპერთავი და ელან ზენერი, ბაბლზიც, ენჯელაც. მინდოდა გამეგო, რა ამოძრავებდა უესტონს და საბოლოოდ ველარაფერი გამეგო.

შემოვიდა ჯუდიტი.

— უკვე ცხრა საათია, — მითხრა მან.

— წამოვდექი და პიჯაკის ჩაცმა დავიწყე.
— შენ საით?
— ბარში, — მხნედ გავულიმე.
— ვითომ რატომ?
— ღმერთმა დამლახვროს, თუ ვიცოდე.

XXX

„ელექტრონული ფორთოხალი“ ზედ ვაშინგტონ-სტრიტის გადამკვეთ პატარა ქუჩაზე მდებარეობდა. გარედან ეს იყო დიდ-ფანჯრებიანი, აგურით ნაგები ძველი, უშნო შენობა. ფანჯრებზე ქაღალდი აეწებებინათ. ქაღალდზე ეწერა: „ყოველდღიურად გამოდის პოპულარული ანსამბლი „ზეფირები“, საცეკვაოდ გვყავს ყველა ყაიდის პარტნიორი ქალები“.

შიგ ნოტიო, დახუთული ჰაერი იდგა, როკ-ენ-როლის ხმა იქაურობას აყრუებდა. გეგონებოდა კედლები ზანზარებს და ჰაერი უფრო იხუთებაო. ყურებმა წივილი დამიწყო, თვალი რომ სიბნელეს შესჩვეოდა, შევჩერდი. შუაში უბრალო ხის მაგიდები იდგა. ერთი კედლის გასწვრივ კაბინები იყო ჩამწკრივებული. მეორის გასწვრივ კი ბარი იყო, პატარა საცეკვაო მოედანი ორკესტრს ეკვროდა; ორი მატროსი ორ სქელ, ფეთხუმ ქალთან ცეკვავდა. დარბაზში მეტი არავინ იყო.

ფიცარნაგზე „ზეფირები“ თავს არ ზოგავდნენ, ხუთნი იყვნენ — სამი ელექტროგიტარაზე უკრავდა, ერთი დასარტყამ ინსტრუმენტზე, ერთიც მღეროდა.

ბართან მივედი. ყინულიანი ვისკი შევუკვეთე. გადავიხადე და მუსიკოსების სათვალთვალოდ ფიცარნაგისკენ შევბრუნდი. შავი, ხუჭუჭთმიანი, ოცდაათიოდე წლის კუნთმაგარი გრეკი გიტარაზე უკრავდა.

— გვარიანად გამოსდით, — ვუთხარი ბარმენს.

მან მხრები აიჩეჩა.

— მოგწონთ ასეთი მუსიკა?

— რასაკვირველია, განა თქვენ არა?

— სისულელეა, — მითხრა ბარმენმა. — ყოველივე ეს სისულელეა.

— აბა, როგორი მუსიკა მოგწონთ?

— ოპერა, — მითხრა და სხვა მომსვლელთან მივიდა. ვერ გავიგე, ხუმრობდა თუ სერიოზულად ლაპარაკობდა.

ბოლოს „ზეფირებმა" დაამთავრეს დაკვრა. ფირსაკრავი გამაძლიერებელთან ჩართეს და ფირფიტები დადეს. შემდეგ ჩამოხტნენ ფიცარნაგიდან და ბარისკენ გაემართნენ. როდესაც გრეკი გამისწორდა, მის შესახვედრად წამოვდექი და იდაყვზე შევეხე.

— შეიძლება დაგპატიჟოთ?

— რასთან დაკავშირებით? — მან გაკვირვებით შემომხედა.

— თანამედროვე ჯაზის თაყვანისმცემელი ვარ.

ამხედ-დამხედა.

— გეყოფათ მასხრობა.

— არა, სერიოზულად ვამბობ.

— არაყი, — მითხრა და გვერდით მომიჯდა. არაყი შევუკვეთე. მოიტანეს თუ არა, ერთი ყლუპით დაცალა ჭიქა. — მოდით, კიდევ დავლიოთ, — მითხრა მან, — შემდეგ კი ვისაუბროთ მუსიკაზე, თანახმა ხართ? — კიდევ აიღო არაყი და ოთახის მეორე ბოლოში მდგარ მაგიდისკენ წაიღო. უკან გავყევი. თუმცა ოთახში თითქმის სიბნელე იყო, მაგრამ მისი ვერცხლისფერი კოსტიუმი ბზინავდა. მაგიდას მივუჯექით; თავის ჭიქას შეხედა და მითხრა: — მაჩვენე შენი ვერცხლის ბალთა.

— რა?

სევდიანი თვალებით შემომხედა:

— ბალთა, ბიჭიკო. არსებობს ასეთი ნიშანი. ბალთის გარეშე, ვერაფერს გაიგებ ჩემგან.

როგორც ჩანს, საკმაოდ შეფიქრიანებულად გამოიყურებოდი.

— ღმერთო ჩემო, — თქვა მან, — ბოლოს და ბოლოს, რადის გაიჩენენ ტვინიან ჯაშუშებს.

— ჯაშუში არ ვარ. — ვუთხარი მე.

— გასაგებია, — თავისი ჭიქა აიღო და ადგა.

— ერთი წუთით, — ვუთხარი მე. — მოდი, რაღაცას გაჩვენებ.

საფულე ამოვიღე და ჩემი სამედიცინო პირადობის მოწმობა მოვძებნე. სუსტ სინათლეზე უფრო კარგად რომ დაენახა, დაიღუნა.

— საინტერესოა, — გესლის გარეშე თქვა მან. მაგრამ მაინც დაჯდა.

— ხუმრობის გარეშე, ექიმი ვარ.

— კეთილი, ასე იყოს, ექიმი. მართალია, ერთ კილომეტრზე აგდის პოლიციელის სუნი, მაგრამ თუ ექიმი ხარ, იყავი ექიმი. მაშინ იცოდე, ყველაფერი წესების მიხედვით იყოს. აი, იქ, ოთხ ბიჭს ხედავ? — თავისი კოლეგებისკენ მანიშნა. — თუ რაიმე მოხდა, ისინი დაადასტურებენ, რომ პოლიციელის ნიშანი კი არ მაჩვენე, არამედ ექიმის მოწმობა. ამას ჰქვია, ბიჭიკო, ცნობების მიღება მოტყუების გზით. სასამართლოში არ გამოდგება, გასაგებია?

— უბრალოდ გასაუბრება მინდა.

— საინტერესოა, — თქვა მან და ჭიქიდან მოსვა. შემდეგ ოდნავ გაიღიმა. — მაშასადამე, უკვე მიყნოსეს, ვინ გითხრა?

— არის წყაროები.

— რა წყაროები?

— ისე... წყაროები.

— მერედა, ვისთვის გინდა?

— ჩემთვის.

— შენთვის? — მან გაიცინა. — გეყოფა ლაზღანდარობა. შენ თვითონ არაფერი გჭირდება.

— რას იზამ, — ვუთხარი და წასასვლელად წამოვდექი. — შეიძლება, შევცდი.

— მოიცა, ბიჭიკო. — შევჩერდი. კვლავ მაგიდასთან იჯდა, შეჰყურებდა ჭიქას და ხელში ატრიალებდა. — დაჯექი! — მე ისევ დავჯექი. ის კვლავ ჭიქას ჩაშტერებოდა. — კარგი საქონელია, — თქვა მან. — სუფთა, შენარევების გარეშე, უმაღლესი ხარისხის, მაგრამ ფასიც დიდი აქვს, გასაგებია?

— კეთილი, — ვუთხარი მე.

გაფაციცებითა და ნერვიულად იფხანდა.

— რამდენი ცალი გჭირდება?

— ათი-თხუთმეტი. რამდენიც გაქვს.

— შენ გეყოფა.

— მაშინ თხუთმეტი, — ვუთხარი მე, — ოღონდ ჯერ უნდა ვნახო.

— შეგიძლია ნახო. ხარისხზე პასუხს ვაგებ. — ნერვიულ ფხანას განაგრძობდა, შემდეგ გაიღიმა. — მაგრამ, ჯერ ერთი ამბავი მითხარი: ვისგან გაიგე?

შევყოყმანდი.

ენჯელა ჰარდინგისგან.

როგორც ჩანდა, ამ ცნობამ საგონებელში ჩააგდო. შეშინდი — რაიმე შეცდომა ხომ არ დავუშვი. თითქოს ყოყმანობსო, სკამზე აცმუტდა, შემდეგ შემეკითხა:

— ბოლოს როდის ნახე ის?

— გუშინ, — ვუთხარი მე.

— კარი, აი, იქ არის, — მითხრა მან. — აქედან წასასვლელად გაძლევ ოცდაათ წამს, წინააღმდეგ შემთხვევაში შენგან სველი ადგილი არ დარჩება. გესმის, ჯაშუშო? ოცდაათი წამი.

— კარგი, ეს ენჯელა კი არა, მისი მეგობარი იყო.

— რომელი?

— კარენ რენდალი.

— ასეთი ვინმე არასდროს მსმენია.

— მეგონა, იცნობდით ერთმანეთს. ასე მითხრეს.

— სწორი არ უთქვამთ, ბიჭიკო, მოგატყუეს.

ჯიბეში ხელი ჩავიყავი და მისი ფოტოსურათი ამოვიღე.

— ეს კოლეჯში, მისი ოთახიდან წამოვიღე. — სანამ გონს მოვიდოდი, სურათი ხელიდან გამომტაცა და დაგლიჯა.

— რა ფოტოსურათზეა ლაპარაკი? — მშვიდად შემეკითხა. — ფოტოსურათის შესახებ არაფერი მსმენია. ცხოვრებაში არ მინახავს ეს გოგონა. ახლა კი გაეთრიე.

— მე აქ ზოგი რამის საყიდლად მოვედი, — ვუთხარი მე. — და ცარიელი ხელით არ წავალ.

— თუ შენი თავისთვის სიკეთე გინდა, ახლავე წახვალ.

კვლავ ფხანა დაიწყო. შევხედე და მივხვდი, რომ მეტს ვერაფერს ვათქმევინებდი.

— კარგი, — ვუთხარი და წამოვდექი. ამავე დროს, თითქოს შემთხვევით ჩემი სათვალე მაგიდაზე დამრჩა. — სიტყვამ მოიტანა და, ხომ არ იცი, სად ვიშოვი ცოტა ტიოპენტალს?

წამით თვალები გაუფართოვდა, შემდეგ კი შემეკითხა:

— რა? არც კი გამიგონია, რა არის ეს. მაშ კარგი, მოუსვი აქედან, სანამ იმ დახლთან მდგარ ერთ-ერთ ყმაწვილს შენთან ჩხუბი არ დაუწყია და თავი არ გაუტეხია.

ქუჩაში გავედი. ციოდა: კვლავ ცრიდა, ვაშინგტონ-სტრიტისკენ და ნაირ-ნაირი სამხიარულო დაწესებულებების კაშკაშა სინათლეებისკენ გავიხედე. ოცდაათი წამი მოვიცადე და ბარში შევბრუნდი. სათვალე ისევ მაგიდაზე იდო. ავიღე და გასასვლელისკენ მიმავალმა, თვალებით მალულად იქაურობა შევათვალიერე.

კუთხეში გრეკი ტელეფონ-ავტომატით ლაპარაკობდა. სწორედ ამის დადგენა მჭირდებოდა.

კვარტლის ბოლოში, მოსახვევს იქით, იაფფასიანი, ბინძური სასაუზმე იყო. დიდი ფანჯრიდან შიგ შევიხედე და დავინახე რამდენიმე მოზარდი გოგონა, ისინი იცინოდნენ და ბუტერბროდებს მიირთმევდნენ. დავინახე აგრეთვე ორი გაცვეთილლაბადიანი ლოთი. ერთ კუთხეში სამი მატროსი ერთმანეთს ზურგ-

ზე ხელს ურტყამდა და ხარხარებდა. ტელეფონი დარბაზის სიღ-
რმეში იყო.

მემორიალურში დავრეკე და ექიმი ჰემონდი მოვიკითხე. მითხრეს ამ ღამით გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მორიგეობსო. შემაერთეს მასთან.

— ნორტონ, ჯონ ბერი ვარ. რეგისტრატურიდან ზოგიერთი ცნობა მინდა.

— ბედი გქონია, — მითხრა მან. — დღეს ჩვენთან სიმშვიდეა. დანით დაჭრილი ორი ახალგაზრდა და რამდენიმე სიმთვრალით გამოწვეული ტრავმა, მეტი არაფერი. რა გინდა?

— ჩაიწერე, გეთაყვა, — ვუთხარი მე. — გრეკ ჯონსი, ზანგი, დაახლოებით ოცდახუთი წლის. მინდა ვიცოდე, ოდესმე თუ იწვა ჩვენთან საავადმყოფოში და არის თუ არა აღრიცხვაზე რომელიმე ჩვენს პოლიკლინიკაში? ზუსტი რიცხვები მჭირდება.

— გასაგებია, — მიპასუხა ჰემონდმა. — გრეკ ჯონსი საავადმყოფოში თუ იწვა და მკურნალობდა თუ არა პოლიკლინიკაში. ახლავე შევამოწმებ. დამირეკავ?

— არა, მოგვიანებით თვითონ შემოვივლი.

როგორც შემდგომში გამოირკვა, ეს ძალიან რბილად იყო ნათქვამი.

ტელეფონით ლაპარაკის შემდეგ ვიგრძენი, რომ მშიერი ვიყავი. სოსისი და ყავა ავიღე. ასეთ დაწესებულებებში არასდროს არ ვჭამ დაკეპილ ბიფშტექსს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხშირად ცხენის ან კურდღლის ხორცისგან ამზადებენ, ანდა, უბრალოდ, შიგნეულის ან სხვა რაიმე სისაძაგლისგან, რის გატარებაც კი შეიძლება ხორცსაკეპში. მეორეც, ასეთ ადგილებში ყოველთვის საკმაოდაა ყოველგვარი პათოგენები, რომ მთელი არმია დააავადონ. ავიღოთ, მაგალითად, ტრიქინა — ბოსტონში მისგან დაავადებულთა რიცხვი ექვსჯერ სჭარბობს მთელ ქვეყანაში დაავადებულთა საშუალო რიცხვს. არა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ერთი სიტყვით, სოსისი და ყავა ავიღე. ვჭამდი და ფანჯარაში გამვლელებს ვუყურებდი. კვლავ გამახსენდა გრეკ ჯონსი. ძალზე არ მომეწონა მისი ნათქვამი. სავსებით ნათელია, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობს, ალბათ — ძლიერმოქმედითაც. ეს კი ძალზე ართულებს საქმეს — განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ მის რეაქციას ენჯელა ჰარდინგისა და კარენ რენდალის სახელების ხსენებისას.

სოსისი გავათავე და ყავის სმა დავიწყე. თავი რომ ავწიე, ფანჯარაში დავინახე, როგორ სწრაფად ჩაიარა გრეკმა. მან ვერ შემნიშნა, წინ იყურებოდა და შეშფოთებული სახე ჰქონდა. ერთბაშად დავლიე ყავა და საჩქაროდ უკან გავყევი.

4

ნახევარი კვარტლით წინ გავუშვი. ჩქარა მიდიოდა. გამვლელებს მუჯლუგუნებით აქეთ-იქით სწევდა. ვცდილობდი, თვალიდან არ დამეკარგა. სტიუარდ-სტრიტზე მისულმა, მარცხნივ შეუხვია. სტიუარდ-სტრიტის ეს ნაწილი უკაცრიელი იყო; შევჩერდი, სიგარეტს მოვუკიდე და უფრო მაგრად შემოვიჭირე ლაბადის ქამარი. ვინანე, თავზე ქუდი რომ არ მეხურა: უკან მოიხედავდა თუ არა, უეჭველად შემამჩნევდა.

გრეკმა კიდევ ერთი კვარტალი გაიარა და კვლავ მარცხნივ გაუხვია. აშკარად კვალს აბნევდა. კარგად არ მესმოდა მისი ჩანაფიქრი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის უფრო გავფრთხილდი. შეშინებული ადამიანივით ჩქარა, ნერვიულად მიდიოდა. ახლა ჩვენ უკვე ჰარვი-სტრიტზე მივაბიჯებდით. აქ რამდენიმე პატარა ჩინური რესტორანი იყო. ერთ-ერთ მათგანთან შევჩერდი და ისე დავდექი, თითქოს ფანჯარაში გამოკიდებულ მენიუს ვკითხულობდი.

გრეკი კვლავ უკანმოუხედავად მიდიოდა. კიდევ ერთი კვარტალი გაიარა და შემდეგ მარჯვნივ შეუხვია. უკან მივყვე-

ბოდი. მთავრობის შენობების სამხრეთით ქალაქი უცბად იცვლის სახეს. ტრემონტ-სტრიტზე, ამ შენობების წინ, განლაგებულია ძვირფასი მაღაზიები და ფეშენებელური თეატრები. ვამინგტონ-სტრიტი სულ ერთ კვარტალზეა აქედან, მაგრამ სულაც არაა ასეთი ელეგანტური: აქ ბევრი ბარია, სადაც მეძაი გოგონები იკრიბებიან და კინოთეატრები, სადაც პორნოგრაფიულ ფილმებს უჩვენებენ. კიდევ ერთი კვარტლის შემდეგ უარესის ნახვაც შეიძლება. ამას მოსდევს ჩინური რესტორნების კვარტალი და ამით გასართობების ზონა მთავრდება. აქედან იწყება საბითუმო მაღაზიების რაიონი, უმეტესად ტანსაცმლის მაღაზიების. ჩვენც სწორედ აქ აღმოვჩნდით.

მაღაზიები არ იყო განათებული. ქსოვილების რულონები ვიტრინებში წამოეყუდებინათ. მაღალი კარი რკინით იყო აჭედილი. აქ ცლიდნენ და ტვირთავდნენ საბარგო მანქანებს. აქვე მიჭუჭყულიყო რამდენიმე პატარა საგალანტერიო დუქანი. თეატრალური საქონლის მაღაზია. ნახევრად სარდაფში მოთავსებული საბილიარდოდან ბურთების ყრუ კაკუნი მოისმოდა.

ქუჩა ბნელი, ნესტიანი და უკაცრიელი იყო. გრეკმა სწრაფად გაიარა კიდევ ერთი კვარტალი და შეჩერდა. სადარბაზოში დაეიმალე და დაველოდე. მოიხედა და კვლავ განაგრძო სვლა. უკან გავყევი. რამდენჯერმე დაბრუნდა თავის კვალზე, დროდადრო ჩერდებოდა და უკან იხედებოდა. სველ ქვაფენილზე საბურავების შრიალით ავტომობილმა ჩაიქროლა. გრეკი გვერდზე, ჩრდილში გახტა, და როდესაც მანქანა თვალს მოეფარა, კვლავ გამოვიდა ტროტუარზე. აშკარად ნერვიულობდა.

ალბათ დაახლოებით თხუთმეტი წუთი მივყვებოდი უკან. ჩემთვის გაურკვეველი იყო — კვალს შლიდა თუ უბრალოდ დროს კლავდა. რამდენჯერმე შეჩერდა, დახედა რაღაც საგანს, ხელში რომ ეჭირა, — იქნებ, საათი, ანდა, სხვა რაიმე იყო.

ბოლოს, გვერდითა პატარა ქუჩებით მთავრობის შენობებსა და ქალაქის რატუშას შემოუარა და ჩრდილოეთის მიმა-

რთულებით წავიდა. მაშინვე ვერ მოვისაზრე, რომ ბიკონ ჰილისკენ მიემართებოდა.

გავიდა კიდევ ათი წუთი და, როგორც ჩანს, სიფხიზლე დავკარგე. რადგან უეცრად თვალიდან დამეკარგა. კუთხის იქით დურთა თავი, და როცა წუთის მოგვიანებით იქითვე შევუხვიე, იქ არ აღმოჩნდა, ქუჩა უკაცრიელი იყო. შევჩერდი, მივაყურადე, ფეხის ხმა ხომ არ ისმის-მეთქი, მაგრამ ვერაფერი გავიგონე. ავღელდი და გზა განვაგრძე.

სწორედ ამ დროს მოხდა ყველაფერი. თავში რაღაც მომხვდა და მწვავე, საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მაშინვე ვიღაცამ მთელი ძალით მუშტი ჩამარტყა მუცელში. ტროტუარზე დავეცი, თვალწინ ყველაფერი გულისამრევად დამიტრიალდა.

ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ყველაფერს თითქოს სიზმარში ხედავ, ყველა საგანი დამახინჯებული გეჩვენება. სახლები შავი და ძალზე მაღალი იყო. თავზე ჩამომწოლოდნენ და ჩამონგრევით მემუქრებოდნენ. ისინი, თითქოს იზრდებიანო, სულ უფრო და უფრო მაღლდებოდნენ; მციოდა, მთლად სველი ვიყავი და წვიმა სახეში მასხამდა. ძლივძლივობით წამოვიწიე იდაყვზე. დავაშტერდი ტროტუარზე დაგროვილ სისხლის გუბეს. ძალზე ბევრი სისხლია. ნუთუ ჩემია?

გული ამერია და მაშინვე ვაღებინე. თვალწინ ყველაფერი გამეფანტა და რაღაც დროის განმავლობაში მწვანედ შეიღება. ბოლოს ძალ-ღონე მოვიკრიბე და ძლივს წამოვდექი მუხლებზე.

ჩემამდე სირენის ხმამ მოაღწია. ჯერჯერობით შორიდან, მაგრამ ახლოვდებოდა. დასუსტებული წამოვდექი და გზის პირას მდგარ მანქანას მივეყუდე. სირენის ღმუილი ახლოვდებოდა. ბორძიკით კუთხეს მოვეფარე და სულის მოსათქმელად შევჩერდი. სირენა უკვე სულ ახლოს ღმუოდა, ლურჯი სხივი ჩხრეკდა ქუჩას, სადაც ახლახან ვიყავი. კვლავ გავიქეცი. არ ვიცი, რა მანძილი დავძლიე, არც ის ვიცი, სად ვიყავი. უბრალოდ, მივრბოდი, სანამ გზის პირას მდგარი ტაქსი არ დავინახე.

— წამიყვანეთ უახლოეს საავადმყოფოში, — ძლივს ვუთხარი.

მძღოლმა შემომხედა და მიპასუხა:

— არავითარ შემთხვევაში.

მანქანაში შეძვრომა ვცადე.

— ნურც ფიქრობ, მეგობარო! — მან მთელი ძალით მიიჯახუნა კარი და იქაურობას სწრაფად გაეცალა. მე კი სადაც ვიდექი, იმავე ადგილზე დავრჩი. შორს სირენის ხმა მოისმა.

სიცივისაგან ვკანკალებდი, მაგრამ სწორედ ეს მშველოდა ცნობიერების შენარჩუნებაში. ვგრძნობდი, სისხლს ვკარგავდი, მაგრამ არ ვიცოდი, რამდენად ძლიერი იყო ეს სისხლდენა. რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამდი და სულის მოსათქმელად ვჩერდებოდი. უფრო ძლიერად დამესხა თავბრუ. ფეხი წამოვკარი, და მუხლებით ასფალტზე დავეცი. ტკივილისგან რამდენიმე წამით გონება გამინათდა და კვლავ შევძელი ფეხზე წამოდგომა. მთლად დასველებულ ფეხსაცმელებს ჭყაპა-ჭყუპი გაჰქონდა. ვცადე ჩემი ყურადღება ამ ხმაზე შემეჩერებინა და თავს ვაიძულებდი ნაბიჯ-ნაბიჯ გამეგრძელებინა გზა. სამი კვარტლის იქით სინათლეები ჩანდა. ვიცოდი, რომ იქამდე მისვლას შევძლებდი. ნაბიჯ-ნაბიჯ, აუჩქარებლად.

წუთით დავეყრდენი ლურჯ მანქანას, მხოლოდ წუთით, სულის მოსათქმელად.

5

— აი, ასე! აი, ყოჩაღ! — ვიღაც მაღლა მწევდა. მანქანაში ვიწექი და ახლა იქიდან ვიღაცას გადმოვყავდი. წინ კაშკაშა სინათლე იყო. ეს ლურჯი ნეონით განათებული „გადაუდებელი დახმარების“ ფირნიშია.

— ფრთხილად, ძმობილო, ნუ ჩქარობ!

თავი ძლივს მეჭირა. ლაპარაკი ვცადე, მაგრამ ენა არ მემო-

რჩილებოდა. შევხედე კაცს, რომელიც მეხმარებოდა, — მელოტი, თეთრწვერიანი მოხუცი იყო. მთელი სიმძიმით რომ არ დავწოლოდი, ფეხზე მტკიცედ დადგომა ვცადე, მაგრამ მუხლები თითქოს რეზინისაა, მეკვეთებოდა და საშინლად მიცახცახებდა.

— მთლად ვაჟკაცი ხარ! აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება.

საავადმყოფოს კარიდან გამოსული სინათლის ზოლში დავინახე, როგორ გადმოდგა ნაბიჯი მედდამ, დამხედა და უკან გაიქცა. გამოვიდა ორი სტაჟიორი და ორივე მხრიდან იღლიაში ხელები ამომდეს. ისე ამწიეს მიწიდან, რომ მხოლოდ ფეხსაცმელების წვერებით ვეხებოდი გუბეებს. თავი მკერდზე ჩამოვკიდე და კეფაზე წვიმის წვეთები ვიგრძენი. მელოტი მოხუცი კარის გასაღებად წინ გაიქცა.

რა სასიამოვნოა შიგნით, თბილა. რბილსაგებიან მაგიდაზე დამაწვინეს და ტანსაცმლის გახდა დამიწყეს, მაგრამ სულ მთლად სველი და სისხლით გაჟღენთილი იყო: ბოლოს და ბოლოს, იძულებული შეიქნენ, გაეჭრათ. ზედა სინათლე თვალებს მჭრიდა, ამიტომ თვალდახუჭული ვიწექი.

— ჰემატოკრიტზე და შეთავსებაზე უნდა გავაკეთოთ სისხლის ანალიზი, — თქვა ერთ-ერთმა სტაჟიორმა. — მეორე საშოკო პალატაში ყველაფერი მოამზადეთ ნაკერების დასადებად.

ჩემ გარშემო ხალხი ფუსფუსებდა: ბუნდოვნად ვგრძნობდი ხელებისა და დოლბანდის ხელსახოცების შეხებას. შუბლი გამიცივდა და მგრძნობიარობა დაკარგა. ახლა სულ შიშველი ვიწექი. მაგარი, ხაოიანი პირსახოცით გამამშრალეს და საბანში გამხვიეს. შემდეგ კი გადამაწვინეს სხვა რბილსაგებიან მაგიდაზე, რომელიც უცებ დერეფანში გაგორდა.

თვალები გავახილე და დავინახე მელოტი მოხუცი, ის თანაგრძნობით დამყურებდა.

— სად ნახეთ? — ჰკითხა ერთ-ერთმა სტაჟიორმა.

— ქუჩაში. რომელიღაც მანქანაზე მიყუდებული იწვა. ჯერ მეგონა, ვიღაც ლოთი უგრძნობლად დამთვრალა-მეთქი. იცით, ფეხები თითქმის გზაზე ეწყო, ამიტომ ვიფიქრე, მანქანებმა რომ არ გადაუარონ, ადგილს შევუცვლი-მეთქი. ვხედავ — ჩაცმულია რიგიანად და მთლად სისხლშია ამოსვრილი. არ ვიცოდი, რა მოხდა, ოღონდ მომეჩვენა, რომ ძალიან ცუდად იყო.

ლურჯი ფილებით მოპირკეთებულ ოთახში შემაგორეს. თავს ზემოთ ნათურები აინთო და ყურადღებით აღსავსე სახეები გარს შემომეხვია. რეზინის ხელთათმანები ჩაეცვათ, ადგილზე იყო დოლბანდის სახვევები.

— ჯერ სისხლდენა შევაჩეროთ, — თქვა სტაჟიორმა, — შემდეგ კი რენტგენოსკოპია გავაკეთოთ. — მან მე მომმართა: არ გძინავთ, სერ?

გავინძერი და რაღაცის თქმა ვცადე.

— ნუ ლაპარაკობთ. შესაძლებელია, ყბის მოტეხილობა გქონდეთ. ჯერ შუბლზე გაგიკერავთ ჭრილობას, მერე კი ვნახოთ.

მედდამ ჯერ თბილი წყლითა და საპნით მომბანა სახე. ღრუბელზე ყოველთვის სისხლი რჩებოდა.

— ახლა სპირტით, — მითხრა მან. — ცოტა მოგწიწკნის.

სტაჟიორები ჩემს ჭრილობას ათვალიერებდნენ და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მოღუნული ქირურგიული ნემსი ნემსსაჭერით დაიკავა და მომიახლოვდა. ველოდი ტკივილს, მაგრამ მხოლოდ ოდნავი ჩხვლეტა ვიგრძენი. ჭრილობის კერვის დროს თავის ამხანაგს უთხრა:

— შეხედე, როგორი სუფთა კიდეები აქვს ჭრილობას. თითქოს ქირურგს უმუშავია.

მედდამ ხელზე ლახტი დამადო და სისხლი აიღო.

— ბარემ ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრა გაუკეთეთ და პენიცილინის ნემსიც. — მე კი მითხრა: — დაახამხამეთ თვალი:

ერთხელ, მაშასადამე — კი, ორჯერ, მაშასადამე — არა. პენი-
ცილინის მიმართ ალერგია ხომ არა გაქვთ?

ორჯერ დავახამხამე თვალი.

— დარწმუნებული ხართ?

ერთხელ დავახამხამე თვალი.

როგორც ჩანს, ისევ დავკარგე გრძნობა. როდესაც თვალი გავახილე, თავს ზემოთ უზარმაზარი რენტგენის აპარატი დავინახე. ვიღაც გაღიზიანებული ამბობდა: — ფრთხილად, ფრთხილად! — კვლავ დავკარგე გრძნობა. უკვე მეორე ოთახში გამომეღვიძა. ღია მწვანე ფერით შეღებილი ოთახი იყო. სტაჟიორები ჯერ კიდევ სველ რენტგენის სურათებს სინათლეზე ათვალიერებდნენ და მსჯელობდნენ. შემდეგ ერთი მათგანი გავიდა, მეორე კი მომიახლოვდა. — თითქოს ყველაფერი წესრიგში გაქვთ, — მითხრა მან. — შესაძლოა, რამდენიმე კბილი შეგერყათ, მაგრამ თითქოს არავითარი მოტეხილობა არ უნდა გქონდეთ.

გონება თანდათანობით გამინათდა; უკვე იმდენად მოვედი გონს, რომ შევძელი მეკითხა:

— რენტგენოლოგმა უკვე წაიკითხა ეს სურათები?

ამ კითხვამ სტაჟიორი გააშეშა. აშკარად შეეშინდა, როდესაც ის გაიფიქრა, რასაც მე ვფიქრობდი, — სახელდობრ ის, რომ თავის ქალის სურათის წაკითხვა ძალიან ძნელია, ამისთვის საჭიროა გავარჯიშებული თვალი, გარდა ამისა, ვერ გაეგო, როგორ მოვიფიქრე ასეთი შეკითხვის დასმა.

— არა, ახლა, ამ მომენტში, რენტგენოლოგი აქ არ არის.

— სად არის?

— ერთი ფინჯანი ყავის დასალევად გავიდა.

— დააბრუნეთ, — ვუთხარი მე. პირი გამიშრა და დამიბუჟდა, ყბა მტეხდა. ლოყაზე მოვისვი ხელი და ძალზე მტკივნეული, დიდი სიმსივნე მოვსინჯე. გასაკვირი არაა, რომ მოტეხილობაზე ეჭვობდნენ. — როგორი ჰემატოკრიტი მაქვს? — შეეკითხე.

— მაპატიეთ, სერ. — ჩემი ნათქვამის გაგება ძნელი იყო. ენა შესივებული მქონდა და სიტყვა ძლივს ისმოდა.

— გეკითხებით, როგორი ჰემატოკრიტი მაქვს?

— ორმოცი, სერ. მაპატიეთ, სერ, ექიმი ბრძანდებით?

— არა, ისე, კარგად გათვითცნობიერებული ობივატელი ვარ. სტაჟიორი შეცბა. ბლოკნოტი ამოიღო და მკითხა:

— სერ, ოდესმე იწექით ამ საავადმყოფოში?

— არა, და არც ახლა დავწვები.

— მაგრამ თქვენ აქ დაჭრილი მოგიყვანეს...

— შეწყვიტეთ წერა. ჩემი გვარია ჯონ ბერი. ლინკოლნის საავადმყოფოში ვმუშაობ პათოლოგანატომად. — თავისი ბლოკნოტი დამალა. — მე საავადმყოფოში არ ვწვები და ავადმყოფობის ისტორიის შედგენა სავალდებულო არაა.

— მაგრამ სერ, თუ თავს დაგესხნენ და გაგძარცვეს...

— არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, — ვუთხარი მე, — უბრალოდ, ფეხი დამიცდა და დავეცი. ესაა და ეს. სულელური დაუდევრობაა...

— სერ, სხეულის ამგვარი დაზიანებანი...

— არ მადარდებს, რომ არატიპური შემთხვევაა. უბრალოდ ვამბობ, რაც შემემთხვა.

— მაგრამ...

— კმარა, — ვუთხარი. — შევწყვიტოთ კამათი. უმჯობესია ჰემონდს დაუძახოთ.

— ვისა, სერ?

— ექიმ ჰემონდს, უფროს ორდინატორს.

— გისმენთ, სერ. — წასასვლელად რომ შებრუნდა, გაიფიქრე, რომ ძალზე მკაცრად მოვექეცი. ბოლოს და ბოლოს, ის მხოლოდ სტაჟიორია და ძალიან კარგი ბიჭი ჩანს.

— სიტყვამ მოიტანა და თქვენ გამიკერეთ ჭრილობა? კარგად გამოგივიდათ.

— მადლობელი ვარ, სერ! — გულღიად გამიღიმა.

XXX

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავრჩი მარტოდმარტო და ძალაუნებურად მთელი ყურადღება ტკივილებს მივაქციე. ყველაზე მეტად მუცელი მტანჯავდა: ისე მტკიოდა, თითქოს კეგლის ბურთი გადამეყლაპოს. გვერდზე გადავბრუნდი და შემიმსუბუქდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰემონდი გამოჩნდა.

— სალამი, ჯონ. არ დამინახავს, როგორ მოგიყვანეს.

— არა უშავს! ბიჭებმა ძალზე კარგად იმუშავეს.

— რა დაგემართა?

— უბედური შემთხვევაა.

— ბედნიერად გადარჩენილხარ, — მითხრა ჭრილობის დათვალიერების შემდეგ ნორტონმა, — საფეთქლის ზედაპირული ჭრილობაა. სისხლი თქრიალით გადმოდიოდა. სისხლის ანალიზით კი ამას ვერ იტყვი.

— ელენთა მაქვს დიდი.

— მართლა? თავი გტკივა?

— ცოტა. თითქმის გადამიარა.

— გეძინება? გული გერევა?

— ყური მიგდე, ნორტონ...

— იწექი მშვიდად, — მითხრა ნორტონმა. წვრილი, მოგრძო პატარა ფარანი ამოიღო და გუგის რეაქცია გამისინჯა, შემდეგ ოფტალმოსკოპით თვალის ფსკერი გამოიკვლია. შეამოწმა ფეხებისა და ხელების რეფლექსები.

— ხედავ, ყველაფერი წესრიგშია, — ვუთხარი მე.

— მაინც გამორიცხული არაა ჰემატომის შესაძლებლობა.

— სისულელეა!

— ჩვენ გვინდა, რომ კიდევ ერთი დღე-ღამე იყო მეთვალყურეობის ქვეშ, — მითხრა ჰემონდმა.

— არავითარ შემთხვევაში. — ტკივილისგან დაღმეჭილი, საწოლზე წამოვჯექი. მუცელი მტკიოდა. — მიშველე, წამოვდგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვშიშობ, რომ შენი ტანსაცმელი...

— ნაკუწებად აქციეს. ვიცი. ქენი სიკეთე, მიშოვე თეთრი ხალათი.

— თეთრი ხალათი? რატომ?

— მინდა დავესწრო, როდესაც დანარჩენებს მოიყვანენ.

— ვინ დანარჩენებს?

— აღდგომა და ხვალეო, — ვუთხარი მე.

— ხალათს მიიღებ იმ პირობით, თუ ამ ღამის აქ გათევაზე დაგვთანხმდები:

— ოღონდ, ნუ მოახდენთ ჩემს ჰოსპიტალიზაციას.

— კეთილი, აგრე იყოს, იყავი მისაღებში.

მოვიღუშე.

— კარგი, — გადავწყვიტე ბოლოს. — დავრჩები.

მედდა ხალათის მოსატანად წავიდა. ჰემონდი შემომყურებდა და თავს აქნევდა.

— ვინ დაგამშვენა ასე?

— აღდგომა და ხვალეო!

ხალათი მოიტანეს და ჩავიცვი. უცნაური შეგრძნება მქონდა: უკვე დიდი ხანია, რაც თეთრი ხალათით არ მევლო საავადმყოფოში. თავის დროზე სიამაყით ვატარებდი, ახლა კი უხეში და მოუხერხებელი მომეჩვენა. ჩემი ფეხსაცმელები იპოვეს; სისხლით გაჟღენთილი ჯერ ისევ ნოტიო იყო. გავწმინდე და ჩავიცვი. დაღლილი და დასუსტებული ვიყავი, მაგრამ მოდუნების დრო არ იყო. ამაღამ ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო, ეჭვიც არ მეპარებოდა.

ყავა და სენდვიჩი მომართვეს. თითქოს გაზეთს ვღეჭავო, ყველაფერი უგემური მეჩვენებოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ მომაგრება აუცილებელი იყო. ჰემონდი ჩემთან დარჩა.

— სიტყვამ მოიტანა და, — მითხრა მან, — როგორც შენ მთხოვე, გრეკ ჯონსის ამბულატორიული ბარათი შევამოწმე. მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა უროლოგიურ კლინიკაში. მიღებაზე მოვიდა თირკმლის ჭვალით და გამოიკვლიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— შარდში კი აღმოაჩნდა სისხლი, მაგრამ ერითროციტებში ბირთვი იყო.

— გასაგებია.

კლასიკური შემთხვევა იყო. კლინიკაში მოსული პაციენტები ხშირად უჩივიან მუცლის ქვემოთ ძლიერ ტკივილებსა და შარდვის შეკავებას. ასეთი სიმპტომების დროს ყველაზე დასაშვები დიაგნოზია — კენჭი თირკმლებში, ამ დიაგნოზის დასმისთანავე ავადმყოფს მორფს უკეთებენ. მაგრამ დიაგნოზის დასადასტურებლად ჯერ მოაშარდვინებენ და სინჯავენ, ხომ არ არის მასში სისხლის კვალი. ჩვეულებრივ, თირკმლის კენჭები ანთებით პროცესს იწვევენ, რაც საშარდე ტრაქტში მცირე სისხლდენის მიზეზია. მორფინისტებმა იციან, რომ კენჭოვანი დაავადების დროს შედარებით იოლად იძლევიან მორფს, ამიტომ, ხშირად ცდილობენ თირკმლის ჭვალის სიმულაციას. როდესაც მათ შარდს სთხოვენ, ტუალეტში მიდიან, იჩხვლეტენ თითს და შარდში სისხლს აწვეთებენ. მაგრამ ხშირად ძალზე ნერვებაშლილები არიან და თავისი სისხლისმაგივრად ქათმის სისხლს აწვეთებენ. მაგრამ ქათმის ერითროციტებს აქვთ ბირთვი, ადამიანისას კი — არა. ამიტომ სისხლის ბირთვიანი წითელი სხეულაკები მიუთითებენ, რომ ის სიმულანტია, ესე იგი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ნარკომანია.

— გაუსინჯეს ხელები ნემსების კვალის აღმოსაჩენად?

— არა, როდესაც ექიმმა ჩიხში მიამწყვდია, წავიდა და კლინიკაში აღარ გამოჩენილა.

ჭამის შემდეგ თავი უკეთ ვიგრძენი. ფეხზე წამოვდექი. მთელ ტანში სისუსტესა და ტკივილებს ვგრძნობდი. ჯუდიტს დავურეკე და ვუთხარი ჩემს ლაბორატორიაში ვიმყოფები-მეთქი. ეჭვი არ იყო, სახლში რომ მივიდოდი, ჩემს დანახვაზე ისტერიკაში ჩავარდებოდა, მაგრამ წინასწარ შეშინება არ მინდოდა.

ჰემონდთან ერთად დერეფანში მივდიოდი და ვცდილობდი

ტკივილისგან არ დავლმეჭილიყავი. გამუდმებით მეკითხებოდა, თავს როგორ გრძნობდი. ვპასუხობდი, შესანიშნავად-მეთქი, რაც არ იყო მართალი. საჭმლისგან გული მერეოდა, სიარულისგან კი თავის ტკივილმა მიმატა. მაგრამ ყველაზე ცუდი საერთო სისუსტის შეგრძნება იყო.

„გადაუდებელი დახმარების" შოკის განყოფილების შესასვლელთან მივედით. ეს ფარდულის მაგვარი, ანდა უფრო სწორად, ორივე მხრიდან გახსნილი გარაჟი იყო: სასწრაფო დახმარების კარეტები შედიოდნენ და თავის ტვირთს ცლიდნენ. ფეხის ბერკეტით მოძრაობაში მოყვანილი, მოქანავე ავტომატური კარი საავადმყოფოში შესასვლელს წარმოადგენდა. გარეთ გამოვედით და სუფთა ჰაერი ჩავისუნთქეთ. წვიმიანი და ბურუსიანი ღამე იყო, მაგრამ გრილმა ჰაერმა გამომაცოცხლა.

— რაღაც ფერმკრთალი ხარ, — მითხრა ჰემონდმა.

— არა უშავს, ყველაფერი წესრიგშია.

— კარგად არც კი გამოგიკვლიეთ ჰემატომაზე. ცუდად თუ გახდი, თქვი, გმირობაზე ნუ დებ თავს.

შოკის განყოფილების შესასვლელთან ცოტა შევიცადეთ.

— რა უნდა მოხდეს? — მკითხა ჰემონდმა.

— დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ ერთი ზანგი და ერთი ქალიშვილი უნდა მოიყვანონ.

— გრეკ ჯონსი? გარეულია ამ ამბავში?

სიმართლე რომ ვთქვა, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ გრეკმა გამლახა. მაგრამ მანამდე მომხდარი ამბის წვრილმანები ნისლით იყო დაფარული. ეს მოსალოდნელიც იყო. ვერ ვიტყვი, რომ ნამდვილი რეტროგრადული ამნეზია მქონდა — ჩვეულებრივი მოვლენა ტვინის შერყევის დროს, როდესაც დაზარალებულს არ ახსოვს არაფერი, რაც უბედურ შემთხვევამდე თხუთმეტი წუთით ადრე მოხდა, მაგრამ თავში როგორღაც ყველაფერი ამერია.

ეს, ალბათ გრეკი იყო, ვფიქრობდი მე. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მხოლოდ გრეკი შეიძლებოდა ყოფილიყო. გრეკი

მიდიოდა ბიკონ ჰილის მიმართულებით. თანაც ჩემი თავიდან მოცილების საკმაოდ გასაგები მიზეზიც ჰქონდა.

საათს დავხედე, თითქმის ორი საათი გასულიყო ჩემზე თავდასხმის მომენტიდან. შევწუხდი, რაიმე გაუთვალისწინებელი ხომ არ მოხდა-მეთქი.

ამ დროს მოსახვევიდან პოლიციის მანქანა გამოვარდა. საბურავები წიოდნენ, სირენა ყმუოდა, ციმციმა ელავდა. მას მოჰყვა „სასწრაფო დახმარების" კარეტა, ხოლო იმას კი — მესამე მანქანა. სანამ „სასწრაფო" უკანა სვლით კარს მოადგებოდა, მესამე მანქანიდან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი კაცი გადმოხტა: რეპორტიორები. ეს მათი სახეების მოუთმენელი გამომეტყველებიდან ჩანდა. ერთს ხელში ფოტოაპარატი ეჭირა.

— ფოტოგრაფირების გარეშე, — ვუთხარი მე.

კარეტის კარი გაიღო და საკაცით კაცი გადმოიყვანეს. მისაღების ნათურების მკვდრისფერ შუქზე გრეკ ჯონსის სახე გავარჩიე. ტუჩები ჩაშავებოდა და თავის ქალა მარჯვენა მხარეს ფეხბურთის ბურთივით ჩაჩუტვოდა.

ჰემონდი მაშინვე შეუდგა მუშაობას: მარცხენა ხელის მოქნილი მოძრაობით დაზარალებულის მაჯისცემა გასინჯა, ყური მკერდზე დაადო, ხოლო მარჯვენა ხელით საძილე არტერია მოძებნა. შემდეგ გასწორდა და სიტყვის უთქმელად არაპირდაპირი მასაჟი დაიწყო.

— ანესთეზიოლოგებს დაუძახეთ, — თქვა მან, — მორიგე ქირურგი გამოიძახეთ. რესპირატორი! არამინის ხსნარი მჭირდება — ერთი ათასზე ჟანგბადის ნიღაბი, წნევის ქვეშ. წავიდეთ.

გრეკი დასათვალიერებელში მოათავსეს, ხოლო იქიდან კი ერთ-ერთ პატარა საშოკო პალატაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჰემონდი შეუჩერებლად და რიტმის დაურღვევლად განაგრძობდა გულის მასირებას. როდესაც პალატაში შევიყვანეთ, მორიგე ქირურგი უკვე გველოდა.

— გული გაჩერდა?

— დიახ, — უთხრა ჰემონდმა. — გაჩერდა. მაჯისცემა არ-
სად ისინჯება.

ქირურგმა რეზინისხელთათმანებიანი ქაღალდის პაკეტი
აიღო. არ დაელოდა მედდის დახმარებას, თვითონ ამოიღო და
თითებზე წამოიცვა.

— პირდაპირი მასაჟი გავაკეთოთ, — თქვა და ხელთათმანე-
ბი გაისწორა.

ჰემონდმა მასაჟის შეუჩერებლივ დაუქნია თავი. ჯერჯერო-
ბით არავითარი შედეგი არ იყო: გრეკს ტუჩები და ენა კიდევ
უფრო გაუშავდა. კანი, განსაკუთრებით სახესა და ყურებზე,
ლაქებით დაეფარა.

დაზარალებულს სასწრაფოდ დაადეს ჟანგბადის ნიღაბი.

— რამდენი? — იკითხა მედდამ.

— შვიდი ლიტრი, — უპასუხა ქირურგმა. მას სკალპელი
მიაწოდეს. — ასე, — თქვა და მარცხენა მხარეს ნეკნებს შორის
ირიბად ჩაჭრა. გამოაჩინა ნეკნები, სკალპელით გადახსნა,
ხვრელში ხელი ჩაყო და გულის პირდაპირი მასაჟი დაიწყო.

გრეკს ხელზე ტონომეტრის მანჟეტი დაადეს და ჰემონდმა
წნევის გაზომვა დაიწყო. წუთით თვალს ადევნებდა ისარს და
შემდეგ თქვა:

— არაფერი გამოდის.

მასაჟი კიდევ ერთი წუთი გაგრძელდა.

— თანდათან სუსტდება. კიდევ ხუთი კუბი მომეცით — ერთი
ათასზე.

მოამზადეს შპრიცი. ქირურგმა ნემსი შიგ გულში გაუკეთა
და მასაჟი განაგრძო.

გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი. თვალს ვადევნებდი გულის
შეკუმშვასა და რესპირატორიდან ფილტვების რიტმულ ავსე-
ბას, მაგრამ პაციენტის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებო-
და. ბოლოს და ბოლოს, ექიმებმა შეწყვიტეს ცდა.

— მორჩა, — თქვა ქირურგმა. გრეკ ჯონსის მკერდიდან

ხელი ამოიღო, დახედა და ხელთათმანები წაიძრო. შემდეგ დაათვალიერა ჭრილობები მკერდსა და ხელებზე თავის ქალის ჩაჭყლეტილობა. — როგორც ჩანს, ეს არის სუნთქვის პირველადი შეჩერება, ხედავ, როგორ ჩაურტყამთ თავში. — იგი ჰემონდს მიუბრუნდა: — გარდაცვალების ცნობას თქვენ გამოწერთ?

— ახლავე მოვუვლი მაგ საქმეს.

ამ დროს ოთახში მედდა შემოვარდა.

— ექიმო ჰემონდ, — უთხრა მან, — ექიმი იორჰენსენი გთხოვთ. ჰემორაგიულ შოკში ჩავარდნილი ქალიშვილი მოიყვანეს.

პირველი, ვინც დერეფანში დავინახე, პიტერსონი იყო. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. სახეზე დაბნეულობა და წყენა გამოხატვოდა. მომვარდა და ხელებზე წამავლო ხელი.

— ყური მიგდეთ, ბერი...

— შემდეგ, — ვუთხარი და ჰემონდსა და მედდას შოკის მეორე პალატაში შევყევი. მაგიდაზე ფერწასული ქალიშვილი იწვა. მაჯები შეხვეული ჰქონდა. გრძნობაზე იყო, მაგრამ გონება ამღვრეოდა — თავს აქეთ-იქით ახეთქებდა. მასზე დახრილი იდგა ჩემთვის უკვე ნაცნობი სტაჟიორი, იორჰენსენი.

— თვითმკვლელობის ცდასთან გვაქვს საქმე, — უთხრა მან ჰემონდს. — ხელებზე ვენები გადაიჭრა. სისხლი შევაჩერეთ და გადასხმას ვაწარმოებთ. — სისხლის გადასასხმელად ფეხზე ვენას არჩევდა. — სისხლის ჯგუფი გარკვეულია, — თქვა და ნემსი შეიყვანა.

— რატომ ფეხზე? — შეეკითხა ჰემონდი.

— იძულებული ვიყავით მაჯები შეგვეხვია, ხოლო ზემოთ ლახტის დადება არ მინდა.

უფრო ახლოს მივედი. ენჯელა ჰარდინგი იყო. ახლა არც ისეთი ლამაზი ჩანდა: სახე ცარცივით გასთეთრებოდა. პირის ირგვლივ მონაცრისფრო ჩრდილი დასდებოდა.

— თქვენი აზრი? — ჰკითხა ჰემონდმა იორჰენსენს.

— თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გადავარჩენთ.

ჰემონდი შეხვეულ მაჯებს ათვალიერებდა:

— აქაა გადაჭრილი?

— დიახ. ორივე ხელზე. ნაკერები დავადეთ.

ჰემონდმა ქალიშვილის ხელებს დახედა. თითებზე მუქი ყავისფერი ლაქები ემჩნეოდა. ჰემონდმა შემომხედა.

— თქვენ რომ მეუბნებოდით, ის ქალიშვილია?

— დიახ. ენჯელა ჰარდინგი.

— თავგამოდებული მწეველია.

— აბა, ერთი უკეთ დააკვირდი. ჰემონდმა მისი ხელი აიღო და დალაქავებული თითები დაყნოსა.

— ეს თამბაქო არაა, — თქვა მან. — გაუგებარია.

მაღლა ავწიე მისი ხელები, ცერები და ორივე ხელის უკანა მხარე წვრილი ჭრილობებით ჰქონდა დასერილი. მაგრამ ჭრილობები ისეთი ღრმა არ იყო, რომ სისხლი გამოსვლოდა.

— ამას რით ახსნი?

— სინჯებია. ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებასთან ანგარიშს ვენების გადაჭრით ასწორებენ, თითქმის ყოველთვის შეიძლება უპოვო ხელებზე ერთი, ხოლო ზოგჯერ რამდენიმე წინასწარ გაკეთებული ჭრილობა. თითქოსდა, თვითმკვლელი ჯერ ცდას ატარებს, საკმაოდ გალესილია თუ არა დანა, ანდა როგორია ტკივილის ძალა, რომელიც თავის თავს უნდა მიაყენოს.

— ეს ის არაა, — ვუთხარი მე. — გინახავს დანების ტრიალში მოხვედრილი ადამიანი? თუ დანისგან თავს ხელებით დაიცავ, მაშინ ხელები ჭრილობებით იქნება დასერილი.

— კი, მაგრამ როგორ მოხდა...

— შემდეგ მოგიყვები, — ვუპასუხე და გრეკ ჯონსთან დავბრუნდი. ის კვლავ იმ პალატაში იმყოფებოდა. იქვე იყო პიტერსონი და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ვიღაც კაცი.

— ბერი, — მითხრა პიტერსონმა, — საკმარისია რაიმე სისაძაგლე მოხდეს და თქვენ მაშინვე იქა ხართ.

— ისევე როგორც თქვენ.

— ეს ჩემს მოვალეობაში შედის, — მან თავის თანამგზავრზე მანიშნა. — რადგან მაშინ ძალიან აღელდით, ამიტომ ამჯერად ექიმი მოვიყვანე, პოლიციის ექიმი. რომ იცოდეთ, ეს საქმე ძიებას გადაეცემა. ბიჭის გვარია გრეკ ჯონსი. მის ჯიბეში საფულე ვნახეთ და იმით გავიგეთ.

— ვიცნობ მას, სად იპოვეთ?

— ქუჩაში ეგდო. ბიკონ ჰილის პატარა წყნარ ქუჩაში. თავის ქალა გატეხილი ჰქონდა. როგორც ჩანს, თავით დაეცა. მეორე სართულის ბინაში, სადაც ცხოვრობს ქალიშვილი, რომლის გვარი ენჯელა ჰარდინგია, მინა იყო ჩამტვრეული. ის ქალიშვილიც აქ არის.

— ვიცი.

— დღეს რაღაც ძალზე ბევრი რამ იცით.

მის შენიშვნას წავუყრუე და გრეკ ჯონსის გვამზე დავიხარე. ვიღაცას მისთვის ტანსაცმელი წაეძრო და ახლა უკვე მრავლად ჩანდა ღრმა ჭრილობები ტანსა და მხრებზე. ფეხები დაუზიანებელი დარჩენოდა. „ესეც ძალზე დამახასიათებელია“ — გავიფიქრე.

ექიმი გასწორდა და პიტერსონს შეხედა.

— ახლა ძნელი სათქმელია, რა გახდა სიკვდილის მიზეზი, — თქვა მან და მკერდში არსებულ ღია ჭრილობაზე მიუთითა. — ისინი ისე გარჯილან, რომ ველარც კი გავარკვიე. მაგრამ ალბათ, აქ მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ დაცემისას თავის ქალა ჩაემტვრა. თქვენ თქვით, რომ ის ფანჯრიდან გადმოვარდა?

— ჩვენი ვარაუდით ასე გამოდის, — უთხრა პიტერსონმა.

— ახლავე შევადგენ სამედიცინო დასკვნას, — თქვა ექიმმა.

გვამის დათვალიერებას განვაგრძობდი. განსაკუთრებით თავის ქალა მაინტერესებდა. იქ იყო დაახლოებით კაცის მუშტისოდენა მრგვალი შენაჭყლეტი, მაგრამ მუშტით შეჭყლეტილს არ ჰგავდა, ჯოხი ან მილის გადანაჭერი იყო დარტყმული

ღონივრად. უფრო ყურადღებით დავაკვირდი და გასისხლიანებულ თავზე მიწებებული ხის ყავისფერი ნაწილაკები შევამჩნიე.

— თქვენ ამბობთ, რომ თავის ქალა გატეხილია დაცემის შედეგად? მაგრამ, რას იტყვით სხეულის სხვა დაზიანებათა შესახებ?

— ჩვენი აზრით, ისინი მან სახლში მიიღო. ეტყობა იმ გოგოსთან, ენჯელა ჰარდინგთან, იჩხუბა. მის ბინაში გასისხლიანებული სამზარეულო დანა იპოვეს. როგორც ჩანს, ის გოგო მას მივარდა. ასეა თუ ისე, ან გადმოვარდა ფანჯრიდან, ანდა გადმოაგდეს. — პიტერსონი გაჩუმდა და შემომხედა.

— შემდეგ! — ვუთხარი მე.

— ჰოდა, ალბათ, სულ ესაა.

თავი დავუქნიე, პალატიდან გავედი და ნემსითა და შპრიცით დავბრუნდი.

გვამზე დავიხარე და რადგან მთელი იმედი საუღლე ვენაზე იყო, ნემსი კისერში ჩავარჭვე. ხელებზე ვენების წვალებას აზრი არ ჰქონდა.

— რას აკეთებთ?

— სისხლს ვიღებ, — ვუთხარი და ნემსი გამოვაძვრე. შპრიცი რამდენიმე წვეთი მოლურჯო სისხლით აივსო.

— რატომ?

— მინდა ვიცოდე, ხომ არ მოწამლეს, — პირველად რაც თავში მომივიდა, ის ვუპასუხე. შპრიცი ჯიბეში ჩავიდე და კარისკენ წასვლა დავაპირე. პიტერსონმა, რომელიც თვალს მადევნებდა, უცებ მითხრა: — აბა, ერთი წუთით დაიცადე. — დაველოდე. — შეკითხვა მაქვს. ჩვენი ვარაუდით, ეს ახალგაზრდა ენჯელა ჰარდინგს წაეჩხუბა. შემდეგ ჯონსი გადმოვარდა ფანჯრიდან, ხოლო ქალიშვილმა თავის მოკვლა სცადა. არის მხოლოდ ერთი პატარა შეუსაბამობა. ჯონსი საკმაოდ ბრგე ახალგაზრდაა და დაახლოებით ოთხმოცდათხუთმეტ კილოგრამს უნდა იწონიდეს. ძნელი წარმოსადგენია, ასეთ სუსტ პიროვნებას მისი ფანჯრიდან გადმოგდება შესძლებოდა. იქნებ, ვინმე დაებ-

მარა, — მან სახესა და შეხვეულ ჭრილობაზე შემომხედა: — რა, დღეს მიიღეთ ტრავმა? როგორ?

— სველ ქვაფენილზე დამიცდა ფეხი.

— დაფლეთილი ჭრილობა მოგაყენეს?

— პირიქით, ძალზე სუფთა.

— ადრე ოდესმე შეხვედრიხართ ჯონსს?

— ამ საღამოს შევხვდი. სამიოდე საათის წინ.

— საინტერესოა, — მითხრა პიტერსონმა.

— გაერთეთ გამოცანებით, — ვუთხარი მე. — წარმატებას გისურვებთ!

— ხომ შემიძლია დაკითხვაზე გამოგიძახოთ.

— რასაკვირველია, შეგიძლიათ. მაგრამ რის საფუძველზე?

— ეჭვი ავიღო თანამონაწილეობაზე. ისედაც მიზეზს რა გამოლევს.

— მე კი მაშინვე სარჩელს წარმოგიდგენთ და მილიონ დოლარს აგაძრობთ.

— მარტო იმისათვის, რომ დაგკითხავთ?

— ჩემი, როგორც ექიმის, რეპუტაციის შერყევისთვის. ხომ იცით, ექიმის რეპუტაცია — ეს მისი ლუკმაპურია. მცირე ეჭვიც კი პოტენციურად ზიანს აყენებს მას. სულ იოლად დავამტკიცებ სასამართლოზე, რომ ზიანი მომაყენეს.

6

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თავზე მარწუხები მომიჭირეს. ჭრილობა ფეთქავდა და ტკივილი მტანჯავდა. დერეფანში რომ მივდიოდი, მოულოდნელად მწვავე გულისრევის შეტევა ვიგრძენი. საშინელი სისუსტე დამეუფლა, ერთბაშად ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ შემდეგ გამიარა და ცოტა მოვმჯობინდი. ჰემონდთან დავბრუნდი.

— როგორ გრძნობ თავს?

— ერთფეროვანი გახდი, — შევნიშნე მე. — თაგვს ხომ ვერ მიშოვი?

— თაგვს? კოჰრენს ჰყავს ლაბორატორიაში თაგვები, იქნებ არაა დაკეტილი.

— თაგვი მჭირდება.

— მოდი, მოვძებნოთ, — მითხრა მან.

სარდაფისკენ გავეშურეთ. გზად ჰემონდი მედდამ შეაჩერა და უთხრა, ენჯელა ჰარდინგის მშობლებს ტელეფონით შეატყობინესო. ჰემონდმა სთხოვა, მაცნობეთ, როგორც კი მოვლენ, ანდა ენჯელა რომ გონს მოვაო.

სარდაფში ჩავედით და მილების ქვეშ წახრილები, დერეფნების ლაბირინთებს გავყევით. ბოლოს და ბოლოს, მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც საცდელი ცხოველები ჰყავდათ. როგორც ყველა დიდ კლინიკაში, მემორიალურშიც იყო საკუთარი საკვლევი ცენტრი, რომელიც ბევრ საცდელ ცხოველს საჭიროებდა. ერთიმეორის მიყოლებით მრავალ სათავსს ჩავუარეთ. იქიდან ხან ძაღლების ყეფა გვესმოდა, ხან კი ფრინველთა ფრთების წყნარი შრიალი. როგორც იქნა, მივედით კართან, რომელზეც ეწერა: „პატარა მღრღნელები“. ჰემონდმა ხელი ჰკრა და კარი გაიღო.

ერთი თაგვი ავარჩიეთ და როგორც საერთოდ მიღებულია, ჰემონდმა კუდით ამოიყვანა. შპრიცი ავიღე და გრეკ ჯონსის გვამიდან აღებული სისხლი შევუშხაპუნე. შემდეგ ჰემონდმა თაგვი მინის ქილაში ჩააგდო. კარგა ხანი თაგვს არაფერი მოსვლია. ის მხოლოდ წრეებს არტყამდა ქილაში.

— მაინც, რა ცდაა ეს?

— მორფზე, — ვუთხარი, — გეტყობა პათოლოგანატომი რომ არ ხარ.

თაგვი განაგრძობდა ქილაში წრიალს. შემდეგ სირბილს თანდათან უკლო, კუნთები დაეძაბა და კუდი აეწია.

— რეაქცია დადებითია, — ვუთხარი მე.

— ქალიშვილი? ისიც ნარკომანია? — შემეკითხა ჰემონდი.

— ამას მალე გაჯიგებთ.

როცა დაბრუნდით, ენჯელა უკვე გონზე იყო მოსული.

შოკის პალატაში მედდამ გვაცნობა:

— წნევამ აუწია — ასი სამოცდახუთზე აქვს.

— კარგია, — ვუთხარი მე. დაღლილობა დავძლიე, მასთან მივედი და ხელზე ხელი დავუსვი. — როგორ გრძნობთ თავს, ენჯელა?

— ყველაზე ცუდად.

— თქვენ გამოჯანმრთელდებით.

— ჩამეშალა, — მონოტონური, მოწყენილი ხმით მითხრა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა. — ესაა და ეს. მინდოდა, მაგრამ ჩამეშალა.

— თქვენ უკეთ ხართ.

— დიახ. ჩამეშალა. — თქვა მან.

— შენთან გასაუბრება გვინდა, — ვუთხარი მე.

მან სახე შეგვაქცია.

— თავი დამანებეთ.

— ენჯელა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ჯანდაბას ყველა ექიმი, — თქვა მან. — რატომ არ დამანებეთ თავი? მინდოდა, ყველა შემშვებოდა. იმიტომ გავაკეთე ეს, რომ თავი დაენებებინათ ჩემთვის.

— ენჯელა, შენი დახმარება გვჭირდება.

— არა, — მან თავისი შეხვეული ხელები მაღლა ასწია და დახედა. — არა, არაფრის გულისათვის!

— რა გაეწყობა, ძალზე საწყენია. — ჰემონდს მივუბრუნდი და ვუთხარი: — მომიტანე, გეთაყვა, ნალორფინი. — დარწმუნებული ვიყავი, რომ ენჯელა მისმენდა, მაგრამ ჩემმა სიტყვებმა არავითარი ზემოქმედება არ მოახდინა.

— რამდენი?

— ათი მილიგრამი, — კარგი დოზა. — ენჯელა ოდნავ შეკრთა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. — ენჯელა, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

შემომხედა, მის თვალებში შიში და კიდევ რაღაც, თითქმის იმედი, დავინახე. ესმოდა, ძალიან კარგადაც ესმოდა, რას ნიშნავდა ეს.

— რა თქვით? — მკითხა მან.

— შეგეკითხეთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ათი მილიგრამი ნალორფინი რომ გაგიკეთოთ?

— ჩემთვის სულერთია. რაც გინდათ, გამიკეთეთ.

ნალორფინი მოქმედებს, როგორც მორფის ანტაგონისტი. კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივი ანტაგონისტია, რადგან მცირე დოზებით დაახლოებით მორფივით მოქმედებს. დიდი დოზა ნარკომანებში თავშეკავების სიმპტომებს იწვევს. თუკი ენჯელა მორფინისტია, ნალორფინის დიდი დოზა დეპრესიულ მდგომარეობაში ჩააგდებს. შესაძლებელია, საბედისწეროც აღმოჩნდეს.

შემოვიდა მედდა. მიცნო და თვალები დაახამხამა, მაგრამ სწრაფად შეიკავა თავი.

— ექიმო, მისის ჰარდინგი მოვიდა. ის პოლიციამ გამოიძახა.

— კარგი, გავესაუბრე მას. — დერეფანში გავედი. იქ აღელვებული ქალი და კაცი იდგნენ. მამაკაცი მაღალი იყო, როგორც ჩანს, სიჩქარისგან დაუდევრად, სახელდახელოდ ჩაცმული, ქალი — ლამაზი, შეწუხებული სახე ჰქონდა. შევყურებდი ქალს და უცნაური გრძნობა მეუფლებოდა. თითქოს ადრე სადღაც მენახა.

— ექიმი ბერი გახლავართ.

— ტომ ჰარდინგი, — კაცმა სწრაფად გამომიწოდა ხელი. — ეს კი მისის ჰარდინგია.

შესახედავად ეს იყო სასიამოვნო წყვილი, ისინი სულაც არ ელოდნენ, რომ დილის ოთხ საათზე გადაუდებელი დახმარების მისაღებში აღმოჩნდებოდნენ იმ მიზეზით, რომ იქ იქნებოდა მათი ქალიშვილი, რომელმაც ის იყო, ვენები გადაიჭრა.

მისტერ ჰარდინგმა ხველება მოათავა და თქვა:

— ჩვენ გვაცნობეს, რა... მოუვიდა ენჯელას.

— მისი მდგომარეობა საშიში აღარაა, — დავარწმუნე მე.

— ვეუბნებოდი ცოლს, ყველაფერი კარგად დამთავრდებამეთქი. ენჯელა ხომ აქ მედდად მუშაობს, ნათელია, რომ კარგად მოუვლიან.

— რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ.

— მისი მდგომარეობა მართლა არ არის საშიში? — იკითხა მისის ჰარდინგმა.

— არა, ალბათ მალე მომჯობინდება.

მისის ჰარდინგმა ქმარს უთხრა:

— ტომ, მაშინ აჯობებს ლილანდს დაურეკო და უთხრა, აღარ მოვიდეს.

— ნამდვილად წამოსული იქნება უკვე.

— მაინც სცადე, — უთხრა მისის ჰარდინგმა.

— გინდათ თქვენი ოჯახის ექიმს დაურეკოთ? — შევეკითხე მისის ჰარდინგს.

— არა, ჩემს ძმას. ექიმია და ბავშვობიდანვე ძალიან უყვარს ენჯელა. ის...

— ლილანდ უესტონი? — ვუთხარი და გამახსენდა, რატომ მეცნობოდა მისი სახე.

— დიახ, — მითხრა მან. — იცნობთ მას?

— დიდი ხანია.

გამოჩნდა ჰემონდი, რომელსაც ხელში ნალორფინი და შპრიცი ეჭირა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ჩვენ უნდა?... — ის იყო დაიწყო მან.

— ექიმი ჰემონდი, ეს მისის ჰარდინგია, — საჩქაროდ ვუთხარი. — ექიმი ჰემონდი საავადმყოფოს უფროსი ორდინატორია.

— გამარჯობა, ექიმო, — მისის ჰარდინგმა თავი დაუკრა, თან გამოხედვა უფრო ფრთხილი გაუხდა.

— თქვენი ქალიშვილი მალე გამოჯანმრთელდება, — თქვა ჰემონდმა.

. ბოდიში მოვიხადეთ და პალატისკენ წავედით, სადაც ენჯელა იწვა.

— ეშმაკმა წაგიღოს, იმედია, იცი, რას აკეთებ, — მითხრა ჰემონდმა, როდესაც დერეფანში მივდიოდით.

— დარდი ნუ გაქვს, — პატარა შადრევანთან შევჩერდი და ფინჯანი წყლით ავავსე. ბოლომდე დავლიე და ისევ შევავსე. უკვე აუტანლად მტკიოდა თავი და საშინლად მეძინებოდა. მინდოდა დავწოლილიყავი, თავდავიწყებას მივცემოდი, დამეძინა... მაგრამ კრინტიც არ დამიძრავს. ვიცოდი, რას გააკეთებდა ჰემონდი, ეს რომ მეთქვა. — პასუხს ვაგებ ჩემს მოქმედებაზე, — ვუთხარი მე.

— იმედი მაქვს. რადგან, რაიმე რომ მოხდეს, პასუხს მე ვაგებ, როგორც უფროსი ორდინატორი.

— ვიცი. ნუ წუხხარ.

— რას ნიშნავს — ნუ წუხხარ! ათი მილიგრამი ამგვარი რამ და ხმის ამოღებასაც ვერ მოასწრებ, ისე ჩაგაკვდება... მცირე დოზებით უნდა შევიყვანოთ.

— დიახ, — ვუთხარი მე, — მაგრამ მცირე დოზებით ვერ მოკლავ.

ჰემონდმა შემომხედა და მითხრა:

— ჯონ, ჭკუაზე ხარ?

— ჯერჯერობით კი, — ვუპასუხე მე.

ენჯელას პალატაში შევედით. ზურგით ჩვენკენ, გვერდზე იწვა. ჰემონდს ნალორფინიანი ამპლუა გამოვართვი და შპრიცთან ერთად მისი საწოლის გვერდით, პატარა მაგიდაზე დავდე, მინდოდა, აუცილებლად წაეკითხა ამპულის წარწერა. შემდეგ საწოლს შემოვუარე და ისე, რომ ჩემკენ ზურგით აღმოჩენილიყო, მეორე მხრიდან დავდექი. ზემოდან გადავწვდი და მაგიდიდან შპრიცი და ამპულა ავიღე. შემდეგ შპრიცი სწრაფად შევავსე წყლით.

— ენჯელა, გეთაყვა, მობრუნდით.

ზურგზე გადმობრუნდა და ხელი გამომიწოდა. გაოცებისგან ჰემონდი ადგილზე გაშეშდა. ვენების გასაბერად ლახტი დავადე და სადაც მკლავი იღუნება, იქ ხელის მასირება დავუწყე. შემდეგ ვენაში ნემსი შევუყვანე. მდუმარედ მადევნებდა თვალს. მერე გვერდზე გავდექი და ვუთხარი:

— აი, სულ ესაა.

შემომხედა, შემდეგ ჰემონდს და ისევ მე.

— რამდენი გამიკეთეთ?

— საკმაოდ.

— ათი მილიგრამი? ათი შემიყვანეთ? — თანდათან სულ უფრო აწრიალდა. გასამხნევებლად ხელზე ხელი დავუსვი.

— არაფერია ასაღელვებელი.

— იქნებ, ოცი?

— არა-მეთქი. მხოლოდ ორი. ორი მილიგრამი. ეს არ მოგკლავთ, — ალერსიანად ვუთხარი. ამოიკვნესა და ზურგი შეგვაქცია.

— რისი დამტკიცება გინდათ? — შემეკითხა ის.

— თვითონ იცით, ენჯელა...

— მაგრამ ორი მილიგრამი. ეს...

— სწორედ საკმარისია, სიმპტომების გამოსაწვევად. ცივი ოფლი, კრუნჩხვები, ტკივილები — თავის შეკავების პირველი სიმპტომებია.

— ღმერთო ჩემო.

— ეს არ მოგკლავთ, — კვლავ გავუმეორე. — თვითონაც იცით.

— არამზადა ხართ. არ მითხოვია აქ მოყვანა, არ მითხოვია, რომ ჩემთვის...

— მაგრამ აქ ხართ, ენჯელა, და თქვენს ვენებში უკვე შეყვანილია ნალორფინი. მცირე ოდენობით, მაგრამ საკმარისი.

თანდათან ოფლმა დაასხა.

— მეტი აღარ შემიძლია, — თქვა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეგვიძლია მორფი გაგიკეთოთ.

— მეტი აღარ შემიძლია! გთხოვთ, არ მინდა.

— გვიამბეთ კარენის შესახებ. — ვუთხარი მე.

— ჯერ მორფი მომეცით.

— არა!

ჰემონდი ძალიან აღელდა. საწოლისაენ წავიდა. მაგრამ მოვაშორე იქაურობას.

— გვიამბეთ, ენჯელა.

— არაფერი ვიცი.

— ჰოდა, სიმპტომების გამოჩენამდე მოვიცდით და ტკივილისგან რომ აყვირდებით, მაშინ მოგიწევთ მოყოლა.

— არ ვიცი. არ ვიცი! — ძლიერი კანკალი აუვარდა.

— უფრო ცუდად გახდებით, ენჯელა.

— არა, არა... არა...

მორფის ამპულა ამოვიღე და მის წინ მაგიდაზე დავდე:

— გვიამბეთ.

კანკალი გაუძლიერდა. ისეთი კრუნჩხვები დაეწყო, რომ საწოლი ძაგძაგებდა. რომ არ მცოდნოდა, რეაქცია მისივე გამოწვეული იყო, შემეცოდებოდა.

— კარგი, — მითხრა და სულს ძლივს ითქვამდა. — მე ჩავიდინე ეს. იძულებული ვიყავი.

— რატომ?

— თვალყურის დევნების გამო, კლინიკის გამო. კლინიკისა და თვალყურის დევნების გამო.

— ქირურგიული განყოფილებიდან იპარავდით?

— დიახ... ცოტას, ძალზე ცოტას... მაგრამ მე მყოფნიდა...

— რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს?

— სამი წელი... შესაძლოა, ოთხი... ხოლო გასულ კვირას გრეკმა კლინიკა გაძარცვა... გრეკ ჯონსმა. დაიწყეს თვალთვალი, ყველას სინჯავდნენ.

— და ვეღარ ახერხებდით მოპარვას?

— დიახ...

— მერე, რა გზას დაადექით?

— ვცდილობდი, გრეკისგან მეყიდა. ის ბევრ ფულს თხოულობდა.

— ვინ შემოგთავაზათ აბორტის გაკეთება?

— გრეკმა.

— ფულის გულისათვის?

— დიახ.

— რამდენი მოითხოვა? — ვკითხე, თუმც პასუხი წინასწარ ვიცოდი.

— სამასი დოლარი.

— ამრიგად, აბორტი თქვენ გააკეთეთ?

— დიახ... დიახ... დიახ...

— ვინ აძლევდა ნარკოზს?

— გრეკი. ეს არ იყო ძნელი. ტირპენტალი.

— და კარენი გარდაიცვალა.

— ყველაფერმა კარგად ჩაიარა. როგორც საჭირო იყო, ისე დამთავრდა, როდესაც ის მიდიოდა...

— მაგრამ მერე ის გარდაიცვალა.

— დიახ... ოჰ, ღმერთო ჩემო, მომეცით მორფი, ჩქარა...

— ახლავე გაგიკეთებთ. — კიდევ ერთხელ შევავსე შპრიცი წყლით და ვენაში შევასხი. მაშინვე დაწყნარდა. სუნთქვა აუჩქარებელი, თითქმის მშვიდი გაუხდა.

ჰემონდმა სახიდან ოფლი სახელოთი მოიწმინდა.

X X X

ჩვენ საორდინატოროში გავედით — პატარა, მყუდრო ოთახი იყო ორი საკარძლითა და მაგიდით. კედლებზე ეკიდა ცხრილები დაწვრილებითი ინსტრუქციებით, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული სასწრაფო შემთხვევებში.

— გინდა დალევა?

— კი, მინდა. — ვუთხარი მე.

— ჰემონდმა პატარა კარადა გამოაღო და სიღრმიდან ბოთლი გამოიღო.

— არაყი, — გამოაცხადა მან, გახსნა და პირდაპირ ბოთლიდან მოსვა, შემდეგ მე გადმომცა. სანამ ვსვამდი, მითხრა: — რაღაც ძალიან ცუდად გამოიყურები.

— მეტი რომ არ შეიძლება, ისე კარგად, კარგად, კარგად... — ვუთხარი და თვალები დავხუჭე. ქუთუთოების გახელა მიჭირდა. დამძიმდნენ და ჩემი სურვილის გარეშე იხუჭებოდნენ.

მან ხელი ჯიბეში ჩაიყო, პატარა ფარანი ამოიღო და სახეში შემანათა. გვერდზე გახედვას ვცდილობდი. ძალზე მკაფიო სინათლე იყო, მისგან თვალები მტკიოდა. განსაკუთრებით მარჯვენა.

— შემომხედე, — ძლიერი, მბრძანებლური ხმა იყო. ნაწყვეტ-ნაწყვეტი და გაღიზიანებული.

— თავი დამანებე! — ვუთხარი, მაგრამ ძლიერი თითები თავზე დამაწვა, ადგილზე მიმაკრა, ფარანიც პირდაპირ თვალებში მანათებდა.

— გეყოფა რაღა, ნორტონ.

— ჯონ, ნუ ცდილობ თავის დაძვრენას.

— გეყოფა! — თვალები დავხუჭე. დავიღალე, საშინლად დავიღალე. მინდოდა, ერთი საუკუნე მეძინა, — მომეცი ემბრიონი, — ვუთხარი და გამიკვირდა, რატომ ვთქვი ეს. რაღაც უაზრობა ვთქვი. ყველაფერი ამერია. მარჯვენა თვალი მტკიოდა. თავის ტკივილი სწორედ მარჯვენა თვალის უკან გამოიკვეთა, თითქოს ვიღაც ჯუჯა პატარა ჩაქუჩით მიკაკუნებდა. უცებ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, გული ამერია. ნორტონმა თქვა:

— აბა, სწრაფად, დავიწყოთ.

მერე მათ ტრეპანატორი შემოიტანეს. ძლივს ვხედავდი მას,

თვალები მეხუჭებოდა, და ვაღებინე. უკანასკნელი რაც ვთქვი, ეს იყო:

— არ გამიხვრიტოთ თავი.

პარასკევი, შაბათი და კვირა

14, 15 და 16 ოქტომბერი

1

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც ცდილობდა თავი მოეჭრა ჩემთვის, მაგრამ ცდა წარუმატებლად დამთავრდა. როდესაც გამომეღვიძა, მედდის გამოძახების ღილაკს დავაჭირე თითი და კიდევ ერთი ამპულა მორფის გაკეთება მოვითხოვე. ნაზი ღიმილით, როგორც ჩვეულებრივ ჭირვეულ ბავშვებს ელაპარაკებიან ხოლმე, უარი მითხრა და ამიტომ ეშმაკთან გავგზავნე. იმას ეს მაინცდამაინც არ ესიამოვნა და პალატიდან გავიდა. მალე ჩემთან ნორტონ ჰემონდი შემოვიდა.

— ცუდი დალაქი ხარ, — ვუთხარი, თან თავს ვისინჯავდი.

— მე კი ვფიქრობდი, რომ ცუდად არ გვიმუშავია.

— რამდენი ნახვრეტი გააკეთეთ?

— სამი. მარჯვენა თხემის ნაწილში. საკმაო რაოდენობის სისხლი ამოვქაჩეთ. გახსოვს რაიმე?

— არა, — ვაღიარე მე. — სხვათა შორის, როდის გამიშვებენ აქედან?

— ალბათ, სამ-ოთხ დღეზე ადრე არა. თავის ქალის შიდა სისხლჩაქცევა — საკმაოდ ცუდი რამაა. აუცილებლად უნდა გამოშუშდე.

— მომეცი მორფი, — ვთხოვე მე.

— არა.

— დარვონი?

— არა!

— მაშინ ასპირინი?

— კარგი, — მითხრა მან. — ცოტა ასპირინი შეიძლება.

— ნამდვილი ასპირინი? შაქრის აბები, არა?

პასუხად მხოლოდ გაიცინა და პალატიდან გავიდა.

ცოტა წავიძინე, შემდეგ ჩემთან ჯუდიტი მოვიდა. ჯერ გამიჯავრდა, მაგრამ ცოტა ხნით. ავუხსენი, რომ ყოველივე ეს ჩემი მიზეზით არ მომხდარა. ამაზე მიპასუხა, რომ ჩემისთანა სულელი ალბათ, ბევრი არაა და მაკოცა.

შემდეგ პოლიციიდან მოვიდნენ, მანამ მოვიმძინარე თავი, სანამ არ წავიდნენ.

საღამოს მორიგე მედდამ რამდენიმე გაზეთი მომიტანა, რომ არტზე რაიმე ცნობა მეპოვა, მაგრამ იქ არაფერი იყო. რამდენიმე სენსაციური ცნობა გამოექვეყნებინათ ენჯელასა და გრეკ ჯონსზე. ეს იყო და ეს.

მეორე დღეს არტ ლიმ მინახულა. სახეზე სარკასტული ღიმილი უთამაშებდა, მაგრამ დაღლილი და დაბერებული მეჩვენა.

— სალამი! — ვუთხარი. — აბა, როგორ გრძნობ თავს თავისუფლებაში?

— კარგად, — მითხრა მან. საწოლთან იდგა და თავს აქნევდა. — ძალიან გტკივა?

— ახლა გამიარა.

— ძალზე ვწუხვარ, ასე რომ მოხდა, — მითხრა მან.

— სალაპარაკოდ არ ღირს! გარკვეულად საინტერესოც იყო, ჩემი პირველი თავის ქალისშიდა ჰემატომა.

მე ვდუმდი. იყო ერთი კითხვა, რომლის მიცემა მინდოდა მისთვის. ამ ხნის განმავლობაში ბევრ რამეზე ვიფიქრე და ჩემს თავს ვლანძღავდი დაშვებული შეცდომებისთვის. ყველაზე ცუდი — ეს იმ საღამოს ლის სახლში რეპორტიორის გამოძახება იყო. ამაზე სულელურ ნაბიჯს ვერ მოიფიქრებდა კაცი, მაგრამ ამაზე უარესებიც იყო. ამიტომ მინდოდა მეკითხა მისთვის.

მაგრამ მხოლოდ ეს ვუთხარი:

— პოლიციამ ალბათ უკვე დაამთავრა ამ საქმის ძიება.

— დიახ. გრეკ ჯონსი ამარაგებდა ენჯელას ნარკოტიკებით. მან აიძულა აბორტი გაეკეთებინა. როდესაც გამოირკვა, რომ ოპერაცია ფატალურად დამთავრდა და შენ ამ საქმით დაინტერესდი, ის ენჯელასთან სახლში წავიდა, როგორც ჩანს, მის მოსაკლავად. როცა მიხვდა, თვალს ადევნებდნენ, თავს დაგესხა. ენჯელასთან იმ განზრახვით მიდიოდა, რომ სამართებლით მოეკლა. სწორედ ეს სამართებელი დაგისვა შენ.

— კარგია.

— ენჯელა სამზარეულოს დანით იცავდა თავს. მან მსუბუქად დაჭრა ჯონსი. კარგი სცენა კი იქნებოდა — გრეკი სამართებლით, ენჯელა — სამზარეულოს დანით. ბოლოს და ბოლოს, მოახერხა და გრეკს სკამი სთხლიშა, მერე კი ფანჯრიდან გადააგდო.

— ეს მისი ჩვენებაა?

— დიახ, როგორც ჩანს.

წუთით ერთმანეთს შევყურებდით.

— შენი მადლობელი ვარ ამ საქმეში დახმარებისთვის, — მითხრა მან.

— მუდამ მზად ვარ გემსახურო. დარწმუნებული ხარ, რომ ეს დახმარებაა?

— მე ხომ თავისუფალი ვარ.

— ამაზე არ გეუბნები.

ის საწოლზე ჩამოჯდა.

— საქმის გახმაურება შენი ბრალი არაა, — მითხრა მან. — თანაც, ამ ქალაქმა თავი მომაბეზრა. ჰოდა, გამოვიცვლი საცხოვრებელ ადგილს. ლოს-ანჯელესში მინდა დასახლება. კინოვარსკვლავებს ვამშობიარებ — კარგი პერსპექტივაა.

— კინოვარსკვლავებს არა ჰყავთ ბავშვები. მათ აგენტები ჰყავთ.

მან გაიცინა. რამდენიმე წამით მისი ძველებური სიცილი მომესმა.— უკვე იყავი შენს კაბინეტში? — ვკითხე მე.

— მხოლოდ იმისთვის, რომ დამეკეტა. სატრანსპორტო კანტორასთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას. არ მინდა აქ დაყოვნება.

— დიახ, — ვუთხარი მე. — წარმომიდგენია.

XXX

ყოველივე, რაც შემდეგ მოხდა, როგორც ჩანს, ჩემი გაბოროტების შედეგი იყო. საქმე ისედაც საზიზღარი, გულის არევამდე საზიზღარი აღმოჩნდა, და აღარ უნდა ჩამეყო შიგ ცხვირი. მასში ქექვის აღარავითარი საფუძველი არ მქონდა, შეიძლებოდა თავის დანებება და დავიწყება.

საავადმყოფოში წოლის მესამე დღეს ჰემონდს ისე შევუჩნდი, რომ ბოლოს და ბოლოს, ჩემს გამოწერაზე დამთანხმდა. ვფიქრობ, მედდებიც ჩიოდნენ. მაშ ასე, ნაშუადღევის 3 საათსა და ათ წუთზე გამომწერეს. ჯუდიტმა მომიტანა ტანსაცმელი და სახლში წამიყვანა. გზაში ვუთხარი:

— შემდეგ კუთხეში მარჯვნივ შეუხვიე. უნდა შევჩერდე.

— ჯონ...

— ჯუდიტ, გეთაყვა. სულ ცოტა ხნით.

მოიღუშა, მაგრამ კუთხესთან შეუხვია. მე გზას ვუთითებდი: ბიკონ ჰილის გავლით იმ ქუჩაზე მივედით, სადაც ენჯელა ცხოვრობდა. სახლის წინ პოლიციის მანქანა იდგა. მანქანიდან გადმოვედი და მეორე სართულზე ავედი. კართან პოლიციელი მორიგეობდა.

— ექიმი ბერი გახლავართ, მელორის ლაბორატორიიდან, — ოფიციალური ტონით ვუთხარი. — ანალიზისთვის უკვე აიღეს სისხლი?

— სისხლი ანალიზისათვის? — პოლიციელი შემცბარი ჩანდა.

— დიახ. ოთახში ხომ დარჩა გამშრალი სისხლის ლაქები.

ეს საჭიროა ანალიზისთვის ოცდაექვსი პუნქტის მიხედვით. ხომ იცით, ექიმი ლეიზერი შეწუხებულია ამ ანალიზების გამო და შესამოწმებლად გამომგზავნა.

— ჩემთვის არაფერია ცნობილი, — მითხრა პოლიციელმა. — გუშინ აქ ვიღაც ექიმები იყვნენ. იმათ შესახებ ამბობთ?

— არა, ისინი დერმატოლოგები იყვნენ, — ვუთხარი მე.

— ჰო-ო, დიახ. მაშ კარგით. უმჯობესია, თვითონ შეამოწმოთ. — მან კარი გამიღო, — ოღონდ არაფერს ახლოთ ხელი. თითების ანაბეჭდებს იღებენ.

ბინაში შევედი. თვალწინ დამიდგა ერთიანად აოხრებული ოთახი. ავეჯი გადაებრუნებინათ, მაგიდასა და ტახტზე სისხლის ლაქები იყო. სამი კაცი ჭიქებს სინჯავდა: რაღაც ფხვნილს აყრიდნენ, შემდეგ სულს უბერავდნენ და თითების ანაბეჭდებს სურათებს უღებდნენ. ერთმა მათგანმა თავი ასწია:

— დახმარება გჭირდებათ?

— დიახ, — ვუთხარი მე. — სკამი...

— აი, იქ. — კუთხეში მდგარ სკამზე მიმითითა. — ოღონდ ხელით არ შეეხოთ.

კუთხეში მივედი და სკამს შევხედე. არც ისე მძიმე, იაფფასიანი, მაგრამ მაგრად შეკრული სამზარეულოს ხის სკამი არაფრით გამოირჩეოდა. ერთ ფეხზე სისხლის კვალი იყო დარჩენილი.

— უკვე აიღეთ ანაბეჭდები ამ სკამიდან?

— აიღეთ. საინტერესო შემთხვევაა. ამ ოთახში ათეულობით სხვადასხვა ადამიანის ასობით ანაბეჭდია. მათში რომ გაერკვე, წლობით უნდა იმუშაო. მაგრამ ორი საგნიდან ვერავითარი ანაბეჭდი ვერ ავიღეთ: აი, ამ სკამიდან და შემოსასვლელი კარის სახელურიდან. ვიღაცამ გაწმინდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. ძალზე უცნაურია. მეტი არაფერი იყო გაწმენდილი, ის დანაც კი, რომლითაც ვენები გადაიჭრა.

— აქ უკვე იყვნენ ჰემატოლოგები? — შევეკითხე მე.

— დიახ. მოვიდნენ და წავიდნენ.

— კეთილი, — ვუთხარი. — შეიძლება დავრეკო? ლაბორატორიას უნდა შევუთანხმდე.

მან მხრები აიჩეჩა:

— ინებეთ.

— ტელეფონთან მივედი, ყურმილი ავიღე და ამინდის პროგნოზის ბიუროს ნომერი ავკრიფე. როდესაც ყურმილში ხმა გაისმა, ვუთხარი:

— თუ შეიძლება ექიმ ლეიზერს სთხოვეთ.

— ... მზიანი, ცივი დღე. საღამოს ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურის აწევა...

— ფრედი ხარ? ჯონ ბერი გელაპარაკებათ. ახლა აქ, ოთახში ვარ.

— ... მოსალოდნელია თავსხმა წვიმები.

— დიახ, ისინი ამბობენ, სინჯები აღებულიაო. დარწმუნებული ხართ, რომ ჯერ არ მიგიღიათ?

— ...ხვალ მოწმენდილი ამინდი იქნება, მნიშვნელოვანი აციება...

— ჰო, მესმის. კეთილი. კარგი. სწორია. მოვდივარ.

— ...აღმოსავლეთის ქარი, სუსტი ზომიერამდე...

ყურმილი დავკიდე. ჩემს წასვლას არავინ მიაქცია ყურადღება.

ორშაბათი

17 ოქტომბერი

ორშაბათს ცუდ ხასიათზე ვიყავი. მთელი დილა სიგარეტის წევასა და ყავის სმაში გავატარე და ამავე დროს პირში მომჟავო, საზიზღარ გემოს ვგრძნობდი. ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ მშვენივრად შემეძლო ამ საქმისთვის თავის დანებება და ამით არავინ დაზარალდებოდა. მე მხოლოდ საქმის გაფუჭება შემეძლო.

გარდა ამისა, თუ დავაკვირდებოდით, აქ უესტონს არაფერში მიუძღოდა ბრალი. თუმცა კი მინდოდა დამნაშავის პოვნა, მაგრამ მისი დადანაშაულება არ შემეძლო. თანაც ის მოხუცი იყო. მხოლოდ ფუჭად ვკარგავდი დროს. ყავას ვსვამდი და ჯიუტად ვარწმუნებდი ჩემს თავს.

შეჩერება კი არ შემეძლო.

სადღაც შუადღისას, მანქანით მელორის ლაბორატორიაში წავედი და უესტონის კაბინეტში შევედი. რაღაც სლაიდებს ათვალიერებდა და თავის დაკვირვებებს მაგიდაზე მდგარ დიქტოფონზე იწერდა. როდესაც შევედი, ეს საქმიანობა შეწყვიტა:

— ჰელო, ჯონ. აქ საიდან გაჩნდი?

— როგორ გრძნობთ თავს? — ვკითხე.

— მე? — გაიცინა, — მშვენივრად. შენ როგორ გრძნობ თავს? — ჩემს შეხვეულ თავზე მიმითითა.

— არა მიშავს. — მას შევხედე. ხელები მაგიდის ქვეშ წაიღო.

— გტკივათ? — ვკითხე.

— რა?

— ხელები.

არაბუნებრივად გაოცებული მზერა მესროლა. ამან არავითარი გავლენა არ მოახდინა ჩემზე. ხელებზე მივუთითე და მან ისინი მაგიდის ქვემოდან ამოიღო. მარცხენა ხელის ორი თითი შეხვეული ჰქონდა.

— შემთხვევით გაიჭერით?

— დიახ. საკუთარი გაუფრთხილებლობით. ხახვს ვჭრიდი სახლში — სამზარეულოში ვეხმარებოდი და გავიჭერი. ზედაპირული ჭრილობაა, მაგრამ მაინც არასასიამოვნოა.

— თვითონ შეიხვიეთ?

— დიახ. უმნიშვნელო ჭრილობაა.

მის პირდაპირ სკამზე ჩამოვჯექი და სიგარეტი გავაბოლე. ვგრძნობდი, რომ ყურადღებით მათვალიერებდა. ბოლოს ჭავლი ჭერისკენ მივუშვი. სახე მშვიდი და გულგრილი ჰქონდა — ეს კი

საქმეს მირთულებდა, მაგრამ მისი ნება იყო, მის ადგილას, ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი.

— რაიმე გარკვეული საქმის გამო მოხვედი ჩემთან? — მკითხა მან. — ალბათ, კარენ რენდალის გაკვეთის შედეგების გამო? მახსოვს, ეს შენ გაინტერესებდა. ალბათ, უფრო დამშვიდებოდი, თუ მას კიდევ ვინმე ნახავდა. მაგალითად, სანდერსონი?

— კაცმა რომ თქვას, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, იურიდიული თვალსაზრისით.

— გეთანხმებით, ასეა, — მითხრა მან.

კვლავ მივაშტერდით ერთმანეთს: ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. არ ვიცოდი, როგორ მივდგომოდი ამ საკითხს, მაგრამ დუმილი უბრალოდ მთრგუნავდა.

— სკამი, — ვუთხარი, — გაწმენდილი იყო. იცოდით?

წუთით მოიღუშა და გავიფიქრე, რომ ის ახლა ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს არაფერი ესმოდეს, მაგრამ არა, პირიქით — დასტურის ნიშნად თავი დამიკრა.

— დიახ. მან მითხრა, რომ გაწმენდდა სკამს.

— კარის სახელურსაც?

— დიახ. კარის სახელურსაც.

— როდის მიხვედით იქ?

— უკვე გვიან იყო. — მან ამოისუნთქა. — გვიანობამდე ვიმუშავე ლაბორატორიაში და უკვე სახლში მივდიოდი. გადავწყვიტე ენჯელასთან წავსულიყავი, ამას ხშირად ვაკეთებდი. ერთი წუთით შევივლიდი ხოლმე სანახავად.

— ნარკომანიისგან მკურნალობდით?

— ესე იგი, გინდა მკითხო, ხომ არ ვამარაგებდი ნარკოტიკებით?

— მინდოდა მეკითხა, ხომ არ მკურნალობდით მას.

— არა, — მითხრა მან. — რასაკვირველია, ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ ვიცოდი, რომ არაფერი გამოვიდოდა, მხოლოდ გავაფუჭებდი საქმეს. ვურჩევდი ემკურნალა, მაგრამ... — მან მხრები აიჩეჩა.

— ამრიგად, ამის მაგივრად, დროდადრო ესტუმრებოდით ხოლმე?

— ისე, დასახმარებლად. როდესაც ცუდად იყო. სხვა არაფერი შემეძლო.

— ხუთშაბათ საღამოს?

— როდესაც მივედი, ის უკვე იქ იყო. ყვირილისა და დავიდარაბის ხმები შემომესმა; შევედი და დავინახე, რომ გრეკი სამართებლით დასდევდა. ენჯელას ხელში საშზარეულოს დანა ეჭირა — ჩვეულებრივი პურის საჭრელი დანა — იმით იგერიებდა. მას შეეძლო გრეკის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა და ამიტომ უნდოდა მისი მოკვლა. გამუდმებით იმეორებდა: „შენ მოწმე ხარ, პატარავ!" ზუსტად არ მახსოვს, რა მოხდა შემდეგ. მე მუდამ მიყვარდა ენჯელა. გრეკმა რაღაც დამიყვირა, რაღაც სიტყვები, რომლებიც ვერ გავარჩიე და სამართებლით ჩემკენ წამოვიდა. საშინლად გამოიყურებოდა. ენჯელას უკვე მოესწრო მისთვის დანის ჩარტყმა, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, ტანსაცმლის გაჭრა.

— და მაშინ, თქვენ სკამს დასტაცეთ ხელი.

— არა, უკან დავიხიე. მაშინ ის ენჯელას გამოეკიდა, მისკენ სახით შეტრიალდა და ჩემკენ ზურგით დარჩა. აი, სწორედ ამ დროს... ვტაცე სკამს ხელი.

— ხელი როდის დაგესერათ? — თითებზე მივუთითე.

— არ მახსოვს. ალბათ, ეს მისი ნამოქმედარია. სახლში მისულმა პალტოს სახელოზეც აღმოვაჩინე პატარა გაჭრილი. მაგრამ ზუსტად არაფერი მახსოვს.

— რა მოხდა მას შემდეგ, რაც თავში სკამი ჩასცხეთ?

— დაეცა. უგონოდ წაიქცა. ენჯელას ჩემ გამო შეეშინდა. მოითხოვა, დაუყოვნებლივ წავსულიყავი და მითხრა, თვითონ მოვახერხებ ყველაფერსო. გაგიჟებული იყო იმის გამო, რომ მე აღმოვჩნდებოდი გარეული.

— და თქვენ წახვედით, — დავაბოლოე მე. — როდესაც ბინას ტოვებდით, გრეკი მკვდარი იყო?

— ზუსტად არ ვიცი. ფანჯარასთან ახლოს დაეცა. როგორც ჩანს, ენჯელამ ის ფანჯრიდან გადაუშვა და ჩემი წასვლის შემდეგ სკამი და კარის სახელური გაწმინდა. მაგრამ ზუსტად არ ვიცი.

სახეში შევხედე, შევხედე მის ჭაღარასა და ნაოჭებს და გამახსენდა ის დრო, როდესაც ჩემი მასწავლებელი იყო: როგორ ეხერხებოდა თუ საჭირო იყო — მოთოკვა და თუ საჭირო იყო ალერსითა და რჩევა-დარიგებებით მოქმედება. როგორ პატივს ვცემდი მას. ხუთშაბათობით საღამოს როგორ პატიჟებდა ორდინატორებს უახლოეს ბარში ამხანაგურ წრეში სალაყბოდ, როგორ მოჰქონდა ყოველ წელს თავის დაბადების დღეს ტორტი და უმასპინძლდებოდა მთელ თანამშრომლებს თავის სართულზე. ყველაფერი ეს აღმიდგა გონებაში: ხუმრობები. ყოველივე კარგი და ცუდი, ჩვენი კამათი და მისი განმარტებები, მრავალჯერ საათობით ყოფნა ანატომიის პატარა ოთახში.

— დიახ. — მან ნაღვლიანად გაიღიმა, — აი, ასე!

უესტონმა ის კითხვა არ მომცა, მე რომ ველოდი.

— ბოლოს და ბოლოს, თქვენ იოლად შეგეძლოთ იმის დამტკიცება, — ვუთხარი მე, — რომ თავდაცვის მიზნით მოქმედებდით.

— დიახ, — ნელა წარმოსთქვა მან. — შესაძლებელია.

XXX

გარეთ, შემოდგომის ცივი მზე მასაჩუსეტს-ავენიუს ორივე მხარეს ჩამწკრივებული ხეების გაშიშვლებულ ტოტებს ელამუნებოდა. მელორის ლაბორატორიის კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, გვერდით ჩამიქროლა „სასწრაფო დახმარების“ მანქანამ, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ქსენონისკენ მიემართებოდა. მანქანის სიღრმეში თვალი მოვკარი სახეს, რომელისთვისაც სანიტარს ჟანგბადის ნიღაბი აეფარებინა. ავადმყოფის სახის

ნაკვთების დანახვა შეუძლებელი იყო. იმასაც კი ვერ გაარკვევ-
დი, მამაკაცი იყო თუ ქალი.

რამდენიმე გამვლელი ჩემსავით შეჩერდა და თვალი გააყ-
ოლეს მანქანას სახეზე ზოგს თანაგრძნობა ასახვოდა, ზოგს ცნო-
ბისმოყვარეობა, ზოგსაც, შეშფოთება. ხალხი წამით შეჩერდა,
რათა შეეხედათ და დაფიქრებულიყვნენ თავთავიანთ გან-
საცდელზე.

ალბათ ყოველ მათგანს გაუელვა აზრმა იმის შესახებ, ვინ
არის ეს ადამიანი, რა ავადმყოფობა სჭირს, გამოვა თუ არა
ოდესმე საავადმყოფოდან. მაგრამ მათ არ ჰქონდათ შესაძლე-
ბლობა გაეგოთ ყოველივე ეს. მე კი მქონდა ამის საშუალება.

მანქანა ჩართული ციმციმათი მიდიოდა, მაგრამ სირენა და-
დუმებული იყო, სიჩქარეც ნორმალური ჰქონდა. ეს იმას ნიშნავ-
და, რომ ავადმყოფის მდგომარეობა კრიტიკული არ იყო, ან პირი-
ქით — უკვე აღარაფერი ეშველებოდა.

წამით რაღაც უცნაური, დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა
დამეუფლა, თავი თითქმის ვალდებულად ვიგრძენი წავსულიყავი
ქსენონში და დამედგინა, ვინ არის ეს ადამიანი და გამოჯანმ-
რთელების რა შანსები აქვს.

მაგრამ ეს არ გამიკეთებია. უბრალოდ ქუჩას გავყევი. ჩემს
მანქანაში ჩავჯექი და სახლისკენ გავემგზავრე. ვცდილობდი
თავიდან ამომეგდო ფიქრი იმ „სასწრაფო დახმარების“ მანქანის
შესახებ, რადგან მილიონობით ასეთი მანქანაა ქვეყანაზე და
ყოველდღიურად საავადმყოფოში მილიონობით ადამიანი მიჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე გამოვიდა:

საქმე №1 — **ჯეიმს ჰედლი ჩეიზი**
დათარსული კაცი
საქმე №2 — **ართურ კონან დოილი**
მოწამლული სარტყელი
შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი
საქმე №3 — **სიდნეი შელდონი**
ნიღაბჩამოხსნილი სახე
უცნობი სარკეში
საქმე №4 — **აგათა კრისტი**
მივიწყებული მკვლელობა
საქმე №5 — **ჯადსონ ფილიპსი**
სახლი მთაზე
ჭორების ქალაქი
საქმე №6 — **როს მაკდონალდი**
კვალს მივყავართ ელ-რანჩოში
საქმე №7 — **ჯონ დიქსონ კარი**
იმპერატორის საბურნუთე
სიკვდილი არარსებულ ოთახში
საქმე №8 — **ჯო ჰორზი**
მტაცებელთა ჟამი
საქმე №9 — **დეშილ ჰემეთი**
მინის გასაღები
საქმე №10 — **ბორის აკუნინი (გრიგორი ჩხარტიშვილი)**
ლევიათანი
საქმე №11 — **ჩარლზ პერსი სნოუ**
სიკვდილი იალქნის ქვეშ
საქმე №12 — **დიკ ფრენსისი**
ფავორიტი
საქმე №13 — **რაიმონდ ჩანდლერი**
ქალი ტბაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე №14 — **სეიტო მაცუმოტო**
მკვიდრთა სამყარო
საქმე №15 — **სირილ ჰეირი**
წმინდა ინგლისური მკვლელობა
საქმე №16 — **ფრიდრიხ დიურენმატი**
ავარია
საქმე №17 — **ჟორჟ სიმენონი**
ყვითელი ძაღლი
საქმე №18 — **ბუალო-ნერსეჟაკი**
ქალი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს
საქმე №19 — **ეჟი ედიგეი**
თვითმკვლელის ანდერძი
საქმე №20 — **ფრედ ვარგასი**
წამოდექით, მიცვალებულებო!
საქმე №21 — **ედგარ ალან პო**
მკვლელობა მორგის ქუჩაზე
საქმე №22 — **ჯონ ლე კარე**
მკვლელობა ჯენლტმენურად
საქმე №23 — **ჰაინერ რანკი**
მწვანე მოჩვენება

„მსოფლიო დეტექტივების სეიფი"

საქმე №24

ჟურნალ „რეიტინგის“ ბიბლიოთეკა

„მსოფლიო დეტექტივების სეიფი"

მალე გამოვა:

საქმე №25 — **კრისტინ ზემსკი**
ოქროს საცეცები

საქმე №26 — **ჯეიმს ჰედლი ჩეიზი**
ქვის ჯუნგლი

ჟურნალ „რეიტინგის" ბიბლიოთეკა

© გამომცემლობა პალიტრა L, 2010

K 73.903
2
ეროვნული ბიბლიოთეკა



პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთ
K 73.903/2

ჯეფრი ჰადსო

(1942-2008)

ჯეფრი ჰადსონის ფსევდონიმით ამერიკელი მწერალი, სცენარისტი და კინორეჟისორი მაიკლ კრაიტონი წერდა, რომლის წიგნებიც მთელ მსოფლიოში 150 მლნ ეგზემპლარად გაიყიდა.

მომავალი მწერალი 1942 წლის 23 ოქტომბერს დაიბადა ჩიკაგოში. ბავშვობიდანვე იტაცებდა წერა და ყოველთვის მწერლობაზე ფიქრობდა, თუმცა მანამდე შეისწავლა ფილოლოგია, ანთროპოლოგია და მედიცინა.

როცა წერას სერიოზულად შეუდგა, მისი სიმაღლე დაახლოებით 2 მეტრი და 6 სანტიმეტრი იყო, ამიტომაც აიღო ფსევდონიმებად ჯონ ლანგი და ჯეფრი ჰადსონი. Lange – გერმანული გვარია და „გრძელს“ ნიშნავს, სერ ჯეფრი ჰადსონი კი XVII საუკუნეში ცნობილი ჯუჯა იყო.

თავისი პირველი ნაწარმოები მაიკლ კრეიტონმა გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსს“ შესთავაზა ჯერ კიდევ 14 წლისამ. უკვე 1960-იანი წლების შუალედიდან კი, სწავლის საფასურის ასანაზღაურებლად, პოლიციური რომანების წერას შეუდგა.

მსოფლიო აღიარება კრაიტონს 1993 წელს ეწვია, როცა ეკრანებზე გამოჩნდა ბლოკბასტერი მისი რომანის „იურული პერიოდის პარკის“ მიხედვით. გარდა ამისა, კრაიტონის სცენარის მიხედვითაა გადაღებული ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ამერიკული ტელესერიალი „სასწრაფო დახმარება“, რომელმაც „ემის“ 14 პრემია მიიღო.

მწერალი 2008 წელს ლოს-ანჯელესში სიმსივნით გარდაიცვალა.

ISBN 978-9941-422-38-6
9 789941 422386